

სახელმწიფო დაცვა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2025, №6

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2025, №6

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2025, №6

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2025, №6

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75; www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საქიჯელი

1. ნასყიდობა	
ნაკლის მქონე ნივთის მიღება მყიდველის მიერ	4
2. ჩუქება	
გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა	63
3. ნარდობა	
საგარანტიო ვადა	73
4. დაზღვევა	
სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურება	91
სადაზღვევო პრემიის არადროული გადახდა	114
5. თავდებობა	
თავდების ინფორმირება გადახდის ვადის გადაცილებაზე	132
6. ერთობლივი საქმიანობა	
შემოსავლის განაწილების წესი	149
ერთობლივი საქმიანობიდან გასვლა	161

1. ნასყიდობა

ნაკლის მქონე ნივთის მიღება მყიდველის მიერ

განმინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1408-2022

17 ივლისი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, ზიანის ანაზღაურება, თანხის დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

1. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს „ო.მ.ი.მ.ს.თ-ის“ სარჩელი (შემდეგში: თავდაპირველი მოსარჩელე, შეგებებული სარჩელის მოპასუხე, გამყიდველი, მენარდე, მეორე აპელანტი ან პირველი კასატორი) რ. მ-ძის (შემდეგში: თავდაპირველი სარჩელის მოპასუხე ან თავდები) წინააღმდეგ არ დაკმაყოფილდა;

1.1. ამავე გადაწყვეტილებით თავდაპირველი სარჩელი შპს „ი-ის“ (შემდეგში: თავდაპირველი სარჩელის მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, მყიდველი, შემკვეთი, პირველი აპელანტი ან მეორე კასატორი) წინააღმდეგ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა.

1.2. თავდაპირველი მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხე საწარმოს (იხ. 1.1 ქვეპუნქტი) 200 000 (ორასი ათასი) აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა;

1.3. თავდაპირველ მოსარჩელეს უარი ეთქვა მოპასუხე საწარმოსათვის 130 641.6 (ას ოცდაათი ათას ექვსას ორმოცდაერთი აშშ დოლარი და 60 ცენტი) აშშ დოლარის დაკისრების სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

1.4. თავდაპირველი მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხე საწარმოს სახელმწიფო ბაჟის – 5000 (ხუთი ათასი) ლარის და ექსპერტიზის ხარჯის – 180.50 (ას ოთხმოცი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარის გადახდა დაეკისრა.

2. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 8 ოქტომბრის გა-

დანყვეტილებით წინამდებარე განჩინების 1.1 ქვეპუნქტში დასახელებული საწარმოს შეგებებული სარჩელი თავდაპირველი მოსარჩელის (იხ. პირველი პუნქტი) წინააღმდეგ ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

2.1. შეგებებული სარჩელის წარმდგენი საწარმოს სასარგებლოდ მოპასუხეს (თავდაპირველ მოსარჩელეს) დაევალა, მიაწოდოს და დაუმონტაჟოს თავისი ხარჯით 150-200 ტონა საათში წარმადობის ქვისამსხვრევი ქარხანა სრულად;

2.2. შეგებებული სარჩელი მოპასუხე საწარმოსათვის ზიანის ანაზღაურების თანხის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2.3 შეგებებული სარჩელის წარმდგენი საწარმოს სასარგებლოდ მოპასუხე საწარმოს სახელმწიფო ბაჟის – 5000 (ხუთი ათასი) ლარის გადახდა დაეკისრა;

3. ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ თავდაპირველი მოსარჩელე საწარმოს სასარგებლოდ 200 000 აშშ დოლარის გადახდას მოპასუხე საწარმო განახორციელებს მას შემდეგ, რაც თავდაპირველი მოსარჩელე, თავისი ხარჯით, მოპასუხეს მიაწვდის და დაუმონტაჟებს საათში 150-200 ტონა წარმადობის ქვისამსხვრევე ქარხანას (იხ. 2.1 ქვეპუნქტი).

4. თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნა

4.1. თავდაპირველი სარჩელით მოთხოვნილია მოპასუხისათვის (იხ. 1.1 ქვეპუნქტი) 330 641.6 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება, ხოლო, ძირითად მოვალესთან (მოპასუხე საწარმოსთან) ერთად, მოპასუხე რ. მ-სათვის, როგორც სოლიდარული მოვალისათვის, 238 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

4.2. თავდაპირველი მოსარჩელე საწარმო თავის მოთხოვნას შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე აფუძნებს:

4.2.1. საწარმო რეგისტრირებულია თურქეთის რესპუბლიკის ქ. ანკარაში, მის. იენიმაჰალლე, ოსტიმის სამრეწველო ... თურქეთის კანონმდებლობის თანახმად, მისი საიდენტიფიკაციო ნომერი არის ... ღირექტორს და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ჰ. ო-ი;

4.2.2. მხარეებს შორის 13.08.2015წ. გაფორმდა ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელე საწარმოს მოპასუხისათვის უნდა მიეწოდებინა სპეციალური მანქანა-დანადგარი და მოწყობილობები, კერძოდ: 1) 100 ლაყუჩა სამტვრევი; 2) ორი ცალი ვიბრაციული საცერი; 3) ჰორიზონტალური სამტვრევი; 4) ორმაგი კლასიფიკატორი; 5) ლენტები; 6) ჰორიზონტალური სამტვრევიდან მომავალი საცრის მკვებავი ლენტი; 7) საცრიდან მომავალი უკუმიწოდების ლენტი; 8) უკუმიწოდების ლენტი; 9) საცრიდან მასალის გამომტანი ლენტი 4 (ცალი) მთლიანი ღირებულებით 224000 აშშ დოლარი;

4.2.3 იმავე ხელშეკრულების ბოლო პუნქტით განისაზღვრა, რომ თავ-დაპირველი სარჩელის მოპასუხე საწარმოს (იხ. 1.1 ქვეპუნქტი) პარტნიორები და რ. მ-ძე (იხ. ამ განჩინების პირველი პუნქტი) გამყიდველის მიმართ წარმოშობილ ვალდებულებებზე პასუხისმგებელნი არიან, როგორც სოლიდარული თავდებები. ხელშეკრულებას ხელს აწერს მოპასუხე საწარმოს იმჟამინდელი დირექტორი – ა. მ-ძე და საწარმოს 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი – რ. მ-ძე;

4.2.4. ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი და კიდევ მეტი მოწყობილობა-დანადგარების მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის მიწოდება დასტურდება ანგარიშ-ფაქტურებით, კერძოდ: 1. 01.09.2015წ. №512199 ანგარიშ-ფაქტურით და გადაადგილების სერთიფიკატით თითო ცალი მიმწოდებლის კლასიფიკატორის, ლაყუჩა სამტვრევის, ფასით 84000 აშშ დოლარი, მიწოდება; 2. 08.09.2015წ. №512228 ანგარიშ-ფაქტურით და გადაადგილების სერთიფიკატით თითო ცალი კლასიფიკატორის, ჰორიზონტალური სამტვრევის, საწარმოო ობიექტის აღჭურვილობის და 2 ცალი ვიბრაციული საცერის, ფასით 115000 აშშ დოლარი, მიწოდება; 3. 17.09.2015წ. №889526 ანგარიშ-ფაქტურით და გადაადგილების სერთიფიკატით 1 ცალი ჰორიზონტალური სამტვრევის, 52მ კონვეიერის ლენტის, 2 ცალი მაგნიტის, 1 კომპლექტი საწარმოო ობიექტის აღჭურვილობის, 88მ. კონვეიერის ლენტების, ფასით 118750 აშშ დოლარი, მიწოდება; 4. 09.10.2015წ. №889588 ანგარიშ-ფაქტურით და გადაადგილების სერთიფიკატით 1 ცალი 20 კუბური მეტრი მოცულობის ბუნკერის 1 ცალი სამართავი კაბინის, ფასით 10250 აშშ დოლარი, მიწოდება; 5. 15.02.2016წ. №890045 ანგარიშ-ფაქტურით და გადაადგილების სერთიფიკატით 344 კგ. ქვის სამტვრევის დანადგარის ჯვანის, ფასით 1341.60 აშშ დოლარი, მიწოდება; 6. 01.04.2016წ. №890206 ანგარიშ-ფაქტურით და გადაადგილების სერთიფიკატით 1 ცალი ძრავის, 4 ცალი შკივის, 6 ცალი ღვედის, ფასით 1300 აშშ დოლარი, მიწოდება;

4.3. თავდაპირველ მოსარჩელეს (გამყიდველს, მენარდეს) მოპასუხისათვის (მყიდველისათვის, შემკვეთისათვის) 2015 წლის სექტემბრიდან 2016 წლის აპრილის ჩათვლით მიწოდებული აქვს ზემოთ ჩამოთვლილი საქონელი, ღირებულებით – 330641.6 აშშ დოლარი, რაც მყიდველს (შემკვეთს) უნდა აენაზღაურებინა ორი თვის ვადაში. გამყიდველისათვის (მენარდისათვის) არც მოპასუხე საწარმოს და არც სოლიდარულ თავდებს – რ. მ-ძეს დავალიანება არ აუნაზღაურებიათ;

4.4. 13.08.2015წ. ხელშეკრულებით (იხ. 4.2.2 ქვეპუნქტი) მოპასუხე საწარმოს პარტნიორები და რ. მ. მოსარჩელის მიმართ წარმოშობილ ვალდებულებებზე პასუხისმგებელნი არიან როგორც სოლიდარული თავდებები. ხელშეკრულების დადებისას წარდგენილი ამონაწერიდან გამომდინარე მოთხოვნა აღძრულია როგორც მოპასუხე შპს-ის, ისე –

რ. მ-ს მიმართ, რომელიც ამ შპს-ში ამჟამადაც 100%-იანი წილის მესაკუთრეა.

5. თავდაპირველი სარჩელის მოპასუხეთა (მყიდველის, შემკვეთის) შესაგებელი

5.1. მოპასუხე საწარმომ და მისი 100 %-იანი წილის მფლობელმა პარტნიორმა, იმავდროულად თავდებმა პირმა – რ. მ-ქმ მათ წინააღმდეგ აღძრული სარჩელი არ ცნეს.

5.2. მოპასუხეებმა წერილობით წარდგენილი შესაგებლით სადავო გახადეს როგორც ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადება, ისე ის გარემოება, რომ ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული დანადგარები არ შეესაბამება ფაქტობრივად მიწოდებულს; ასევე, მიუთითეს, რომ მიწოდებული საქონლის ღირებულება არ შეესაბამება სიმართლეს და ფაქტობრივად მოწოდებული დანადგარების თანხაც გადახდილი აქვს მყიდველს გამყიდველისათვის.

6. ძირითადი სარჩელის მოპასუხე საწარმოს (მყიდველის, შემკვეთის) შეგებებული სარჩელი

6.1. მოპასუხე საწარმომ (მყიდველმა, შემკვეთმა) შეგებებული სარჩელით მოითხოვა, რომ თავდაპირველ მოსარჩელე საწარმოს დაევალოს, თავისი ხარჯით, მოპასუხეს მიაწოდოს და დაუმონტაჟოს საათში 150-200 ტონა წარმადობის ქვისსამსხვრევი ქარხანა სრულად;

6.2. ასევე, მყიდველის (შემკვეთის) სასარგებლოდ გამყიდველს (თავდაპირველ მოსარჩელე საწარმოს, მენარდეს) დაეკისროს მიუღებელი შემოსავლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც 2016 წლის 27 თებერვლიდან ყოველ სამუშაო დღეზე 17952 ლარს (კურსი 2.7) 6648 აშშ დოლარს შეადგენს, მათ მიერ 150-200 საათში წარმადობის ქვისსამსხვრევი ქარხნის დამონტაჟებამდე.

6.3. შეგებებული სარჩელი შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს ეფუძნება:

6.3.1. მხარეთა შორის 2015 წლის 13 აგვისტოს დაიდო ხელშეკრულება № 08/08-013, რის საფუძველზეც გამყიდველს (მენარდეს, თავდაპირველ მოსარჩელეს) უნდა მიეწოდებინა და მისსავე სპეციალისტებს უნდა დაემონტაჟებინათ მყიდველისათვის (შემკვეთისათვის) ქვის სამსხვრევი ქარხანა სრულად, რომელსაც უნდა მოეცა 150-200 ტონა პროდუქცია 1 საათში. გამყიდველმა (მენარდემ) საწარმომ მის მიერ ჩამოყვანილ სპეციალისტებს დაამონტაჟებინა ქარხანა მთლიანად და მათვე აამუშავეს. ქარხანა გაშვებისთანავე დაიშალა, გატყდა ძირითადი კვანძები, რის გამოც მას დიდი ხანი არემონტებდნენ. მყიდველ (შემკვეთს) საწარმოს უნდა გადაეხადა 80 000 აშშ დოლარი 1 წლის განმავლობაში. მყიდველმა (შემკვეთმა) შეასრულა აღებული ვალდებულება და 1 წლის განმავლობაში 155 000 აშშ დოლარი გადაუხადა გამყიდველი (მენარდე)

საწარმოს წარმომადგენელს – მ. ს-ს, რომელმაც გამოავაზა დაზარალებულები, მაგარამ საწარმოს დირექტორმა – ჯ. ო-მა მხოლოდ 105 000 აშშ დოლარის მიღებაზე მისცა მყიდველს თანხის მიღების საბუთი და ეს იმით ახსნა, რომ მ. ს-მა მხოლოდ ამ ოდენობის თანხა გადასცა მას. ქარხნის მონტაჟის შემდეგ ქარხანამ მუშაობა დაიწყო 2016 წლის 27 თებერვალს და, 150-200 ტონის მაგივრად, 1 საათში 30-40 ტონა პროდუქციას უშვებდა, რაც არ შეესაბამებოდა ხელშეკრულების პირობებს. აღნიშნულთან დაკავშირებით მყიდველმა (შემკვეთმა) საწარმომ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სიმძლავრის წარმადობის ქარხანა, რასაც მიმწოდებელი (გამყიდველი, მენარდე) მხარე შეჰპირდა, მაგრამ პირობა დღემდე არ შეუსრულებია;

6.3.2. იმის გამო, რომ ქარხანა, 150-200 ტონა პროდუქციის ნაცვლად, უშვებს 5-ჯერ ნაკლებ პროდუქციას – 1 საათში 30-40 ტონას, იმავე დანახარჯებით შეგებებული მოსარჩელე (მყიდველი/შემკვეთი საწარმო) განიცდის ზიანს და ვერ ღებულობს 1 საათში საშუალოდ 132 ტონა პროდუქციას, რომლის საშუალო ღირებულებაა 2244 ლარი. ექსპერტიზის დასკვნით ქარხანა 1 საათში უშვებს 43 ტონა პროდუქციას, საშუალოდ საათში 132 ტონა პროდუქციით ნაკლებს. მიყენებული ზიანი 1 სამუშაო დღეში უდრის $132 \text{ ტ} * 8 \text{ სთ} = 1056 \text{ ტონა პროდუქციის და მისი საშუალო ღირებულება } 17 \text{ ლარი} * 1056 \text{ ტონაზე} = 17\,952 \text{ ლარს}$. გამყიდველისაგან/მენარდისაგან (შეგებებული სარჩელის მოპასუხე საწარმოსაგან) მონოდებული დანადგარები, მისი მაჩვენებლები – მონაცემები არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დანადგარებს, მაჩვენებლებს და მონაცემებს.

7. შეგებებული სარჩელის მოპასუხე საწარმოს (გამყიდველის/მენარდის) შესაგებელი

7.1. შეგებებული სარჩელის მოპასუხემ (გამყიდველმა/მენარდმა საწარმომ) არ ცნო მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი და მიუთითა, რომ სასარჩელო მოთხოვნა ქარხნის დამონტაჟებაზე (იხ. წინამდებარე განჩინების 6.1 ქვეპუნქტი) უსაფუძვლოა, ვინაიდან მყიდველ საწარმოს შესრულება მიღებული აქვს, ხოლო პრეტენზია არ აქვს გაცხადებული კანონით დადგენილ ვადებში;

7.2. ასევე უსაფუძვლოა თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნა მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. მოსარჩელეს პრეტენზია უნდა დაეყენებინა კანონით დადგენილ ვადებში და წესით, მას შეეძლო უარი ეთქვა ხელშეკრულებაზე, ან მოეშალა იგი, მოეთხოვა საზღაურის შემცირება ან მისი მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი და, საქმიანი წინდახედულების ფარგლებში, გამოეყენებინა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული ნებისმიერი უფლება. მყიდველ/შემკვეთ საწარმოს (შეგებებულ მოსარჩელეს) გაშვებული აქვს შესრულების ნაკ-

ლის გამო მოთხოვნის წაყენების ვადა. ამასთან, მყიდველი/შემკვეთი არაუფლებამოსილ პირს უხდოდა თანხებს და აღიარებდა მათ მიმართ წარმოშობილ დავალიანებას ყოველგვარი საპასუხო პრეტენზიის წარდგენის გარეშე, რაც იმას გულისხმობს, რომ შეგებებული მოსარჩელი-სათვის (მყიდველი/შემკვეთი საწარმოსათვის) მიყენებული ზიანი გამყიდველი/მენარდე საწარმოსათვის წინასწარ სავარაუდო არ ყოფილა;

7.3. იმის გათვალისწინებით, რომ 02.03.2016წ. მყიდველი საწარმოს დირექტორი აღიარებს დავალიანებას ქარხნის შეძენასთან დაკავშირებით, ცხადია, რომ 2016 წლის მარტის დასაწყისისათვის წარმოებას რაიმე დეფექტი არ გააჩნდა და ქარხანა ექსპლუატაციაში უკვე გაშვებული იყო.

8. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით უდავოდ მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებები

8.1. 2015 წლის 13 აგვისტოს მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გამყიდველს/მენარდეს მყიდველისათვის/შემკვეთისათვის უნდა მიეწოდებინა ლაყუჩა სამტრეველი 100-იანი, ვიბრაციული საცერი, ჰორიზონტალური სამტრეველი, ორმაგი კლასიფიკატორი, ლენტები, ჰორიზონტალური სამტრეველის მკვებავი ლენტები, საცრის მკვებავი ლენტები, უკუ-მიმწოდებლის ლენტები, 1600*5000 საცრიდან მასალის გამომტანი ლენტები 4 ცალი – სულ 224 000 აშშ დოლარის ღირებულებით;

8.2. ხელშეკრულებას ხელს აწერს მყიდველი/შემკვეთი საწარმოს (იხ. წინამდებარე განჩინების 1.1 ქვეპუნქტი) დირექტორი ა. მ-ძე, თავდების სახით – რ. მ-ძე (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი), შპს „ო.მ“-ის წარმომადგენელი – მ. ს.;

8.3. ზემოხსენებულ მხარეებს შორის 2015 წლის 14 აგვისტოს დაიდო ხელშეკრულება, რომლის თანახმად, გამყიდველს/მენარდეს მყიდველისათვის/შემკვეთისათვის უნდა მიეწოდებინა ორმაგი კლასიფიკატორი, 14 000 აშშ დოლარის ღირებულების. ეს ხელშეკრულება წარმოადგენს 13.08.2015წ. ხელშეკრულების დანართს და მოქმედებს ძირითადი ხელშეკრულების ყველა მუხლი. ხელს აწერენ: მყიდველი საწარმოს მხრიდან – რ. მ-ძე და შპს. „ო.მ“ წარმომადგენელი – მ. ს.;

8.4. გამყიდველმა/მენარდემ საწარმომ 2015 წლის 1 სექტემბერს მყიდველს/შემკვეთს მიაწოდა შემდეგი ნივთები: მიმწოდებელი, კლასიფიკატორი და ლაყუჩა სამტრეველი, ღირებულებით 84 000 აშშ დოლარი;

8.5. გამყიდველმა/მენარდემ საწარმომ 2015 წლის 8 სექტემბერს მყიდველს/შემკვეთს მიაწოდა შემდეგი ნივთები: კლასიფიკატორი, ვიბრაციული საცერი 2 ცალი, ჰორიზონტალური სამტრეველი, საწარმო ობიექტის აღჭურვილობა, ღირებულებით 115 000 აშშ დოლარი;

8.6. გამყიდველმა/მენარდემ საწარმომ 2015 წლის 17 სექტემბერს

მყიდველს/შემკვეთს მიაწოდა შემდეგი ნივთები: ჰორიზონტალური სამტვრევი, კონვეირის ლენტები, მაგნიტები, საწარმო ობიექტის აღჭურვილობა, კონვეირის ლენტები, ღირებულებით 118 750 აშშ დოლარი;

8.7. გამყიდველმა/მენარდე საწარმომ 2015 წლის 9 ოქტომბერს მყიდველს/შემკვეთს მიაწოდა შემდეგი ნივთები: ბუნკერი 20მ³, სამართავი კაბინა, ღირებულებით 10250 აშშ დოლარი;

8.8. გამყიდველმა/მენარდე საწარმომ 2016 წლის 15 თებერვალს მყიდველს/შემკვეთს მიაწოდა შემდეგი ნივთები: ქვის სამტვრევი დანადგარის ჯავშანი, ღირებულებით 1341.60 აშშ დოლარი;

8.9. გამყიდველმა/მენარდე საწარმომ 2016 წლის 1 აპრილს მყიდველს/შემკვეთს მიაწოდა შემდეგი ნივთები: ძრავი, შკივი 4 ცალი, ღვედი 6 ცალი – ღირებულებით 1300 აშშ დოლარი;

8.10. 2016 წლის 2 მარტის განცხადებით მყიდველი/შემკვეთი შპს-ის დირექტორი – ა. მ-ძე ადასტურებს, რომ მ. ს-ისაგან შეძენილი ქვის სამტვრევე საამქროსთან დაკავშირებით გადასახდელი დარჩა 200 000 აშშ დოლარი, რომელსაც გადაიხდის შემდეგი გრაფიკით: 2016 წლის ივნისიდან 30 აგვისტომდე გადაიხდის 100 000 აშშ დოლარს, ხოლო დარჩენილ 100 000 აშშ დოლარს გადაიხდის 2017 წლის იანვრის თვის ბოლომდე, ყოველთვიურად 20 000 აშშ დოლარის გადახდით (იხ. ა. მ-ძის ნოტარიულად დამოწმებული განცხადება);

8.11. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდეგში: ექსპერტიზის ბიურო) 2019 წლის 20 თებერვლის დასკვნით დადგენილია, რომ გამოსაკვლევედ წარდგენილ ფულის აკრეფის ქვითარზე სერიული ნომრით: 00456, (გადახდის თარიღი – 21.08.2016, გადახდილი თანხა – 105000 აშშ დოლარი) არსებული ნაბეჭდი ტექსტი შესრულებულია პრინტერზე. გამოსაკვლევედ წარდგენილ ფულის აკრეფის ქვითარზე სერიული ნომრით 00456 (გადახდის თარიღი – 21.08.2016წ.) გადახდილი თანხა 105000 აშშ დოლარი) არსებული ხელმოწერა არ არის შესრულებული რაიმე სახის ტექნიკური საშუალებით (პრინტერი, სკანერი და სხვა), არამედ შესრულებულია სანერი საშუალებით, კერძოდ ბურთულიანი კალმით. გამოსაკვლევედ წარდგენილ ფულის აკრეფის ქვითარზე სერიული ნომრით 00456 (გადახდის თარიღი 21.08.2016, გადახდილი თანხა – 105000 აშშ დოლარი) არსებული შტამპის ანაბეჭდი დატანილია ქარხნული წარმოების წესის დაცვით დამზადებული შტამპით. გამოსაკვლევედ წარდგენილ ფულის აკრეფის ქვითარზე, სერიული ნომრით 00456 (გადახდის თარიღი 21.08.2016, გადახდილი თანხა 105000 აშშ დოლარი) არსებული შტამპის ანაბეჭდი არ არის დატანილი შესაძარებლად წარდგენილი „ო.მ.ი.მ.ს.თ-ის“ შტამპით, რომელიც განთავსებულია სამოქალაქო №2/644-182581456 საქმის ტომში №02 და მიმავრებულია გამჭირვალე ფაილით

ბოლო გვერდზე (რომლითაც ექსპერტის მიერ თაბახის ერთ ფურცელზე დატანილი იყო ექპერიმენტული ნიმუშები). გამოსაკვლევად წარდგენილ ფულის აკრეფის ქვითარზე, სერიული ნომრით 00456 (გადახდის თარიღი 21.08.2016, გადახდილი თანხა 105000 აშშ დოლარი) არსებული შტამპის ანაბეჭდი დატანილია „ო.მ.ი.მ.ს.თ.ის“ იმ შტამპით, რომლის თავისუფალი ნიმუში წარდგენილია შესადარებლად და განთავსებულია 19.08.2016 წლით დათარიღებულ საბუთზე, რომელიც იმყოფებოდა სამოქალაქო №2/490-182501421 საქმეში. ხელმოწერა ჯ. ო-ის სახელით, განლაგებული, ფულის აკრეფის ქვითარზე ფურცლის მარჯვენა კვედა მხარეს, შესრულებულია არა ჯ. ო-ის, არამედ სხვა პირის მიერ;

8.12. მყიდველი/შემკვეთი საწარმოს დირექტორს – ა. მ-ძეს, საამქროს უფროსს – გ. ტ-ძეს, ქარხნის ოპერატორს – მ. კ-ძეს და შპს „ო.მ-ის“ წარმომადგენელს და მეპატრონეს მ. ს-ს, რომელსაც საქართველოში წარმოადგენს ფ. მ-ი, შორის, 2016 წლის 24 თებერვალს, შედგა ქარხნის მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად შპს „ო.მ“-მა ჩამოიტანა და დაამონტაჟა ქვის სამსხვრევი საამქრო. საამქროს დამონტაჟება დამთავრდება 2016 წლის 24 თებერვალს. შპს „ო.მ-ი“ თავის თავზე იღებს ერთწლიან საგარანტიო ვალდებულებას. შპს „ო.მ-ი“ იღებს ვალდებულებას, აანაზღაუროს პირველადი სამსხვრევის გარემონტებაზე დახარჯული თანხა, რომელსაც გაარემონტებენ რუსთაველი ოსტატები. თუ მუშის დაუდევრობით ან უყურადღებოობით დაირღვა მუშაობის ტექნოლოგიური რეჟიმი, მაშინ შპს „ო.მ-ი“ იხსნის საგარანტიო ვალდებულებას. აქტს, სხვა პირებთან ერთად, ხელს აწერენ: ა. მ-ძე, მ.ს.;

8.13. გამყიდველ/მენარდე საწარმოს მყიდველისათვის/შემკვეთისათვის უნდა მიეწოდებინა ქარხანა, რომელსაც 1 საათში უნდა გამოეშვა 150-200 ტონა პროდუქცია.

9. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ იდენტიფიცირებული მხარეთა შორის სადავო და დადგენილად მიჩნეული გარემოებები

9.1. გამყიდველი/მენარდე საწარმოს წარმომადგენელს წარმოადგენდა მ. ს-ი, რომელსაც გააჩნდა უფლებამოსილება, მიეღო შესრულება მყიდველი/შემკვეთი შპს-გან, როგორც ამ უკანასკნელის წარმომადგენელს;

9.2. მყიდველი/შემკვეთი საწარმოს დავალიანება გამყიდველის/მენარდის (თავდაპირველი მოსარჩელის) მიმართ 200 000 აშშ დოლარს შეადგენს, ხოლო დანარჩენი ვალდებულება მყიდველს/შემკვეთს შესრულებული აქვს.

9.3. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-4 მუხლის შესაბამისად, სამართალწარმოება მიმდინარეობს

შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. სასამართლომ უნდა განსაზღვროს, თუ რომელ მხარეს ეკისრება ფაქტის მტკიცების ტვირთი და ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დააკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. სამოქალაქო საქმეზე დასაბუთებული გადანყვეტილების მიღების ერთადერთი გზა მტკიცებაა, რომლითაც დგინდება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები. მტკიცების პროცესში იგულისხმება პროცესის მონაწილე სუბიექტების საქმიანობა, მიმართული საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტების არსებობის ან არარსებობის დასადგენად. პროცესის მონაწილე მხარეთა და სასამართლოს მტკიცებითი საქმიანობა მოიცავს შემდეგ სტადიებს: მტკიცების საგნის განსაზღვრა; მტკიცებულებათა შეგროვება (მტკიცებულებათა გამოვლენა, მათი შეკრება და სასამართლოში წარდგენა); მტკიცებულებათა სასამართლოში გამოკვლევა; მტკიცებულებათა შეფასება. დამტკიცებას საჭიროებს ის გარემოებები, რომლებიც ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნასა და სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებს, მონინალმდევე მხარის მიერ სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებისა და სასარჩელო მოთხოვნის უარყოფას, ასევე – საქმის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები (იხ. სუსგ №ას- 1206-1166-2016).

9.4. სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებანი, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. აღნიშნული ნორმა ასახავს სამოქალაქო სამართალში მოქმედ ზოგად პრინციპს „მტკიცების ტვირთი ეკისრება მას ვინც ამტკიცებს და არა მას, ვინც უარყოფს“ - „affirmanti, non legati, incumbit probatio“. შესაბამისად, მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აწესებს მტკიცების ტვირთის განაწილების სტანდარტს, რომლის მიხედვითაც მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი განაწილებულ უნდა იქნეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს უნდა დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. მოსარჩელემ უნდა დაადასტუროს გარემოებები, რომლებზედაც იგი ამყარებს სასარჩელო მოთხოვნას, ხოლო მოპასუხემ კი ის გარემოებები

ბი, რომლებსაც შესაგებელი ეფუძნება. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის სწორად გადანაწილებას არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი, არამედ არსებითი მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან მხარის მიერ ამ მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროდან განხორციელებას, შედეგად მოჰყვება ამავე მხარისთვის უარყოფითი, არახელსაყრელი შედეგი.

9.5. მოცემულ შემთხვევაში თავდაპირველი მოსარჩელე (გამყიდველი/მენარდე საწარმო) აღნიშნავს, რომ მოპასუხე საწარმოს (მყიდველის/შემკვეთის) დავალიანება 330 541.6 აშშ დოლარს შეადგენს. თავის მხრივ, მოპასუხე აცხადებს, რომ მისი დავალიანება 200 000 აშშ დოლარს შეადგენს, რადგან მან თანხა გადაუხადა მოსარჩელე (გამყიდველი) საწარმოს წარმომადგენელს – მ. ს-ის. თავის მხრივ, თავდაპირველი მოსარჩელე (გამყიდველი/მენარდე) ამტკიცებს, რომ მ. ს-ი აღარ წარმომადგენს მის წარმომადგენელს და ამ უკანასკნელს გამყიდველი/მენარდე საწარმოსათვის არ გადაუცია მყიდველის/შემკვეთის (მოპასუხის) მიერ გადახდილი არანაირი თანხა. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ მოპასუხის (მყიდველის/შემკვეთის) მიერ მ. ს-ისათვის გადაცემული თანხა მოსარჩელის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებად ვერ ჩაითვლება.

9.6. პირველი ინსტანციის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე (გამყიდველი/მენარდე) საწარმოს წარმომადგენელი საქართველოში იყო მ. ს-ი და მოპასუხე (მყიდველი/შემკვეთი) საწარმო ხელშეკრულების დადებისას მასთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს;

9.6.1. აღსანიშნავია, რომ საქმეში მოთავსებულ გამყიდველსა და მყიდველს შორის 13.08.2015წ. დადებულ ხელშეკრულებაზე ხელს აწერს გამყიდველი შპს-ის წარმომადგენელი – მ. ს-ი;

9.6.2. სასამართლო სხდომაზე გამყიდველი/მენარდე შპს-ის დირექტორმა ჯ. ო-მა დაადასტურა, რომ მ. ს-ი იყო მისი წარმომადგენელი;

9.6.3. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა ფ. მ-მა დაადასტურა, რომ ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელის წარმომადგენელი იყო მ. ს-ი, სწორედ მასთან დაიდო ხელშეკრულება, მან ჩამოიტანა ქარხანა და მისმა ჩამოყვანილმა სპეციალისტებმა დაამონტაჟეს იგი. შესაბამისად, მას გადაუხადა მოპასუხემ (მყიდველმა/შემკვეთმა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა;

9.6.4. ასევე დადგენილია, რომ ქარხნის მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებული იქნა მ. ს-თან. შესაბამისად, მოპასუხე (მყიდველმა/შემკვეთმა) ვალდებულების შესრულების მიზნით როდესაც თანხა მ. ს-ს გადასცა, დარწმუნებული იყო, რომ ვალდებულებას ასრულებდა უფლებამოსილი პირის წინაშე. თავდაპირველი სარჩელის მოპასუხე საწარ-

მოსათვის (მყიდველის/შემკვეთისათვის) არ უცნობებიან მ. ს-ის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, რისი ვალდებულებაც თავად მოსარჩელეს (გამყიდველს/მენარდეს) გააჩნდა.

9.7. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თავდაპირველი მოსარჩელის (გამყიდველის/მენარდის) სასარგებლოდ მოპასუხე საწარმოს (მყიდველის/შემკვეთის) დავალიანება შეადგენს ვალის აღიარების შესახებ 02.03.2016წ. განცხადებით გათვალისწინებულ თანხას – 200 000 აშშ დოლარს. სხვა ვალდებულება მოპასუხეს (მყიდველს/შემკვეთს) მოსარჩელის (გამყიდველის/მენარდის) წინაშე შესრულებული აქვს.

9.8. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თავდაპირველი სარჩელის მოპასუხე – რ. მ-ძე (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი) არ წარმოადგენს სოლიდარულ თავდებს.

9.8.1. სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომი: სსკ) თანახმად, თავდებობის ნამდვილობისათვის აუცილებელია თავდების წერილობითი განცხადება და თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხის განსაზღვრა. მოცემულ შემთხვევაში რ. მ-ძის წერილობითი განცხადება თავდებობის შესახებ საქმის მასალებში არ მოიპოვება;

9.8.2. ასევე, მხარეთა შორის 2015 წლის 13 აგვისტოს გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ არის გათვალისწინებული რ. მ-ძის პასუხისმგებლობის მაქსიმალური ოდენობა. შესაბამისად, არ არის გამოვლენილი თავდებობის ნამდვილობისათვის სსკ-ის 892-ე მუხლით იპერატიულად განსაზღვრული პირობები. აქედან გამომდინარე, მოპასუხე რ. მ-ძე ვერ იქნება მოპასუხე (გამყიდველი/მენარდე) საწარმოს მიერ თავდაპირველი მოსარჩელის წინაშე აღებულ ვალდებულებაზე სოლიდარულად პასუხისმგებელი თავდები პირი.

9.9. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გამყიდველ/მენარდე საწარმოს (თავდაპირველ მოსარჩელეს) მყიდველისათვის/შემკვეთისათვის (შეგებებული მოსარჩელისათვის) არ მიუწოდებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისი ქარხანა-დანადგარები;

9.9.1. სადავო საკითხის დადგენისას, სასამართლომ იხელმძღვანელა მხარეთა თანასწორობის, შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპებით. სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. დისპოზიციურობის პრინციპის მიხედვით აღიარებულია შეჯიბრებითობის

პრინციპით ფაქტების დადგენა. მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის თანაბრადაა გადანაწილებული, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი მტკიცებულებები გამოიყენონ ფაქტობრივი გარემოების დასადასტურებლად. ზოგადად ორივე მხარემ უნდა წარმოადგინოს მტკიცებულებები, რომლითაც უტყუარად დადგინდება საარჩელში და შესაგებელში მითითებული გარემოებების არსებობა. დისპოზიციურობის პრინციპიდან გამომდინარე, ფაქტების მტკიცების ტვირთი მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის განაწილებული უნდა იყოს სამართლიანად. მხარეს უნდა დაეკისროს ისეთი ფაქტის დამტკიცების ვალდებულება, რომლის განხორციელებაც მას შეუძლია. მტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მართლმსაჯულების განხორციელების უმთავრესი პრინციპია;

9.9.2. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეთა შორის 2015 წლის 13 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელეს მოპასუხისათვის უნდა მიენოდება ქვის სამსხვრევი ქარხანა, რომელსაც 1 საათში უნდა გამოეშვა 150-200 ტონა პროდუქცია. მყიდველ/შემკვეთ საწარმოს გამყიდველისათვის/მენარდისათვის თანხა უნდა გადაეხადა განწილვადებით. შეგებებული მოსარჩელე საწარმო აღნიშნავს, რომ გამყიდველი/მენარდე საწარმოს მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება არ შესრულებულა. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ 13.08.2015წ. გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, მ. ს-მა ჩამოიტანა ქარხანა, მისმა ჩამოყვანილმა სპეციალისტებმა დაამონტაჟეს და ამუშავეს იგი 2016 წლის 24 თებერვალს. შეთანხმების თანახმად ქარხანას უნდა გამოეშვა 150-200 ტონა პროდუქცია 1 საათში. სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა გ. ტ-ქმ დაადასტურა, რომ 2016 წლის 24 თებერვალს ქარხანა ამუშავეს, თუმცა ქარხანა გაფუჭდა ამუშავებისთანავე და დაიმტვრა მისი ძირითადი ნაწილები. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები დაადასტურა სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ფ. მ-მა. სასამართლო უთითებს იმავე დღეს – 24.02.2016წ. მხარეებს შორის შედგენილ მიღება-ჩაბარების აქტზე (ხელს აწერს გამყიდველი საწარმოს წარმომადგენელი – მ. ს-ი), რომლითაც გამყიდველმა/მენარდემ აიღო ქარხნის გარემონტებაზე დახარჯული თანხის გადახდის ვალდებულება. აღნიშნული კი იმ გარემოებას ადასტურებს, რომ ქარხანას ამუშავებისთანავე დასჭირდა შეკეთება. ქარხნის გარემონტების შემდეგ დადგინდა, რომ ქარხნის წარმოება არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ წარმადობას. მოწმეებმა გ. ტ-ქმ და ფ. მ-მა დაადასტურეს, რომ იმის გამო, რომ ქარხანა არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პარამეტრებს, მ. ს. შეჰპირდა რ. მ-ძეს, რომ შეუცვლიდა ქარხანას;

9.9.3. ექსპერტიზის ბიუროს 02.10.2018წ. მომართვით დგინდება, რომ

ხაშურის რაიონის სოფელ ... მყიდველის/შემკვეთის (შეგებებული მო-სარჩელე) კუთვნილ საწარმოში უზრუნველყოფილი იქნა ქვიშა-ლორ-ლის წარმოების პროცესზე დაკვირვება. დაკვირვება მოხდა საწარმოს ტერიტორიაზე დასაწყობებული ბალასტის გადამუშავებაზე ერთი საა-თის განმავლობაში მიღებული გაურეცხავი ქვიშა-ლორლის რაოდენო-ბის დასადგენად. წარმოების პროცესის მიმდინარეობა: სამსხვრევი სა-ამქროს მიმდებარედ დასაწყობებული ბალასტი იტვირთება სატრან-სპორტო საშუალებებზე და მიეწოდება ქვის სამსხვრევ ტექნოლოგი-ურ ხაზზე, ნედლეულის მიმღები ბუნკერის შევსების შემდგომ ბალას-ტი გადის სხვადასხვა კვანძებს საბოლოო გადამუშავებამდე. ექსპერ-ტიზისთვის უცნობია გამოყენებული მანქანა-დანადგარების მარკა და მოდელი, წარმოების პროცესის მიმდინარეობისას ნედლეულის შერჩე-ვა და შემდგომი გადამუშავება ხდებოდა საწარმოში არსებული ტექნო-ლოგიის მიერ. გაურეცხავი ქვიშა-ლორლის ტრანსპორტირება სასწორამ-დე მოხდა ავტოსატრანსპორტო საშუალებით, ხოლო აწონვა მოხდა სა-წარმოს ტერიტორიის მიმდებარედ არსებულ ნაგავსაყრელზე განთავ-სებული საავტომობილო სასწორის მეშვეობით. ჩატარებული აწონვის შედეგად დადგინდა, რომ ერთი საათის განმავლობაში მიღებული გაუ-რეცხავი ქვიშა-ლორლის წონამ 42.59 ტონა შეადგინა;

9.9.4. გარდა ზემოხსენებული დასკვნისა, მყიდველმა/შემკვეთმა სა-წარმომ სასამართლოს წარუდგინა საქართველოს ტექნიკური უნივერ-სიტეტის სამშენებლო მანქანების № 108 დეპარტამენტის ასოცირებუ-ლი პროფესორის, მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიის აკადემიუ-რი დოქტორის – გ. ნ-ის მიერ გაცემული დასკვნა, რომლის თანახმად, გამყიდველი/მენარდე თურქული საწარმოს მიერ მყიდველი/შემკვეთი შპს-თვის მიწოდებული და დამონტაჟებული დანადგარების მოდელე-ბი, ტექნიკური მონაცემები და გეომეტრიული პარამეტრები ძირითად-ში არ შეესაბამება მხარეთა შორის 2015 წლის 13 აგვისტოს გაფორმე-ბული № OZB/08-013 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მონაცემებს. ტექნოლოგიური დანადგარების დამონტაჟების თანმიმდევრობა არ შე-ესაბამება მდინარის ნატანის (ხრეში) გადამუშავებით ინერტიული მა-სალების – ბუნებრივი ქვიშის, ლორლის და ნამტვრევი ქვიშის ფრაქცი-ების მიღებისათვის დადგენილი და რეკომენდებული თანმიმდევრო-ბის განლაგებას. სამსხვრევ-სახარისხებელი საამქროს ღირებულება 13.08.20156. № OZB/08-013 ხელშეკრულების მიხედვით შეადგენს 224 000 აშშ დოლარს, ხოლო დამატებითი შეთანხმების შესაბამისად მიწო-დებული ორმაგი კლასიფიკატორის ღირებულება – 14 000 აშშ დოლარს, რითაც სამსხვრევ-სახარისხებელი საამქროს საერთო ღირებულებამ 238 000 აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ღირებულება ბევრად მე-ტია რუსეთის სხვადასხვა კომპანიების მიერ შემოთავაზებული ანალო-

გიური კომპლექტაციისა და მწარმოებლობის მქონე მეორადი სამსხვრევ-სახარისხებელი საამქროების ღირებულებასთან შედარებით. ამდენად, საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დგინდება, რომ მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანადგარების ტექნიკური მონაცემები არ შეესაბამება მყიდველი საწარმოსათვის მიწოდებული დანადგარების ტექნიკურ მონაცემებს. შესაბამისად, გამყიდველ/მენარდე საწარმოს (შეგებებული სარჩელით მოპასუხეს) 2015 წლის 13 აგვისტოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია და მყიდველისათვის/შემკვეთისათვის არ მიუწოდებია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მონაცემების მქონე მანქანა-დანადგარები;

9.10. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მყიდველმა ხელშეკრულების შესაბამისი ქვისამსხვრევი ქარხნის მიწოდებისა და დამონტაჟების თაობაზე გამყიდველს პრეტენზია განუცხადა 2016 წლის 24 თებერვალს, კანონით დადგენილ ვადაში;

9.10.1. მხარეთა შორის 2016 წლის 24 თებერვალს შედგენილი იქნა ქარხნის მიღება-ჩაბარების აქტი. იმის გამო, რომ მიწოდებული და დამონტაჟებული საამქრო არ შეესაბამებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და იგი ამუშავებისთანავე დაზიანდა, მყიდველმა საწარმომ დაუყოვნებლივ განაცხადა პრეტენზია შესრულების ნაკლზე. შესაბამისად, ზემოაღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტით გამყიდველმა აიღო ვალდებულება, აენაზღაურებინა პირველადი სამსხვრევის გარემონტებაზე დახარჯული თანხა. ამასთან, მოგვიანებით როდესაც აღმოჩნდა, რომ ქარხანა არ გამოიმუშავებდა იმ ოდენობის პროდუქციას, რაც გათვალისწინებული იყო შეთანხმებით, გამყიდველის/მენარდის წარმომადგენელი – მ. ს-ი დაპირდა მყიდველს/შემკვეთს, რომ საამქროს დანადგარებს შეუცვლიდა. ამდენად, მყიდველი/შემკვეთი იყო მოლოდინში, რომ მ. ს-ი დანაპირებს შეასრულებდა და შეთანხმების შესაბამის საამქროს დანადგარებს მიანდებდა და დაუმონტაჟებდა. შესაბამისად, შესრულების ნაკლის გამო მყიდველმა/შემკვეთმა პირველად – 2016 წლის 24 თებერვალს და შემდგომაც განაცხადა პრეტენზია.

9.11. ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა როგორც თავდაპირველი, ისე შეგებული სარჩელი (იხ. წინამდებარე განჩინების 1-3 პუნქტები). სასამართლომ გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებისას გამოიყენა სსკ-ის 103-ე, 104-ე, 108-ე, 317-ე, 361-ე, 373-ე, 427-ე, 463-ე, 464-ე, 477-ე, 891-ე, 892-ე, 629-ე მუხლები და განმარტა:

9.11.1. სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების

მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების უნინარეს საფუძველს წარმოადგენს იმის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით საქმის განმხილველმა სასამართლომ, პირველყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი [მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა]. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შეამოწმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამოწმებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა მხარის მიერ მიუთითებული ფაქტები დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წანამძღვარს. ამის შემდეგ მოწმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წანამძღვრებს (პროცესუალური და მატერიალური თვალსაზრისით) (იხ. სუსგ №ას-53-49-2017, 07.04.2017წ.); შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე სასამართლოს ამოცანაა, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე დაადგინოს რამდენად არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელ კომპონენტთა ერთიანობა მითითებული ფაქტობრივი გარემოებებიდან და საფუძვლებიდან გამომდინარე;

9.11.2. სსკ-ის მე-8 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამენარმეო, ასევე არასამენარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ. ამავე კოდექსის 319-ე მუხლის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. სსკ-ის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან;

9.11.3. სსკ-ის 477-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ამავე კოდექსის 629-ე მუხლის 1-ელი ნაწილის

შესაბამისად ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვადლებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური, 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად კი, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ვალდებულების შესრულების ცნება გულისხმობს არა მხოლოდ შესრულებისაკენ მიმართულ მოქმედებას, არამედ – შესრულების შედეგს. ქმედება შესრულებულად რომ ჩაითვალოს აუცილებელია მოვალემ შესრულება ზუსტად ისე განახორციელოს, როგორც ამაზე მხარეები იყვნენ შეთანხმებულნი;

9.11.4. სსკ-ის 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით. ყოველი კონკრეტული ქმედება ვალდებულებითი ურთიერთობის შემწყვეტ შესრულებად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია, მოვალემ კრედიტორის წინაშე ვალდებულება ზუსტად ისე შეასრულოს, როგორც ამაზე მხარეები შეთანხმდნენ და როგორი გონივრული მოლოდინიც ჰქონდა კრედიტორს, სახელდობრ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. კანონის აღნიშნული დანაწესი საერთოა როგორც ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილისათვის, ისე – სახელშეკრულებო სამართლისათვის. სსკ-ის 373-ე მუხლის თანახმად, მოვალე ვალდებულია შეუსრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომელიც კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილია მიიღოს შესრულება. მოხმობილი ნორმა განსაზღვრავს იმ პირთა წრეს, ვის მიმართაც მოვალემ უნდა შეასრულოს ვალდებულება. ასეთად, პირველ რიგში, ითვლება უშუალოდ კრედიტორი. ამასთან ეს უკანასკნელი არ არის ერთადერთი პირი, რომლის მიმართაც შეიძლება შესრულდეს ვალდებულება. ეს შეიძლება იყოს კრედიტორის კანონისმიერი ან სახელშეკრულებო წარმომადგენელი. შესრულებაზე უფლებამოსილი პირი სასამართლო გადაწყვეტილებითაც შეიძლება განისაზღვროს;

9.11.5. სსკ-ის 103-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე. ამავე კოდექსის 104-ე მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილების თანახმად, იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს. თუ გარიგება დადებულია სხვა პირის სახელით, მაშინ წარმომადგენლობითი უფლების არარსებობა არ შეიძლება გამოიყენოს გარიგების მეორე მხარემ, თუკი

წარმოდგენილმა ისეთი გარემოებები შექმნა, რომ გარიგების მეორე მხარეს კეთილსინდისიერად ეგონა ასეთი უფლებამოსილების არსებობა. განსახილველი ნორმა ითვალისწინებს წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირის მიერ გარიგების დადების მატერიალურ სამართლებრივ შესაძლებლობას და განსაზღვრავს გარიგებით დამდგარი იურიდიული შედეგის ადრესატს. სსკ-ის 108-ე მუხლის თანახმად, უფლებამოსილებაში ცვლილებები და მისი გაუქმება უნდა ეცნობოს მესამე პირებს. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობისას ეს ცვლილებები და უფლებამოსილების გაუქმება არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირთა მიმართ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარეებმა ხელშეკრულების დადებისას ამის შესახებ იცოდნენ ან უნდა სცოდნოდათ;

9.12. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ გამყიდველი/მენარდე საწარმოს წარმომადგენელი საქართველოში იყო მ. ს-ი და სწორედ მასთან დადო ხელშეკრულება მყიდველმა. ხელშეკრულებაზე ხელს აწერს მ. ს-ი, როგორც გამყიდველის/მენარდის წარმომადგენელი. შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება პირდაპირ შეიცავს მითითებას მ. ს-ის წარმომადგენლობით უფლებამოსილებაზე;

9.12.1. სწორედ მ. ს-მა ჩამოიტანა ქარხანა და მისმა ჩამოყვანილმა სპეციალისტებმა დაამონტაჟეს იგი. ამასთან, ქარხნის გარემონტების ხარჯების განევაზე შეთანხმებაც სწორედ მ. ს-თან მოხდა. ამ გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ დაასკვნა, რომ მ. ს-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება დასტურდებოდა და იგი წარმომადგენდა შესრულების მიღებაზე უფლებამოსილ პირს. თავად საწარმოს დირექტორი ჯ. ო-ი ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მ. ს-ი ნამდვილად იყო მისი წარმომადგენელი, თუმცა მოგვიანებით მას უფლებამოსილება შეუწყვიტა. დადგენილია, რომ მ. ს-ის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე გამყიდველი/მენარდე საწარმოს ხელმძღვანელობას მყიდველისათვის/შემკვეთისათვის არ უცნობებია, რისი ვალდებულებაც მას ცალსახად გააჩნდა. ამდენად, მყიდველს/შემკვეთს კეთილსინდისიერად მიაჩნდა მ. ს-ის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არსებობა და შესაბამისად, მას, როგორც გამყიდველი/მენარდე საწარმოს წარმომადგენლობით უფლებამოსილების მქონე პირს, გადაუხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ნაწილი. მ. ს-თან ვალდებულების შესრულებით, მყიდველი/შემკვეთი საწარმო ვარაუდობდა, რომ ვალდებულებას ასრულებდა შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი პირის წინაშე. უფრო მეტიც, მ. ს-მა მყიდველს/შემკვეთს გადასცა მის მიერ მოსარჩელე კომპანიისათვის თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც დაუმონმა ბეჭდით. მართალია,

აღნიშნულ დოკუმენტზე ჩატარებული ექსპერტიზის თანახმად, არ არის ჯ. ო-ის ხელმოწერა და არც საწარმოს ბეჭედი დატანილი, თუმცა იმ დროისათვის, როდესაც მ. ს-ი მოქმედებდა საწარმოს სახელით, მის მიერ გაცემული დოკუმენტის ნამდვილობაში ეჭვის შეტანის საფუძველი თავდაპირველი სარჩელის მოპასუხე საწარმოს (მყიდველს/შემკვეთს) ვერ ექნებოდა და შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია გამყიდველი/მენარდე საწარმო, რადგან დოკუმენტი მყიდველს/შემკვეთს გამყიდველი/მენარდე საწარმოს წარმომადგენელმა გადასცა;

9.12.2 სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია მ. ს-ის უფლება-მოსილება, შესაბამისად, მისთვის, როგორც გამყიდველის/მენარდის წარმომადგენლისათვის, თანხის გადახდა თავდაპირველი მოსარჩელის მიმართ ვალდებულების შესრულებად მიიჩნევა. რაც შეეხება მოსარჩელის (გამყიდველის/მენარდის) მტკიცებას იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მან მ. ს-ს უფლებამოსილება შეუწყვიტა და ეს უკანასკნელი არ იყო უფლებამოსილი, მიეღო შესრულება, სასამართლომ განმარტა, რომ გამყიდველი/მენარდე თვითონვე იყო ვალდებული, უფლებამოსილების გაუქმების შესახებ ეცნობებინა მყიდველისათვის/შემკვეთისათვის, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ამასთან თუ დადასტურებულად იქნება მიჩნეული ის გარემოება, რომ მ. ს-ი არ იყო გამყიდველი/მენარდე საწარმოს წარმომადგენელი, არ მოქმედებდა მისი სახელით და უფლება არ ჰქონდა, მიეღო რაიმე შესრულება, მაშინ გამოიკვეთება, რომ შეთანხმებაში/ხელშეკრულებაში მხარეებს წარმოადგენდნენ არა განსახილველი დავის თავდაპირველი მოსარჩელე საწარმო და მისი მოპასუხე, არამედ – გამყიდველი/მენარდე საწარმო და მ. ს-ი, ხოლო, მეორე მხრივ, მყიდველი/შემკვეთი საწარმო და მ. ს-ი, რადგან როგორც ხელშეკრულებების დადება, ასევე საქონლის მიწოდება და დამონტაჟება გამყიდველის/მენარდის მიერ განხორციელდა მ. ს-ის მეშვეობით, რაც დასტურდება საქმეში წარდგენილი დოკუმენტებით და თვით მხარეთა განმარტებებით;

9.12.3. ზოგადად, ვალდებულების ჯეროვანი შესრულება წარმოადგენს კანონდებლობით გათვალისწინებულ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს და მას უკავშირდება ვალდებულების შეწყვეტა. კანონმდებლობა განასხვავებს ვალდებულების ჯეროვან (სათანადო) და არა-ჯეროვან (არასათანადო) შესრულებას. არაჯეროვანია შესრულება, როდესაც ვალდებულება მოვალის მიერ, მართალია, სრულდება, თუმცა შესრულებას ხარვეზი გააჩნია, რომ იგი არ შეესაბამება ვალდებულების საფუძვლად არსებული გარიგების შინაარსსა და შესრულებით დაინტერესებული პირების მოლოდინს. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში ვალდებულება არ წყდება და, როგორც წესი,

შედეგად იწვევს ვალდებულების დამრღვევი პირის პასუხისმგებლობას. ვალდებულების ჯეროვანი შესრულება გულისხმობს მოვალის მიერ იმ მოთხოვნათა განუხრელ დაცვას, რომლებიც დაკავშირებულია თვით შესრულების საგანთან. თუ როგორი შესრულებაა ჯეროვანი, უპირველეს ყოვლისა, ხელშეკრულებით განისაზღვრება;

9.12.4. სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ მხარეთა შორის გაფორმებული 2015 წლის 13 აგვისტოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება დარღვეული იქნა თავდაპირველ სარჩელზე მოპასუხე მყიდველი/შემკვეთი სანარმოს მიერ, რადგან მას გამყიდველის/მენარდის წინაშე თანხის – 200 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება არ შეუსრულებია. ასევე დადგენილია, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ იქნა შესრულებული არც გამყიდველის/მენარდის მიერ, ვინაიდან მას ხელშეკრულებით გათვალისწინებული მონაცემების შესაბამისი მანქანა-დანადგარები არ გადაუცია მყიდველისათვის/შემკვეთისათვის; მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე დავალიანების თანხა, 13.08.2015წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოადგენს 200 000 აშშ დოლარს, რომლის გადახდის სამართლებრივი ვალდებულება ეკისრება მყიდველს/შემკვეთს გამყიდველის/მენარდის წინაშე, ხოლო ამ უკანასკნელს ეკისრება ვალდებულება, რომ ერთ საათში 150-200 ტონა წარმადობის ქვისამხსვრევი ქარხანა მიაწოდოს და დაუმონტაჟოს მყიდველს/შემკვეთს. საქმეში წარდგენილი ექსპერტიზის ბიუროს 02.10.2018წ. მომართვით დგინდება, წინამდებარე განჩინების 9.9.3 ქვეპუნქტში მითითებული გარემოება;

9.13. სსკ-ის 317-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ამავე კოდექსის 463-ე მუხლის თანახმად, თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს. ამავე კოდექსის 464-ე მუხლის თანახმად, სოლიდარული ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულებით, კანონით ან ვალდებულების საგნის განუყოფლობით. 891-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად კი, თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად. ხოლო 892-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, თავდებობის

ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება;

9.13.1. ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე, სასამართლომ განმარტა, რომ სოლიდარული ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი საფუძველია ხელშეკრულება. ამასთან, იმისათვის რომ სახეზე იყოს თავდებობა, აუცილებელია თავდების წერილობითი განცხადება და ხელშეკრულებაში თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხის მითითება. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არ მოიპოვება რ. მ-ძის წერილობითი განცხადება თავდებობის შესახებ, ამასთან, მხარეთა შორის 2015 წლის 13 აგვისტოს გაფორმებულ ხელშეკრულებაში არ არის მითითება რ. მ-ძის, როგორც თავდების, პასუხისმგებლობის ზღვრული ოდენობის შესახებ. ეს ორი კომპონენტი კი სსკ-ის 892-ე მუხლის თანახმად, აუცილებელია თავდებობის ნამდვილობისათვის. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხე რ. მ-ძე (იხ. წინამდებარე განჩინების პირველი პუნქტი) არ წარმოდგენს სოლიდარულ თავდებ პირს და შესაბამისად არ არის ის პირი, ვინც შეიძლება პასუხი აგოს თავდაპირველი მოსარჩელის წინაშე მოპასუხე საწარმოს (მყიდველის) მიერ შესასრულებელ ვალდებულებებზე სოლიდარულად;

9.14. სსკ-ის 128-ე მუხლის შესაბამისად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ხანდაზმულობის ვადა გულისხმობს დროის გარკვეულ მონაკვეთს, რომლის განმავლობაშიც პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შესაძლებლობა აქვს, მოითხოვოს საკუთარი უფლებების სამართლებრივი გზით (იძულებით) განხორციელება ან დაცვა. ამ ვადის გაცდენა კი გულისხმობს ამ პირთა მიერ ასეთი შესაძლებლობის გამოყენების უფლების მოსპობას, გაქარწყლებას. ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა. ხანდაზმულობის ვადის დენა დაკავშირებულია სუბიექტურ ფაქტორთან, ანუ იმ მომენტთან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ. ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყების საფუძველია უფლების დარღვევა, რომელიც შესაძლოა კანონიდან გამომდინარეობდეს ან ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვას;

9.14.1. სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარ-

ღვევის შესახებ. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოთხოვნის წარმოშობის დრო, ზემოაღნიშნული ნორმის თანახმად, პირისთვის მისი უფლების დარღვევის შესახებ ფაქტის შეტყობის მომენტს ემთხვევა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კანონი ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისად ამ თუ იმ ფაქტის წარმოშობის დროს ადგენს. უფლების დარღვევის შეტყობის ფაქტად მიიჩნევა დრო, როდესაც უფლებამოსილი პირისათვის ცნობილი გახდა უფლების დარღვევის შესახებ ან გარემოებათა გათვალისწინებით უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ;

9.14.2. სსკ-ის 655-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე, ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც ნაგებობას შეეხება ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან. აღნიშნული ნორმის დანაწესით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის დენის ათვლა დაკავშირებულია შესრულებული სამუშაოს მიღებასთან. სსკ-ის 137-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას;

9.14.3. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მყიდველმა საწარმომ (მყიდველმა, შემკვეთმა) ქვის სამსხვრევი საამქროს დამონტაჟებისთანავე განაცხადა პრეტენზია გამყიდველის (გამყიდველის, მენარდის) მიერ განხორციელებული შესრულების გამო, რაზედაც შედგენილი იქნა მიღება-ჩაბარების აქტი, რომელშიც მიმწოდებელი აღიარებდა საამქროს შეკეთების ვალდებულებას. ამასთან, მოწმეთა ჩვენებებით დადასტურებულია, რომ გამყიდველის (მიმწოდებლის) წარმომადგენელმა მ. ს-მა აიღო ვალდებულება, მყიდველისათვის (მიმღებისათვის) შეეცვალა საამქროს დანადგარები, მიეწოდებინა და დაემონტაჟებინა მისთვის შეთანხმების შესაბამისი წარმადობის საამქრო. მიმღები იყო მოლოდინში, რომ ვალდებული პირი შეასრულებდა მის დაპირებას და დაუდგამდა ახალ საამქროს. ამდენად, ვალდებულმა პირმა (გამყიდველმა, მენარდემ), აღიარა მყიდველის (შემკვეთის) მოთხოვნის არსებობა, ხოლო ეს უკანასკნელი იყო მოლოდინში, რომ მენარდე ვალდებულებას შეასრულებდა. ამდენად, შემკვეთის (მყიდველის) შეგებებული სარჩელი არ არის ხანდაზმული და არსებული მოთხოვნა განხორციელებადია. შეგებებული სარჩელის მოპასუხის (მენარდის/გამყიდველის) მითითება სარჩელის ხანდაზმულობაზე დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა;

9.15. სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა

მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. სსკ-ის 408-ე მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო, ხოლო 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს;

9.15.1. სასამართლომ განმარტა, რომ ზიანის ანაზღაურების, როგორც პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის, ვალდებულებაში სწორედ იმ ფაქტობრივი მდგომარეობის აღდგენა იგულისხმება, რომელიც იარსებებდა, რომ არა ვალდებულების დარღვევა. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობის ხარისხი ზიანის დადგომაში. თუმცა ეს წესი იზღუდება, თუ კრედიტორი თანაბრალეულია. სასამართლო აღნიშნავს, რომ სრული ანაზღაურება ეხება არა საერთოდ ზიანს, რომელიც შეიძლება ვინმემ განიცადოს, არამედ იმ ზიანს, რომელიც სამოქალაქო პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებიდან გამომდინარე ანაზღაურებადია. ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. როდესაც ხელშეკრულების მხარე კისრულობს ვალდებულებას, მას მხედველობაში აქვს მხოლოდ იმ რისკის აღება, რომელიც კანონზომიერად არის დაკავშირებული ხელშეკრულების შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე მისგან შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც ხელშეკრულების დარღვევის ნორმალურ შედეგად აღიქმება;

9.15.2. სსკ-ის 412-ე მუხლი მოვალეს ათავისუფლებს ისეთი რისკებისაგან, რაც მიუღებელია ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისათვის. მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ განცდილი ზიანი არის ხელშეკრულების დარღვევის ჩვეულებრივი და ნორმალური შედეგი. ზიანის სავარაუდობა დგინდება გონივრულობის თვალსაზრისით და არ განისაზღვრება კონკრეტული ხელშეკრულების დამრღვევის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალემ ზიანი ყოველთვის უნდა აანაზღაუროს, მაგრამ ხელშეკრულებით ნაკისრი რისკის ფარგლებში. სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე, 412-ე მუხლების ამოსავალი დებულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ

ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, ანუ ანაცდური მოგება. 411-ე მუხლის მიხედვით მიუღებლად მიიჩნევა შემოსავალი, რომელიც კრედიტორს არ მიუღია და რომელსაც მიიღებდა, მოვალეს რომ ვალდებულება ჯეროვნად შეესრულებინა. მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია. მიუღებელი შემოსავალი, თავისი ბუნებით, გულისხმობს „წმინდა ეკონომიკურ დანაკარგს“, რომელიც ხელშეკრულების მხარემ განიცადა და რომელსაც ადგილი არ ექნებოდა, ხელშეკრულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების, მოქმედებისა და დამდგარი შედეგის ის ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებული ეჭვის საფუძველს;

9.15.3. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის ის არგუმენტი, რომ ქვის სამსხვრევი ქარხანა უშვებს ნაკლებ პროდუქციას, შესაბამისად ვერ ღებულობს საშუალოდ საათში 132 ტონა პროდუქციას, რის გამოც ადგება ზიანი, 17 952 ლარის ოდენობით, სასამართლოს ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკმარის საფუძველად არ მიაჩნია. მოსარჩელე უთითებს, რომ ქარხანა უშვებს 43 ტონა პროდუქციას 1 საათში, საშუალოდ საათში – 132 ტონა პროდუქციით ნაკლებს. მიყენებული ზიანი ერთ სამუშაო დღეში უდრის $132 \text{ ტ} \times 8 \text{ საათზე} = 1056 \text{ ტონა პროდუქცია}$ და მისი საშუალო ღირებულებაა $17 \text{ ლარი} \times 1056 \text{ ტონაზე} = 17\,952 \text{ ლარს}$, შესაბამისად, ერთ სამუშაო დღეში მას 17 952 ლარის ოდენობის ზიანი ადგება. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელე ითხოვს გამომუშავებული პროდუქციის ღირებულების მთლიანად დაკისრებას, თუმცა, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ აღნიშნული პროდუქციის გამომუშავება გარკვეული ოდენობის ხარჯების გაწევის გარეშე შეუძლებელია. ხარჯების ოდენობის შესახებ საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება. აღნიშნულის გათვალისწინებით, დაუდგენელია, რა ოდენობის სარგებლის მიღების შესაძლებლობა ექნებოდა მყიდველ სანარმოს გამყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, რის გამოც, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა გამყიდველი/მენარდე სანარმოსათვის ზიანის ანაზღაურების თანხის დაკისრებაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს;

9.15.4. მოცემულ შემთხვევაში მყიდველ/მემკვეთ სანარმოს გამყიდველის/მენარდის სასარგებლოდ დაეკისრა 200 000 აშშ დოლარის გადახდა, ხოლო გამყიდველ/მენარდე სანარმოს დაევალა, თვისი ხარჯით მიაწოდოს და დაუმონტაჟოს მყიდველს/მემკვეთს საათში 150-200 ტონა წარმადობის ქვისსამსხვრევი ქარხანა სრულად.

9.15.5. დადგენილია, რომ მყიდველის/მემკვეთის მიერ დანარჩენი

ვალდებულება შესრულებულია, მასვე დაეკისრა 200 000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება გამყიდველის/მენარდის სასარგებლოდ, ამ უკანასკნელის მიერ საათში 150-200 ტონა წარმადობის ქვისსამსხვრევი ქარხანის დამონტაჟების შემდეგ. ამის გამო რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ მყიდველმა/შემკვეთმა გამყიდველის/მენარდის (თავდაპირველის მოსარჩელის) სასარგებლოდ 200 000 აშშ დოლარი უნდა გადაიხადოს მას შემდეგ, რაც გამყიდველი/მენარდე თავისი ხარჯით მყიდველს/შემკვეთს (შეგებებულ მოსარჩელეს) მიანვდის და დაუმონტაჟებს საათში 150-200 ტონა წარმადობის ქვისსამსხვრევე ქარხანას.

10. მხარეთა სააპელაციო საჩივრების მოთხოვნები და არგუმენტები

10.1. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარემ გაასაჩივრა;

10.1.1. მყიდველმა/შემკვეთმა (პირველმა აპელანტმა) მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლა მისი შეგებებული სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში და სარჩელის სრულად დაკმაყოფილება, ხოლო გამყიდველმა/მენარდემ (მეორე აპელანტმა) მოითხოვა თავდაპირველი სარჩელის დაუკმაყოფილებელი ნაწილის სრულად დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის სრულად უარყოფა.

10.2. პირველი აპელანტის (მყიდველის/შემკვეთის) სააპელაციო საჩივარი შემდეგ გარემოებებს ეფუძნება:

10.2.1. დაუსაბუთებელია გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში. ქარხანა უშვებს 43 ტონა პროდუქციას 1 საათში, საშუალოდ საათში 132 ტონა პროდუქციით ნაკლებს, მიყენებული ზიანი ერთ სამუშაო დღეზე შეადგენს 1 056 ტონა პროდუქციას (132ტ*8 საათზე), რომლის საშუალო ღირებულებაა 17 952 ლარი (17 ლარი*1 056 ტონაზე), რაც წარმოადგენს ერთი სამუშაო დღის ზიანს;

10.2.2. პირველი აპელანტის (მყიდველის/შემკვეთის) მტკიცებით შეგებებული სარჩელის მოპასუხისთვის (გამყიდველისათვის/მენარდისათვის) დღეში 17 952 ლარის მიუღებელი შემოსავლის სახით დაკისრების მოთხოვნა წარმოადგენდა მყიდველის/შემკვეთის თავდაპირველ სასარჩელო მოთხოვნას, თუმცა მისი ოდენობა შემცირდა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე, კერძოდ, საპაექრო ეტაპზე. მცდარია სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ თითქოს მყიდველი/შემკვეთი შეგებებული სარჩელით ითხოვს გამოუმუშავებული პროდუქციის ღირებულების სრულად დაკისრებას. ქარხანა 150-200 ტონა პროდუქციის მაგივრად უშვებს 5-ჯერ ნაკლებ პროდუქციას, 30-40 ტონას ერთ საათში, რის გამოც მყიდველ სანარმოს ადგება მატერიალური ზიანი და

ერთ საათში ვერ ღებულობს საშუალოდ 132 ტონა პროდუქციას, რომლის საშუალო ღირებულებაა 132 ტონა X 17 ლარზე, რაც უდრის 2 444 ლარს. 1 ტონა პროდუქციის ღირებულებაა 17 ლარი, რომელიც შედგება თვითღირებულების – 10 ლარისა და მოგებისაგან, რომელიც უდრის 7 ლარს. მყიდველს/შემკვეთს ყოველ სამუშაო საათში ადგება ზიანი, რომელიც 924 ლარს (132 ტონა X 7 ლარზე) შეადგენს, შესაბამისად ზიანი ყოველ 8 საათიან სამუშაო დღეზე განისაზღვრება – 7 392 (924 X 8 სთ) ლარით, ხოლო ერთ თვეში – 177 392 ლარით (7 392 ლარი X 24 სამუშაო დღეზე);

10.2.3. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არასწორადაა მითითებული სასარჩელო მოთხოვნის ოდენობა. სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანამდე არ შეისწავლა და სრულფასოვნად არ გამოიკვლია პროდუქტის ღირებულებაში შემავალი თვითღირებულებისა და მოგების ის გაანგარიშებები, რაც მოსარჩელე მხარემ სასამართლოს ტექნიკური უნივერსიტეტის ექსპერტიზის დასკვნის, სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნის, სასაქონლო ზედნადებების „ერთეულის ფასის ჩვენებით“, აუდიტის მოკვლევისა და პროდუქციის მოთხოვნასთან დაკავშირებით წერილებისა და მათზე გაცემული პასუხების საფუძველზე წარუდგინა. აღნიშნული მტკიცებულებებით უდავოდ არის გამოკვეთილი მყიდველისათვის/შემკვეთისათვის (პირველი აპელანტისათვის) მიყენებული ზიანი. საგულისხმოა, რომ ზიანის მიყენების ფაქტს არც მოწინააღმდეგე მხარე და არც სასამართლო უარყოფს. ამასთან, სასამართლოს უარი ზიანის ანაზღაურებაზე დასაბუთებულია იმ გარემოებით, რომ ზიანის ოდენობა არასწორად არის განსაზღვრული;

10.2.4. სსსკ-ის 162-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, თუ საქმის განხილვასთან დაკავშირებულ საკითხზე მოსამართლეს სპეციალური ცოდნა არ გააჩნია, სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით დანიშნოს ექსპერტიზა საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხის განმარტებას არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმის გადაწყვეტისათვის და მის გარეშე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. მაშასადამე, მხარეთა შუამდგომლობა არაა სავალდებულო სასამართლოსთვის, მას შეუძლია დანიშნოს ექსპერტიზა, თუ საკითხის გარკვევა, ფაქტის დადგენა მართლაც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. მოცემულ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ისეთ საკითხს, რომლის შესახებ ცოდნა სცილდება სამართლებრივ სფეროს და შესაბამისად სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებით და დაენიშნა ექსპერტიზა. გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ საკითხზე მოსარჩელემ (მყიდველმა/შემკვეთმა) წარადგინა აუდიტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერ-

სიტეცის ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც სარწმუნოა და მათი გაუზიარებლობის არანაირი საფუძველი არ არსებობს. ამასთან, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ შეგებებული სარჩელის მოპასუხეს (გამყიდველ/მენარდე სანარმოს) რაიმე მტკიცებულება, რაც საპირისპიროს დაადასტურებდა, არ წარუდგენია. შესაბამისად, თუკი სასამართლოს საექვოდ ან არასრულად მიაჩნდა შეგებებული მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, შეეძლო თვითონ დაენიშნა ექსპერტიზა და შეემოწმებინა, თუ რამდენად სამართლიანია მხარის მოთხოვნა, მიუღებელი შემოსავლის სახით, ყოველ სამუშაო დღეზე შეგებებული სარჩელის მოპასუხისათვის 7 392 ლარის დაკისრების შესახებ. ასევე, თუ სასამართლო ვერ შეძლებდა ამ მტკიცებულებათა სათანადოდ გამოკვლევას მათი სპეციფიკურობის გამო, მას სსსკ-ის 170-ე მუხლის თანახმად, მეტი სიცხადისა და დასაბუთებული გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით, შეეძლო, სასამართლოში გამოეძახებინა და განმარტება მოეთხოვა დასკვნის ავტორებისთვის;

10.2.5. პირველმა აპელანტმა (მყიდველმა/შემკვეთმა) ასევე სადავოდ გახადა გასაჩივრებული გადაწყვეტილება საპროცესო ხარჯების განაწილების ნაწილშიც, კერძოდ ექსპერტიზის ხარჯისა და წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეული ხარჯის აუნაზღაურებლობის ნაწილში.

10.3. მეორე აპელანტის (თავდაპირველი მოსარჩელის, გამყიდველის/მენარდის) სააპელაციო საჩივარი შემდეგ გარემოებებს ეფუძნება:

10.3.1. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში აღწერილია მხოლოდ 13.08.2015 წლის ხელშეკრულებით თუ რა სახეობის, რაოდენობის და ღირებულების დანადგარები უნდა მიენოდებინა მოსარჩელეს მოპასუხისათვის (მყიდველისათვის) და ვინ აწერს ხელშეკრულებას ხელს, მათ შორის, როგორც სოლიდარული თავდები, თუმცა არ არის შეფასებული ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით გამყიდველი/მენარდე ასევე ვალდებული იყო, დაემონტაჟებინა დანადგარები; ხელშეკრულებაში მითითებულია გამყიდველი/მენარდე სანარმოს საკონტაქტო მონაცემები ტელეფონები, მისამართი თურქეთის რესპუბლიკაში, საიტი, საბანკო ანგარიშები, რაც, ერთი მხრივ, მეტ სიცხადეს შეიტანდა მხარეთა უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით მსჯელობაში და, მეორე მხრივ, მარტივად გასცემდა იმ კითხვაზე პასუხს, შეეძლო თუ არა თავდაპირველი სარჩელის მოპასუხეს (მყიდველს/შემკვეთს) თანხის ჩარიცხვა უშუალოდ გამყიდველი/მენარდე სანარმოსათვის;

10.3.2. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არ არის შეფასებული ის გარემოება, რომ ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის, მისი ხელმოწერილ (იგივე რ.) მ-ძე იყო მყიდველი/მენარდე სანარმოს 100%-იანი წილის მფლობელი პარტნიორი, ხოლო ა. მ-ძე არის მისი მამა. თავ-

დაპირველ მოსარჩელესთან (გამყიდველთან/მენარდესთან) ურთიერთობა სწორედ რ. მ-მ დაამყარა და მისთვის პრობლემას არ წარმოადგენდა ნებისმიერ საკითხზე უშუალოდ საწარმოსთან დაკავშირება;

10.3.3. სადავოა გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეფასება, რომ მ. ს-ი სახელშეკრულებო ურთიერთობაში შესაძლოა აღქმულიყო გამყიდველის/მენარდის საწარმოს წარმომადგენელად და შესაბამისად, მის სასარგებლოდ განხორციელებული შესრულება მიჩნეულიყო ვალდებულების კრედიტორის სასარგებლოდ შესრულებად. თავად რ. მ-მ არაერთხელ აღიარა სოლიდარული თავდებობის ფაქტი, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გაითვალისწინა;

10.3.4. მყიდველის/შემკვეთის შეგებებულ სარჩელთან მიმართებით, მეორე აპელანტის (გამყიდველის/მენარდის) პრეტენზია იმას ეხება, მყიდველმა/შემკვეთმა სპეციალისტებს მიმართა სარჩელის გაცნობის შემდეგ, 2016 წლის ოქტომბრის დასაწყისში, შეგებებული სარჩელი კი 2018 წლის 23 ოქტომბერს არის აღძრული. ქარხანამ მუშაობა დაიწყო 2016 წლის თებერვლის დასაწყისში და ამ პერიოდში არათუ პრეტენზიები, არამედ ვალიც კი აღიარებულია მ. ს-ის მიმართ, ხოლო შემდეგ, 2016 წლის აგვისტოში, მყიდველის/შემკვეთის მტკიცებით, გამყიდველისათვის/მენარდისათვის გადახდილია 155 000 აშშ დოლარი, შემდეგ მთელი 2017 წელი ისე გავიდა და 2018 წლის ოქტომბრამდე ისე მიიყვანა საქმე მყიდველმა/შემკვეთმა საწარმომ, რომ პრეტენზია არ დაუფიქსირებია. ამდენად, შეგებებული სარჩელი არა მხოლოდ ხანდაზმულია, არამედ ფაქტობრივსამართლებრივად წინააღმდეგობრივიცაა.

11. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

11.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილებით თავდაპირველი მოსარჩელის (გამყიდველი/მენარდე საწარმოს) სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა;

11.1.1. გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება გამყიდველი/მენარდე საწარმოს თავდაპირველი სარჩელის ნაწილობრივ უარყოფისა და მყიდველი/შემკვეთი საწარმოს შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში (გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1, მე-2, 2.3 პუნქტები) და ამ ნაწილში მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება;

11.1.1.1. გამყიდველი/მენარდე საწარმოს თავდაპირველი სარჩელი მოპასუხეების მყიდველი/შემკვეთი საწარმოსა და რ. მ-ძის მიმართ, დაკმაყოფილდა ნაწილობრივ;

11.1.1.2. თავდაპირველი მოსარჩელის (გამყიდველის/მენარდის) სასარგებლოდ მყიდველ/შემკვეთ საწარმოს 225 642 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა;

11.1.3. თავდაპირველი მოსარჩელის სასარგებლოდ რ. მ-ძეს, ძირითად მოვალესთან (მყიდველთან) ერთად, სოლიდარულად დაეკისრა 225 642 აშშ დოლარის გადახდა;

11.1.4. გამყიდველი/მენარდე სანარმოს თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე სანარმოსათვის (მყიდველის/შემკვეთისათვის) 105 00 აშშ დოლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდა;

11.2. სააპელაციო სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებით გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება მყიდველის/შემკვეთის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში (გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-4, 4.1. და მე-6 პუნქტები) და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება;

11.2.1. მყიდველი/შემკვეთი სანარმოს შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა;

11.2.2. მყიდველი/შემკვეთი სანარმოს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა;

11.3. დანარჩენ ნაწილში ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

11.4. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით მხარეთა შორის სასამართლო ხარჯები შემდეგნაირად განაწილდა:

11.4.1. გაუქმდა ახალციხის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება შეგებებულ სარჩელზე სასამართლო ხარჯების განაწილების ნაწილში (გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტი) და მყიდველი/შემკვეთი სანარმოს შეგებებულ სარჩელზე სასამართლო ხარჯები სრულად დაეკისრა მასვე (მყიდველს); შესაბამისად შეგებებულ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 5000 ლარი დარჩა სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილად;

11.4.2. მყიდველ/შემკვეთ სანარმოს, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, დაეკისრა სააპელაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადასახდელი თანხის – 7000 ლარის გადახდა, რომლის გადახდა გადავადებული ჰქონდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე;

11.4.3. თავდაპირველი სარჩელის მოპასუხეებს: მყიდველ/შემკვეთ სანარმოსა და რ. მ-ძეს, გამყიდველის/მენარდის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისრათ ამ უკანასკნელის მიერ პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, ჯამში – 12 000 ლარის ანაზღაურება;

11.4.5. პირველი აპელანტის (შეგებებული მოსარჩელის) მოთხოვნა სასამართლოს გარეშე ხარჯების ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა;

11.5. სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე დადგენილად

მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

11.5.1. 2015 წლის 13 აგვისტოს ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველს/მენარდეს მყიდველის/შემკვეთისათვის უნდა მიენოდებინა და დაემონტაჟებინა ჯამში 224 000 აშშ დოლარის ღირებულების შემდეგი საქონელი: ლაყუჩა სამტვრევი 100-იანი, ვიბრაციული საცერი, ჰორიზონტალური სამტვრევი, ორმაგი კლასიფიკატორი, ლენტები, ჰორიზონტალური სამტვრევის მკვებავი ლენტი, საცრის მკვებავი ლენტი, უკუ-მიმნოდებლის ლენტი, 1600*5000 საცრიდან მასალის გამომტანი ლენტი 4 ცალი;

11.5.2. ხელშეკრულება მყიდველის/შემკვეთის მხრიდან ხელმოწერილია საწარმოს დირექტორის – ა. მ-ძისა და საწარმოს 100%-იანი წილის მესაკუთრე პარტნიორის, სოლიდარული თავდების – რ. მ-ძის მიერ, რომელმაც იკისრა სოლიდარული პასუხისმგებლობა თავდაპირველი მოსარჩელის (მეორე აპელანტის) მიმართ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებაზე, ხოლო გამყიდველის/მენარდის მხრიდან ხელშეკრულება ხელმოწერილია საწარმოს წარმომადგენლის – მ. ს-ის მიერ;

11.5.3. მხარეთა შორის 2015 წლის 14 აგვისტოს დაიდო მორიგი ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც გამყიდველს/მენარდეს მყიდველის/შემკვეთისათვის უნდა მიენოდებინა და დაემონტაჟებინა 14 000 აშშ დოლარის ღირებულების ორმაგი კლასიფიკატორი. ხელშეკრულებაში აღინიშნა, რომ იგი წარმოადგენს 13.08.2015წ. ხელშეკრულების დანართს და მოქმედებს ძირითადი ხელშეკრულების ყველა მუხლი; 14.08.2015წ. ხელშეკრულება მყიდველის/შემკვეთის მხრიდან ხელმოწერილია რ. მ-ძის მიერ, ხოლო გამყიდველის/მენარდის მხრიდან – მ. ს-ის მიერ;

11.5.4. ზემოხსენებული ხელშეკრულებების შესაბამისად, გამყიდველმა/მენარდემ მყიდველს/შემკვეთს ეტაპობრივად მიაწოდა შემდეგი ნივთები:

– 01.09.2015წ. – მიმნოდებელი, კლასიფიკატორი და ლაყუჩა სამტვრევი, ღირებულებით 84 000 აშშ დოლარი;

– 08.09.2015წ. – კლასიფიკატორი, ვიბრაციული საცერი 2 ცალი, ჰორიზონტალური სამტვრევი, საწარმო ობიექტის აღჭურვილობა, ღირებულებით 115 000 აშშ დოლარი;

– 17.09.2015წ. – ჰორიზონტალური სამტვრევი, კონვეირის ლენტი, მაგნიტები, საწარმო ობიექტის აღჭურვილობა, კონვეირის ლენტები, ღირებულებით 118 750 აშშ დოლარი;

– 09.10.2015წ. – ბუნკერი 20 მ³, სამართავი კაბინა, ღირებულებით 10250 აშშ დოლარი;

– 15.02.2016წ. – ქვის სამტკრევი დანადგარის ჯავშანი, ღირებულებით 1341.60 აშშ დოლარი;

– 01.04.2016წ. – ძრავი, შკივი 4 ცალი, ლვედი 6 ცალი, ღირებულებით 1300 აშშ დოლარი.

11.6. ამდენად გამყიდველის/მენარდის მიერ მყიდველის/შემკვეთისათვის ჯამში მიწოდებულია 330 641.6 აშშ დოლარის ღირებულების საქონელი;

11.7. გამყიდველს/მენარდეს მყიდველის/შემკვეთისათვის უნდა მიენოდეზინა ქარხანა, რომელსაც 1 საათში უნდა გამოეშვა 150-200 ტონა პროდუქცია;

11.8. მყიდველი/შემკვეთი საწარმოს დირექტორს – ა. მ-ძეს, საამქროს უფროსს – გ. ტ-ძეს, ქარხნის ოპერატორს – მ. კ-ძეს და გამყიდველი/მენარდე საწარმოს წარმომადგენელს – მ. ს-ს, რომელსაც საქართველოში წარმოადგენდა ფ. მ-ი, შორის 2016 წლის 24 თებერვალს შედგა ქარხნის მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად გამყიდველმა/მენარდემ საწარმომ ჩამოიტანა და დაამონტაჟა ქვის სამსხვრევი საამქრო. საამქროს დამონტაჟება დამთავრდა 2016 წლის 24 თებერვალს. მიმწოდებელი (გამყიდველი) თავის თავზე იღებდა ერთწლიან საგარანტიო ვალდებულებას, ასევე იღებდა ვალდებულებას, აენახლაურებინა პირველადი სამსხვრევის გარემონტებაზე დახარჯული თანხა. თუ მუშის დაუდევრობით ან უყურადღებობით დაირღვეოდა მუშაობის ტექნოლოგიური რეჟიმი, მაშინ მიმწოდებელი მოიხსნიდა საგარანტიო ვალდებულებას. აქტს, სხვა პირებთან ერთად, ხელს აწერენ: ა. მ-ძე და მ. ს;

11.9. მყიდველი/შემკვეთი საწარმოს დირექტორი ა. მ-ძე 2016 წლის 2 მარტის განცხადებით ადასტურებს, რომ მ. ს-ისაგან შეძენილ ქვის სამტკრევ საამქროსთან დაკავშირებით გადასახდელი დარჩა 200 000 აშშ დოლარი, რომელსაც გადაიხდის შემდეგი გრაფიკით: 2016 წლის ივნისიდან 30 აგვისტომდე გადაიხდის 100 000 აშშ დოლარს, ხოლო დარჩენილ 100 000 აშშ დოლარს გადაიხდის 2017 წლის იანვრის თვის ბოლომდე, ყოველთვიურად – 20 000 აშშ დოლარის გადახდით;

11.10. მყიდველი/შემკვეთი საწარმო მიუთითებს მისთვის გადაცემული ნივთების ნაკლზე და აღნიშნავს, რომ მიღებული ქარხანა ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით შეთანხმებულ წარმოებას. აღნიშნულის დასტურად, მყიდველის/შემკვეთის მიერ წარდგენილია ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს შეფასება, აუდიტორული დასკვნა და ექსპერტიზის დასკვნა (იხ. წინამდებარე განჩინების 9.9.3 და 9.9.4 ქვეპუნქტები; საქმის მასალებში შესაბამისად);

11.11. სააპელაციო საჩივრით მეორე აპელანტი – გამყიდველი/მენარდე სადავოდ ხდის 105 000 აშშ დოლარის მისთვის გადაცემის ფაქტს,

რასთან მიმართებითაც უთითებს საქმეში წარდგენილ ექსპერტიზის ბიუროს 2019 წლის 20 თებერვლის დასკვნაზე, რომლითაც დადგენილია, რომ გამოსაკვლევად წარდგენილ ფულის აკრეფის ქვითარზე სერიული ნომრით: 00456, (გადახდის თარიღი – 21.08.2016, გადახდილი თანხა – 105000 აშშ დოლარი) არსებული ანაბეჭდი ტექსტი შესრულებულია პრინტერზე გამოსაკვლევად წარდგენილ ფულის აკრეფის ქვითარზე სერიული ნომრით 00456 (გადახდის თარიღი 21.08.2016წ.) გადახდილი თანხა 105 000 აშშ დოლარი) არსებული ხელმოწერა არ არის შესრულებული რაიმე სახის ტექნიკური საშუალებით (პრინტერი, სკანერი და სხვა), არამედ შესრულებულია სანერი საშუალებით, კერძოდ ბურთულიანი კალმით. გამოსაკვლევად წარდგენილ ფულის აკრეფის ქვითარზე სერიული ნომრით 00456 (გადახდის თარიღი 21.08.2016, გადახდილი თანხა – 105000 აშშ დოლარი) არსებული შტამპის ანაბეჭდი დატანილია ქარხნული წარმოების წესის დაცვით დამზადებული შტამპით. გამოსაკვლევად წარდგენილ ფულის აკრეფის ქვითარზე, სერიული ნომრით 00456 (გადახდის თარიღი 21.08.2016, გადახდილი თანხა 105000 აშშ დოლარი) არსებული შტამპის ანაბეჭდი არ არის დატანილი შესაძარებლად წარდგენილი „ო.მ.ი.მ.ს.ვ.თ-ის“ შტამპით, რომელიც განთავსებულია სამოქალაქო №2/644- 18258 1456 საქმის ტომში №02 და მიმაგრებულია გამჭირვალე ფაილით ბოლო გვერდზე (რომლითაც ექსპერტის მიერ თაბახის ერთ ფურცელზე დატანილი იყო ექსპერიმენტული ნიმუშები). გამოსაკვლევად წარდგენილ ფულის აკრეფის ქვითარზე, სერიული ნომრით 00456 (გადახდის თარიღი 21.08.2016, გადახდილი თანხა 105000 აშშ დოლარი) არსებული შტამპის ანაბეჭდი დატანილია „ო.მ.ი.მ.ს.ვ.თ-ის“ იმ შტამპით, რომლის თავისუფალი ნიმუში წარდგენილია შესაძარებლად და განთავსებულია 19.08.2016 წლით დათარიღებულ საბუთზე, რომელიც იმყოფებოდა სამოქალაქო №2/490- 18250 1421 საქმის №03 ტომში, ს/ფ9. ხელმოწერა ჯ. ო-ის სახელით, განლაგებული, ფულის აკრეფის ქვითარზე ფუცლის მარჯვენა ქვედა მხარეს, შესრულებულია არა ჯ. ო-ის, არამედ სხვა პირის მიერ.

11.12. განსახილველ შემთხვევაში, ერთი მხრივ, თავდაპირველი მოსარჩელე (გამყიდველი/მენარდე საწარმო) მოითხოვს მოპასუხისათვის (მყიდველის/შემკვეთი საწარმოსათვის) მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებას, ხოლო, მეორე მხრივ, შეგებებული სარჩელის ავტორი – მყიდველი/შემკვეთი საწარმო მიუთითებს მიღებული საქონლის ნაკლზე, მოითხოვს ნაკლის გამოსწორებას და მისგან გამომდინარე მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურებას.

11.13. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ

გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადანყევტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე, შესაბამისად, პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადანყევტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სსკ-ის მე-3, მე-4 მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (ამავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში (იხ. სუსგ №ას-1163-2018, 08.02.2019წ.).

11.14. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, თავდაპირველ მოსარჩელე უცხოურ სანარმოს მოპასუხისათვის არა მხოლოდ უნდა მიენოდებინა ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთები, არამედ უნდა უზრუნველყო მისი დამონტაჟება, შესაბამისად სახელშეკრულებო უფლება-მოვალეობები უნდა დარეგულირდეს არა ნასყიდობის სამართლებრივი ნორმების, არამედ ნარდობის სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, რადგან ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე იგი მეტად მიესადაგება ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობას (სსკ-ის 340-ე მუხლი შერეული ხელშეკრულებების განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან და მას შეესაბამებინ).

11.15. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 629-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ამავე კოდექსის 639-ე მუხლი განსაზღვრავს მენარდის ვალდებულებას, წარუდგინოს შემკვეთს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი. 641-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით კი, ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს; ხოლო, თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ

ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოდ მიიჩნევა, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. თავის მხრივ, ნივთობრივად უნაკლო ნივთის წარდგენის ვალდებულების დარღვევა წარმოშობს იმავე კოდექსის 643-ე (ნაკეთობის ნაკლის გამოსწორება შემკვეთის მიერ), 644-ე (ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო) და 645-ე (საზღაურის შემცირება ნაკეთობის ნაკლის გამო) მუხლებით გათვალისწინებულ მეორადი მოთხოვნის უფლებებს.

11.16. ნაკლიანი შესრულების დადასტურების შემთხვევაში, კრედიტორს რამდენიმე განსხვავებული მოთხოვნა წარმოეშობა, თუმცა „ნივთის ნაკლის გამოსწორება ან მისი ახლით შეცვლა განხილულ უნდა იქნეს დამატებითი შესრულების მოთხოვნად, რომელიც პრიორიტეტული, უპირატესად გამოსაყენებელია სხვა დანარჩენ მეორადი მოთხოვნის უფლებებს შორის. კერძოდ, სანამ მხარე ხელშეკრულებიდან გავლის მოთხოვნის უფლებას აამოქმედებდეს, ის ვალდებულია მიმართოს დამატებითი შესრულების მოთხოვნის უფლებას იმ პირობით, თუ სახეზე არ არის დამატებითი შესრულების გამომრიცხავი საფუძველები“ (იხ.სუსგ №ას-222-2021, 4.06.2021 წ.);

11.17. სსკ-ს 652-ე მუხლის შესაბამისად, თუ შემკვეთისათვის ნაკეთობის ნაკლი ცნობილია და იგი მაინც მიიღებს მას პრეტენზიის განუცხადებლად, მაშინ შემკვეთს არ წარმოეშობა მოთხოვნის უფლებები ამ ნაკლის გამო. ამავე კოდექსის 653-ე მუხლის თანახმად, თუ მენარდემ ნაკეთობისათვის იკისრა საგარანტიო ვადა, მაშინ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი წარმოშობს შესაბამის უფლებებს. ხოლო, სსკ-ს 655-ე მუხლის თანახმად, მოთხოვნა შესრულების ნაკლის გამო შემკვეთმა შეიძლება წარადგინოს ერთი წლის მანძილზე, ხოლო ისეთი მოთხოვნა, რომელიც ნაგებობას შეეხება – ხუთი წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს მიღების დღიდან;

11.18. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2015 წლის 13 აგვისტოსა და 14 აგვისტოს ხელშეკრულებების საფუძველზე, მენარდის მიერ შემკვეთისათვის ჯამში მიწოდებული და დამონტაჟებულია 330 641.6 აშშ დოლარის ღირებულების საქონელი. ასევე დადგენილია, რომ სახელშეკრულებო დათქმის შესაბამისად, მიწოდებულ ქარხანას საათში უნდა უზრუნველყო 150-200 ტონა პროდუქციის გამოშვება. უდავოა, რომ შემკვეთმა შესრულება მიიღო 2016 წლის 24 თებერვალს. კერძოდ, ქარხნის მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, მენარდემ ჩამოიტანა და დაამონტაჟა ქვის სამსხვრევი საამქრო. მენარდე თავის თავზე იღებდა ერთწლიან საგარანტიო ვალდებულებას, ასევე იღებდა ვალდებულებას, აენაზღაურებინა პირველადი სამსხვრევის გარემონტებაზე დახარჯული თანხა. თუ მუშის დაუდევრობით ან უყურადღე-

ბოებით დაირღვეოდა მუშაობის ტექნოლოგიური რეჟიმი, მაშინ მენარდე (მიმწოდებელი) მოიხსნიდა საგარანტიო ვალდებულებას. ამდენად, მიმწოდებლის მხრიდან განისაზღვრა საგარანტიო ვადა, რომლის ფარგლებშიც შემკვეთს შეეძლო განეცხადებინა შესრულების ნაკლთან მიმართებით არსებული პრეტენზია, რისი განუხორციელებლობაც შესრულების მიმღებს (შემკვეთს) ართმევს შესაძლებლობას, განაცხადოს პრეტენზია ნაკლთან მიმართებით და მოითხოვოს აღნიშნულიდან გამომდინარე მეორადი მოთხოვნები, მათ შორის – ზიანის ანაზღაურება;

11.19. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა მენარდის (მიმწოდებლის) მტკიცება და განმარტა, რომ მიღება-ჩაბარების აქტი და თუნდაც ამავე აქტით საგარანტიო მომსახურებაზე ვალდებულების აღება ვერ შეფასდება შემკვეთის მხრიდან პრეტენზიის გაცხადებად. შემკვეთს (შეგებებული სარჩელის წარმდგენს) სასამართლოსათვის არ წარუდგენია რაიმე წერილობითი დოკუმენტი, რომლის ფარგლებშიც მისი მხრიდან გამოვლენილი იქნებოდა პრეტენზია მიღებული საქონლის ნაკლთან დაკავშირებით. სარჩელის აღძვრის შემდეგ კი, ამგვარი პრეტენზიის მითითება და შეგებებული სარჩელის წარდგენა ერთნაირი საგარანტიო ვადის გასვლის შემდეგ, ვერ განიხილება მიღებული შესრულებისადმი პრეტენზიის ვადის დაცვით გაცხადებად, რაც წარმოადგენს შემკვეთის შეგებებული სასარჩელო მოთხოვნების ხანდაზმულად ცნობის საფუძველს. კანონითა და ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდგომ, პრეტენზიის გაცხადება მიმღებს ართმევს უფლებას, მომავალში მიუთითოს აღნიშნულ ნაკლზე და მისგან გამომდინარე მოთხოვნებზე (ანალოგიური შინაარსის ჩანაწერს შეიცავს ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებიც, კერძოდ: სსკ-ის 495.1 მუხლის შესაბამისად, თუ მყიდველი მენარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი; თუკი იგი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა, არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება);

11.20. მოცემულ შემთხვევაში, 2016 წლის თებერვალში მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა არ წარმოადგენს პრეტენზიის გაცხადებას, მენარდემ იკისრა საგარანტიო მომსახურება ერთი წლით და ამ ვადაში საკუთარი ხარჯებით დანადგარის შეკეთების ვალდებულება, რაც ვერ მიიჩნევა პრეტენზიად, მით უფრო იმ შინაარსის, რაც ქარხნის წარმადობას და სხვა ძირითად საკითხებს შეეხება. შესაბამისად, ერთნაირი საგარანტიო და საპრეტენზიო ვადა გავიდა 2017 წლის თებერვალში, შემკვეთმა კი შეგებებული სარჩელი 2018 წლის ოქტომბერში აღძრა. დამატებითი შესრულების მოთხოვნის უსაფუძვლობა, ასევე დაუსაბუთებელს ხდის შეგებებულ სასარჩელო მოთხოვნას ზიანის ანაზღაურე-

ბასთან მიმართებითაც. გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მიუღებელ შემოსავალთან მიმართებით შემკვეთის მიერ წარდგენილი შეგებებული სასარჩელო მოთხოვნა სხვა მხრივაც დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს სსკ-ის 408-ე (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და 411-ე მუხლების (ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო) მიზნებიდან;

11.21. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადი პრინციპის თანახმად, განსახილველი კატეგორიის დავაში, მოსარჩელეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, შეგებებული სარჩელის წარმდგენ შემკვეთ საწარმოს უნდა მიეთითებინა და დამტკიცებინა, რომ მოპასუხის (მენარდე საწარმოს) ქმედება იყო არამართლზომიერი, ამ ქმედებამ გამოიწვია ზიანი, მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობს მიზეზობრივი კავშირი, ასევე ის, თუ რას შეადგენს ზიანის ოდენობა. ამასთან, ვინაიდან შეგებებული სარჩელით მოსარჩელე ითხოვს ზიანის ანაზღაურებას მიუღებელი შემოსავლის სახით, მას უნდა წარედგინა იმგვარი მტკიცებულებები, რაც შექმნიდა ობიექტურ სურათს ასეთი შემოსავლების მიღებასთან დაკავშირებით. მიუღებელი შემოსავალი არის ანაცდენი სარგებელი (მოგება), რომელიც არ გულისხმობს ერთობლივ შემოსავალს, ყოველგვარი ხარჯების გამოქვითვების გარეშე და რომელსაც დაზარალებული ობიექტურად მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შედეგად (იხ. სუსგ №ას-848-806-2013; 24.10.2014წ.). მოცემულ შემთხვევაში, შეგებებული სარჩელის ავტორის მიერ შემოთავაზებული დასაბუთება და წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ქმნის მოთხოვნილი ოდენობით მიუღებელი შემოსავლის სახით ზიანის ანაზღაურებისათვის საკმარის ნიშანმძღვრებს, რის გამოც შეგებებული სარჩელი არც აღნიშნულ ნაწილში ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

11.22. გამყიდველი (მენარდე) კომპანიის თავდაპირველი სარჩელი ნაწილობრივ გამართლებულია და ექვემდებარება შესაბამის ნაწილში დაკმაყოფილებას. სსკ-ის 629-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შემკვეთს წარმოეშობა მიღებული შესრულების ანაზღაურების ვალდებულება. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღინიშნა თავდაპირველი მოსარჩელის მიერ შემკვეთისათვის მიწოდებულია 330 641.6 აშშ დოლარის ღირებულების საქონელი, რისი ანაზღაურებაც მიმ-

ლებს უნდა უზრუნველყო ეტაპობრივად. თავდაპირველი სარჩელის მოპასუხე სასარჩელო მოთხოვნას ცნობს ნაწილობრივ – 200 000 აშშ დოლარის ფარგლებში, ხოლო დარჩენილ ნაწილში მიუთითებს ვალდებულების შესრულებაზე. სსკ-ს 373-ე მუხლის შესაბამისად, მოვალე ვალდებულია შეუსრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომელიც კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილია მიიღოს შესრულება. თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისგან მიიღო სარგებელი. ამავე კოდექსის 427-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება);

11.23. სახელშეკრულებო ბოჭვის პირობებში პირი ვალდებულია შეასრულოს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები. ვალდებულების შესრულებულად მიჩნევის მიზნებისათვის კი, მნიშვნელოვანია იმ პირობების დაცვა, რაც ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს და შესაბამისად, ვალდებულების შეუსრულებლობას გამორიცხავს. სსკ-ის 361.2 მუხლი განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა შესრულდეს ვალდებულება ისე, რომ არ მოხდეს ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის რღვევა და აწესებს ვალდებულების შესრულების ისეთ სტანდარტს, რომლითაც დაკუთვნილი არა მხოლოდ ვალდებულების შესრულება, არამედ მეორე მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერი მოპყრობა. ყოველი მოქმედება არ იწვევს ვალდებულების შესრულებას და შესაბამისად ვალდებულების შესრულების სამართლებრივი შედეგის დადგომას (სსკ-ის 427-ე მუხლი). ვალდებულების შესრულება ნიშნავს იმ მოქმედების შესრულებას (ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას), რომლის მოთხოვნის უფლებაც კრედიტორს აქვს;

11.24. განსახილველ შემთხვევაში, შეგებებული სარჩელის ავტორი შემკვეთი საწარმო მიუთითებს მიმწოდებელი/მენარდე საწარმოს წარმომადგენლის – მ. ს-ის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებაზე, რომელიც წარმომადგენდა მენარდე საწარმოს სახელშეკრულებო ურთიერთობაში და შესაბამისად მიიჩნეოდა შესრულების მიღებაზე უფლებამოსილ პირად. აღნიშნულის საპირისპიროდ, შეგებებული სარჩელის მოპასუხე მხარე (მენარდე საწარმო) მიუთითებს მ. ს-ის არაუფლებამოსილებაზე, მიეღო მენარდეს (თავდაპირველი მოსარჩელე საწარმოს) სასარგებლოდ განხორციელებული შესრულება;

11.25. სამენარმო ამონაწერისა და ხელშეკრულების ფარგლებში მიუთითებული რეკვიზიტების შესაბამისად, შემკვეთი საწარმოსათვის ცნობილი იყო მენარდე/მიმწოდებელი საწარმოს მისამართი, საკონტაქტო მონაცემები და მათ შორის უფლებამოსილი წარმომადგენლის – დი-

რექტორის შესახებ, რის გამოც შესრულების განხორციელება მომლაპარაკებლის სასარგებლოდ, იმ პირობებში, როდესაც აღნიშნულის თაობაზე საწარმოს ნებართვა არ ჰქონდა, ვერ მიიჩნევა მენარდის/მიმწოდებლის სასარგებლო შესრულებად, რაც გამორიცხავს თავდაპირველი სარჩელის მოპასუხე საწარმოს (შემკვეთის/მიმღების) მტკიცების გაზიარების შესაძლებლობას ვალდებულების ნაწილობრივ შესრულებასთან მიმართებით.

11.26. სააპელაციო სასამართლომ ასევე იმსჯელა უშუალოდ მენარდე/მიმწოდებელი საწარმოს (თავდაპირველი მოსარჩელის) სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ წერილობით დოკუმენტზე, რომლის საფუძველზე კომპანიის ბეჭდითა და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დგინდება 105 000 აშშ დოლარის მიღების ფაქტი, რაც სასამართლოს შეფასებით, წარმოადგენს ვალდებულების შესაბამის ნაწილში შესრულებულად მიჩნევისა და შეწყვეტის საფუძველს (სსკ-ს 427-ე მუხლი). მართალია, აღნიშნულ დოკუმენტებთან მიმართებით წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, გარკვეული შეუსაბამობა ვლინდება, როგორც ხელმოწერასა, ასევე კომპანიის ბეჭედთან მიმართებით, თუმცა ქართული კომპანიისათვის ვერ იქნებოდა ხელმისაწვდომი თურქული საწარმოს ბეჭედი და აღნიშნულზე კონტროლის განხორციელება ევალებოდა მიმწოდებელ/შემკვეთ საწარმოს, ხოლო ხელმოწერა ეკუთვნის თუ არა უფლებამოსილ პირს, ამას საქართველოში არსებული საწარმო ვერ შეამოწმებდა. სათავო ოფისის ბეჭედი (შტამპი) საქართველოში მოქმედი საწარმოსათვის ვერ იქნებოდა ხელმისაწვდომი, რაც მიმღები/შემკვეთი (თავდაპირველი მოსარჩელის მოპასუხე მხარე) საწარმოს მტკიცების გაზიარების საფუძველია ვალდებულების შესაბამის ნაწილში შესრულებასთან მიმართებით;

11.27. თავდაპირველი სარჩელის მოპასუხე საწარმოს, მიმწოდებლის სასარგებლოდ ეკისრება ფულადი ვალდებულება – 225 642 აშშ დოლარის ოდენობით (330 641.6 აშშ დოლარს – 105 000 აშშ დოლარი), რასთან მიმართებითაც სოლიდარული ვალდებულება ეკისრება მიმღები საწარმოს 100%-იანი წილის მესაკუთრე რ. მ-ძეს, როგორც ხელშეკრულებაზე ხელმოწერსა და ამავე ხელშეკრულების ფარგლებში სოლიდარულად თავდებ პირს.

11.27.1. სსკ-ის 891.1-892.1 მუხლების თანახმად, თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად. თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება. სსკ-ის 895-ე მუხლის

შესაბამისად, თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც, თუ ძირითადად მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, ანდა მისი გადახდისუუნარობა აშკარაა. ამავ კოდექსის 898.1 მუხლის შესაბამისად, თავდები ყველა შემთხვევაში პასუხს აგებს მხოლოდ თავდებობის დოკუმენტში მითითებული ზღვრული თანხის ოდენობამდე;

11.27.2. სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილში არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება და მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ არ არის შედგენილი დამოუკიდებელი განაცხადი ვალდებულების კისრებასთან მიმართებით, ასევე იმის გამო, რომ არ არის განსაზღვრული თავდების პასუხისმგებლობის ზღვრული ფარგლები, ვერ გამოირიცხავს თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნიდან გამომდინარე მოპასუხე რ. მ-ძის პასუხისმგებლობას, ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრ ვალდებულებასთან მიმართებით. სასამართლომ მიუთითა დადგენილ სასამართლო პრაქტიკაზე, რომლის თანახმად თავდებობის ნამდვილობისთვის არ არის აუცილებელი ორი წერილობითი დოკუმენტის არსებობა (განცხადება, თავდებობის დოკუმენტი), რადგან კანონი არ კრძალავს ერთი დოკუმენტით გაფორმდეს როგორც თავდებობის განაცხადი ასევე ხელშეკრულების არსებითი პირობები. წარმოდგენილ დოკუმენტში კი, გამოხატულია ნება თავდებობაზე და ხელშეკრულების არსებითი პირობები, კერძოდ მისი ღირებულება (იხ. სუსგ №ას-3კ-432-02, 07.06.02წ.). ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ წარმოდგენილი სარჩელით არ არის მოთხოვნილი ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხაზე მეტი ოდენობის თანხა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია მოპასუხე მხარის მტკიცება თავდებობის ზღვრულ ოდენობასთან დაკავშირებით მაშინ, როდესაც თავდებისთვის მოთხოვნილი თანხა არ აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ოდენობას. ასევე, საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების მონაწილე საწარმო უცხოურ საწარმოს წარმოადგენს, რომლისთვისაც ხელშეკრულების ფარგლებში თავდებობის გაცხადება აღქმულია კანონით განსაზღვრული ფორმის დაცვით პასუხისმგებლობის კისრებად.

11.28. სააპელაციო სასამართლომ, შეჯამების სახით, მიუთითა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზებაზე, რაც უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადანყვეტილების მიღებას. მტკიცე-

ბის ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალ-
წარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნე-
ლობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს,
მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვე-
ტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპ-
როცესო სამართლით დადგენილი წესით. თითოეულმა მხარემ უნდა და-
ამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვ-
ნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები,
რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპა-
სუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცე-
ბის ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ
მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულე-
ბას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ
მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარე-
ბას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხა-
რის მოთხოვნისაგან (იხ. სუსგ №ას-589-589-2018, 06.07.2018წ.). მოცე-
მულ შემთხვევაში, თავდაპირველმა მოსარჩელემ (მიმწოდებელმა/მე-
წარდემ) შეძლო დაესაბუთებინა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კა-
ნონშეუსაბამობა, რის გამოც მის მიერ წარმოდგენილი სააპელაციო სა-
ჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხის (შეგებებული
მოსარჩელის, შემკვეთის/მიმღების) სააპელაციო საჩივარი არ დაკმა-
ყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

12. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

12.1. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წე-
სით გაასაჩივრეს, როგორც თავდაპირველმა მოსარჩელემ, ისე – შეგე-
ბებული სარჩელის აღმძვრელმა საწარმომ და თავდებმა პირმა – რ. მ-
ქმ.

12.2. თავდაპირველი მოსარჩელე (პირველი კასატორი, გამყიდვე-
ლი/მწარდემი საწარმო) მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების
ნაწილობრივ გაუქმებას სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში (კერ-
ძოდ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნა-
წილის მე-6 პუნქტის გაუქმებას) და, ამ ნაწილში ახალი გადაწყვეტილე-
ბის მიღებით, გამყიდველი/მწარდემი საწარმოს სარჩელის სრულად დაკ-
მაყოფილებას, მოპასუხე (მყიდველი/შემკვეთი) საწარმოსათვის 105 000
აშშ დოლარის დაკისრებას შემდეგ ძირითად არგუმენტებზე მითითე-
ბით:

12.2.1. პირველი კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვე-
ტილების მსჯელობას და მიაჩნია, რომ საქმეში საკმარისი მტკიცებუ-
ლებებია წარდგენილი თავდაპირველი სარჩელის მოპასუხისათვის 105
000 აშშ დოლარის დასაკისრებლად. კასატორი ამ თვალსაზრისით უთი-

თებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების 5.1.10 ქვე-პუნქტში ასახულ მსჯელობასა და დასკვნაზე, რომელშიც, დადგენილ ფაქტად არის მიჩნეული ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ დადგენილი მოცემულობა, რომ სადავო თანხის მიმღების გრაფაში ხელმოწერა არ ეკუთვნის მიმწოდებელი/მენარდე სანარმოს დირექტორს, ანუ თანხის მიღების დამადასტურებელი საბუთი არ არის ვალიდური და არ დგინდება 105 000 აშშ დოლარის მიღება თავდაპირველი მოსარჩელე სანარმოს მიერ;

12.3. შეგებებული მოსარჩელე (მეორე კასატორი, მყიდველი/შემკვეთი) მოითხოვს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას თავდაპირველი სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, შესაბამისად, თავდაპირველი სარჩელის სრულად უარყოფას და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებას შემდეგ ძირითად არგუმენტებზე დაყრდნობით:

12.3.1. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში რ. მ-ძის სოლიდარულ თავდებობასთან დაკავშირებით მსჯელობა არ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნას (სსკ-ის 892.1 მუხლი), ამ მიმართებით მეორე კასატორი უთითებს გერმანიის სამოქალაქო კოდექსის (გსკ) 766-ე პარაგრაფის მონესრიგებაზე და საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაზე, რომლის მიხედვით განმარტებულია, რომ „განსახილველ შემთხვევაში, თავდებობის ხელშეკრულებებში მითითებული არაა თავდებთა პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხა. ამგვარ მითითებად სასამართლო ვერ მიიჩნევს ხელშეკრულების იმ ჩანაწერს, რომლის მიხედვით ვალდებულების მოცულობა განისაზღვრა მსესხებელსა და ბანკს შორის გაფორმებული გენერალური საკრედიტო ხელშეკრულებითა და მის საფუძველზე გაფორმებული შემადგენელი საკრედიტო ხელშეკრულებებით წარმოშობილი მთლიანი ვალდებულებით. ნორმის დანაწესი, რომლის მიხედვით ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იქნეს პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა სწორედ კონკრეტული ოდენობის თანხის მითითების ვალდებულებას გულისხმობს და არა, ზოგადად აბსტრაქტულ ციტირებას პასუხისმგებლობის ფარგლებთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ აღინიშნა, ნორმის აღნიშნული მოთხოვნა იმპერატიულია და მისი შეუსრულებლობა უკავშირდება შეთანხმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის წარმოუშობლობას და მაშასადამე, თავდებობის არარასებობას“ (იხ. სუსგ №ას-1172-2018, 08.02.2019წ; პუნქტი 62). მეორე კასატორს უკანონოდ მიაჩნია რ. მ-ძისათვის სოლიდარული ვალდებულების დაკისრება;

12.3.2. მეორე კასატორის მორიგი პრეტენზია უკავშირდება მტკიცების საგანში შემაჯალი, ანუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არასათანადო გამოკვლევას, რამაც სააპელაციო სასამარ-

თლოს მიერ არასწორი გადანყვეტილების მიღება განაპირობა. სასამართლომ არ შეისწავლა დავის კანონიერად გადანყვეტის განმსაზღვრელი მტკიცებულება – მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი. კასატორის მტკიცებით უდავოა, რომ მხარეთა შორის 2015 წლის 13 აგვისტოს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად გამყიდველს მყიდველისათვის უნდა მიეწოდებინა 224 000 აშშ დოლარის ღირებულების სხავდასხვა სახის ქვის სამცვრევი საამქროს ასამუშავებლად საჭირო ნაწილები. მეორე კასატორი უთითებს მონმეთა ჩვენებებზე და გამყიდველის (მიმწოდებლის) მხრიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევაზე. ნასყიდობის ხელშეკრულება დამატებით ვადლებულებას მოიცავდა ნასყიდობის საგნის დამონტაჟებაზე. მხარეები არ შეთანხმებულან ნასყიდობის საგნის მონტაჟის ღირებულებაზე, მათ შორის წარმოიშვა ნასყიდობის და არა ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობა. მხარე მსჯელობს შერეული ხელშეკრულების კვალიფიკაციის კრიტერიუმებზე და იმ ჰოპოთეზის დაშვებითაც, რომ მხარეთა შორის შერეული ხელშეკრულებაა დადებული, უთითებს, რომ შეგებებული სარჩელის მოთხოვნა ემყარება შეძენილი ნივთის ხარისხსა და მის ნაკლს და არა ამავე ნივთის მონტაჟის ნაკლს, ამდენად, შეუსაბამოა სსკ-ის 655-ე მუხლის გამოყენება, რომელიც ნარდობის ხელშეკრულებას ანესრიგებს:

12.3.3. მეორე კასატორის მტკიცებით, მხარეთა შორის არსებული ნასყიდობისამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე უნდა შეეფასებინა სასამართლოს მოთხოვნის წარმოშობის ხანდაზმულობის ვადა. კასატორი უთითებს, რომ დადგენილი ფაქტია, რომ ნივთი დამონტაჟების დღესვე დაზიანდა და მას შეკეთება დასჭირდა. რაც შეეხება ქარხნულ ნაკლს მის წარმადობასთან მიმართებით, მონმეთა ჩვენებებით დადგენილია, რომ გამყიდველი დაპირდა მყიდველს ქარხნის შეცვლას. კასატორი უთითებს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა კეთილსინდისიერებაზე და მოიხმობს საკასაციო სასამართლოს პრაქტიკას (იხ. სუსგ №ას-1338-1376-2014, 24.06.2015წ.). ამ საფუძვლებით არის მოთხოვნილი გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება.

12.4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 27 იანვრის განჩინებით მხარეთა საკასაციო საჩივრები დასაშვებად იქნა ცნობილი არსებითად განხილვის მიზნით სსკ-ის 391.5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

12.5. საკასაციო სასამართლოს 2023 წლის 23 მაისის ზეპირი განხილვის ფორმით გამართულ სხდომაზე, მხარეთა ერთობლივი შუამდგომლობის საფუძველზე, სსკ-ის 218-ე მუხლის საფუძველზე, მორიგების პირობების შესათანხმებლად გადაიდო საკასაციო სასამართლოს სხდო-

მა.

12.6. საკასაციო სასამართლოს 2023 წლის 19 ივნისის სხდომაზე გამოცხადებულმა მხარეებმა დაადასტურეს, რომ მიუხედავად ორმხრივად გაცვლილი წინადადებებისა და მოსაზრებებისა, მათ შორის მორიგება ვერ შედგა, შესაბამისად, არსებითი განხილვის ეტაპზე ორივე კასატორმა მხარი დაუჭირა საკუთარ საკასაციო მოთხოვნასა და პრეტენზიას და უპასუხა სასამართლოს შეკითხვებს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, შეფასებისა და საკასაციო საჩივრების სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითი განხილვის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ პირველი და მეორე კასატორების საკასაციო განაცხადები დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

13. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადანყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადანყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). სსსკ-ის 410-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. მოცემულ შემთხვევაში „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გარემოება გამოიკვეთა.

14. საკასაციო სასამართლო არაერთ გადანყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება

სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში; მოთხოვნის საფუძველი სამოქალაქო სამართალში, ზოგადად არის სამართლის ის ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას ანუ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა კონკრეტულ უფლება-მოვალეობებს (იხ. ბოელინგი/ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადანყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 38.) კერძო-სამართლებრივი ურთიერთობის მომწესრიგებელი მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების დანიშნულებაა ურთიერთობაში მონაწილე სუბიექტების უფლებების განსაზღვრა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა. მოთხოვნა უფლების რეალიზაციის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობაა.

15. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოთხოვნა პირის ნებას დაქვემდებარებული და სხვა პირისაკენ მიმართული უფლებაა, რომელიც მისი პროცესუალური განხორციელებისაგან მკვეთრად იმიჯნება. მოთხოვნა ძირითადად მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობის მატარებელია. მოთხოვნა, საპროცესო-სამართლებრივი გაგებით, ყოველთვის მიმართულია სასამართლო გადანყვეტილების დადგომისაკენ. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი არის სამართლის ნორმა, რომლის სამართლებრივი შედეგით გათვალისწინებულია სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილე პირის მიერ რაიმე მოქმედების განხორციელებისა თუ მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავების ვალდებულება. თითოეული მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლის ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს, თუმცა მისი განმარტება და ფაქტობრივ გარემოებებზე მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება. მოთხოვნის საფუძველი ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ნორმის შემადგენლობა, რომელიც მოიცავს ცალკეულ წინაპირობას და ბ) სამართლებრივი შედეგი, რომელიც კანონის საფუძველზე დადგება იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ნორმის შემადგენლობით განსაზღვრული ყველა წინაპირობა.

16. მოთხოვნა და მოთხოვნის საფუძველი სხვადასხვა ცნებებია და მათი აღრევა არიდებული უნდა იქნეს. ამ გამიჯვნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ მოთხოვნათა შორის

არჩევანის უფლება, მოსარჩელის უფლებამოსილებაა, ხოლო მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოთხოვნის დამფუძნებელი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველთა შორის ერთ-ერთის მისადაგება სასამართლოს უფლებამოსილება და ვალდებულებაა (იხ. ბოელინგი /ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდика, მეორე გამოცემა, თბ., 2004, 42.)

17. მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან.

18. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). მოსარჩელის სტადიის შემდეგ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოპასუხის სტადია, რაც მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების პასუხად შესაგებელში შედავებული გარემოებების კვალიფიციურობაზეა დამოკიდებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-2016; პუნქტი 201) მითითებულია: „2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007 წ. -ის კანონი №5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესო სამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდავებლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზ-

ღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცებისაგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება“.

19. ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება (შეად. სუსგ-ებს: №ას-475-2019, 15.04.2021წ; №ას-1065-2020, 08.04.2021წ; №ას-338-2019, 22.03.2021წ.).

20. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრვენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრვენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

21. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზე-

დაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტის გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონიწილმდევე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან).

22. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქტუალური მოვალეობა. მხარეები სსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან.

23. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კრიტერიუმი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლო იმისათვის, რომ სწორად განსაზღვროს მხარეთა მიერ მითითებული ფაქტებიდან, თუ რომელი ამართლებს სამართლებრივად მხარეთა მოთხოვნებს (შესაგებელს) და რომელი არა, ესაა – სარჩელის საგანი (მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი), მოპასუხის შესაგებელი და შესაბამისი მატერიალურ სა-

მართლმადიდებელი ნორმა. მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბილინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანაცვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, თბ., 2003, გვ.64).

24. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების (იხ. წინამდებარე განჩინების 11.5-11.9 ქვეპუნქტები) საფუძველზე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მხარეთა შორის დაიდო ნასყიდობის სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც თავის თავში მოიცავდა ნარდობის ელემენტს – ქარხნის მონტაჟის სახით. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სააპელაციო სასამართლოსაგან განსხვავებული იურიდიული კვალიფიკაცია, არც ერთი მხარის სასარგებლოდ არ ცვლის სააპელაციო სასამართლოს გადანაცვეტილების შედეგს, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნები არსებითად სწორია და დასაბუთებული, თუმცა, საკასაციო სასამართლოს ნაწილობრივ განსხვავებული სამართლებრივი დასაბუთება ეფუძნება, როგორც დოქტრინაში გამოკვლეულ მასალებს, ისე – სასამართლო პრაქტიკას.

25. უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სააპელაციო სასამართლოს დასაბუთება ასევე უთითებს სსკ-ის 340-ე მუხლზე „შერეული ხელშეკრულებების განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან და მას შეესაბამებიან“ (იხ. წინამდებარე განჩინების 11.14 ქვეპუნქტი), ასევე, სააპელაციო სასამართლო მსჯელობს იმ დაშვებითაც, რომ ნასყიდობის სამართლებრივი ნორმების გამოყენების შემთხვევაშიც კი შეგებებული სარჩელის წარმდგენი მყიდველი/შემკვეთი საწარმო ვერ ადასტურებს თავისი სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთებულობას (იხ. წინამდებარე განჩინების 11.19 ქვე-

პუნქტი).

26. დოქტრინაში გამოთქმული მოსაზრებები და საკასაციო სასამართლოს პრაქტიკა ცხადყოფს, რომ „1980 წლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შესახებ ვენის კონვენციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებად ითვლება იმ საქონლის მიწოდებაზე დადებული ხელშეკრულება, რომელიც მზადდება ან იწარმოება, თუ საქონლის დამკვეთი მხარე არ კისრულობს ასეთი საქონლის დამზადებისათვის ან წარმოებისთვის საჭირო მასალის მნიშვნელოვანი ნაწილის მიწოდების ვალდებულებას. კონვენციის მე-3 მუხლის პირველის ნაწილის თანახმად „საჭირო მასალის მნიშვნელოვან ნაწილში“ უნდა მივიჩნიოთ, ასევე მიწის ნაკვეთი, როგორც ძირითადი ნივთი, რომლის გარეშე შეუძლებელია შენობა-ნაგებობის აშენება, ანუ მხედველობაშია მასალა, რომელიც მნიშვნელოვანია სამუშაოს შესრულებისათვის. ამდენად, განსახილველ ნორმის დათქმაში „საჭირო მასალის მნიშვნელოვან ნაწილში“ ყურადღება გამახვილებულია ისეთ მასალაზე, რაც აუცილებელია და მნიშვნელოვანია ნივთის დამზადებისათვის და რომლის გარეშე შეუძლებელია ამ ნივთის დამზადება. განსახილველი ნორმა მოითხოვს განმარტებას კონვენციის სხვა ნორმებთან ერთობლიობაში. კერძოდ, ნორმაში მოცემული სამართლებრივი კრიტერიუმები გაგებულ უნდა იქნეს მხარეთა მიერ დასახული მიზნების გათვალისწინებით, რომლის დადგენასა და განმარტებას მოითხოვს ამავე კონვენციის მე-8 მუხლი. კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კონვენციის მიზნებისათვის მხარის განცხადება ან სხვაგვარი მოქმედება განიხილება მისი განზრახვის შესაბამისად, თუ მეორე მხარემ იცოდა, ან არ შეიძლება არ სცოდნოდა, როგორი იყო ეს განზრახვა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ წინა პუნქტი არ გამოიყენება, მაშინ მხარის განცხადებას ან სხვაგვარ მოქმედებას განიხილავენ იმის შესაბამისად, თუ როგორ გაიგებდა ამას გონიერი პიროვნება, რომელიც იმოქმედებდა იმავე სახით, როგორც მეორე მხარე ანალოგიურ ვითარებაში“ (იხ. ზ. ძლიეროშვილი – ნარდობის ხელშეკრულება /თეორია და პრაქტიკა/; რედ. თეიმურაზ თოდრია; გამომცემლობა „მერიდიანი“; 2016; გვ. 176-177; შეად. სუსგ-ებს: №ას-1162-1091-2012, 7.03.2013წ; №ას-413-390-2014, 16.01.2015წ; №ას-1190-2021, 22.02.2025წ.).

27. „ევროკავშირის ქვეყნებში ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 1999/44 დირექტივის რეალიზაციის შედეგად (დირექტივა შეეხება სამომხმარებლო საქონლის რეალიზაციისა და დამზადების გარანტიების გარკვეულ ასპექტებს), იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა საგანია დასამზადებელი ან საწარმოებელი მოძრავი ნივთების მიწოდება, გამოიყენება ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმები, მიუხედა-

ვად იმისა, თუ ვისი მასალისაგან არის ეს ნივთები დამზადებული ან წარმოებული (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 651-ე პარაგრაფის პირველი წინადადება). ამასთან ზოგჯერ არ გამოირიცხება „საქონლის საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვის შესახებ კონვენციის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პრინციპის მოქმედება“ (იხ. ზ. ძლიერიშვილი – ნარდობის ხელშეკრულება /თეორია და პრაქტიკა/; რედ. თეიმურაზ თოდრია; გამომცემლობა „მერიდიანი“; 2016; გვ. 177). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დასახელებული დირექტივის მოქმედების ვადა 2021 წლის 31 დეკემბერს ამოიწურა, თუმცა, ამჟამად მოქმედებს ევროპარლამენტისა და საბჭოს 2019 წლის 20 მაისის დირექტივა 2019/772 საქონლის რეალიზაციის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული გარკვეული ასპექტების შესახებ, რომელიც ცვლის 2017/2334 რეგულაციას და 1999/44 დირექტივას. დირექტივის მე-17 პარაგრაფის მიხედვით განსაზღვრულია, რომ იურიდიული სიცხადის მიზნით 2019/772 დირექტივამ უნდა განმარტოს ნასყიდობის ხელშეკრულება, ასევე, მკაფიოდ განსაზღვროს მისი გამოყენების სფერო. ამ დირექტივის მოქმედებამ ასევე უნდა მოიცვას (დაფაროს) საქონელთან დაკავშირებული ხელშეკრულებები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის წარმოებული ან დამზადებული, მათ შორის მომხმარებლის სპეციფიკაციის მიხედვით. გარდა ამისა, ამავე დირექტივის მოქმედებაში შეიძლება მოექცეს საქონლის დამონტაჟება (ინსტალაცია), თუკი ეს ნასყიდობის ხელშეკრულების ნაწილია და უნდა განხორციელდეს გამყიდველის მიერ ან მისი პასუხისმგებლობის ქვეშ. თუკი ხელშეკრულება მოიცავს როგორც საქონლის გაყიდვის, ისე მომსახურების ელემენტებს, შესაძლებელია თუ არა მთელი ხელშეკრულების ნასყიდობად კვალიფიკაცია ამ დირექტივის მნიშვნელობით, უნდა განისაზღვროს ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე (იხ. <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX%3A32019L0771>).

28. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების შეფასებისას, მნიშვნელოვანია იმის განმარტება, რომ „ნარდობის ხელშეკრულების საგანს, როგორც წესი, წარმოადგენს ინდივიდუალურად განსაზღვრული ნაკეთობის დამზადება, რაც შეეხება ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს, იგი უმრავლეს შემთხვევაში, როგორც წესი, გვაროვნული საგანია“ (იხ. ზ. ძლიერიშვილი – ნარდობის ხელშეკრულება /თეორია და პრაქტიკა/; რედ. თეიმურაზ თოდრია; გამომცემლობა „მერიდიანი“; 2016; გვ. 174). მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ სააპელაციო სასამართლოს დადგენილი აქვს „თავდაპირველ მოსარჩელე უცხოურ საწარმოს მოპასუხისათვის არა მხოლოდ უნდა მიენოდეზინა ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთები, არამედ უნდა უზრუნველყო მისი დამონტაჟება“ (იხ. 11.14

ქვეპუნქტი), ხელშეკრულების პირობების ერთობლივად შეფასებისა და მხარეთა ურთიერთმოთხოვნებიდან (თავდაპირველი და შეგებებული სარჩელები) გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გამყიდველი საწარმოს მიერ მყიდველისათვის მიწოდებული და დამონტაჟებული საქონელი და მოწყობილობები, სადავო არაა რომ ქვისსამსხვრევე ქარხანას წარმოადგენს, რადგან 2015 წლის 13 აგვისტოს ხელშეკრულებაში მითითებული საქონელი (იხ. წინამდებარე განჩინების 11.5.1-11.5.4 ქვეპუნქტები) რეალურად ის დანადგარია, რომლის მუშაობიდან გამომდინარე და არა ცალკეული მოწყობილობის (ნივთის) გამოყენებით გზით, მყიდველი საწარმო დავობს ქარხნის არასათანადო წარმადობაზე, როგორც გამოვლენილ ნაკლზე და აქედან გამომდინარე ზიანზე. ზემოხსენებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე პირველმა კასატორმა (გამყიდველმა საწარმომ) თავდაპირველი სარჩელით მოითხოვა მყიდველისათვის მიწოდებული ქარხნის ღირებულების ანაზღაურება (იხ. სარჩელი), ხოლო მეორე კასატორმა (მყიდველმა საწარმომ) შეგებებული სარჩელით მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული წარმადობის დანადგარის მოწოდება გამყიდველისაგან, ზიანის ანაზღაურება და თანხის დაკისრება, შესაბამისად, მხარეთა შორის ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობაა და აქედან გამომდინარე უნდა შეფასდეს მხარეთა სასარჩელო მოთხოვნები.

29. განსახილველ შემთხვევაში, გასაზიარებელია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა და დასკვნა, რომ თავდაპირველი მოსარჩელის (პირველი კასატორის) სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ წერილობით დოკუმენტზე, რომლის საფუძველზე კომპანიის ბეჭდითა და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით დგინდება 105 000 აშშ დოლარის მიღების ფაქტი, მოცემულ შემთხვევაში წარმოადგენს ვალდებულების შესაბამის ნაწილში შესრულებულად მიჩნევისა და შეწყვეტის საფუძველს (სსკ-ს 427-ე მუხლი). მართალია, აღნიშნულ დოკუმენტებთან მიმართებით წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის შესაბამისად, გარკვეული შეუსაბამობა ვლინდება, როგორც ხელმოწერას, ასევე კომპანიის ბეჭედთან მიმართებით, თუმცა ქართული კომპანიისათვის ვერ იქნებოდა ხელმისაწვდომი თურქული საწარმოს ბეჭედი და აღნიშნულზე კონტროლის განხორციელება ევალეზობდა გამყიდველ საწარმოს, ხოლო ხელმოწერა ეკუთვნის თუ არა უფლებამოსილ პირს, ამას საქართველოში არსებული საწარმო ვერ შეამოწმებდა. სათავო ოფისის ბეჭედი (მტამპი) საქართველოში მოქმედი საწარმოსათვის ვერ იქნებოდა ხელმისაწვდომი, რაც მყიდველი საწარმოს მტკიცების გაზიარებას დაედო საფუძვლად ვალდებულების შესაბამის ნაწილში შესრულებასთან მიმართებით. საკასაციო სასამართლო დამატებით იმასაც აღნიშნავს, რომ პირველი კასატორის არგუმენტი, მ. ს-ის

მიერ გამყიდველი საწარმოს სახელით წარმომადგენლობითი უფლებამოსილების არქონასთან დაკავშირებით იმ მხრივაც არის დაუსაბუთებელი, რომ საქმის მასალების მიხედვით, დადგენილია, რომ სწორედ ეს პირი წარმომადგენდა საწარმოს. დადგენილია და სადავო არაა, რომ 2015 წლის 13 აგვისტოს ხელშეკრულებას გამყიდველი საწარმოს სახელით ხელს აწერს მ. ს-ი; ამავე ხელშეკრულებაში 2015 წლის 14 აგვისტოს შეტანილ ცვლილებას ხელს აწერს მ. ს-ი; გამყიდველსა და მყიდველს შორის 2016 წლის 24 თებერვალს ქვისსამსხვრევი ქარხნის მიღება-ჩაბარების აქტს გამყიდველი საწარმოს მხრიდან მ. ს-ის წარმომადგენლის სახელით ხელს აწერს ფ. მ-ი; საკასაციო სასამართლოს 2023 წლის 19 ივნისის სხდომაზე არაერთხელ აღინიშნა, რომ საწარმოს წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის ჩამოყალიბდა განსაკუთრებულ ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა. პირველ კასატორს არსად მიუთითებია და საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომ გამყიდველი საწარმოს სახელით მ. ს. არ იყო უფლებამოსილი პირი, მიეღო შესრულება მყიდველისაგან, შესაბამისად, დაუსაბუთებელია პირველი კასატორის მტკიცება, რა გარემოებების საფუძველზე უნდა გადაემოწმებინა და რა აუცილებლობიდან გამომდინარე, ყოველ ჯერზე, მყიდველს გამყიდველის სახელით მოქმედი პირის უფლებამოსილება. ქვემდგომი ინსტანციის ორივე სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ მყიდველმა საწარმომ ვალდებულება შეასრულა მ. ს-ის, როგორც უფლებამოსილი პირის წინაშე და გამყიდველს მყიდველისათვის არ უცნობებიათ მ. ს-ის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, ამ მიმართებით პირველი კასატორის მიერ დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია არ არის წამოყენებული და მისი საკასაციო მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა.

30. მეორე კასატორის (მყიდველი საწარმოს) საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში, კასატორის მოსაზრება, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობა ჩამოყალიბდა, გაზიარებულია, თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ეს იურიდიული კვალიფიკაცია მაინც არ ცვლის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. მოცემულ შემთხვევაში მეორე კასატორს მიაჩნია, რომ სასამართლომ არასწორად შეაფასა მხარეთა შორის 2016 წლის 24 თებერვალს ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტი, რამაც არასწორი დასკვნის გამოტანა განაპირობა. მეორე კასატორის მტკიცებით, ამ აქტის თაობაზე სწორად იმსჯელა პირველი ინსტანციის სასამართლომ.

30.1. მიღება-ჩაბარების აქტის შინაარსის შეფასებამდე, საკასაციო სასამართლო წინამდებარე განჩინების 14-23 პუნქტებში მითითებულ მხარეთა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების საფუძველზე და მათ შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სამოქა-

ლაქო სამართალსა და სამოქალაქო სამართლის პროცესში დამკვიდრებული და სასამართლო პრაქტიკით განმტკიცებულ სტანდარტზე გაამახვილებს ყურადღებას. ამ მიმართებით, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა აღინიშნოს, რომ გამყიდველი საწარმოს მიერ აღძრული სარჩელის პასუხად მყიდველმა საწარმომ არაკვალიფიციური შესაგებელი (შესაგებლის შესახებ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 2 მარტის გადაწყვეტილებიდან განმარტება წინამდებარე განჩინების მე-18 პუნქტში) წარადგინა და მხოლოდ იმაზე მითითებით შემოიფარგლა, რომ „მხარეებს შორის ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება არ დადებულია, ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული დანადგარები არ შეესაბამება ფაქტიურად მოწოდებულს“. შესაგებლის ყველა გრაფაში მითითებული ეს ერთი წინადადება შინაარსობრივად წინააღმდეგობრივია, რადგან თუ მხარეთა შორის საერთოდ არ დადებულია ხელშეკრულება, მაშინ გაურკვეველია, რის საფუძველზე არსებობს ანგარიშ-ფაქტურები და როგორ დგინდება მათში მითითებული დანადგარების შეუსაბამობა ფაქტობრივად მიწოდებულთან, ანუ მოპასუხე თვითონვე ადასტურებს, რომ მიიღო გარკვეული დანადგარები, თუმცა, არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზეა ისინი მიღებული.

30.2. მეორე კასატორის (შეგებებული მოსარჩელე) მოთხოვნის პასუხად პირველმა კასატორმა (შეგებებული სარჩელის მოპასუხე), როგორც სააპელაციო, ისე საკასაციო საჩივრებში და საკასაციო სასამართლოს სხდომაზე უსაფუძვლოდ მიიჩნია შეგებებული სარჩელის მოთხოვნა, მათ შორის, მტკიცება მიუღებელ შემოსავალთან დაკავშირებით, ამასთან სასამართლოს ყურადღება გაამახვილა მეორე კასატორის მოთხოვნის დაუსაბუთებლობასა და არადაამაჯერებლობაზე იმ თვალსაზრისითაც, რომ მყიდველმა საწარმომ, მისივე მტკიცების – ქარხნის არასაკმარისი წარმადობის გამო განცდილი ზიანისა და მიუღებელი შემოსავლის თაობაზე – სანინააღმდეგოდ სარჩელი არ აღძრა მანამ, სანამ მის წინააღმდეგ არ იქნა წარდგენილი სასამართლოში გამყიდველი საწარმოს მოთხოვნა ნასყიდობიდან გამომდინარე შეუსრულებელი ვალდებულების – თანხის დაკისრების მოთხოვნით. მყიდველმა საწარმომ მხოლოდ 2018 წლის 24 ოქტომბერს აღძრა შეგებებული სარჩელი.

30.3. საქმის მასალების მიხედვით 2016 წლის 24 თებერვალს მხარეებმა შეადგინეს ქარხნის მიღება-ჩაბარების აქტი შემდეგზე: „შპს „ო.მ“-მა ჩამოიტანა და დაამონტაჟა ქვის სამსხვრევი საამქრო. საამქროს დამონტაჟება დამთავრდა 2016 წლის 24 თებერვალს. შპს „ო.მი“ თავის თავზე იღებს ვალდებულებას, აანაზღაუროს პირველადი სამსხვრევის გარემონტებაზე დახარჯული თანხა, რომელსაც გაარემონტებენ რუს-

თაველი ოსტატები. თუ მუშის დაუდევრობით ან უყურადღებობით დაირღვა მუშაობის ტექნოლოგიური რეჟიმი, მაშინ შპს „ო.“ იხსნის საგარანტიო ვალდებულებას“. მეორე კასატორმა განმარტა, რომ ქარხანა დამონტაჟებისთანავე დაიშალა და სარემონტო გახდა, ამის დამადასტურებელია მიღება-ჩაბარების აქტის ის ნაწილი, სადაც მითითებულია, რომ გამყიდველმა საწარმომ იკისრა ვალდებულება, აენაზღაურებინა პირველადი სამსხვრევის გარემონტებაზე დახარჯული თანხა, რომელსაც გაარემონტებენ რუსთაველი ოსტატები. კასატორი განმარტავს, რომ ე.წ. „რუსთაველი ოსტატები“ შემთხვევით არ ჩანერილა მიღება-ჩაბარების აქტში, ეს ჩანაწერი სწორედ იმას გულისხმობს, რომ ქარხანა დამონტაჟებისთანავე გაფუჭდა, მის გასარემონტებლად ისევ მყიდველმა საწარმომ გადარიცხა თანხა. საკასაციო სასამართლოს შეკითხვების პასუხად, მეორე კასატორმა განმარტა, რომ ქარხნის გარემონტებისთვის გადახდილი თანხების შესახებ არ არის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები და საერთოდ გამყიდველს რომ არ აღეძრა სარჩელი, მყიდველი არც აპირებდა სასამართლოსთვის მიმართვას იმდენად განსაკუთრებულ ნდობაზე დაფუძნებული ახლომეგობრული ურთიერთობა ჩამოყალიბდა საწარმოების ხელმძღვანელ პირებს შორის.

30.4. ნასყიდობის მომწესრიგებელ ურთიერთობაში სსკ-ს 480-ე მუხლი ადგენს გამყიდველის მოვალეობებს საქონლის გაგზავნისას „1. თუ გამყიდველი ხელშეკრულებით გადამზიდველს გადასცემს საქონელს და ეს საქონელი არც ამოსაცნობი ნიშნით, არც გადაზიდვისათვის საჭირო საბუთებით და არც სხვა რაიმე საშუალებით არ არის გამოკვეთილად აღნიშნული, მაშინ გამყიდველმა უნდა შეატყობინოს მყიდველს საქონლის გადაგზავნის თაობაზე და, ამასთანავე, გაუგზავნოს ტვირთის დაწვრილებითი ჩამონათვალი. 2. თუ გამყიდველს ევალება საქონლის გაგზავნა, მან უნდა დადოს ხელშეკრულებები, რომლებიც აუცილებელია ტვირთის დატეხულ ადგილზე გადაზიდვისა და ასეთი გადაზიდვისათვის ჩვეული პირობებისათვის. 3. თუ გამყიდველი არ არის ვალდებული დააზღვიოს ტვირთი ტრანსპორტირებისას, მაშინ მან მყიდველის თხოვნით უნდა გადასცეს მას მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია დაზღვევის ასეთი ხელშეკრულების გაფორმებისათვის“. დადგენილია და სადავო არ არის, რომ ერთმა საწარმომ მეორისაგან შეიძინა ქვისსამსხვრევი ქარხანა, რომელიც ადგილზე ჩამოიტანა და დამონტაჟა მყიდველმა. დადგენილია, რომ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე მყიდველმა საწარმომ მიიღო და აამუშავა ქარხანა, შესაბამისად, სსკ-ის 483-ე მუხლის საფუძველზე შესყიდული საქონელი (მოწყობილობა-დანადგარები, ანუ ქარხანა) მიღებულად ჩაითვალა, რადგან მყიდველმა აამუშავა იგი, ანუ დასახელებული ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, შეასრულა ისეთი მოქმედება, რომელიც

მონმობს მის მიღებას, გარდა იმისა, რომ ხელი მოაწერა მიღება-ჩაბარების აქტს. სსკ-ის 487-ე მუხლით დადგენილია, რომ „გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. ასევე განსაზღვრულია, რომ ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის“ (მუხლი 488.1); „ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე“ (მუხლი 488.2);

30.5. ნასყიდობის სამართლებრივ ურთიერთობაში სსკ-ის 495-ე მუხლის ადგენს, რომ „1. თუ მყიდველი მენარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი; თუკი იგი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა, არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება. 2. თუ გამყიდველი შეგნებულად დუმდა ნივთის ნაკლზე, მაშინ მას არ შეუძლია დაეყრდნოს ამ მუხლით გათვალისწინებულ უფლებას“. დუმილი ეს არის შეგნებული, კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო შეუტყობინებლობა, კერძოდ, შეგნებული დუმილი გულისხმობს გამყიდველის მიერ მყიდველის შეცდომაში შეყვანას (ნაკლის დამალვას) იმ ვარაუდით, რომ მყიდველი ნაკლს ვერ აღმოაჩენს, თუმცა, რომ აღმოეჩინა პრეტენზიას წარადგენდა (იხ. ს. ჩაჩავა, სსკ-ის კომენტარი, მუხლი 495, ელ. მისამართი – g.t.ge; შეად. სუსგ-ას №ას-116-2021, 26.12.2022წ.). ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ნაკლიანი შესრულებიდან გამომდინარე მეორად მოთხოვნებთან მიმართებით განსხვავებულ მონესრიგებას გვთავაზობს მენარმე სუბიექტების შემთხვევაში. ამასთან, აღნიშნული ნორმის გამოყენება შესაძლებელია არა მხოლოდ მაშინ, როდესაც გარიგების ერთ-ერთი ან ორივე მხარე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სუბიექტია, არამედ – მაშინაც, როდესაც ნივთის შეძენას სამენარმეო მიზანი გააჩნია. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის განმარტებისას მხარის სტატუსს განსაზღვრავს სწორედ მის მიერ დადებული ხელშეკრულების მიზანი (იხ. სუსგ-ები: №ას-486-467-2016, 8.06.2017 წ; №ას-883-2021, 9.12.2021წ.). მენარმე სუბიექტის მიერ ნივთის დაუყოვნებლივ შემოწმებისა და ნაკლის აღმოჩენიდან გონივრულ ვადაში გამყიდველისთვის პრეტენზიის წარუდგენლობა ართმევს მას ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლებას. სა-

კასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „კანონმდებლის მიერ საკითხის მსგავსი მოწესრიგება განპირობებულია იმით, რომ მენარმე კერძო-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ რისკებს უკეთ აღიქვამს. ის ფაქტი, რომ სამოქალაქო ბრუნვაში მენარმის მიერ განხორციელებული ქმედება გონივრული და კონსტრუქციული უნდა იყოს, წარმოადგენს პრეზუმფციას, რომელიც, თავისი ბუნებით, იურიდიული ფიქციაა და ამ ვარაუდს არ აუქმებს შემდგომში მენარმე პირის მიერ გამოჩენილი წინდაუხედაობა. სტატუსი – „სამენარმეო საზოგადოება“ მოსარჩელეს, როგორც შემძენ მენარმეს, კანონის ძალით წარმოუშობს ჩვეულებრივ მყიდველთან შედარებით მეტ წინდახედულებას და ნასყიდობის საგნის მახასიათებლების შემოწმებას (იხ. სუსგები: №ას-486-467-2016, 8.06.2017 წ; №ას-883-2021, 9.12.2021წ; №ას-1058-2021, 25.05.2022წ; №ას-956-2020, 3.11.2022წ.).

30.6. სსკ-ის 495-ე მუხლის მიხედვით კანონმდებლობა მენარმეს ავალებს ნივთის ყიდვისას დაუყოვნებლივ შეამოწმოს იგი ან უზრუნველყოს მისი შემოწმება სიტუაციის შესაბამისად მაქსიმალურად მოკლე დროში. საპასუხო შესრულებისგან მოვალეს სამოქალაქო კანონმდებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ათავისუფლებს, თუ ის დაამტკიცებს, რომ მან ნასყიდობის საგანი ვერ მიიღო, ან მიიღო შეთანხმებული ხარისხისგან განსხვავებული ხარისხის ან რაოდენობის ნივთი. ამგვარ გარემოებათა არსებობა მოვალეს კრედიტორის მიმართ, ფასის შემცირების, წუნდებული ნივთის ახლით შეცვლის ან ხელშეკრულებიდან გასვლისა და ზიანის ანაზღაურების მეორად სახელშეკრულებო მოთხოვნებს წარმოუშობს, თუმცა მტკიცების ტვირთის განაწილების ფარგლებში სწორედ მოვალის მტკიცების საგანში შეძვალ გარემოებას წარმოადგენს საპასუხო შესრულებისგან გათავისუფლების საფუძვლიანობის დადასტურება (იხ. სუსგ №ას-883-2021, 9.12.2021წ.).

31. მოცემულ შემთხვევაში მეორე კასატორის მტკიცების (იხ. წინამდებარე განჩინების 27.3 ქვეპუნქტი) გაზიარების შემთხვევაშიც და იმ დაშვებითაც, რომ ქარხანა დამონტაჟებისთანავე დაიშალა და 2016 წლის 24 თებერვლის მიღება-ჩაბარების აქტში დაფიქსირდა, რომ გამყიდველმა იკისრა ვალდებულება, აენაზღაურებინა პირველადი სამსხვრევის გარემონტებაზე დახარჯული თანხა, რომელსაც გაარემონტებენ რუსთაველი ოსტატები, კონტექსტისაგან ამოგლეჯილად ვერ შეფასდება დასახელებული აქტის ცალკეული წინადადება, რადგან: 1) აქტის მიხედვით გამყიდველმა იკისრა ერთწლიანი საგარანტიო ვალდებულება, რაც სსკ-ის 496-ე მუხლის საფუძველზე წესრიგდება „თუ გამყიდველი ნივთის ვარგისიანობის ვადას განსაზღვრავს, მაშინ ივარაუდება, რომ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მყიდველს აძლევს მოთხოვნის უფლებას“; 2) საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკი-

ცებულება, რომ „რუსთაველმა“ ან სხვა ოსტატებმა გაარემონტეს ქარხანა. სადავო არ არის, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია 2016 წლის 24 თებერვალს, განსაზღვრულია ე.წ. ერთწლიანი საგარანტიო ვადა-2017 წლის 24 თებერვლის ჩათვლით, შეგებებული სარჩელი კი სსკ-ის 496-ე მუხლით განსაზღვრული ვადის გაშვებით – 2018 წლის 24 ოქტომბერს არის აღძრული, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სახელშეკრულებო მოთხოვნის არაჯეროვნად შესრულების გამო, გამყიდველის მიერ სასარჩელო მოთხოვნა იქნა აღძრული მყიდველი საწარმოს წინააღმდეგ, თანაც იმ პირობებში, როდესაც ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ 2016 წლის 27 თებერვლიდან ყოველ სამუშაო დღეზე ფულად ზიანს განიცდის მანამ, სანამ ხელშეკრულების შესაბამისი წარმადობის ქარხანას არ დაუმონტაჟებს გამყიდველი (იხ. წინამდებარე განჩინების – 10.2.2 და 10.3.4 ქვეპუნქტები).

32. მეორე კასატორის პრეტენზიის ფარგლებში საკასაციო სასამართლო წინამდებარე განჩინების 30.5-30.6 ქვეპუნქტებში მითითებული სამართლებრივი მსჯელობისა და შეფასების გარდა, ასევე მოიხმობს მისსავე განმარტებას იმის შესახებ, რომ ნაკლიანი (არაჯეროვანი) შესრულება არ წარმოშობს ხელშეკრულების სრული თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლებას, ასევე, თავის მხრივ, ნივთობრივი ნაკლის არსებობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების წინაპირობას არ წარმოშობს, რამდენადაც სსკ-ის 490-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში. ამავე კოდექსის 491-ე მუხლის მიხედვით, მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა. ასეთ შემთხვევაში, გამყიდველმა უნდა აუნაზღაუროს მყიდველს გაწეული დანახარჯები. სსკ-ის კოდექსის 492-ე მუხლის თანახმად, თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი (იხ. სუსგ-ები: №ას-596-2020, 29.10.2020წ; №ას-1371-2021. 18.02.2022წ; №ას-1499-2020, 29.04.2022წ.). ამდენად, მეორე კასატორის შედეგება არ იქნა გაზიარებული;

33. საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს მეორე კასატორის საკასაციო საჩივარს თავდაპირველი სარჩელის მოპასუხეთაგან რ. მძის, როგორც გამყიდველი საწარმოს წინაშე სოლიდარული თავდების,

პასუხისმგებლობის გამორიცხვის შესახებ. სსკ-ის 891-ე მუხლის შესაბამისად, „1. თავდებობის ხელშეკრულებით თავდები კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად. 2. თავდებობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე სამომავლო და პირობითი ვალდებულებებისათვის“, 892.1 მუხლის მიხედვით „თავდებობის ნამდვილობისათვის საჭიროა თავდების წერილობითი განცხადება და თვით თავდებობის დოკუმენტში (ხელშეკრულებაში) თავდების პასუხისმგებლობის რაოდენობრივად განსაზღვრული მაქსიმალური თანხის მითითება“, 893-ე მუხლის თანახმად „თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა. გარიგებით, რომელსაც ძირითადი მოვალე დადებს თავდებობის აღების შემდეგ, თავდების ვალდებულება არ გაიზრდება და ამ გარიგებით წარმოშობილ ურთიერთობებზე არ გავრცელდება“. სსკ-ის 895-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშუალოდ იქნა გართილებული, ანდა მისი გადახდის უუნარობა აშკარაა“.

33.1. სსკ-ის 892.1 მუხლის საფუძველზე საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ნორმის დეფინიციიდან გამომდინარე, თავდებობის ნამდვილობისათვის სავალდებულოა თავდებობის დოკუმენტში (წერილობით ხელშეკრულებაში, რადგან თავდებობა ფორმასავალდებულო გარიგებაა) თავდების პასუხისმგებლობის ზღვრული ოდენობის განსაზღვრა, შესაბამისად, დამოუკიდებლად წერილობითი განცხადების არსებობა, იმის თაობაზე, რომ პირი მზად არის თავდები გახდეს, სავალდებულო არ არის, რაც სავსებით მართებულად აქვს მითითებული სააპელაციო სასამართლოს საკასაციო სასამართლოს პრაქტიკაზე (იხ. სუსგ №3კ-432-02, 7.06.2022წ.) დაყრდნობით. მოცემულ შემთხვევაში, გარდა იმისა, რომ თავდაპირველი მოსარჩელის (გამყიდველის საწარმოს) მიერ აღძრულ სარჩელს მოპასუხე არა კვალიფიციურად შეედავა და რ. მ-ის თავდებობასთან მიმართებით სადავოდ არაფერი გაუხდია (იხ. წინამდებარე განჩინების 30.1 ქვეპუნქტი), ამ მიმართებით საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმაზეც, რომ თავდები პირის დაცვით მექანიზმს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გარდა, პირდაპირ ადგენს მატერიალური კანონმდებლობა, როდესაც სსკ-ის 899-ე მუხლით განსაზღვრავს თავდების უფლებას შესაგებელზე „1. თავდებს შეუძლია წამოაყენოს ძირითადი მოვალის კუთვნილი შესაგებლები. თუ ძირითადი მოვალე გარდაიცვლება, თავდებს არ შეუძლია მიუთითოს მემკვიდრის შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე. 2. თავდები არ კარგავს

შესაგებლის უფლებას იმის გამო, რომ ძირითადად მოვალემ უარი თქვა მასზე“ (იხ. სუსგ №ას513-490-2016, 21.10.2016წ.).

33.2. მოცემულ შემთხვევაში წერილობით არის გამოვლენილი ნება თავდები პირის მიერ, რომ ის პასუხისმგებელია ძირითადი მოვალის ვალდებულებაზე 224 000 აშშ დოლარის ფარგლებში (თავდების პასუხისმგებლობის ზღვრული ოდენობა), აღსანიშნავია, რომ მხარეებმა მკაფიოდ გამოავლინეს ნება და ხელშეკრულების იმ ნაწილში, რომელიც მათივე შეთანხმებით სახელდებულია შემდეგნაირად: „სამართალი“, წერილობით დააფიქსირეს, რომ შპს „ი-ი“-ს პარტნიორები და რ. მ-ძე კრედიტორის წინაშე წარმოშობილ ვალდებულებებზე პასუხისმგებელნი არიან, როგორც სოლიდარული თავდებები, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავებს განიხილავს საქართველოში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლო. მითითებულია ხელშეკრულების ფასი, რომელიც იმავდროულად თავდების პასუხისმგებლობის ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს და ხელშეკრულება დასრულებულია ხელმოწერებით;

33.3. საკასაციო სასამართლო სსკ-ის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილზე „გარიგების წერილობითი ფორმით არსებობისას საკმარისია გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერა“ მითითებით განმარტავს, რომ „ზოგადი წესის თანახმად, წერილობითი გარიგების ნამდვილობა და მისთვის ორმხრივად/მრავალმხრივად მავალდებულებელი ძალის მინიჭება დასტურდება მხარეთა ხელმოწერით (იხ. სსკ-ის 69.3 მუხლი), წინააღმდეგ შემთხვევაში, მიიჩნევა, რომ დოკუმენტში გამოვლენილი ნება არ წარმოადგენს გარიგების არსებითი პირობების თაობაზე მიღწეული შეთანხმების საგანს“ (იხ. სუსგ №ას-839-805-2016, 06.03.2017წ.). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხელმოწერას ე.წ. დოკუმენტის დასრულების ფუნქცია აქვს, რაც იმას გულისხმობს, რომ ხელის მომწერი ხელმოწერით ასრულებს თავის ნების გამოვლენას და შინაარსობრივად ადასტურებს მას (შეად. სუსგ-ას №ას-19287-2018, 5.07.2019წ.).

33.4. ამდენად სოლიდარული თავდებობის ნაწილშიც უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ოღონდ არა იმ დასაბუთებით, როგორც ეს სააპელაციო სასამართლოს აქვს დასაბუთებული, რომ „... თავდებისთვის მოთხოვნილი თანხა არ აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ოდენობას... ასევე, საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების მონაწილე სანარმო უცხოურ სანარმოს წარმოადგენს, რომლისთვისაც ხელშეკრულების ფარგლებში თავდებობის გაცხადება აღქმულია კანონით განსაზღვრული ფორმის დაცვით პასუხისმგებლობის კისრებად (იხ. წინამდებარე განჩინების 11.27.2 ქვეპუნქტი, ასევე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების 38-ე პუნქტი), არამედ წინამდებარე განჩინების 33.1-33.2 ქვეპუნქტებში ასახული ფაქტობრივ-სამართლებრივი მოტივაციით. აქვე უნდა აღინიშნოს ის გარემო-

ბაც, რომ თურქეთის ვალდებულებითი სამართალი ქართული ნორმების ანალოგიურად აწესრიგებს თავდებობის საკითხს (583-ე და მორიგი მუხლები – Revised Rules of Turkish Code of Obligations on Formal Requirements of Contract of Surety ; < <https://dergipark.org.tr/tr/download/article-file/853216>>)

34. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში განმარტავს, რომ მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა და მხარის მიერ სარჩელის დამფუძნებელ ნორმად კანონის ამა თუ იმ დანაწესის მითითება არ არის გადაწყვეტილების მიღების პროცესში სასამართლოსათვის ხელისშემშლელი, ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს სამართალში დამკვიდრებული პრინციპიდან: „jura novit curia“ (სასამართლომ იცის კანონი). მოთხოვნის საფუძვლის (საფუძვლების) ძიებისას, სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. სასამართლომ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ინდივიდუალურად და მტკიცებულებათა ერთობლივად შეფასების გზით, უნდა გაარკვიოს, თუ საიდან გამომდინარეობს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეთანხმებებიდან თუ სხვა ვალდებულებითი ურთიერთობებიდან. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო საჩივრების არსებითად განხილვის შედეგად, არ დაკმაყოფილდა საკასაციო მოთხოვნები და უცვლელად დარჩა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 264-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. შპს „ი-ის“ და შპს „ო.მ.ი.მ.ს.თ-ის“ საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს;

2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ჩუქება

გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-638-2023

23 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: გ. მიქაუტაძე (თავმჯდომარე),
რ. ნადარაია (მომხსენებელი),
თ. ზამბახიძე

დავის საგანი: ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ფ. ა-ვამ (შემდეგში მოსარჩელე) სარჩელი აღძრა რუსთავის საქალაქო სასამართლოში გ. ა-ვას (შემდეგში მოპასუხე, კასატორი) მიმართ და მოითხოვა მხარეთა შორის 2019 წლის 14 თებერვალს უძრავ ქონებაზე, მდებარე, გარდაბნის რაიონი, სოფელი ... (ს/კ ...) დადებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება და უძრავი ნივთის ფ. ა-ვას საკუთრებაში დაბრუნება.

1.1. მოპასუხემ წერილობით წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

2. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით ფ. ა-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

3. პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

3.1. გ. ა-ვასა და ფ. ა-ვას შორის 2019 წლის 14 თებერვალს დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე უძრავი ქონების, მდებარე: გარდაბნის რაიონი სოფელი ... (კოდი ...), მესაკუთრედ რეგისტრირებულია ფ. ა-ვა;

3.2. ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდგომ ფ. ა-ვას მატერიალური მდგომარეობა გაუარესებული არ არის.

4. რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელემ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული

გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 21 მარტის გადაწყვეტილებით ფ. ა-ვას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ფ. ა-ვას სარჩელი დაკმაყოფილდა. ბათილად იქნა ცნობილი ტ. ა-ვასა და ფ. ა-ვას შორის 2019 წლის 14 თებერვალს დადებული უძრავი ქონების, მდებარე: გარდაბნის რაიონი, სოფელი ... (ს/კ...) ჩუქების ხელშეკრულება და აღნიშნული უძრავი ქონება აღირიცხა ფ. ა-ვას სახელზე საკუთრების უფლებით საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

6. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების ფაქტობრივი დასაბუთება:

6.1. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ აპელანტს პენსიის გარდა სხვა შემოსავალი არ გააჩნია.

6.2. პალატის მითითებით, მხარეთა შორის სადავოდ არ გამხდარა ის ფაქტი, რომ უძრავი ქონების გაჩუქების შემდგომ მოსარჩელის საკუთრებაში უძრავი ქონება აღარ ირიცხება.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება:

6.3. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პენსიის გარდა სხვა შემოსავლის არქონა, ასევე ის გარემოება, რომ მოსარჩელის სახელზე უძრავი ქონება არ ირიცხება, ადასტურებს სადავო ნივთის გაჩუქების შემდეგ აპელანტის ეკონომიური მდგომარეობის არსებითად გაუარესებას, გაჩუქებამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით.

6.4. სასამართლომ გაიზიარა მოსარჩელის ახსნა-განმარტება, რომ ის ძირითადად დაკავებული იყო სოფლის საოჯახო მეურნეობით და მხარეებს შორის დავის წარმოშობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ დასაჩუქრებულმა მოსარჩელეს აუკრძალა მიწის დამუშავება და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოყვანა. მიწის ნაკვეთით სარგებლობის აკრძალვამ კი მისი მძიმე მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესა.

6.5. პალატამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ არსებობდა აღნიშნული მუხლის დისპოზიციით გათვალისწინებული წინაპირობები, შესაბამისად, არსებობდა მხარეთა შორის 2019 წლის 14 თებერვალს გაფორმებული უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და ქონების უკან დაბრუნების საფუძველი.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-

ლატის 2023 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

8. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 03 ივლისის განჩინებით სსსკ-ის 396-ე მუხლის საფუძველზე საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებობის შესამოწმებლად. ამავე სასამართლოს 2024 წლის 15 თებერვლის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

9. საკასაციო საჩივრის მოთხოვნის ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

9.1. კასატორის მითითებით, სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების არასწორი შეფასებითა და რიგი გარემოებების იგნორირებით მიიჩნია, რომ აპელანტის ეკონომიური მდგომარეობა არსებითად გაუარესდა. სადავო მინის ნაკვეთით სარგებლობის შეზღუდვა მიუთითებს არა მოსარჩელის მძიმე მატერიალურ მდგომარეობაზე, არამედ ფაქტზე, რომ მას შემოსავალი შეუმცირდა.

9.2. მოსარჩელემ ვერ შეძლო მისი მტკიცების საგანში შემაჯავლი გარემოების, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნის დადასტურება, რაც გამორიცხავდა სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

სამოტივაციო ნაწილი:

10. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასაბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

11. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასა-

მართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

12. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადანაცვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს, იმ საკითხის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, საქმის განხილველმა სასამართლომ პირველყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი (მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა). მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შემოაწმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამონმებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წინამძღვარს. ამის შემდეგ მოწმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წინამძღვრებს (პროცესუალური და მატერიალური თვალსაზრისით).

13. „სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი სამართლებრივი ნორმის მისადაგება სასამართლოს პრეროგატივაა, ამ შემთხვევაში მთავარია სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებების შესატყვისი მტკიცებულებებით გამყარება, რაც მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მიუთითებლობის შემთხვევაშიც ან არასწორად მითითების დროსაც კი, მოწინააღმდეგის პოზიციისა და საქმეზე მტკიცებულებათა ერთობლიობით გაანალიზებისა და შეჯერების შედეგად, სასამართლოს კვლევისა და იურიდიული შეფასების საგანია (იხ. სუსგ – №ას-493-473-2016, 14.12.2016წ.).

14. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, რომლის გაუქმების საფუძველად მოსარჩელე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში სსკ-ი) 526-ე მუხლზე მიუთითებს (პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ

პირებს). საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებაზე, რომ მხოლოდ სსკ-ის 526-ე მუხლი არ შეიძლება იყოს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, რადგან დასახელებული ნორმა ჩუქების დაუშვებლობის წინაპირობას ადგენს და საარსებო წყაროს მოსპობის საფრთხის კონტექსტში, როგორც მჩუქებელს, ისე, მის კმაყოფაზე არსებულ პირებს უდგენს მოთხოვნის წარდგენის კანონით გათვალისწინებულ წანამძღვარს. მოცემულ საქმეში მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ ჩუქების შემდეგ გამჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, ქმნის სსკ-ის 530-ე მუხლის პირველი ნაწილის (თუ ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი, თუ ეს უკანასკნელი რეალურად არსებობს და დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში) საფუძველზე მოთხოვნის საფუძვლიანობის კვლევის წინაპირობას.

15. მითითებული მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როცა ჩუქების გაუქმება გამოწვეულია მჩუქებლის მძიმე მატერიალური მდგომარეობით. დასაჩუქრებულის ბრალი ამ დროს გამორიცხულია. მჩუქებელს ხელშეკრულების დადების დროს არავითარი მატერიალური ხასიათის პრობლემა არ აქვს. იგი ნებაყოფლობით გადასცემს სხვა პირს ქონებას საკუთრებაში, თუმცა გაჩუქების შემდეგ თუკი მჩუქებელი აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, რომ არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს, დასაჩუქრებულს გაჩუქებული ნივთის დაბრუნება მოსთხოვოს. იგულისხმება, რომ საჩუქრის უკან მოთხოვნის უფლება მჩუქებელს გააჩნია იმ დროის განმავლობაში, ვიდრე გაჩუქებული ნივთი რეალურად არსებობს დასაჩუქრებულის მფლობელობაში. გარდა აღნიშნულისა, მჩუქებელს ეს უფლება მხოლოდ მაშინ წარმოეშობა, თუ საჩუქრის დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. გარდა ამისა, გამჩუქებელს უფლება არ აქვს, დასაჩუქრებულს მოსთხოვოს ნაჩუქარი ნივთის დაბრუნება, თუ ასეთი მოთხოვნის საფუძველი მან ხელოვნურად შექმნა, კერძოდ, თუ მძიმე მდგომარეობა, რომელშიც იგი აღმოჩნდა, გამოწვეულია მისი განზრახი მოქმედებით, ან უხეში გაუფრთხილებლობით. მძიმე მდგომარეობის ხარისხი, რამაც სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება შეცვალოს ჩუქებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის მიზნარსი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს (იხ. სუსგ საქმე №ას-1067-1006-2015, 29 დეკემბერი, 2015 წელი; №ას-1333-2019, 27 ნოემბერი, 2019 წელი).

16. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სა-

მოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

17. პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მტკიცების ტვირთის სწორი განაწილება მოდავე მხარეებს შორის.

18. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრვენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩელი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

19. მტკიცების ტვირთზე მითითებას აკეთებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოე-

ბები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება.

20. მტკიცების ტვირთისაგან უნდა გავმიჯნოთ ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატური მოვალეობა. მხარეები სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად, სრულიად თავისუფალნი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყევტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას.

21. მოსარჩელის ძირითადი პრეტენზია, როგორც უკვე აღინიშნა, შეეხებოდა იმ გარემოებას, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მას შეეზღუდა ჩუქების ხელშეკრულების საგნით სარგებლობა და გაუარესდა მისი მდგომარეობა. მოსარჩელე აგრეთვე მიუთითებდა, რომ მისი შემოსავლის ერთადერთ წყაროდ დარჩა პენსია.

22. საკასაციო სასამართლო, არ იზიარებს მოსარჩელის მითითებას, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებით, ის იმდენად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძვლებია სახეზე. პალატა პირველ რიგში აღნიშნავს, რომ ბუნებრივია, ჩუქების ხელშეკრულების არსიდან და პირობებიდან გამომდინარე, გაჩუქებული ქონება გადის გამჩუქებლის საკუთრებიდან და გადადის დასაჩუქრებულის საკუთრებაში, რითაც გამჩუქებლის ქონებრივი მდგომარეობა მცირდება და დასაჩუქრებულისა იზრდება, სწორედ აღნიშნული გარემოებაა ჩუქების ხელშეკრულების ერთ-ერთი ყველაზე სპეციფიკური ნაწილი, ვინაიდან, ჩუქების ხელშეკრულება არ არის ორმხრივმავალდებულებელი გარიგება და დაფუძნებულია არა მხოლოდ სამართლებრივ, არამედ ზნეობრივ დამოკიდებულებებზეც. პალატა ყურადღებას ამახვილებს ასევე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე იმის შესახებ, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულების დადების დროს მოსარჩელეს სხვა უძრავი ქონებაც გააჩნდა, რომელიც ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან 1 თვის შემდეგ სრულად გაასხვისა შვილიშვილზე. რაც შეეხება მისი შემოსავლის წყაროდ მხოლოდ პენსიაზე მიითითებას, ასევე დადგენილია, რომ მოსარჩელე ჩუქების ხელშეკრულების გაფორმებამდეც იყო პენსიონერი და ამასთან, იგი არასდროს ყოფი-

ლა დასაქმებული შრომის ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისად, მისთვის ცნობილი იყო გაჩუქების შემდგომი შედეგების შესახებ, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც, როგორც უკვე აღინიშნა, მოცემულ საქმეში სადავო ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაასხვისა სხვა უძრავი ქონება. ნიშანდობლივია ასევე ის, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება მოსავლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი წარმოადგენდეს მოსარჩელის და მისი ოჯახის წევრების ერთადერთი საარსებო წყაროს და მისი მოსპობით მოსარჩელის ფინანსური მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა. მოსარჩელის ინიციატივით დაკითხული მოწმეების ჩვენებებიდან არ დგინდება, რომ მოსარჩელეს სჭირდება დახმარება. მის კმაყოფაზე მყოფი პირების შესახებ მოსარჩელეს არ მიუთითებია, ხოლო მოწმეთა ჩვენებები ადასტურებს იმას, რომ მოსარჩელე ცხოვრობს შვილიშვილებთან ერთად, მისი შვილი გ. ა-ა სისტემატიურად მუშაობს თურქეთში, საიდანაც ფინანსურად ეხმარება ოჯახს.

23. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სსკ-ის 530-ე მუხლის მე-2 ნაწილზეც, რომლის თანახმად, გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში. პალატის მოსაზრებით, მართალია, საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის სსკ-ის 530-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით მძიმე მდგომარეობაში ყოფნის ფაქტი, თუმცა, მოსარჩელის მიერ აღნიშნული გარემოების დადასტურების შემთხვევაშიც, განსახილველი სარჩელის საფუძვლიანობას გამორიცხავს ის გარემოება, რომ სადავო ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ მოსარჩელემ მის საკუთრებაში არსებული სხვა უძრავი ნივთიც გაასხვისა, რაც შეიძლება მისი მხრიდან განზრახ ან უხეშ გაუფრთხილებლობად ჩაითვალოს.

24. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სადავო ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მისი ფინანსური მდგომარეობის იმდენად შეცვლა, რომ იგი აღმოჩნდა მძიმე მდგომარეობაში და არ შეუძლია როგორც მისი, ასევე მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. შესაბამისად, მოსარჩელემ მისი მტკიცების ტვირთის ფარგლებში ვერ შეძლო სასარჩელო მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმით დადგენილი იმ მნიშვნელოვანი ფაქტობრივი ელემენტის დადასტურება, რაც მისი მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოშობდა.

25. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვებილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო

სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არ არის მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე, კერძოდ, პალატას მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოსარჩელეს უარი ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

26. ვინაიდან, განსახილველ შემთხვევაში სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული იყო სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიება, ხოლო, სარჩელი უსაფუძვლობის გამო არ დაკმაყოფილდა, უნდა გაუქმდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 23 ივლისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ტ. ა-ვას აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე გარდაბნის რაიონი, სოფ. ... (ს/კ...) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.

27. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავდროულად, მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

28. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით მოპასუხის მიერ გაწეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, გადახდება მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. განსახილველ შემთხვევაში, რამდენადაც მოპასუხის მიერ სახელმწიფო ბაჟი გადახდილია საკასაციო ინსტანციის სასამართლოში და, ამასთან, მისი საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მოსარჩელეს, მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1500 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

ლაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 411-ე მუხლებით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ტ. ა-ვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 21 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ფ. ა-ვას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. გაუქმდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 23 ივლისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ტ. ა-ვას აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე გარდაბნის რაიონი, სოფ. ... (ს/კ) გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.
5. ფ. ა-ვას (...) ტ. ა-ვას (...) სასარგებლოდ დაეკისროს 1500 ლარის გადახდა, ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო ინსტანციის სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება

3. ნარდობა

საგარანტიო ვადა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1032-2024

4 დეკემბერი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: გ. უბილავა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: საგარანტიო მომსახურების განევა, პირგასამტეხ-
ლოს დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქ-
ვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსა-
ხურმა (შემდგომში – „მოსარჩელე“, „შემკვეთი“, „მეორე კასატორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „მ-სის“ (შემდგომში – „მოპასუხე“, „მენარდე“, „პირველი კასატორი“) მიმართ, საგარანტიო მომსახურების განევისა და პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე.

2. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლე-
გიის 2023 წლის 16 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყო-
ფილდა ნაწილობრივ. მოპასუხეს № 133 სახელმწიფო შესყიდვების შე-
სახებ ხელშეკრულების საფუძველზე, საგარანტიო პირობების ფარ-
გლებში, დაევალა საქართველოს შსს სამინისტროს საგანგებო სიტუა-
ციების მართვის სამსახურის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის მარ-
კა/მოდელი „შკოდა ოქტავია“, სახელმწიფო ნომრით „...“, დაზიანებუ-
ლი ძრავის ახლით ჩანაცვლება; ამასთან, მოპასუხეს მოსარჩელის სა-
სარგებლოდ ხელშეკრულების 9.3 მუხლის საფუძველზე, 2021 წლის 16
მარტიდან, ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისთვის დაეკის-
რა პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე 10.5
ლარი გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

4. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ორივე მხარემ წა-
რადგინა სააპელაციო საჩივარი.

5. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პა-

ლატის 2024 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილებით მოსარჩელის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ. შეიცვალა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი (პირგასამტეხლოს დაკისრების ნაწილში) და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა პირგასამტეხლოს – 105 ლარის გადახდა.

6. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

6.1. 2020 წლის 20 თებერვალს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო № 133 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება (შემდგომში – „ხელშეკრულება“). ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა მოსარჩელის ბალანსზე რიცხული „შკოდას“ მარკის ავტომობილების ხელშეკრულებით განსაზღვრული ტექნიკური მომსახურება, პრეისკურანტით გათვალისწინებული სათადარიგო ნაწილების/საცხებ-საპოხი მასალების გამოყენებით. აღნიშნული პრეისკურანტი წარმოადგენდა ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 70 000 ლარს;

6.2. ხელშეკრულების 2.5 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულება ძალაში იყო 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით, მაგრამ არანაკლებ მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებამდე;

6.3. ხელშეკრულების 4.2 პუნქტის თანახმად, ექსპლუატაციის პირობების დაცვის შემთხვევაში (თუ არ აღინიშნება გარეგანი მექანიკური ზემოქმედებით გამოწვეული დაზიანება), მიმწოდებლის მიერ განეულ ტექ-მომსახურებაზე, ახალ (არამეორად), შეკეთებულ და მეორად ნაწილებზე საგარანტიო ვადა შეადგენს არანაკლებ 1 წელს (თუ პრეისკურანტში არ არის მითითებული განსხვავებული საგარანტიო პირობა (ვადა/გარბენი));

6.4. ხელშეკრულების 4.3 პუნქტით, საგარანტიო პერიოდში ავტომანქანის სათადარიგო ნაწილზე/განეულ მომსახურებაზე დეფექტის/ნაკლის/წუნის/ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში, ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და ასევე მისი მოქმედების დასრულების შემდგომ, მიმწოდებელი ვალდებული იყო, შეტყობინების მიღებისთანავე გონივრულ ვადებში (მაგრამ არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა), ნაკლის/წუნის გამოსწორების მიზნით, შეეცვალა იგი ახალი სათადარიგო ნაწილით, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯის განევის გარეშე. ხოლო, საგარანტიო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე მიმწოდებლის მხრიდან უარის თქმის შემთხვევა-

ში, შემსყიდველი უფლებამოსილი იყო, მიმწოდებლისთვის დაევალებინა ავტოტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება აკრედიტებულ საექსპერტო დაწესებულებაში – სათადარიგო ნაწილის/განუვლი მომსახურების ხარისხის/ვარგისიანობის/დაზიანების გამომწვევი მიზეზის დასადგენად, შემსყიდველის მხრიდან დამატებითი დანახარჯების განუვლის გარეშე. მიმწოდებლის მხრიდან საგარანტიო პირობებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილი იყო, მოეთხოვა მიმწოდებლისგან შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება;

6.5. ხელშეკრულების 9.2 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების (გარდა შესრულების ვადის დარღვევისა) შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრებოდა ჯარიმის გადახდა, ყოველ ჯერზე ხელშეკრულების ღირებულების 0,15%-ის ოდენობით;

6.6. ხელშეკრულების 9.3 პუნქტის მიხედვით, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის, მათ შორის, ხარვეზის აღმოფხვრის ან/და ნაკლის გამოსწორებისათვის განსაზღვრული ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილი იყო, მიმწოდებლისთვის დაეკისრებინა პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,15%-ის ოდენობით;

6.7. საქმეში ნარდგენილი პრეისკურანტის მიხედვით, რომელიც ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია, ანტიფრიზის საგარანტიო ვადა/პირობა არის 50 000 კმ;

6.8. შემკვეთის 2020 წლის 21 ივლისის MIA 6 20... წერილით ირკვევა, რომ სამსახურის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა (მარკა/მოდელი – „შკოდა ოქტავია“, სახელმწიფო ნომრით „...“), ძრავის დაზიანების გამო, საჭიროებდა შეკეთებას;

6.9. 2020 წლის 6 აგვისტოს დეფექტური აქტის თანახმად, ავტომანქანის ძრავი საჭიროებდა შეცვლას კომპლექტში, რაც განხორციელდა კიდეც 2020 წლის 11 აგვისტოს;

6.10. შესრულებული სამუშაოს 2020 წლის 11 აგვისტოს აქტში მითითებულია: „ძრავი (კომპლექტში) (მეორადი)“;

6.11. შემკვეთის 2020 წლის 2 ოქტომბრის პატაკით ირკვევა, რომ ავტომანქანა (მარკა/მოდელი – „შკოდა ოქტავია“, სახელმწიფო ნომრით – „...“), გარბენით – 342 088 (ძრავის შეცვლიდან გავლილი აქვს 1 000 კმ), საჭიროებდა შემონმება-შეკეთებას, ძრავის ზეთის და ფილტრის შეცვლას;

6.12. მენარდის 2020 წლის 2 ოქტომბრის ინვოისით, დეფექტური აქტითა და შესრულებული სამუშაოს აქტით დასტურდება, რომ ავტო-

მანქანას ჩაუტარდა სერვისცენტრში დათვალიერება, აღმოაჩნდა დაზიანებები და მოხდა მათი შეკეთება;

6.13. მენარდის 2021 წლის 12 მარტის წერილით ირკვევა, რომ 2021 წლის 11 თებერვალს ავტომანქანა (მარკა/მოდელი „შკოდა ოქტავია“), სახელმწიფო ნომრით „...“, 2020 წლის 20 თებერვლის ხელშეკრულების ფარგლებში, მიიყვანეს შპს „მ-ის“ სერვისცენტრში, ვინაიდან ძრავს ისევ შეექმნა პრობლემები, იმატებდა საჭიროზე ბევრად მეტ ზეთს და ჰქონდა არასწორი ნვა;

6.14. შპს „მ-ის“ სერვისცენტრში დადასტურდა ძრავის დაზიანება, შედგა დეფექტური აქტი და შესაბამისი ინვოისი. სამსახურმა მიმართა მენარდეს საგარანტიო ვადაში ძრავის შეცვლის მოთხოვნით, თუმცა მიიღო უარი;

6.15. უარის თქმის საფუძველად დეფექტურ აქტში მითითებულია, რომ: აღნიშნულ ავტომობილს 2020 წლის 8 აგვისტოს შეეცვალა ძრავი, რის შემდეგაც მოხდა ზეთის შეცვლა 2020 წლის 2 ოქტომბერს, გარბენზე 342 111. ზეთი უნდა შეცვლილიყო 8 000 კმ-ის გავლის შემდეგ, თუმცა ვინაიდან მოხდა გადაცილება, მენარდე იხსნის საგარანტიო ვალდებულებას. 2021 წლის 10 მარტის მონაცემებით ავტომობილს უფიქსირდება გარბენი 354 819 კმ. იგივე დასაბუთება არის მითითებული მენარდის 2021 წლის 27 მარტის წერილშიც;

6.16. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ 2021 წლის 1 ივლისს მოამზადა №004563721 დასკვნა, შემდეგ შეკითხვებზე: რამ გამოიწვია ავტომანქანის (მარკა/მოდელი „შკოდა ოქტავია“, სახელმწიფო ნომრით „...“) ძრავის დაზიანება; არის თუ არა აღნიშნული დაზიანება არასწორი ექსპლუატაციის შედეგი და შეეძლო თუ არა მძღოლს მისი თავიდან აცილება;

6.17. ზემოაღნიშნული ექსპერტის დასკვნის თანახმად, „ძრავის ავტომობილიდან დემონტაჟისა და განკომპლექტების შედეგად დადგინდა, რომ დაზიანებულია ძრავის ბლოკისა და თავაკს შორის შუასადები, განსაკუთრებით მე-2 და მე-3 ცილინდრის მიდამოში, სადაც აღენიშნება გამაგრებელი სისტემის მაგისტრალებიდან სითხის წვის კამერაში გადადინების კვლები; ასევე აღნიშნული ცილინდრების გამშვებ სარქველებზე აღენიშნება მოთეთრო ფერის ნადები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს წვის კამერაში გამაგრებელი სისტემიდან სითხის მოხვედრას. აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავტომობილის ძრავის გამაგრებელი სისტემის მაგისტრალეში მოჭარბებული რაოდენობით აღნიშნება კოროზიის მაგვარი ნადები, რაც იმას მიუთითებს, რომ ნაცვლად გამაგრებელი სითხისა, ექსპლუატაცია ხდებოდა წყალზე, რამაც უზრუნველყო აღნიშნული ნადების წარმოქმნა. ძრავის გაგრძელების სისტემა დროის ხანგრძლივ პერიოდში მუშაობდა წყალზე, რა-

მაც ვერ უზრუნველყო სათანადოდ ძრავის გაგრილება, დააზიანა შუასადები, რამაც თავისთავად გამოიწვია გამაგრილებელი სითხის მაგისტრალებიდან წყლის წვის კამერაში მოხვედრა, მწყობრიდან გამოიყვანა ძრავი, ხოლო ექსპერტიზის დამნიშნავის მიერ განცხადებაში ძრავის გაუმართავად მუშაობასთან დაკავშირებული აღწერილი ხარვეზები წარმოადგენს ძრავში განვითარებული დაზიანებების შედეგს. ტექნიკური თვალსაზრისით, ძრავის დაზიანება გამოწვეულია არასწორი ექსპლუატაციის შედეგად“.

7. სააპელაციო სასამართლოს მითითებით მენარდეს გააჩნია სადავო ავტომობილის ძრავის შეცვლის ვალდებულება.

8. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საგარანტიო ვადის დაწესება არ წარმოადგენს ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებით პირობას, მხარეთა შორის გარიგება შეიძლება დაიდოს აღნიშნული ვალდებულების გარეშეც, თუმცა საგარანტიო ვადის დაწესება, საბოლოო ჯამში, ემსახურება შემკვეთის ინტერესს, ეფექტურად, გარანტირებულად გამოიყენოს ნაკლიანი შესრულებით წარმოშობილი მეორადი მოთხოვნის უფლებები მენარდის მიმართ. სწორედ არაძირითად ვალდებულებათა კატეგორიას მიეკუთვნება საგარანტიო ვალდებულებაც, რომელიც გულისხმობს მენარდის მიერ შესრულებულ სამუშაოთა უნაკლოობაზე დროის გარკვეულ პერიოდში პასუხისმგებლობის აღებას.

9. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მტკიცების ტვირთზე და განმარტა, რომ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ნაკლიანი შესრულების დადასტურების ტვირთი შემკვეთს აკისრია (იხ. სუსგ №ას-1324-2019, 12 მარტი 2021 წელი; №ას-58-2020, 11 მარტი 2020 წელი), თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ შემკვეთის მიერ მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის საფუძვლიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარმოდგენა, მტკიცების ტვირთს აბრუნებს მენარდის მხარეს, რომელმაც უნდა დაადასტუროს, რომ ჯეროვნად შეასრულა სახელშეკრულებო ვალდებულება (იხ. სუსგ №ას-866-2023, 13 ოქტომბერი 2023 წელი).

10. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საგარანტიო ვადის განმავლობაში დაზიანდა მოსარჩელის ბალანსზე რიცხული ავტომანქანის (მარკა/მოდელი – „შკოდა ოქტავია“, სახელმწიფო ნომრით „...“) ძრავი, რომელიც შეკეთდა 2020 წლის 11 აგვისტოს. თუმცა, ძრავის დაზიანების გამო, 2021 წლის 10 მარტს ავტომობილი კვლავ მიიყვანეს მენარდე კომპანიაში. ამ შემთხვევაში კომპანიამ უარი თქვა შემკვეთის სატრანსპორტო საშუალების შეკეთებაზე. მენარდე მიიჩნევს, რომ ავტომობილის შეკეთების წინაპირობა არ არსებობს, რადგან დაზიანება გამოწვეულია მოსარჩელის მიერ ექსპლუატაციის პირობების დარღვევით.

11. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2021 წლის 1 ივლისის №004563721 დასკვნაზე, რომლის თანახმად, ძრავის გაგრილების სისტემა დროის ხანგრძლივ პერიოდში მუშაობდა წყალზე, რამაც ვერ უზრუნველყო სათანადოდ ძრავის გაგრილება, დააზიანა შუასადები, რამაც თავისთავად გამოიწვია გამაგრილებელი სითხის მაგისტრალებიდან წყლის წვის კამერაში მოხვედრა, მწყობრიდან გამოიყვანა ძრავი... ტექნიკური თვალსაზრისით, ძრავის დაზიანება გამოწვეულია არასწორი ექსპლუატაციის შედეგად. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ექსპერტიზის დასკვნა ცალსახად მიუთითებს, რომ ძრავი დაზიანდა გაგრილების სისტემის ხანგრძლივ პერიოდში წყალზე მუშაობის შედეგად. მართალია, ტექნიკური თვალსაზრისით, აღნიშნული შეფასებულია არასწორ ექსპლუატაციად, მაგრამ ექსპლუატაციის პირობების დაუცველობა, რომ შემკვეთს შეერაცხოს ბრალად, ძრავის დაზიანების გამომწვევი მიზეზის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, რით იყო გამოწვეული გაგრილების სისტემაში წყლის მოხვედრა – დასტურდება თუ არა მოსარჩელის ბრალით ისეთი გარემოების შექმნა, რამაც ძრავი დააზიანა. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, საყურადღებოა, საქმეში წარდგენილი პრეისკურანტი (რომელიც ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია), რომლის მიხედვით, ანტიფრიზის საგარანტიო ვადა/ პირობა იყო 50 000 კმ. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მენარდემ განეული მომსახურების შედეგად, ავტომანქანაში ანტიფრიზი ჩაასხა 2020 წლის 11 აგვისტოს, რა დროსაც გარბენი იყო 339 510 კმ, ხოლო შემდეგ – 2020 წლის 2 ოქტომბერს, გარბენზე 342 111 კმ. მესამედ, ავტომანქანა შესაკეთებლად მიიყვანეს 2021 წლის 10 მარტს, გარბენით 354 819 კმ. ამდენად, პირველი შეცვლიდან ავტომანქანის გარბენს არ გადაუჭარბებია პრეისკურანტში მითითებული 50 000 კმ-ისათვის, უფრო მეტიც, ამ დროის განმავლობაში, მოსარჩელემ ორჯერ ჩაასხა ანტიფრიზი, რაც თავისთავად გამორიცხავს მოსარჩელის მხრიდან ავტომობილის დიდი ხნის მანძილზე წყალზე ექსპლუატაციას. ამდენად, ძრავის წყობიდან გამოსვლით, როდესაც ანტიფრიზის საგარანტიო პირობა ჯერ კიდევ მოქმედებდა, მტკიცების ტვირთი გადავიდა მენარდეზე – მას უნდა წარმოედგინა მტკიცებულებები, რომლებიც გამორიცხავდა მოპასუხის მიერ ვალდებულების სათანადოდ შეუსრულებლობას ან მიუთითებდა მოსარჩელის ბრალეულობაზე. ასეთი მტკიცებულებები კი საქმეში წარდგენილი არ არის.

12. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელემ (შემკვეთმა) წარადგინა რელევანტური და სარწმუნო მტკიცებულებები მოპასუხის მხრიდან დამატებითი ვალდებულების შესრულების წინაპირობის

წარმოშობის თაობაზე, ხოლო მოპასუხემ ვერ დაძლია მის მხარეს შებრუნებული მტკიცების ტვირთი – ვერ წარადგინა საწინააღმდეგო გარემოების დამადასტურებელი, საპირწონე მტკიცებულებები. მაშასადამე, მოპასუხეს წარმოეშვა ავტომანქანის (მარკა/მოდელი – „შკოდა ოქტავია“, სახელმწიფო ნომრით „...“) ძრავის შეცვლის ვალდებულება.

13. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში, ნამდვილი და თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად, მხარეებმა თავად გაითვალისწინეს ნაკლის გამოსწორება ახალი სათადარიგო ნაწილით. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით კი, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამდენად, მოპასუხეს მართებულად დაევალა ძრავის ახლით ჩანაცვლება. მხოლოდ ის გარემოება, რომ 2020 წლის აგვისტოში საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური დათანხმდა ავტომობილის ძრავის მეორადი ძრავით შეცვლას, არ გულისხმობს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანას და ყოველ მომდევნო შემთხვევაში მოპასუხის სახელშეკრულებო ვალდებულებისგან გათავისუფლებას. ასეთი ცვლილება/შეთანხმება მხარეთა შორის არ დასტურდება. ამდენად, სასამართლო ხელმძღვანელობს, სწორედ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

14. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ადგილი არ აქვს ხელშეკრულების 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას – საკითხი არ ეხება მოპასუხის მიერ ვალდებულების ვადის გადაცილებით შესრულებას, არამედ სადავოა მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა (თავდაპირველად მენარდე შეეცადა ნაკლის გამოსწორებას, ხოლო მეორედ – კატეგორიულად უარი თქვა შესრულებაზე). ამდენად, შემსრულებელს პირგასამტეხლო უნდა დაეკისროს ხელშეკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული წესით – ხელშეკრულების ღირებულების (70 000 ლარი) 0,15%-ის ოდენობით, რაც 105 ლარს შეადგენს.

15. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ პირგასამტეხლოს ზემოაღნიშნული ოდენობა არ ქმნის სასამართლოს მიერ სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის გამოყენებაზე მსჯელობის საფუძველს.

16. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ.

17. პირველი საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ ძირითად პრეტენზიებს:

17.1. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-3 მუხლის 3.4 პუნქტის მიხედვით, „ავტომანქანის დაზიანებული ნაწილი უნდა შეიცვალოს ახალი/ არამეორადი მაღალი ხარისხის სათადარიგო ნაწილით (გარდა პრეისკურანტით განსაზღვრული და შემსყიდველის მიერ მოთ-

ხოვნილი მეორადი ნაწილებისა). საქმეში არსებული სპეციფიკაციის მიხედვით, დაზიანებული ძრავის შეცვლა შესაძლებელია როგორც ახალი, ასევე, მეორადი ძრავით. აღნიშნულის მიხედვით, განსხვავდება მათი ღირებულება, კერძოდ, ახალი ძრავის ღირებულება 6 091 ლარია, ხოლო მეორადი ძრავის ღირებულება 2 194 ლარი. სააპელაციო პალატა არაფრით ასაბუთებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძვლიანობას დაზიანებული ძრავის ახალი ძრავით შეცვლის აუცილებლობაზე მაშინ, როდესაც მხარეები შეთანხმებული იყვნენ მეორადი ძრავის გამოყენებაზე. ამდენად, გარდა იმისა, რომ არ არსებობდა საგარანტიო მომსახურების განევის ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაშიც კი, არ არსებობდა დაზიანებული ძრავის ახალი ძრავით შეცვლის ვალდებულება (მხარეები შეთანხმებული იყვნენ მეორადი ძრავის შეცვლის თაობაზე, რასაც ადასტურებს თავად მოსარჩელე მხარე). აღნიშნული კი გადაწყვეტილების გასაჩივრებული ნაწილის დაუსაბუთებლობაზე მიაწინებს და მისი გაუქმების საფუძველია;

17.2. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ შემკვეთმა წარადგინა შემსრულებლის მხრიდან ნაკლიანი შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულება, რამაც სააპელაციო პალატის დასაბუთებით, მტკიცების ტვირთი მენარდის მხარეზე შეატრიალა; აღნიშნული ფაქტობრივი გარემოება საქმეში არსებული მტკიცებულების, სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის, არასწორი შეფასების შედეგადაა დადგენილი, რადგანაც მითითებული დასკვნით, მანქანის ძრავის დაზიანება გამოწვეულია არასწორი ექსპლუატაციის შედეგად, რაც მთლიანად გამორიცხავს მენარდის პასუხისმგებლობას;

17.3. მართალია, ექსპერტიზის აქტში არ არის დაფიქსირებული მანქანის გარბენი (კილომეტრაჟი), მაგრამ საქმეში არსებული მტკიცებულებების თანახმად, მენარდე კომპანიაში სადავო ავტომანქანის მიყვანისას, 2021 წლის 10 მარტს, დაფიქსირდა გარბენი – 354 819 კმ. მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულების თანახმად, სადავო ავტომანქანას მოპასუხე კომპანიის სერვისცენტრში ანტიფრიზი ჩაესხა 2020 წლის 2 ოქტომბერს და მანქანის გარბენი იყო – 342 111 კმ., შესაბამისად, 2021 წლის 10 მარტისათვის, ავტომანქანას უკვე 12 618 კილომეტრი ჰქონდა გავლილი. ხოლო დროის ინტერვალი შეადგენს 6 თვეს და მენარდისთვის სრულიად უცნობი იყო როდის აღმოჩნდა მოსარჩელის მართვის ქვეშე მყოფ ავტომობილში ანტიფრიზის ნაცვლად წყალი. ამდენად, ორი კომპონენტი (გარბენის მნიშვნელოვანი მატება და დროის მნიშვნელოვანი მონაკვეთი) სრულად მიესადაგება ექსპერტის მიერ დაფიქსირებულ განსაზღვრებას: „ხანგრძლივი პერიოდი“. შე-

საბამისად, წარდგენილი მტკიცებულებებით არ არის დადგენილი საგარანტიო მომსახურების წარმოშობის საფუძველი, რაც გამორიცხავს მენარდის საგარანტიო მომსახურების ვალდებულების არსებობას. ამდენად, დაუსაბუთებელია გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში იმ გარემოების მითითება, რომ მოწინააღმდეგე მხარეს არ მიუთითებია მოსარჩელის ბრალეულობის გამომრიცხავ გარემოებაზე. შესაბამისად, საგარანტიო მომსახურების განევის ვალდებულების არარსებობა გამორიცხავს რაიმე სახის პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძვლის არსებობას და არ არსებობს სააპელაციო პალატის მიერ გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-5 პუნქტით დაკისრებული პირგასამტეხლოს – 105 ლარის დაკისრების საფუძველი.

18. მეორე საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ ძირითად პრეტენზიებს:

18.1. შემკვეთის მოთხოვნა მხოლოდ პირგასამტეხლოს ნაწილში არ დაკმაყოფილდა სრულად და მენარდეს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, საურავის სახით, ნაცვლად 105 (ას ხუთი) ლარისა დაეკისრა პირგასამტეხლო, ერთჯერადი თანხის სახით, 105 ლარის ოდენობით. ამ ნაწილში, სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია;

18.2. ხელშეკრულების 4.2. მუხლი ითვალისწინებდა საგარანტიო ვადას მოწინააღმდეგე მხარის მიერ შესრულებულ სამუშაოებსა და ახალ, შეკეთებულ და მეორად ნაწილებზე. ამავე ხელშეკრულების 9.3 მუხლის მიხედვით კი, ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის გათვალისწინებული იყო საურავის ტიპის პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.15%-ის ოდენობით. 2020 წლის 11 აგვისტოს მოპასუხე კომპანიამ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ბალანსზე რიცხული „შკოდა ოქტავიას“ მარკის ავტომანქანას, სახელმწიფო ნომრით ..., შეუცვალა ძრავი და გაუნია სხვადასხვა ტიპის ტექ-მომსახურება. აღნიშნულ მომსახურებაზე, ხელშეკრულების შესაბამისად, გავრცელდა 1-წლიანი საგარანტიო ვადა. საგარანტიო ვადის მოქმედების ფარგლებში, ზემოაღნიშნული ავტომობილის ძრავს შეექმნა გარკვეული პრობლემები, რაც ეცნობა მოწინააღმდეგე მხარეს. მიუხედავად იმისა, რომ საგარანტიო პირობების მოქმედების ფარგლებში, მენარდე ვალდებული იყო დაზიანებული ძრავი შეეკეთებინა/გამოეცვალა, მან სრულიად დაუსაბუთებლად უარი განაცხადა მის აღდგენაზე. კერძოდ, მოპასუხე კომპანია უთითებდა მის სერვის ცენტრში ზეთის გამოუცვლელობაზე (რეალურად ზეთი ექსპლუატაციის პირობების შესაბამისად გამოიცვალა სხვა კომპანიაში – შპს „თ-ში“), მაშინ როდესაც ძრავის დაზიანება ექსპერტიზის მიხედვით, დიდი ხნის განმავლობაში ძრავის

წყალზე მუშაობით იყო გამოწვეული. შემკვეთს ზემოაღნიშნული მანქანა წყალზე არ უმუშავებია და შესაბამისად ექსპლუატაციის პირობები არ დარღვეულა (რაც საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ცალსახად დადასტურდა), სასამართლომ მოპასუხეს დაავალა, რომ ხელშეკრულების შესაბამისად საგარანტიო პირობების ფარგლებში, გამოეცვალა დაზიანებული ძრავი. აღსანიშნავია, რომ მანქანის დაზიანებიდან გასულია 2 წელზე მეტი და ის დღემდე არაა აღდგენილი. ამავდროულად, მონიშნულმდეგე მხარე მთელი ამ დროის განმავლობაში მაქსიმალურად ცდილობდა ვალდებულების შესრულებისთვის თავი აერიდებინა, რაც გამოიხატება იმაში, რომ თავდაპირველად სრულიად დაუსაბუთებლად ყოველგვარი ექსპერტიზის გარეშე, მის კომპანიაში ზეთის შეუცვლელობის საბაბით უარი განაცხადა მანქანის აღდგენაზე, ხოლო შემდეგ ექსპერტიზის დასკვნის მიუხედავად არ შეაკეთა მანქანა. ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების ფონზე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო შემთხვევაში, ადგილი არ ჰქონდა ხელშეკრულების 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, საკითხი არ ეხებოდა მოპასუხის მიერ ვალდებულების ვადის გადაცილებით შესრულებას, არამედ სადავო იყო მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირგასამტეხლო მოპასუხე მხარეს უნდა დაკისრებოდა ხელშეკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული წესით, კერძოდ ხელშეკრულების ღირებულების (70 000 ლარი) 0,15 %-ის ოდენობით, რამაც შეადგინა 105 ლარი; შემკვეთის მოსაზრებით, სახეზეა მოპასუხე მხარის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულების ვადაგადაცილებით შესრულება და პირგასამტეხლოს დარიცხვა უნდა განხორციელდეს ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულებამდე, ხელშეკრულების 9.3 პუნქტის შესაბამისად;

18.3. თბილისის სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე იურიდიული მომსახურებისათვის ადვოკატის ხარჯების გადახდა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს დააკისრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პროპორციულად (94,18%); სასამართლომ მოპასუხეს პოზიციონირება მოუწია, არა მოსარჩელის უსაფუძვლო მოთხოვნის, არამედ მისივე მხრიდან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო. მოსარჩელის მიერ სასამართლოსთვის მიმართვა იყო საფუძვლიანი და არ ეფუძნებოდა მხოლოდ მის სუბიექტურ წარმოდგენებს. რეალურად, სასამართლოსთვის მიმართვა გამოწვეული იყო მოპასუხის მხრიდან ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით. ამდენად, აპელანტის მხრიდან დარღვეული უფლების აღდგენისთვის მიმართვა პროვოცირებული იყო მო-

პასუხის წინარე მოქმედებებით. სასამართლოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლი აძლევს შესაძლებლობას შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო, თუმცა იმის წინასწარ განჭვრეტა რას მოიმოქმედებს მოწინააღმდეგე მხარე ან სასამართლო, შეუძლებელია. შესაბამისად, როდესაც მოთხოვნა საფუძვლიანია, ხოლო მოთხოვნის მოცულობა გამომანგარიშებელია სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად, სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების პირობებში, მოსარჩელის დასჯა და ხარჯების მასზე დაკისრება წინააღმდეგობაშია სსსკ-ის 53-ე მუხლთან.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 4 სექტემბრის განჩინებებით საკასაციო საჩივრები მიღებულ იქნა წარმოებაში სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

სამოტივაციო ნაწილი:

20. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ პირველი კასატორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო მეორე კასატორის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

21. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია სახეზე არის თუ არა მენარდის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა და მართებულია თუ არა ამ საფუძვლით მისთვის პირგასამტეხლოს დაკისრება.

22. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404.1 მუხლის პირველი წინადადება]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლი]. დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

23. საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ

შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილია წარდობის სამართლებრივი ურთიერთობა (სსკ-ის 629-ე, 648-ე მუხლები). საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ წარდობა ორმხრივი და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა, რომლის ორივე ხელშემკვერელმა მხარემ, სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ნაკისრი ვალდებულება უნდა შეასრულოს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას (იხ.: სუსგ-ები: №ას-1142-2021, 2022 წლის 10 ნოემბერი; №ას-1315-2020, 2021 წლის 9 სექტემბერი; №ას-764-2019, 2019 წლის 2 მარტი). „წარდობა დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შემკვეთს, შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით, შესრულებული სამუშაოს შედეგი. შემკვეთი მოვალეა, გადაუხადოს მენარდეს საზღაური, როგორც წესი, სამუშაოს შესრულების შემდეგ“ (იხ. ზ. ძლიერიშვილი, „წარდობის ხელშეკრულება“ (თეორია და პრაქტიკა), თბილისი, 2016 წ., გვ.288).

24. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 653-ე მუხლის თანახმად, თუ მენარდემ ნაკეთობისათვის იკისრა საგარანტიო ვადა, მაშინ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი წარმოშობს შესაბამის უფლებებს. აღნიშნული სამართლებრივი ნორმა ადგენს წარდობის საგნის მიმართ საგარანტიო ვადის დაწესების შესაძლებლობას და სწორედ ამ ვადის განმავლობაში შეიძლება შემკვეთს წარმოეშვას მეორადი, მათ შორის, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება მენარდის მიმართ. საგარანტიო ვადის დაწესება ემსახურება შემკვეთის ინტერესს, ეფექტურად, გარანტირებულად გამოიყენოს ნაკლიანი შესრულებით წარმოშობილი მეორადი მოთხოვნის უფლებები მენარდის მიმართ (იხ. სუსგ საქმე №ას-512-2022, 10 ნოემბერი, 2022 წელი).

25. საგარანტიო ენოდება ვადას, რომლის განმავლობაშიც წარდობის ხელშეკრულებით დამზადებული ნაკეთობის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, შემკვეთს წარმოეშობა ნაკეთობის ნაკლთან დაკავშირებული უფლებები, თუკი მენარდე ვერ შეძლებს იმის დამტკიცებას, რომ ნაკეთობის ნაკლი წარმოიშვა შემკვეთისათვის ნაკეთობის გადაცემის შემდეგ იმ გარემოებათა შედეგად, რაზედაც მენარდე პასუხს არ აგებს, კერძოდ, შემკვეთის მიერ ნაკეთობის არადანიშნულებისამებრ გამოყენების ან შენახვის შედეგად (იხ. ზ. ძლიერიშვილი, სამოქალაქო კოდექსის 653-ე მუხლის კომენტარები, გვ. 2, <https://gccc.tsu.ge/wp-content/uploads/2022/07/Art.-653.pdf>).

26. სსკ-ის 653-ე მუხლში მითითებულ „შესაბამის უფლებებში“ კანონმდებელი გულისხმობს შემკვეთის შემდეგ უფლებებს: ა) მოითხოვოს დამატებითი შესრულება, რაც გულისხმობს მენარდის მიერ, საკუთარი ხარჯებით, ნაკლის აღმოფხვრას, ან – ახალი ნაკეთობის დამზად-

დებას (იმავე კოდექსის 642-ე მუხლი); ბ) დამატებითი შესრულებისათვის განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, თვითონ აღმოფხვრას ნაკლი და მოითხოვოს განეული ხარჯების ანაზღაურება (იმავე კოდექსის 643-ე მუხლი); გ) ნაკეთობის ნაკლის გამო უარი თქვას ხელშეკრულებაზე (კოდექსის 644-ე მუხლი); დ) შეამციროს საზღაური იმ თანხით, რა თანხითაც ნაკლი ამცირებს ნაკეთობის ღირებულებას (კოდექსის 645-ე მუხლი) (იხ. იქვე, გვ. 3).

27. საქართველოს უზენაესი სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის შესაბამისად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხსენებული საპროცესო პრინციპი სამოქალაქო დავის გადანყვეტის ქვაკუთხედი და თითოეული საპროცესო ნორმა მასთან მჭიდრო კავშირში განიმარტება. საქმის განხილვისას, როგორც წესი, დავის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტებს – იურიდიულ ფაქტებს მიუთითებენ მხარეები, ხოლო, მოსამართლე, როგორც ნეიტრალური არბიტრი, ვალდებულია წარმართოს შეჯიბრებითობა. ხსენებული პრინციპის დარღვევით მიღებული გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად.

28. ამავე კოდექსის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა ამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძ-

ველზე. მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს.

29. საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განმტკიცებული მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელეს (შემკვეთს) ევალება სპეციალურ მტკიცებულებაზე მითითებით (მაგ: ექსპერტიზის დასკვნა) დაადასტუროს მოპასუხის (მენარდის) მხრიდან ნაკლიანი შესრულება.

30. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ნაკლიანი შესრულების დასადასტურებლად საჭიროა იმგვარი პირდაპირი მტკიცებულების წარდგენა, რომელიც ფაქტობრივ დაზიანებასთან ერთად დაადასტურებდა მენარდის მხრიდან ვალდებულების დარღვევას და ამ ქმედებასა და დაზიანებებს შორის პირდაპირ მიზეზობრივ კავშირს (იხ. სუსგ საქმე №ას-1790-2018, 19 აპრილი, 2019 წელი, პ.1.4.).

31. სსკ-ის 641-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეესაბამება შეთანხმებულ პირობებს, ხოლო თუ ეს პირობები შეთანხმებული არ არის, მაშინ ნაკეთობა ნივთობრივად უნაკლოდ მიიჩნევა, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი გამოყენებისათვის. ნების ავტონომიის პრინციპის გათვალისწინებით, სამოქალაქო კოდექსი ნივთობრივი ნაკლის არსებობის დასადგენად, უპირველეს ყოვლისა, ეფუძნება მხარეთა შორის არსებულ შეთანხმებას ნივთის თვისებების თაობაზე. ამდენად, მისი მახასიათებლები, ხშირ შემთხვევაში, ხელშეკრულებაში აისახება ცალკეული პირობის სახით და მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ნივთის ხარისხი არ მოიცავს მხოლოდ ნივთის მახასიათებელ თვისებებს, არამედ ყველა იმ პარამეტრებს, რომელიც უზრუნველყოფს მის სრულყოფილ ექსპლუატაციას, მით უმეტეს, თუ შემკვეთს განსაზღვრული აქვს ამ ნივთის კონკრეტული დანიშნულებით გამოყენება. ამდენად, მხარეთა შეთანხმება ნივთის ხარისხის თაობაზე, წარმოადგენს ნივთის ნაკლოვანების პირველ შესამოწმებელ წინაპირობას.

32. საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და განხორციელებული შედავება არ შეიძლება გახდეს საკმარისი წინაპირობა შესრულების ნაკლის დადგენისათვის.

33. მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა შორის სადავო არ ყოფილა, რომ მენარდემ სადავო ავტომობილში გამაგრილებელი სითხე (ანტიფრიზი)

ჩაასხა ორჯერ (2020 წლის 11 აგვისტოსა და 2 ოქტომბერს). შემკვეთს გამაგრებელი სითხის ხარისხთან ან სხვა ნაკლთან დაკავშირებით მენარდისათვის პრეტენზია სადავო ავტომობილის ძრავის დაზიანებაზე და არც შემდგომ არ წარუდგენია, მოსარჩელე აპელირებდა მხოლოდ საგარანტიო პირობების მოქმედების ფარგლებში, მენარდის ვალდებულებაზე შეეცვალა დაზიანებული ძრავი.

34. საქართველოს უზენაესი სასამართლო აღნიშნავს, რომ სსკ-ის 653-ე მუხლის განმარტების გათვალისწინებით, შემკვეთის უფლების წარმოშობა – საგარანტიო პირობების ფარგლებში მოითხოვოს შესაბამისი შესრულება – დაკავშირებულია ნაკლიანი შესრულებით წარმოშობილ მეორად მოთხოვნასთან. მოცემულ შემთხვევაში, შემკვეთს უნდა დაედასტურებინა, რომ მენარდის ნაკლიანი შესრულების გამო მოხდა ძრავის დაზიანება, რაც წარმოშობს ამ უკანასკნელის მხრიდან საგარანტიო ვადის განმავლობაში ძრავის შეცვლას. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, საქმის მასალებში წარდგენილია ექსპერტიზის დასკვნა (იხ. წინამდებარე განჩინების 6.17 პუნქტი), რომლის თანახმად, ტექნიკური თვალსაზრისით, ძრავის დაზიანება გამოწვეულია არასწორი ექსპლუატაციის შედეგად. აქვე აღნიშნულია, რომ ნაცვლად გამაგრებელი სითხისა, ექსპლუატაცია ხდებოდა წყალზე. საქმის ფარგლებში, არ წარდგენილა მტკიცებულება, რომელიც მენარდის მხრიდან ნაკლიან შესრულებასა და ნაკლიანი შესრულების გამო ძრავის დაზიანებას დაადასტურებდა (არ დასტურდება მენარდის მიერ ვალდებულების დარღვევა და ამ ქმედებასა და დაზიანებას შორის პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი). საქმის ფარგლებში, ასევე, არ დადასტურებულა რით იყო გამოწვეული გაგრილების სისტემაში წყლის მოხვედრა. ასეთ პირობებში კი, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ შემკვეთის მიერ მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის საფუძვლიანობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენის პირობებში, მტკიცების ტვირთი მენარდზე უნდა შებრუნდეს, რამდენადაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დასტურდება შემკვეთის მიერ მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთის სათანადოდ რეალიზება. გარემოება, რომ პირველი შეცვლიდან ავტომანქანის გარბენს არ გადაუჭარბებია პრეისკურანტში მითითებული 50 000 კმ-სათვის, არ გამორიცხავს მოსარჩელის მიერ სადავო ავტომობილის არასწორ ექსპლუატაციას. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების 4.2 პუნქტის თანახმად, საგარანტიო პირობის ამოქმედება ექსპლუატაციის პირობების დაცვის შემთხვევაში იყო გათვალისწინებული.

35. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ „ექსპერტიზის დასკვნა, ესაა მტკიცებულების ერთ-ერთი სახე, რომელიც შე-

საძლებელია გამოყენებული იქნეს საქმის გარემოებათა დასადგენად. მტკიცების ამ საშუალებით შესაძლებელია საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტის დადგენა, ხოლო ამგვარი მტკიცებულების გარეშე, ზოგიერთ შემთხვევაში, საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ექსპერტიზის საჭიროება საქმეზე დასადგენი გარემოებების თავისებურებიდან გამომდინარეობს. ექსპერტიზის დასკვნა, როგორც სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის კვლევის წერილობითი შედეგი პასუხს სცემს სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით მხარეთა ანდა სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებს“ (იხ. სუსგ №ას-1522-2019, 12 თებერვალი 2021 წელი).

36. ყოველი ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს უზენაესი სასამართლო მიიჩნევს, რომ შემკვეთმა ვერ დაადასტურა მენარდის მიერ ნაკლიანი შესრულების ფაქტი, რომელმაც შემდგომ გამოიწვია სადავო ავტომობილის ძრავის დაზიანება, შესაბამისად, ასეთ პირობებში, არ არსებობს ავტომობილის საგარანტიო პირობების ფარგლებში, შეკეთების ვალდებულება.

37. საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ რამდენადაც საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სახეზე არ იყო ნაკლიანი შესრულება, აღარ არსებობს სხვა სადავო საკითხებზე მსჯელობის აუცილებლობა.

38. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არ არსებობს ამგვარი საფუძვლები, შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება.

39. სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს; გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუნეებო დანესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს. შესაბამისად, მოსარჩელის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

40. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამას-

თან, იმავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოში დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 459.8 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად.

41. რაც შეეხება ადვოკატის ხარჯებს, სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადებით, იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის გაწეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით. მითითებული ნორმის დისპოზიცია იმგვარად არის ფორმულირებული, რომ არ ადგენს გაწეული ხარჯის სანაცვლო ანაზღაურების ერთმნიშვნელოვან ოდენობას, არამედ ამ ოდენობის გონივრულად განსაზღვრის უფლებას უტოვებს სასამართლოებს. კანონმდებლის ამგვარი მიდგომა განპირობებულია იმ მოსაზრებით, რომ ადვოკატის მომსახურების ხარჯების სანაცვლო ანაზღაურებამ დაუსაბუთებლად არ უნდა შეზღუდოს პროცესის მონაწილე მხარის უფლება და არ უნდა შექმნას წარმომადგენლის დახმარებისათვის გაღებული ოდენობის ხელოვნურად გაზრდის პროცესუალური საფუძველი; ნორმის ამგვარი შინაარსის მიზანია პროცესის მონაწილე მეორე მხარის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის თავიდან აცილება (იხ.: სუსგ №ას-1054-2019, 30 სექტემბერი 2019 წელი; №ას-316-316-2018, 7 მაისი 2018 წელი; №ას-1289-2023 7 თებერვალი 2024 წელი). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა: ადვოკატმა კონკრეტულად რა იურიდიული მნიშვნელობის მქონე ქმედებები შეასრულა, რა სახის ადამიანური რესურსი დაიხარჯა და ასკვნის, რომ გონივრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შპს „მ-სი“ სასარგებლოდ დაეკისროს საადვოკატო მომსახურების ღირებულების 600 ლარის გადახდა.

42. რაც შეეხება მოსარჩელეს/მეორე კასატორს იგი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისგან.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;

2. შპს „მ-სის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

5. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შპს „მ-სის“ სასარგებლოდ დაეკისროს 459.8 ლარის გადახდა ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს შპს „მ-სის“ სასარგებლოდ დაეკისროს საადვოკატო მომსახურების ღირებულების 600 ლარის გადახდა;

7. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. დაზღვევა

სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

ბანკინება საქართველოს სახალხით

№ას-473-2023

22 მაისი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: თ. ძიმისტარაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ქოჩიაშვილი,
ა. ძაბუნაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. სასარჩელო მოთხოვნა

1.1. საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი), თბილისის საქალაქო სასამართლოში, სს „ს.კ.უ-ის“ (შემდეგში: მოპასუხე, კომპანია) წინააღმდეგ წარდგენილი სარჩელით 18 441.72 ლარის დაკისრება მოითხოვა.

2. მოპასუხის შესაგებელი

2.1. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

2.2. მოპასუხის განმარტებით, გაცემული ცნობით არ დგინდებოდა, რომ დაზღვეული ავტოსატრანსპორტო საშუალება დაზიანდა სწორედ საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტარიტორიაზე, რადგან ცნობაში მითითებული იყო მხოლოდ ავტომობილის მფლობელის განცხადება. ამდენად საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს არ დაუდგენია თუ სად დაზიანდა ავტომანქანა.

2.3. ამავე ცნობაში არ იყო მითითებული, ავტოსაგზაო შემთხვევას ან რაიმე შეჯახებას ჰქონდა თუ არა ადგილი.

2.4. მოპასუხე სადაზღვევო კომპანიის განმარტებით, დაზიანებული ავტომობილი შეფასდა შპს „კ. ს-ში“ რომლის მიერ გაცემული ინვოისი და ავტომობილის სურათები გაეგზავნა სერვის ცენტრს. დადგინდა, რომ შპს „კ. ს-ს“ გაცემული ინვოისი არაა საბაზრო ფასებთან შესაბამისობაში, ამასთან, ბამპერისა და კაპოტის აღდგენა შესაძლებელი და მისაღები იყო მათი დაზიანებებიდან გამომდინარე.

3. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

3.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

4.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 13 თებერვლის განჩინებით, მოსარჩელის მიერ წარდგენილი სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

4.2. 2022 წლის 3 მარტს მოსარჩელეს, როგორც შემსყიდველს და მოპასუხეს, როგორც მიმწოდებელს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №11/03/1 ხელშეკრულება კონსოლიდირებული ტენდერის CON210000469 შედეგად. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა შემსყიდველი ორგანიზაციის ბალანსზე არსებული სატრანსპორტო საშუალებებისთვის (თანდართული დაზღვევის პირობების დანართი №1-ისა და დანართი №2-ის შესაბამისად) მომსახურების განევა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული კონსოლიდირებული ტენდერის CON210000469 სატენდერო დოკუმენტაციით, მიმწოდებლის სატენდერო წინადადებითა და ტარიფებით.

4.3. ხელშეკრულების 4.1 პუნქტის თანახმად, მომსახურების განევის ადგილი იყო საქართველოს მთელი ტერიტორია.

4.4. ამავე ხელშეკრულების 4.2 პუნქტის თანახმად, მომსახურების განევა უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულების გაფორმების დღეს 24:00 საათიდან და დასრულებულიყო არაუგვიანეს 2022 წლის 31 დეკემბრის 24:00 საათამდე.

4.5. ხელშეკრულების მე-5 მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებული იყო იმ სატრანსპორტო საშუალების შეფასება/შეკეთება, რომლებზეც სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისთვის ვრცელდებოდა საგარანტიო პირობები, განხორციელებინა შესაბამისი მარკის სერვის-ცენტრში, ხოლო იმ სატრანსპორტო საშუალებების შეფასება/შეკეთება, რომლებზეც არ ვრცელდებოდა საგარანტიო პირობები, უნდა განხორციელებულიყო მხარეთა მიერ შეთანხმებულ სერვის-ცენტრებში.

4.6. ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილის – სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, სადაზღვევო შემთხვევა არის შემთხვევა, რომლის დადგომის შედეგად, მზღვევლის მიერ შესაბამისი დადასტურების/აღიარების შემდეგ წარმოიშობა მზღვევლის ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად და რომელიც დასტურდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის ხელმოწერილი სადაზღვევო შემთხვევის აქტით.

4.7. სატენდერო დოკუმენტაციის ზოგადი პირობების მეორე ნაწილის მე-4 მუხლის თანახმად, სატრანსპორტო საშუალების დაზღვევა ითვალისწინებდა შემდეგ გამონაკლისებს, რომელთა შემთხვევაშიც მზღვეველი უფლებამოსილი იყო არ აენაზღაურებინა ზარალი: – თუ ზიანი, რომელიც სატრანსპორტო საშუალებას ჰქონდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე და არ იყო გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის შედეგად („ბ“ პუნქტი). – გაჩერებული დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების დაუდგენელი პირების მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანება/განადგურების შემთხვევებში, თუ არ მოხდებოდა მზღვეველთან და საპატრულო პოლიციასთან დაზიანების აღმოჩენისთანავე დაკავშირება („დ“ პუნქტი); – თუ გაჩერებული დაზღვეული სატრანსპორტო საშუალება დაზიანდა/განადგურდა დაუდგენელი პირის ან დაუდგენელ ვითარებაში, დამზღვევი აღნიშნულის შეტყობისთანავე დაუყოვნებლივ არ დაუკავშირდა მზღვეველს, საპატრულო პოლიციას ან/და დაზიანებული დაზღვეული სატრანსპორტო საშუალება მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე დაძრა ადგილიდან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადაადგილება მოხდა შესაბამისი კომპეტენტური უწყების მითითებით კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და დამზღვევის ზეპირსიტყვიერი მითითებით („ე“ პუნქტი).

4.8. ხელშეკრულების დანართი №1-ის თანახმად, აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში დაიზღვა მოსარჩელე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალება – მარკა/მოდელი – „KIA K5“, სახელმწიფო ნომერი – „...“.

4.9. 2022 წლის 23 მარტს მოსარჩელის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა – ნ. ყ-მა აცნობა სსიპ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს და დამზღვევს 2022 წლის 3 მარტს მხარეთა შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №11/03/1 ხელშეკრულებით დაზღვევული ავტოსატრანსპორტო საშუალების – მარკა/მოდელი – „KIA K5“, სახელმწიფო ნომერი – „...“, დაუდგენელ ვითარებაში დაზიანების ფაქტის შესახებ.

4.10. განმცხადებლის განმარტებით, მისი მართვის ქვეშე მყოფ სამსახურებრივ ავტომანქანას აღენიშნებოდა წინა ბამპერის, სანისლე ფარის, წინა მარცხენა სარკის დაზიანებები, ასევე დეფორმირებული იყო ძრავის ხუფი.

4.11. შემთხვევაზე რეაგირების მიზნით გამოცხადებული სსიპ საპატრულო პოლიციის 2022 წლის 23 მარტის რეაგირების ოქმის თანახმად, ავტომანქანას არ აღენიშნებოდა შეჯახების კვალი.

4.12. 2022 წლის 23 მარტს საქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ნ. ყ-ს ცნობა მიეცა მასზედ, რომ მისივე განცხადებით 2022 წლის 23 მარტს ქ. თბილისში

საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ აღმოაჩინა, რომ დაზიანებული იყო მისი სამსახურებრივი ავტომანქანა... კერძოდ, დაზიანებული იყო ავტომანქანის წინა ბამპერი, სანისლე ფარი, წინა მარცხენა სარკე და დეფორმირებულია ძრავის ხუფი.

4.13. 2022 წლის 3 მარტის ხელშეკრულების საფუძველზე დაზღვეული მოსარჩელის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალება – მარკა/მოდელი – „KIA K5“, სახელმწიფო ნომერი – „...“, იმყოფება შპს „კ.ს-ს“ გარანტიაზე, რაც განაპირობებს სატრანსპორტო საშუალების ყველა დაზიანებული ნაწილის ახლით შეცვლის ვალდებულებას. დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების სხვა სერვის ცენტრში მომსახურების მიღების შემთხვევაში აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალება მოიხსნება შპს „კ.ს-ს“ გარანტიიდან.

4.14. შპს „კ.ს-ს“ 2022 წლის 30 მარტის შეფასების აქტის თანახმად, ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე – მარკა/მოდელი – „KIA K5“, სახელმწიფო ნომერი – „...“, არსებული დაზიანებების აღმოფხვრის ღირებულება ჯამში შეადგენს 18 441.72 ლარს.

4.15. შეფასების აქტის თანახმად, დაზიანებული ნაწილების ღირებულებებია: ბამპერი – 1 578 ლარი; წინა ბამპერის მარცხენა სამაგრი – 33.68 ლარი; წინა ბამპერის მარცხენა მოლდინგი – 172.80 ლარი; წინა ბამპერის მარცხენა ფარი – 266.72 ლარი; წინა ბამპერის შუა მოლდინგი – 315.76 ლარი; წინა ბამპერის შუა მოლდინგის მარცხენა ფარი – 1 631.04 ლარი; წინა ბამპერის შუა მოლდინგის კანტი – 159.36 ლარი; წინა ბამპერის შუა მოლდინგის შავი კანტი – 103.68 ლარი; წინა მარცხენა სატალახე – 313.36 ლარი; წინა მარცხენა სატალახის საჰაერო – 49.92 ლარი; კაპოტი – 4 061.76 ლარი; მარცხენა სარკე – 1 728.16 ლარი; ძრავის ქვედა საფარი – 659.68 ლარი; წინა მარცხენა ფარი – 5 354.80 ლარი; კაპოტის შვილკები – 56 ლარი; სამაგრების კომპლექტი – 45 ლარი; დაშლანყობა, სამღებრო-სათუნუქე მომსახურება, პოლირება – 1 912 ლარი.

4.16. შპს „კ.ს-ს“ შეფასების აქტზე დაყრდნობით, მოსარჩელემ მოპასუხეს მოსთხოვა 2022 წლის 23 მარტის შემთხვევის შედეგად, მის ბალანსზე რიცხულ დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე, მარკა/მოდელი – „KIA K5“, სახელმწიფო ნომერი – „...“, მიყენებული ზიანის, 18 441.72 ლარის ანაზღაურება.

4.17. 2022 წლის 6 აპრილს სს „ს.კ.უ-მა“ მიმართა შპს „ა-ის“ ექსპერტს – გ. ბ-ძეს, რომელსაც წარუდგინა შსს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ცნობა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანამშრომლის ნ. ყ-ის მიერ შემთხვევის ადგილზე გადაღებული ფოტომასალა და მოითხოვა 2022 წლის 23 მარტს დაუდგენელ ვითარებაში დაზიანებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების გა-

მომწვევი მიზეზების დადგენა. აგრეთვე, იმ გარემოების დადგენა, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი შემთხვევა და ავტომანქანაზე არსებული, თანდართულ დოკუმენტებში აღწერილი დაზიანებები, შესაძლებელია თუ არა გამომწვეულიყო ამავე დოკუმენტებში და ფოტოებზე მოცემულ ადგილას აღწერილი ერთი შემთხვევის შედეგად.

4.18. შპს „ა-ის“ 2022 წლის 6 აპრილის ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად: 1) დაზიანებების მიზეზის დადგენა არის შეუძლებელი; სახეზეა გაურკვეველ ვითარებაში, გაურკვეველი სახის დაზიანებები. დასაშვებია იმის თქმა, რომ ზოგიერთი დაზიანება სტატიკურ მდგომარეობაში მყოფ ავტომობილზე საგნით და სხვა ავტომობილის მიერ იყო მიყენებული, მაგრამ დიდი ალბათობით, მინიმუმ ერთი მათგანი უნდა მომხდარიყო ავტომობილის ბორდიურთან ან სხვა მსგავს შემზღუდველთან პარკირების დროს შეჯახებით; 2) დაზიანებები ერთი შემთხვევის დროს არ არის მიყენებული, შესაბამისად შეუძლებელია შემთხვევის ადგილის იდენტიფიცირება. აღნიშნული დასკვნის კვლევითი ნაწილის თანახმად, ფოტოების შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ „დაზიანების ადგილები მნიშვნელოვნად დაშორებულია ერთმანეთისგან: – ძრავის სექციის სახურავი (კაპოტი) დაზიანებულია გლუვი საგნით ან ხელით, რადგანაც დაზიანების ადგილზე, საღებავზე არ არის ნაკანრები და წვრილი დაზიანებები. დეფორმაციის გამო 1-1.5 სმ სიგრძეზე გატეხილია საღებავი (ფოტო 5); – მყარ საგანზე მიწოლით დაზიანებულია, გატეხილია წინა ბამპერის მარცხენა ქვედა კუთხე (ფოტო 6); – განცხადებულია, რომ დაზიანებულია სარკე, მაგრამ ფოტოების მიხედვით დაზიანების ზუსტი იდენტიფიცირება ვერ ხდება, უკანა ხედვის მარცხენა გარეთა სარკეს, კორპუსზე ეტყობა შეხების ადგილი, სადაც დაზიანებულია საღებავის ზედაპირი (ფოტო 7). დაზიანებები, მდებარეობის და დაზიანების ხასიათის მიხედვით არ შეიძლება ერთად, ერთი შემთხვევის დროს იყოს მომხდარი: – ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ავტომობილის ძრავის სექციის სახურავი (კაპოტი) – დაზიანებულია ვერტიკალური ზემოქმედებით და არ შეიძლება მიყენებული იყოს ამავე ავტომობილის წინა ბამპერის მარცხენა კუთხის ან უკანა ხედვის მარცხენა გარეთა სარკის კორპუსის დაზიანების დროს; – ბამპერის ქვედა კუთხეში არსებული დაზიანება ხასიათით, ტიპით და მდებარეობის მიხედვით, დიდი ალბათობით, მომხდარი მოძრაობის მიმართულებისთვის მარცხნივ, მახვილი კუთხით პარკირებისას ბორდიურზე ან სხვა შემზღუდველზე შეჯახებით; – სარკეზე არსებული დაზიანება, მიუხედავად იმისა, რომ ფოტოებით არ ხერხდება დაზიანების ზუსტი იდენტიფიცირება, მომხდარია ავტომობილის ან მის მიმართ სხვა ავტომობილის პარალელურად მოძრაობის დროს, როდესაც დაზიანების მიყენების ობიექტი იმდენად იყო დაშორებული ავტო-

მობილისგან, რომ არ დაზიანებულია ავტომობილის მარცხენა გვერდი; – შეუძლებელია მოძრავი ავტომობილი შეეჯახოს გაჩერებულ ავტომობილს მარცხენა კუთხეზე, დაუზიანოს ბამპერის ქვედა ნაწილის კუთხე და შემდგომ, სხვა დაზიანებების მიყენების გარეშე დაუზიანოს უკანა ხედვის გარეთა მარცხენა სარკის კორპუსი. განცხადებულ შემთხვევის ადგილზე არ არის ასეთი შემთხვევისთვის დამახასიათებელი შესაძლო სპეციფიური ჩამონაყარი. წინა ბამპერის მარცხენა კუთხესთან უნდა იყოს პლასტმასის ნატეხები (ფოტო 3 და 6). ავტომობილის მანევრირების სქემების, გაბარიტებისა და ძარის წერტილების გადაადგილების მონიშვნების გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: – ავტომობილების გაბარიტების, გამოშვერილობების და მანევრირების ტრაექტორიის გეომეტრიის გათვალისწინებით, ავტომობილი ვერ იმოძრაებდა ისეთი კუთხით და ტრაექტორიით, რომ მიეყენებინა ავტომობილზე არსებული დაზიანებები; – შემთხვევის ადგილზე არ არის დაზიანებული ბამპერის ნატეხების ჩამონაყარი; – დაზიანებები მიყენებულია სხვადასხვა საგნით ან ავტომობილით, განსხვავდება ტიპით და ხასიათით, მომხდარია გაურკვეველ ვითარებაში და შეუძლებელია მიზეზის დადგენა; – დაზიანებები ერთი შემთხვევის დროს არ არის მომხდარი, დასაშვებია ვთქვათ, რომ ერთი ან რამდენიმე დაზიანება გაჩერებულ ავტომობილზეა მიყენებული, მაგრამ წინა ბამპერის ქვედა მარცხენა კუთხეზე არსებული დაზიანება, დიდი ალბათობით, უნდა მომხდარიყო მხოლოდ ამ ავტომობილის მოძრაობისას. 2022 წლის 18 აპრილის და 29 აპრილის წერილებით მოპასუხებ უარი განუცხადა მოსარჩელეს 2022 წლის 23 მარტის მითითებული შემთხვევის სადაზღვევო შემთხვევად აღიარებასა და დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან – მარკა/მოდელი – „KIA K5“, სახელმწიფო ნომერი – „...“ მიმართებით მოთხოვნილი ოდენობით ზიანის ანაზღაურებაზე.

4.19. კომპანიამ ანაზღაურებაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების და კონსოლიდირებული ტენდერის პირობების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი (მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება ზიანი, რომელიც სატრანსპორტო საშუალებას ჰქონდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე და არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის შედეგად), ხოლო ფაქტობრივ საფუძვლად ის გარემოება, რომ დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებით დანიშნული ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით დადგინდა, რომ „დაზიანებების მიზეზის დადგენა შეუძლებელია გაურკვეველი სახის დაზიანებების გამო. თუ დავუშვებთ, რომ ზოგიერთი დაზიანება სტატიკურ მდგომარეობაში მყოფ ავტომობილზე საგნით ან სხვა ავტომობილის მიერაა მიყენებული, მაშინ დიდი ალბათობით, მინიმუმ ერთი მათგანი უნდა მომ-

ხდარიყო ავტომობილის ბორდიურთან ან სხვა მსგავს შემზღუდველ-თან პარკირების დროს შეჯახებით. ამასთან, შემთხვევის ადგილზე არ არის დაზიანებული ბამპერის ნატეხების ჩამონაყარი, შესაბამისად, დაზიანებები ერთი შემთხვევის დროს არ არის მიყენებული“.

4.20. მოსარჩელემ, 2022 წლის 19 ივლისს განცხადებით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და მოითხოვა 2022 წლის 23 მარტს დაუდგენელ ვითარებაში დაზიანებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების გამომწვევი მიზეზების დადგენა. აგრეთვე, იმ გარემოების დადგენა, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი შემთხვევა და ავტომანქანაზე არსებული, თანდართულ დოკუმენტებში აღწერილი დაზიანებები, შესაძლებელია თუ არა გამოწვეული იყოს ამავე დოკუმენტებში და ფოტოებზე მოცემულ ადგილას აღწერილი ერთი შემთხვევის შედეგად. განცხადებას თან ერთვოდა შსს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ცნობა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანამშრომლის ნ. ყ-ის მიერ შემთხვევის ადგილზე გადაღებული ფოტომასალა.

4.21. ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 28 ივლისის №5005096022 წერილით საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ეცნობა, რომ სატრანსპორტო-ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება მხარის მიერ წარმოდგენილი ფოტო მასალის მიხედვით, ტექნიკური თვალსაზრისით, იყო შეუძლებელი.

4.22. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, განხილვის საგანი იყო სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის კანონიერება. აპელანტის პრეტენზია ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეში წარდგენილი მტკიცებულებები და უსაფუძვლოდ მიიჩნია, რომ მოცემული შემთხვევა არ წარმოადგენდა სადაზღვევო ხელშეკრულებით დაზღვეულ რისკს. შესაბამისად, სააპელაციო პალატის კვლევის საგანი იყო, დაზიანდა თუ არა ა/მანქანა სადაზღვევო ხდომილების ფარგლებში და ამ თვალსაზრისით, მზღვეველს წარმოეშვა თუ არა ხელშეკრულებით შეთანხმებული შესრულების ვალდებულება.

4.23. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით მოსარჩელემ მისთვის კანონით დაკისრებული მტკიცების ტვირთი ვერ ზიდა და ვერ დაადასტურა, რომ ადგილი ჰქონდა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად მითითებულ გარემოებას – დაუდგენელი მიზეზით სატრანსპორტო საშუალების დაზიანებას. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დადასტურდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომისა და ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის ფაქტობრივ-სამართლებრივი

საფუძვლები.

4.24. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით დავის გადაწყვეტის-თვის მნიშვნელოვანი იყო სადაზღვევო შემთხვევისა და სადაზღვევო რისკის გამიჯვნა. სადაზღვევო შემთხვევა წარმოადგენს სადაზღვევო რისკის რეალიზაციის შედეგს. რისკი შეიძლება იყოს წინასწარ განჭვრეტადი, მაგრამ მისი რეალიზაციის (სადაზღვევო შემთხვევის დადგომის) ალბათობა უნდა იყოს განუჭვრეტელი და თავისუფალი მხარეთა გავლენისაგან. რისკი რომ სადაზღვევოდ ჩაითვალოს (დაზღვევადი რისკი), ის გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. რისკი არ უნდა იყოს იმ ხარისხით წინასწარ განუჭვრეტელი, რომ შეუძლებელი გახდეს მისი შეფასება სადაზღვევო კომპანიის მიერ (იხ. <http://www.gccc.ge/>, სკ-ის 799-ე მუხლის კომენტარი, გვ. 6).

4.25. მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულების თანახმად, სადაზღვევო რისკს მიეკუთვნებოდა დაუდგენელი მიზეზით სატრანსპორტო საშუალების დაზიანება. დამზღვევის ვალდებულება იყო დაედგინებინა დაზღვევის ობიექტის სადაზღვევო ხდომილების ფარგლებში დაზიანების ფაქტი, რაც მზღვეველისთვის წარმოშობდა ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების ვალდებულებას.

4.26. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელის მტკიცება, რომ ავტომანქანა მფლობელის საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე დაუდგენელ ვითარებაში დაზიანდა, მხოლოდ მის ზეპირ ახსნა-განმარტებას ემყარებოდა. აღნიშნულის საპირისპიროდ მოპასუხემ 2022 წლის 6 აპრილის შპს „ა-ის“ დასკვნა წარადგინა, რომლის თანახმადაც – „1) ...დასაშვებია ვთქვათ, რომ ზოგიერთი დაზიანება სტატიკურ მდგომარეობაში მყოფ ავტომობილზე საგნით და სხვა ავტომობილის მიერ იყოს მიყენებული, მაგრამ დიდი ალბათობით, მინიმუმ ერთი მათგანი უნდა მომხდარიყო ავტომობილის ბორდიურთან ან სხვა მსგავს შემზღუდველთან პარკირების დროს შეჯახებით; 2) დაზიანებები ერთი შემთხვევის დროს არ არის მიყენებული, შესაბამისად შეუძლებელია შემთხვევის ადგილის იდენტიფიცირება“.

4.27. სააპელაციო სასამართლომ წარდგენილი დასკვნის კვლევით ნაწილზე მიაქცია ყურადღება, რომლის მიხედვითაც დაზიანების ადგილები მნიშვნელოვნად დაშორებული იყო ერთმანეთისგან; დაზიანებები, მდებარეობის და დაზიანების ხასიათის მიხედვით არ შეიძლება ერთად, ერთი შემთხვევის დროს მომხდარიყო; ბამპერის ქვედა კუთხეში არსებული დაზიანება ხასიათით, ტიპით და მდებარეობის მიხედვით, დიდი ალბათობით, მომხდარია მოძრაობის მიმართულებისთვის მარცხნივ, მახვილი კუთხით პარკირებისას ბორდიურზე ან სხვა შემზღუდველზე შეჯახებით; შეუძლებელია მოძრავი ავტომობილი შეეჯახოს გაჩერებულ ავტომობილს მარცხენა კუთხეზე, დაუზიანოს ბამპე-

რის ქვედა ნაწილის კუთხე და შემდგომ, სხვა დაზიანებების მიყენების გარეშე დაუზიანოს უკანა ხედვის გარეთა მარცხენა სარკის კორპუსი. განცხადებულ შემთხვევის ადგილზე არ არის ასეთი შემთხვევისთვის დამახასიათებელი შესაძლო სპეციფიური ჩამონაყარი. წინა ბამპერის მარცხენა კუთხესთან უნდა იყოს პლასტმასის ნატეხები (ფოტო 3 და 6); ავტომობილის მანევრირების სქემების, გაბარიტებისა და ძარის წერტილების გადაადგილების მონიშვნების გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაზიანებები ერთი შემთხვევის დროს არ არის მომხდარი, დასაშვებია ვთქვათ, რომ ერთი ან რამდენიმე დაზიანება გაჩერებულ ავტომობილზეა მიყენებული, მაგრამ წინა ბამპერის ქვედა მარცხენა კუთხეზე არსებული დაზიანება, დიდი ალბათობით, უნდა მომხდარიყო მხოლოდ ამ ავტომობილის მოძრაობისას.

4.28. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა აპელანტის ის პრეტენზია, რომ მოპასუხის მიერ წარდგენილი შპს „ა-ის“ დასკვნა წინააღმდეგობაში მოდიოდა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 28 ივლისის №5005096022 წერილთან, რომლის თანახმადაც შპს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ცნობისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანამშრომლის მიერ შემთხვევის ადგილზე გადაღებული ფოტომასალის მიხედვით ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება იყო შეუძლებელი.

4.29. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელემ ავტომანქანაზე 2022 წლის 23 მარტს აღმოჩენილი დაზიანებების იდენტიფიცირებისა და გამომწვევი მიზეზების დადგენის მიზნით მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, შემთხვევიდან ოთხი თვის შემდეგ – 2022 წლის 19 ივლისს და მოითხოვა სატრანსპორტო-ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება, რაზედაც უარი მიიღო იმ საფუძვლით, რომ იმ სახის ექსპერტიზის სრულყოფილად ჩატარებისათვის, რომელსაც მხარე მოითხოვდა, მნიშვნელოვანი იყო, მომხდარიყო ექსპერტის მიერ გამოსაკვლევი ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში დათვალირება და ტექნიკური შემოწმება. ხოლო ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, გამოსაკვლევი ობიექტი იყო უკვე მრავალჯერ გარეცხილი და განმენდილი, ტექნიკური თვალსაზრისით შეუძლებელი იყო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მომზადება.

4.30. მოსარჩელისგან განსხვავებით, მოპასუხის მოთხოვნით, შპს „ა-ის“ მიერ ჩატარდა ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზა (რადროსაც სავალდებულოა ობიექტის უშუალოდ შემთხვევის ადგილზე პირვანდელ მდგომარეობაში შესწავლა), არამედ – ავტომანქანის ტექნიკური ექსპერტიზა, რაც ექსპერტული კვლევის განსხვავებულ სახეს წარმოადგენს.

4.31. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საპირისპირო მტკიცების არარსებობის პირობებში, მოპასუხის მიერ წარდგენილი დასკვნა, იმ ფაქტის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებაა, რომ მოსარჩელის ბალანსზე რიცხულ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მითითებული დაზიანებები არ არის მიყენებული ერთი შემთხვევის დროს. ამასთან, მინიმუმ ერთი დაზიანება – წინა ბამპერის ქვედა მარცხენა კუთხე, მომხდარია ამ ავტომობილის მოძრაობისას, რაც საფუძველს აცლის მოსარჩელის იმ მტკიცებას, რომ ავტომანქანამ დაზიანება მიიღო დაუდგენელი მიზეზით. ამასთან, ის გარემოება რომ მანქანის წინა ბამპერის ქვედა მარცხენა კუთხე დაზიანებულია უშუალოდ მანქანის მოძრაობის დროს, აჩენს კითხვას, საქმე ხომ არ გვაქვს ხელშეკრულების სადაზღვევო რისკების ჩამონათვალში მითითებულ სხვა ისეთ შემთხვევებთან, როგორიცაა საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა (სატენდერო დოკუმენტაციის ზოგადი პირობების მეორე ნაწილის 1-ლი მუხლის „ა“ ქვეპუნქტი) ან მესამე პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება (სატენდერო დოკუმენტაციის ზოგადი პირობების მეორე ნაწილის 1-ლი მუხლის „ე“ ქვეპუნქტი), რომლებსაც განსხვავებული სამართლებრივი მოწესრიგება (განსხვავებული სადაზღვევო ლიმიტები, სუბროგაციის უფლება და სხვ.) უკავშირდება და არ წარმოადგენს მოცემული სარჩელის ფარგლებში მოთხოვნის საფუძველს.

4.32. სააპელაციო სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ სასამართლო გაიზიარებდა აპელანტის მტკიცებას მოპასუხის მიერ წარდგენილი დასკვნის დაუსაბუთებლობის თაობაზე, წარდგენილი სარჩელის სამართლებრივ შედეგებს ვერ შეცვლიდა, ვინაიდან მოსარჩელემ ვერ წარადგინა სათანადო მტკიცებულებები, რომ ავტომობილს 2022 წლის 23 მარტს ჰქონდა სწორედ ის დაზიანებები, რაც შემდგომ მოსარჩელემ შპს „კ.ს-ს“ 2022 წლის 30 მარტის აქტით შეაფასებინა (ბამპერი, წინა ბამპერის მარცხენა მარცხენა ფარი, წინა ბამპერის შუა მოლდინგი, წინა ბამპერის შუა მოლდინგის მარცხენა ფარი, წინა მარცხენა სატალახე, „თავსარქველი“, მარცხენა სარკე; ძრავის ქვედა საფარი, წინა მარცხენა ფარი და სხვ.). სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ამგვარ მტკიცებულებას არ წარმოადგენდა 2022 წლის 23 მარტს საქართველოს შსს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის მიერ გაცემული ცნობა, ვინაიდან აღნიშნული ცნობის შინაარსიდან ირკვეოდა, რომ მითითებული ინფორმაცია დაინტერესებული პირის მიერ იყო მიწოდებული, რაც ვერ შეფასდება სარწმუნო და განკუთვნიად მტკიცებულებად.

5. მოსარჩელის საკასაციო საჩივარი

5.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 13 თებერვლის განჩინება საკასაციო წესით გაასა-

ჩივრა მოსარჩელემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილებამ მოითხოვა.

5.2. კასატორის განმარტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 23 სექტემბრის საოქმო განჩინებით უარი ეთქვა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტის ბ. ჩ-ის დაკითხვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. აღნიშნული საოქმო განჩინება გაასაჩივრა, თუმცა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 13 თებერვლის საოქმო განჩინებით ძალაში დარჩა.

5.3. კასატორის განმარტებით, ექსპერტიზის ჩატარების მიზნით მიმართა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, კვლევის მიზნით წარუდგინა შსს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ცნობა და ავტომობილის უფლებამოსილი მფლობელის მიერ შემთხვევის ადგილზე გადაღებული ფოტომასალა. ექსპერტმა განმარტა, რომ წარდგენილი ფოტომასალის საფუძველზე ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელი იყო. აღნიშნულის მიუხედავად, სადაზღვევო კომპანიამ იგივე შეკითხვებით და იმავე დოკუმენტებით მიმართა სხვა საექსპერტო დაწესებულებას. მოპასუხის ინიციატივით ჩატარებულ ექსპერტიზაზე, ექსპერტმა მიუთითა რომ შეადგინა ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა, რომელიც საბოლოოდ გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას დაედო საფუძვლად.

5.4. კასატორის განმარტებით, ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული იყო, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე მიყენებული დაზიანებები ერთი შემთხვევის შედეგი არ იყო. ამასთან მინიმუმ ერთი დაზიანება – წინა ბამპერის ქვედა მარცხენა კუთხე, მოძრაობისას იყო მიყენებული. აღსანიშნავია, რომ ტექნიკური ექსპერტიზის მიხედვით მსგავსი დასკვნის მომზადება შეუძლებელი იყო.

6. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

6.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 28 განჩინებით, საკასაციო საჩივარი მიღებულია წარმოებაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის თანახმად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 16 იანვრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი დასაშვებადაა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ გამოიკვეთა სსსკ-ის 412-ე მუხლის წინაპირობები, რის შედეგადაც მოსარჩელის სა-

კასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს და საქმე ხელახალი განხილვის მიზნით, იმავე სასამართლოს უნდა დაუბრუნდეს.

7. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ხოლო, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებსა და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაუშვა სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

8. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 799.1 „დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა ანაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება“ და 820-ე მუხლის შესაბამისად „ზიანის დაზღვევისას მზღვეველმა ზიანი უნდა აანაზღაუროს ფულით“. კონკრეტულად, მხარეთა მიერ სადავოდაა გამხდარი სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების საკითხი. შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანია, ზიანის ანაზღაურებისგან გათავისუფლების საფუძველი. კომპანიამ ანაზღაურებაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძველად მიუთითა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების და კონსოლიდირებული ტენდერის პირობების მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი (მზღვეველის მიერ ანაზღაურებას არ ექვემდებარება ზიანი, რომელიც სატრანსპორტო საშუალებას ჰქონდა სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე და არ არის გამოწვეული სადაზღვევო შემთხვევის შედეგად), ხოლო ფაქტობრივ საფუძველად ის გარემოება, რომ დაზღვეულ ავტოსატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებით დანიშნული ავტოტექნიკური ექსპერტი-

ზის დასკვნით დადგინდა, რომ „დაზიანებების მიზეზის დადგენა შეუძლებელია გაურკვეველი სახის დაზიანებების გამო.

9. ყოველი საქმის განხილვისას, სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა, საქმეზე გადაწყვეტილება მიიღება შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა აგებულია დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპებზე და პირის დარღვეული ან სადავოდ ქცეული უფლების დაცვა ამავე პირის ნებაზეა დამოკიდებული. მხარეები სამოქალაქო სამართალწარმოებაში თვითონვე განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის შეტანის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3-მე-4 მუხლები), რაც კანონის მოთხოვნათა დაცვით (იმავე კოდექსის 178-ე მუხლი) უნდა აისახოს მხარეთა მიერ სასამართლოში წარდგენილ სარჩელში (სუსგ №ას-1163-2018, 08.02.2019 წ.; №ას-495-2020, 23.10.2020 წ.).

10. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლით გათვალისწინებული სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზება უმეტესწილად დამოკიდებულია და გულისხმობს სასამართლოს მიერ დასაბუთებული, მტკიცებულებათა შეჯერების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების მიღებას. მტკიცების ტვირთის როლი განსაკუთრებით ვლინდება სამოქალაქო სამართალწარმოებაში, სადაც მხარეთა ნების ავტონომიას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. შესაძლებელია მხარის მოთხოვნა საფუძვლიანი იყოს, მაგრამ შეუძლებელია მხარემ მიიღოს თავისი სასარგებლო გადაწყვეტილება, თუ ვერ დაამტკიცებს თავის სასარგებლო გარემოებებს საპროცესო სამართლით დადგენილი წესით. ამიტომაც, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ფაქტების მითითების ტვირთისა და ფაქტების დამტკიცების ტვირთის სწორი გადანაწილება მოდავე მხარეებს შორის.

11. „სამართლებრივი დავისას სამოქალაქო საქმის განმხილველ მოსამართლეს ორი ამოცანა აქვს დასაძლევ: პირველ რიგში, მან უნდა გამოარკვიოს, თუ რა მოხდა სინამდვილეში. მეორე რიგში კი, მოსამართლემ სამართლებრივად უნდა შეაფასოს ფაქტობრივი გარემოებები და დაადგინოს, არსებობს თუ არა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილე-

ბის საფუძველი. მოსარჩელემ სასამართლოს უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ვერ აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნას, მაშინ სარჩელი უკვე ამ საფუძველზე არ უნდა დაკმაყოფილდეს. ასეთ შემთხვევაში მოსამართლეს არა აქვს უფლება, საკუთარი ინიციატივით მოიძიოს სასარჩელო მოთხოვნის დამადასტურებელი გარემოებები და შეაგროვოს მტკიცებულებები. თუ მოსარჩელის მიერ სარჩელში მითითებულია ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ადასტურებენ მოთხოვნის არსებობას, მაშინ უკვე მოპასუხეზეა დამოკიდებული, ამ გარემოებების არსებობის უარყოფა“ (იხ. თომას ჰერმანი, მტკიცებულებითი სამართალი, GIZ, თბილისი, 2016 წ., გვ.3-4).

12. „მტკიცების საგანში შემავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოსარჩელემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს არა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს“ (იხ. ჰაინ. ბოელინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბილისი, 2004 წ., გვ.64).

13. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცების ტვირთის განაწილებისა და ფაქტების დადგენის შემდეგ, მნიშვნელოვანია, სასამართლომ მითითებული ფაქტების დასადასტურებლად წარდგენილი მტკიცებულებები სათანადოდ შეაფასოს.

14. სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპს ემყარება და მხარის პოზიციის წარმატება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად უტყუარად შეძლებს იგი მტკიცების საგანში შემავალი გარემოებების დადასტურებას (სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლები). შესაბამისად, სასამართლოში წარმატების მომტანია არა მხოლოდ მოთხოვნის დამასაბუთებელ არგუმენტზე (არგუმენტებზე) მითითება, არამედ მისი ნამდვილობის სათანადო მტკიცებულებით (მტკიცებულებებით) დადასტურება. სხვაგვარად შეუძლებელიცაა, რადგან საქმის გარემო-

ებების არსებობის ან არარსებობის შესახებ სწორი დასკვნა სასამართლოს მიერ სწორედ მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას შეიძლება დაეფუძნოს. ბუნებრივია, ერთი მხარე ყოველთვის შეეცდება, სასამართლოს სიტყვიერად თავის სასარგებლო პოზიციაზე მიუთითოს, ხოლო მეორე – ამ პოზიციას უარყოფს. მათი პოზიციების განხილვით ჭეშმარიტების დადგენა, რა თქმა უნდა გამოიწვეულია (იხ. სუსგ საქმე №ას-1423-2019, 28.02.2020). მხარეთა მიერ წარდგენილი ახსნა-განმარტებები კი უნდა იყოს დასაბუთებული და, იმავდროულად, უნდა დასტურდებოდეს რელევანტური მტკიცებულებებით (სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

15. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არაერთ საქმეზე განმარტა, რომ მტკიცებულებათა შეფასება სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასება ეფუძნება შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და არა – სასამართლოს სუბიექტურ მოსაზრებებს. სასამართლო ობიექტურ საწყისებზე მტკიცებულებათა ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შედეგად ადგენს მათ იურიდიულ ძალას, კერძოდ, განსაზღვრავს, თუ რა გარემოების დადგენა ან პირიქით, უარყოფაა შესაძლებელი. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მტკიცებულებათა შეფასება მათი უტყუარობის თვალსაზრისით, რისთვისაც საჭიროა ამ მტკიცებულებათა ყოველმხრივი შემოწმება, მათი დაპირისპირება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან. მტკიცებულებათა შეფასებას კი, პროცედურულად მოჰყვება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა (იხ. სუსგ საქმე №ას-400-2020, 15.02.2020).

16. საკასაციო პალატა მიუთითებს სსსკ-ის 105-ე მუხლზე, რომლითაც განსაზღვრულია სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა გამოკვლევა-შეფასების წესი და დადგენილია, რომ სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადანწყვეტილებაში. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასების შედეგი აისახება სასამართლოს დასაბუთებულ გადანწყვეტილებაში, რომელიც უნდა შეიცავდეს მსჯელობას იმის შესახებ, თუ რატომ იზიარებს ან რატომ უარყოფს სასამართლო ამა თუ იმ მტკიცებულებას. ამასთან, მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა ნიშნავს მათ ერთობლიო-

ბაში შესწავლა-ანალიზს, რომელთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე სასამართლო გამოიტანს დასკვნას საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობა-არარსებობის შესახებ. მტკიცებულებათა შეფასებას სასამართლო ახდენს მათი სარწმუნოობისა თუ არასარწმუნოობის თვალსაზრისით და, ასევე იმის მიხედვით, თუ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე რომელ ფაქტს ადასტურებს ესა თუ ის მტკიცებულება (სუსგ №ას-1339-1377-2014, 24.06.2015წ.; №ას-984-2020, 19.04.2022).

17. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ექსპერტის დასკვნა, მტკიცებულების ერთ-ერთი სახეა, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იქნეს საქმის გარემოებათა დასადგენად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 162-ე მუხლის ნორმატიული გაგებით, მტკიცების ამ საშუალებით შესაძლებელია საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტის დადგენა, ხოლო ამგვარი მტკიცებულების გარეშე, ზოგიერთ შემთხვევაში, საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანა შეუძლებელია. ექსპერტიზის საჭიროება საქმეზე დასადგენი გარემოებების თავისებურებიდან გამომდინარეობს. ექსპერტის დასკვნა, როგორც სპეციალური ცოდნით აღჭურვილი პირის კვლევის წერილობითი შედეგი პასუხს სცემს სამოქალაქო საქმესთან დაკავშირებით მხარეთა ანდა სასამართლოს მიერ დასმულ კითხვებს (იხ. სუსგ. საქმეზე №ას-462-2022, 24.06.2022).

18. საბოლოოდ, როგორც სხვა მტკიცებულებების, ასევე, ექსპერტის დასკვნის იურიდიულ ძალას აფასებს სასამართლო. ექსპერტის დასკვნის შეფასება ხდება ზოგადად მტკიცებულებების შეფასებისათვის დადგენილი ყოველმხრივი სრული და ობიექტური განხილვის კრიტერიუმებით. მტკიცებულების სრულყოფილად გამოკვლევა კი, გულისხმობს მისი შინაარსის სრულყოფილ შესწავლა-ანალიზს, ხოლო შემდეგ – მისი იურიდიული ძალის (დამაჯერებლობის, სარწმუნოობის) შემოწმებას, რის შედეგადაც, სასამართლოს გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

19. საკასაციო პალატა მიუთითებს საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: სადაზღვევო კომპანიამ უარი განაცხადა სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე (2022 წლის 23 მარტს მოსარჩელის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა აცნობა სსიპ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს და დამზღვევს 2022 წლის 3 მარტს მხარეთა შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №11/03/1 ხელშეკრულებით დაზღვევული ავტოსატრანსპორტო საშუალების – მარკა/მოდელი – „KIA K5“, სახელმწიფო ნომერი – „...“, დაუდგენელ ვითარებაში დაზიანების ფაქტის შესახებ) შპს „ა-ის“ 2022 წლის 6 აპრილის ტექნიკური ექსპერტიზის დას-

კენის საფუძველზე, რომლის თანახმად: 1) დაზიანებების მიზეზის დადგენა არის შეუძლებელი; სახეზეა გაურკვეველ ვითარებაში, გაურკვეველი სახის დაზიანებები.

20. დადგენილია, რომ შპს „ა-ის“ ექსპერტს – გ. ბ-ძეს, სადაზღვევო კომპანიამ წარუდგინა შსს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ცნობა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თანამშრომლის ნ. ყ-ის მიერ შემთხვევის ადგილზე გადაღებული ფოტომასალა და მოითხოვა 2022 წლის 23 მარტს დაუდგენელ ვითარებაში დაზიანებული საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაზიანების გამომწვევი მიზეზების დადგენა. აგრეთვე, იმ გარემოების დადგენა, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი შემთხვევა და ავტომანქანაზე არსებული, თანდართულ დოკუმენტებში აღწერილი დაზიანებები, შესაძლებელია თუ არა გამომწვეულიყო ამავე დოკუმენტებში და ფოტოებზე მოცემულ ადგილას აღწერილი ერთი შემთხვევის შედეგად.

21. მოპასუხე კომპანიამ 2022 წლის 6 აპრილს მიმართა საქსპერტო კომპანიას (შპს „ა-ი“ – დირექტორი და დამფუძნებელი გ. ბ-ძე), შემდეგი კითხვებით – „1. გთხოვთ დაგვიდგინოთ შემთხვევის, ა/მანქანის დაზიანების გამომწვევი მიზეზი; 2. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი შემთხვევა და ავტომანქანაზე არსებული, თანდართულ დოკუმენტებში აღწერილი დაზიანებები, შესაძლებელია თუ არა გამომწვეული იყოს ამავე დოკუმენტებში და ფოტოებზე მოცემულ ადგილას აღწერილი ერთი შემთხვევის შედეგად?“, ექსპერტი გ. ბ-ძის დასკვნაში აღნიშნულია: „წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ 2022 წლის 23 მარტს უფლებამოსილმა მძღოლმა აღმოაჩინა, რომ ქ. თბილისში, ... №15-ის მიმდებარედ გაჩერებული, მისი სამსახურებრივი ავტომობილი იყო დაზიანებული. კერძოდ ავტომობილს დაზიანებული ჰქონდა წინა ბამპერი, საწინსლე ფარი, წინა მარცხენა სარკე და დეფორმირებული იყო ძრავის ხუფი. ფოტოების შესწავლის შედეგად შეიძლება ითქვას, რომ: დაზიანების ადგილები მნიშვნელოვნად დაშორებულია ერთმანეთისგან: ძრავის სექციის სახურავი დაზიანებულია გლუვი საგნით ან ხელით, რადგანაც დაზიანების ადგილზე, საღებავზე არ არის ნაკანრები და წვრილი დაზიანებები. დეფორმაციის გამო 1-1,5 სმ სიგრძეზე გატეხილია საღებავი. მყარ საგანზე მიწოლით დაზიანებულია, გატეხილია წინა ბამპერის მარცხენა ქვედა კუთხე. განცხადებულია, რომ დაზიანებულია სარკე, მაგრამ ფოტოების მიხედვით დაზიანების ზუსტი იდენტიფიცირება ვერ ხდება, უკანა ხედვის მარცხენა გარეთა სარკეს, კორპუსზე ეტყობა შეხების ადგილი, სადაც დაზიანებულია საღებავის ზედაპირი. დაზიანებები, მდებარეობის და დაზიანების ხასიათის მიხედვით არ შეიძლება ერთად, ერთი შემთხვევის დროს იყოს მომხდარი: ექსპერტიზაზე

წარმოდგენილი ავტომობილის ძრავის სექციის სახურავი დაზიანებულია ვერტიკალური ზემოქმედებით და არ შეიძლება მიყენებული იყოს ამავე ავტომობილის წინა ბამპერის მარცხენა კუთხის ან უკანა ხედვის მარცხენა გარეთა სარკის კორპუსის დაზიანების დროს; ბამპერის ქვე- და კუთხეში არსებული დაზიანება ხასიათით, ტიპით და მდებარეობის მიხედვით, დიდი ალბათობით მომხდარია მოძრაობის მიმართულების- თვის მარცხნივ, მახვილი კუთხით პარკირებისას ბორდიურზე ან სხვა შემზღუდველზე შეჯახებით; სარკეზე არსებული დაზიანება, მიუხე- დავად იმისა, რომ ფოტოებით არ ხერხდება დაზიანების ზუსტი იდენ- ტიფიცირება, მომხდარია ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ავტომობი- ლის ან მის მიმართ სხვა ავტომობილის პარალელურად მოძრაობის დროს, როდესაც დაზიანების მიყენების ობიექტი იმდენად იყო დაშო- რებული ავტომობილისგან, რომ არ დაზიანებულა ავტომობილის მარ- ცხენა გვერდი; ქვემოთ მოცემულია ავტომობილის გაბარიტული ზომე- ბი და ავტომობილების მანევრირებისას მათი გაბარიტული ძარის წერ- ტილების გადაადგილების სქემები, რომელთა მიხედვითაც შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეუძლებელია მოძრავი ავტომობილი შეეჯახოს გაჩერე- ბულ ავტომობილს მარცხენა კუთხეზე, დაუზიანოს ბამპერის ქვედა ნაწილის კუთხე და შემდგომ, სხვა დაზიანებების მიყენების გარეშე და- უზიანოს უკანა ხედვის გარეთა მარცხენა სარკის კორპუსი. განცხადე- ბულ შემთხვევის ადგილზე არ არის ასეთ შემთხვევისათვის დამახასი- ათებელი შესაძლო სპეციფიკური ჩამონაყარი. წინა ბამპერის მარცხენა კუთხესთან უნდა იყოს პლასტმასის ნატყეხები. ზემოაღნიშნულიდან გა- მომდინარე შეგვიძლია ვთქვათ შემდეგი: ავტომობილის გაბარიტების, გამოშვერილობების და მანევრირების ტრაექტორიის გეომეტრიის გათ- ვალისწინებით, ავტომობილი ვერ იმოძრავებდა ისეთი კუთხით და ტრა- ექტორიით, რომ მიეყენებინა ავტომობილზე არსებული დაზიანებები; შემთხვევის ადგილზე არ არის დაზიანებული ბამპერის ნატყეხების ჩა- მონაყარი; დაზიანებები მიყენებულია სხვადასხვა საგნით ან ავტომო- ბილით, განსხვავდება ტიპით და ხასიათით, მომხდარია გაურკვეველ ვითარებაში და შეუძლებელია მიზეზის დადგენა; დაზიანებები ერთი შემთხვევის დროს არ არის მომხდარი, დასაშვებია ვთქვათ, რომ ერთი ან რამდენიმე დაზიანება გაჩერებულ ავტომობილზეა მიყენებული, მაგ- რამ წინა ბამპერის ქვედა მარცხენა კუთხეზე არსებული დაზიანება, დიდი ალბათობით, უნდა მომხდარიყო მხოლოდ ამ ავტომობილის მოძ- რაობისას.

22. შპს „ა-ის“ ტექნიკური ექსპერტიზის მიხედვით დადგინდა – „1. დაზიანებების მიზეზის დადგენა შეუძლებელია, გაურკვეველ ვითარე- ბაში, გაურკვეველი სახის დაზიანებებია. დასაშვებია ვთქვათ, რომ ზო- გიერთი დაზიანება სტატიკურ მდგომარეობაში მყოფ ავტომობილზე

საგნით და სხვა ავტომობილის მიერ იყოს მიყენებული, მაგრამ დიდი ალბათობით, მინიმუმ ერთი მათგანი უნდა მომხდარიყო ავტომობილის ბორდიურთან ან სხვა მსგავს შემზღუდველთან პარკირების დროს შეჯახებით. 2. დაზიანებები ერთი შემთხვევის დროს არ არის მიყენებული, შესაბამისად შეუძლებელია შემთხვევის ადგილის იდენტიფიცირება“. დასკვნის მიხედვით, კომპანიამ ექსპერტს – გ. ბ-ძეს ტექნიკური ექსპერტიზისთვის წარუდგინა ფოტომასალა, ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის III სამმართველოს მიერ გაცემული ცნობა.

22.1. თავის მხრივ, მოსარჩელემ 2022 წლის 19 ივლისის მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, შემდეგი კითხვებით „1. დაგვიდგინეთ, ა/მანქანის დაზიანების გამომწვევი მიზეზები. 2. ექსპერტიზაზე წარმოდგენილი შემთხვევა და ავტომანქანაზე არსებული, თანდართული დოკუმენტებში აღწერილი დაზიანებები, შესაძლებელია თუ არა გამომწვეული იყოს ამავე დოკუმენტებში და ფოტოებზე მოცემულ ადგილას აღწერილი ერთი შემთხვევის შედეგად“. განცხადებას ერთვის ა/მანქანის ფოტოსურათები, CD დისკი, შსს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ცნობა. განცხადებაზე, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2022 წლის 28 ივლისის პასუხით ირკვევა, რომ ექსპერტიზის სრულყოფილი ჩატარებისთვის მნიშვნელოვანი იყო გამოსკვლევი ობიექტის პირვანდელ მდგომარეობაში დათვალიერება და ტექნიკური შემოწმება. ვინაიდან, განცხადების წარდგენის დროისთვის გამოსაკვლევი ობიექტი მრავალჯერ გარეცხილი და განმენდილი იყო, ტექნიკურად შეუძლებელი იყო დასკვნის მომზადება იმასთან დაკავშირებით, თუ კონკრეტულად რა ვითარებაში დაზიანდა გამოსაკვლევი ავტომობილი და მასზე არსებული დაზიანებები განვითარდა თუ არა ერთი და იგივე შემთხვევის შედეგად. პასუხის მიხედვით ასევე ირკვევა, რომ ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის ჩატარება მხარის მიერ წარდგენილი ფოტო მასალის მიხედვით ტექნიკურად შეუძლებელი იყო.

23. საკასაციო სასამართლო მითითებულ ექსპერტიზის დასკვნებზე გაამახვილებს ყურადღებას და განმარტავს, რომ მხარეებმა, სხვადასხვა საექსპერტო დაწესებულებებს ზუსტად იდენტიური კითხვებით მიმართეს, ამასთან წარადგინეს იდენტიური მასალა ექსპერტიზის ჩატარებლად და დასკვნის მოსამზადებლად. აღსანიშნავია, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით, წარდგენილი მასალის საფუძველზე დადგინდა გარკვეული გარემოებები, რომლის მიხედვითაც, ექსპერტი ალბათობის დიდი ხარისხით განმარტავს, რომ ავტომობილზე დაზიანებები სხვადასხვა დროს არის მიყენებული, ამასთან შეუძლებელია შემთხვევის ადგილის დათვალიერება. საკასაციო სასა-

მართლო ყურადღებას გაამახვილებს კომპანიის მიერ წარმოდგენილის ექსპერტიზის დასკვნის სახეზე, რომლის მიხედვითაც ჩატარებულია ტექნიკური ექსპერტიზა.

24. აღნიშნულის საპირისპიროდ, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ მოსარჩელეს ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ უარი უთხრა ექსპერტიზის ჩატარებაზე და ამავე წერილით, განსაზღვრული ექსპერტიზის ჩატარებაზე უარის თქმის მოტივად ირკვევა, რომ წარდგენილი კითხვების პასუხგასაცემად საჭირო იყო სატრანსპორტო საშუალების ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზა, რომლის ჩატარებაც გამოსაკვლევ საგნის თავდაპირველ მდგომარეობაში დათვალიერების გარეშე შეუძლებელი იყო, ხოლო, სხვაგვარად წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე შეუძლებელი იყო დასკვნის მომზადება.

24.1. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო ნაწილობრივ იზიარებს კასატორის პრეტენზიებს, გასაჩივრებული განჩინების დაუსაბუთებლობასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და ხელახლა განხილვისას გამოირკვეს, შესაძლებელია თუ არა მხარეთა ხელთ არსებული მასალების საფუძველზე დაზღვევის ობიექტის იმგვარად გამოკვლევა, რომ დადგინდეს ან გამოირიცხოს სადაზღვევო კომპანიის პასუხისმგებლობა მოსარჩელის წინაშე. კერძოდ; სატრანსპორტო საშუალების დაზიანებების გამომწვევი მიზეზის დასადგენად: 1. საკმარისი იყო თუ არა მხოლოდ ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება თუ აუცილებელი იყო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზა; 2. შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება შესაძლებელი იყო თუ არა ფოტომასალისა და ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ისანი-სამგორის მთავარი სამმართველოს პოლიციის III სამმართველოს მიერ გაცემული ცნობის საფუძველზე.

25. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის განხილვისას, მხარეები ითხოვდნენ ექსპერტების დაკითხვას, რომელთა ჩვენებების საფუძველზე შესაძლოა დადგენილიყო კონკრეტულად რა კვლევებისა და რა მეთოდების საფუძველზე მიიღო ექსპერტმა დასკვნა, ან დასკვნის მომზადებაზე უარის თქმის დამატებით რა მოტივები ჰქონდა. საკასაციო სასამართლო, 2022 წლის 23 სექტემბრის საოქმო განჩინებაზე მიუთითებს და განმარტავს, რომ სხდომაზე ორივე მხარემ იშუამდგომლა ექსპერტების გამოკითხვა, თუმცა, სასამართლომ უარი თქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ ექსპერტები ახალს ვერაფერს იტყოდნენ. მაგალითად, ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ წარმოდგენილ ცნობაზე ნათლად ეწერა, რომ სატრანსპორტო საშუალებაზე ექსპერტიზის ჩატარება შეუძლებელი იყო.

26. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ექსპერტი პროცესის მონა-

ნილე სუბიექტია, რომელიც ფლობს სპეციალურ ცოდნას მეცნიერების, ტექნიკის, მედიცინის, ხელოვნების ან ხელობის დარგში. მის მიერ შედგენილ დასკვნაში გადმოცემულია გამოკვლევის შინაარსი, შედეგები და პასუხი მის წინაშე დასმულ კითხვებზე. ექსპერტის დასკვნა უნდა შეიცავდეს მონაცემებს, რომელიც ახასიათებს ექსპერტიზის ჩატარების პირობებს, კონკრეტულ დროს, ადგილს, ექსპერტიზის საფუძველს და პირებს, რომლებიც უშუალოდ იღებენ მონაწილეობას კვლევაში. ექსპერტის დასკვნა უნდა შეესაბამებოდეს კანონის ნორმებს, შეიცავდეს გამოკვლევის ობიექტურობას, მყარ არგუმენტაციას დასმულ კითხვებზე, მეცნიერულად დასაბუთებულ პასუხებს.

27. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 170-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად ექსპერტი დასკვნას იძლევა წერილობითი ფორმით. სასამართლოს უფლება აქვს მისცეს ექსპერტს წინადადება, რომ მან ზეპირი განმარტება მისცეს სასამართლოს თავისი დასკვნის შესახებ. ზეპირი განმარტება შეიტანება სასამართლო სხდომის ოქმში...

28. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმ პირობებში როდესაც ერთი და იმავე მასალის საფუძველზე, ერთმა საექსპერტო დაწესებულებამ დასკვნა მოამზადა, ხოლო, მეორე დაწესებულებამ, უარი განაცხადა დასკვნის შედგენაზე, ამავდროულად იმის გათვალისწინებით, რომ ორივე მხარე ითხოვდა ექსპერტების დაკითხვას, სააპელაციო სასამართლოს უნდა მოესმინა ექსპერტების ზეპირი განმარტება და ამ გზით გამოეკვლია განჩინების 22.1 პუნქტში დაყენებული სადავო საკითხები.

29. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ წარდგენილი ფოტოსურათების საფუძველზე ექსპერტმა მკაფიო პასუხი უნდა გასცეს, შესაძლებელია თუ არა რაიმე სახის ექსპერტიზით დასმულ კითხვებს გაეცეს პასუხი, თუ შესაძლებელია, ალბათობის რა ხარისხით შეიძლება დადგინდეს, სურათზე აღბეჭდილი, სადავო ავტომობილზე არსებული დაზიანებების გამომწვევი მიზეზი წარმოადგენს თუ არა სადაზღვევო კომპანიის პასუხისმგებლობის საფუძველს, ამასთან, შესაძლებელია თუ არა დადგინდეს ამავე ფოტოსურათებით, ავტომობილზე არსებული დაზიანებები ერთი შემთხვევის შედეგი იყო თუ არა.

30. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საერთო წესის მიხედვით, სასამართლოს ნებისმიერი განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს. თავისებურება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ზოგიერთი განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად (ცალკე) – კერძო საჩივრით (საჩივრით) (სსსკ-ის 414-ე მუხლი), ხოლო ზოგიერთი – მხოლოდ გადაწყვეტილებასთან ერთად (სსსკ-ის 377-ე მუხლი). სასამართლოს იმ განჩინებების უსწორობაზე

და დაუსაბუთებლობაზე, რომლებიც შეიძლებოდა გასაჩივრებულიყო კერძო საჩივრით, მაგრამ ამა თუ იმ მიზეზით არ გასაჩივრებულა, აგრეთვე იმ განჩინებებზე, რომლებზეც კერძო საჩივრის შეტანა დაუშვებელია, შეიძლება მიეთითოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილ საკასაციო საჩივარში. უნდა აღინიშნოს, რომ საბოლოო გადაწყვეტილების წინმსწრები განჩინებების ამ გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრების მიზანი შეიძლება იყოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დაუსაბუთებლობის, მისი კანონის დარღვევით მიღების დადასტურება. შესაბამისად, თუ შემომწმების შედეგად აღმოჩნდება, რომ საბოლოო გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრებული წინმსწრები განჩინებები კანონის დარღვევითაა მიღებული, რამაც შემაჯამებელი გადაწყვეტილების იურიდიული დაუსაბუთებლობა განაპირობა, საკასაციო სასამართლო გააუქმებს როგორც შემაჯამებელ გადაწყვეტილებას, ისე კანონის დარღვევით მიღებულ განჩინებებსაც. (იხ. სუსგ-ებები: №3კ/393-01, 19 ოქტომბერი, 2001 წ; №ას-112-415-04, 4 მარტი, 2004წ; №ას-217-209-2013, 20 სექტემბერი, 2013 წ.).

31. ამდენად, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 23 სექტემბრის საოქმო განჩინებები (ექსპერტთა დაკითხვის თაობაზე უარის თქმის შესახებ), რადგან სახეზეა მათი გაუქმების ფაქტობრივ სამართლებრივი საფუძვლები. კერძოდ, იმ პირობებში როდესაც ერთი და იმავე მასალის საფუძველზე, ერთმა საექსპერტო დაწესებულებამ ექსპერტიზის დასკვნა მოამზადა, ხოლო, მეორე დაწესებულებამ, უარი განაცხადა ექსპერტიზის დასკვნის შედგენაზე, ამავდროულად, ორივე მხარე ითხოვდა ექსპერტების დაკითხვას, სააპელაციო სასამართლოს, მტკიცებულებების შეფასებისათვის დადგენილი ყოველმხრივი სრული და ობიექტური განხილვის მიზნით, უნდა მოესმინა ექსპერტების ზეპირი განმარტება და ამ გზით სრულად გამოეკვლია მხარეთა მიერ სადავოდ ქცეული საკითხები, მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ, უნდა გამოეტანა დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

32. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. რადგან მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა საქმის ქვემდგომი ინსტანციის (სააპელაციო) სასამართლოში გან-

სახილველად დაბრუნების წინაპირობები, ამიტომაც საკასაციო პალატა მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სამართლომ უნდა გაითვალისწინოს წინამდებარე განჩინებაში განვითარებული საკასაციო პალატის მოსაზრებები და ისე გადაწყვიტოს დავა.

32.1. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხიც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე, 412-ე მუხლებით

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 13 თებერვლის განჩინება, და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სადაზღვევო პრემიის არადროული გადახდა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1548-2023

7 მარტი, 2025 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: გ. ჯეირანაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. ქოჩიაშვილი,
ა. ძაბუნაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით სს „ს.კ.ჯ.პ-ის“ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „სადაზღვევო კომპანია“, „მზღვეველი“ ან „კასატორი“) სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2022 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც სადაზღვევო კომპანიის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელეს უარი ეთქვა სადაზღვევო პრემიის – 2316.86 აშშ დოლარის და პირგასამტეხლოს – 2237.5 აშშ დოლარის შპს „ლ. ვ-ისათვის“ (შემდგომში – „მოპასუხე კომპანია“ ან „დამზღვევი“) დაკისრებაზე.

2. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია საქმის გადანაცვებისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2019 წლის 12 თებერვალს მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება სადაზღვევო მომსახურების შესახებ №1809/19;

2.2. 2019 წლის 15 ივლისს მხარეთა შორის ასევე დაიდო ხელშეკრულება სადაზღვევო მომსახურების შესახებ №5229/19;

2.3. ორივე ხელშეკრულების 2.1 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა „მზღვეველის“ თანხმობა, „დამზღვევის“ მიერ პრემიის სრულად, ან პირველი შენატანის გადახდის და პოლისში შეთანხმებული გადახდის გრაფიკის დაცვის სანაცვლოდ გაენია „დამზღვევისთვის“ მის მიერ მიღებული სადაზღვევო წესების „დაზღვევის პირობების“, წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქონებრივი/პასუხისმგებლობის ინტერესის დასაცავად სადაზღვევო მომსახურება;

2.4. ხელშეკრულებების 2.3 მუხლის თანახმად, „დაზღვევის საგანი,

დაზღვეული პირის ვინაობა, სადაზღვევო რისკი, დაზღვევის დასაწყისი და მისი ხანგრძლივობა განისაზღვრება უშუალოდ მხარეთა მიერ პოლისის და წინამდებარე ხელშეკრულების მეშვეობით“;

2.5. ამავე ხელშეკრულებების 3.2 მუხლის თანახმად, „დამზღვევის“ მიერ პრემიის სადაზღვევო ხელშეკრულებით ან/და მის საფუძველზე გაცემული პოლისებით, დადგენილი ოდენობით და წესით გადაუხდელობისას, „მზღვეველი“ „დამზღვევს“ წერილობით განუსაზღვრავს ორკვირიან ვადას არსებული დავალიანების აღმოსაფხვრელად. იმ შემთხვევაში, თუ „დამზღვევის“ მიერ არ იქნა დავალიანება გადახდილი წერილობით განსაზღვრულ ვადაში, წერილის გაგზავნის თარიღიდან 1 თვის ვადაში ხელშეკრულება (მის საფუძველზე გაცემული პოლისები) ჩაითვლება შეწყვეტილად. ასეთ შემთხვევაში „მზღვეველი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „დამზღვევს“ და თავის მხრივ, „დამზღვევი“ ვალდებულია გადაუხადოს „მზღვეველს“ დაზღვევის შეწყვეტის მომენტისათვის არსებული პრემიის დავალიანება სრულად. ასევე დამატებით გადაუხადოს „მზღვეველს“ თანხა თითოეული ვადამდე შეწყვეტილი პოლისის წლიური სადაზღვევო პრემიის 25%-ის ოდენობით (მაგრამ არა უმეტეს ჯამური პრემიის). აღნიშნული პირობა მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული პოლის(ებ)ის „დამზღვევის“ მიერ ვადამდე შეწყვეტის შედეგად შემცირდება შეწყვეტის მომენტისათვის მოქმედი პოლისებით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის 25%-ზე მეტით, ან იმ შემთხვევაში, თუ გაუქმდება წინამდებარე ხელშეკრულება;

2.6. ამავე ხელშეკრულებების 5.2.3 პუნქტის თანახმად, „მზღვეველი“ ვალდებულია „დამზღვევის“ მიერ პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში წერილობით მოითხოვოს „დამზღვევისაგან“ პირგასამტეხლოს გადახდა დავალიანებული პრემიის 0.20%-ის ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის. პირგასამტეხლოს დარიცხვა/ათვლა დაიწყება წერილობით შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. ამასთანავე, პირგასამტეხლო გადაიხდება დამატებით, პრემიის გადახდის ვალდებულების მიუხედავად, რომლის გადახდაც არ ათავისუფლებს „დამზღვევს“ ნაკისრი ძირითადი ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან;

2.7. 2019 წლის 12 თებერვლის №1809/19 ხელშეკრულების ფარგლებში გაიცა შვიდი სადაზღვევო პოლისი: 1) NMI 194084/19, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 14.03.2019 წლიდან 13.03.2020 წლის ჩათვლით; 2) NMI 194083/19, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 14.03.2019 წლიდან 13.03.2020 წლის ჩათვლით; 3) NMI 193261/19, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 27.02.2019 წლიდან 26.02.2020 წლის ჩათვლით; 4) NMI 193260/19, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 27.02.2019 წლიდან

28.02.2020 წლის ჩათვლით; 5) NMI 192628/19, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 13.02.2019 წლიდან 12.02.2020 წლის ჩათვლით; 6) NMI 192624/19, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 13.02.2019 წლიდან 12.02.2020 წლის ჩათვლით; 7) NMI 193257/19, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 27.02.2019 წლიდან 26.02.2020 წლის ჩათვლით. ამავე სადაზღვევო პოლისებით განისაზღვრა პრემიის გადახდის გრაფიკი;

2.8. 2019 წლის 15 ივლისის №5229/19 ხელშეკრულების ფარგლებში გაიცა სადაზღვევო პოლისი NMI 202981/19, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 15.07.2019 წლიდან 14.07.2020 წლის ჩათვლით. ამავე სადაზღვევო პოლისით განისაზღვრა პრემიის გადახდის გრაფიკი;

2.9. მხარეებს შორის ხელშეკრულება ვადაზე ადრე არ შეწყვეტილა.

3. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება არის დაზღვევის ხელშეკრულება, რომელიც, თავის მხრივ, რეალურ ხელშეკრულებათა კატეგორიას განეკუთვნება და ამავდროულად, წარმოადგენს ორმხრივად მავალდებულებელ გარიგებას (სსკ-ის 799-ე მუხლი). კერძოდ, ერთი მხრივ, დამზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებას წარმოადგენდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში სადაზღვევო პრემიის გადახდა და, მეორე მხრივ, მზღვეველს ეკისრებოდა სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების ვალდებულება. უდავო გარემოებაა, რომ დამზღვევის მხრიდან დაირღვა სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება. ხელშეკრულების პირობების ამგვარი დარღვევის შემთხვევაში, მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის რეგულირების სამართლებრივი მექანიზმი გათვალისწინებულია სსკ-ის 817-ე მუხლში, რომლის თანახმად, თუ სადაზღვევო შესატანი დროულად არ არის გადახდილი, მაშინ მზღვეველს შეუძლია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან, უნდა მიუთითოს იმ შედეგებზე, რომლებიც ვადის გასვლას მოჰყვება. თუ ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევო შემთხვევა და ამ დროისათვის დამზღვევის მიერ გადაცილებულია შესატანის ან პროცენტების გადახდის ვადა, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობებისაგან. პალატამ მიუთითა ასევე ამავე კოდექსის 818-ე მუხლზე, რომლის მიხედვით, თუ დამზღვევმა თავის დროზე არ შეიტანა სადაზღვევო შესატანი, მზღვეველს შეუძლია ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მოშალოს იგი.

4. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ სადაზღვევო შესატანის შეთანხმებულ ვადაში გადაუხდელობისას, მზღვეველს ევალება გონივრულ ვადებში შეატყობინოს დამზღვევს მოსალოდნელი შედეგები. მზღვეველის ქცევის ამგვარი სტანდარტის არსებობა განპირობებულია სწორედ კერძო სამართლის სუბიექტების კეთილსინდისიერი ქცე-

ვის ფარგლებით (სსკ-ის 8.3 მუხლი). მართალია, სსკ-ის 817-ე-818-ე მუხლები არ წარმოადგენს მავალდებულებელ ნორმებს, მაგრამ სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს მზღვეველს მართლზომიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება და სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, დროულად გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, არ დაელოდოს ხელშეკრულების ვადის გასვლას და სწორედ ამ პერიოდს არ დაუკავშიროს სადაზღვევო შესატანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზაცია. პალატამ აღნიშნა, რომ მზღვეველი, რომლის მიმართაც არაერთგზის დაირღვა სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება, დაელოდა სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვას და მხოლოდ ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ მოითხოვა დარღვეული უფლების დაცვა, ისე რომ მას დამზღვევთან სახელშეკრულებო ურთიერთობის პერიოდში არცერთხელ არ გამოუყენებია კონტრაჰენტის/დამზღვევის წერილობითი გაფრთხილების ფორმა. მზღვეველის უმოქმედობას კი ამ ტიპის დავის გადანაცვებისათვის არა მხოლოდ თეორიული, არამედ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, რადგანაც დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, თუკი მზღვეველი, რომლის მიმართაც არ სრულდება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულება, წერილობით არ გააფრთხილებს დამზღვევს მოსალოდნელ შედეგებზე, იგი კარგავს სადაზღვევო პრემიის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას სახელშეკრულებო ურთიერთობის ამოწურვის შემდეგ (იხ. სუსგ საქმე №ას-85-81-2013; №ას-1308-1246-2014).

5. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2019 წლის 12 თებერვლის №1809/19 ხელშეკრულების ფარგლებში გაიცა შვიდი სადაზღვევო პოლისი. სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე 12.02.2020 წლის ჩათვლით. 2019 წლის 15 ივლისის №5229/19 ხელშეკრულების ფარგლებში გაიცა სადაზღვევო პოლისი NMI202981/19, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 15.07.2019 წლიდან 14.07.2020 წლის ჩათვლით. ამავე სადაზღვევო პოლისით განისაზღვრა პრემიის გადახდის გრაფიკი.

6. სააპელაციო პალატის მითითებით, 2019 წლის 12 თებერვლის №1809/19 ხელშეკრულების ფარგლებში გაცემულ სადაზღვევო პოლისზე NMI 194084/19 მოპასუხეს ერიცხება დავალიანება 95.2 აშშ დოლარი, სადაზღვევო პოლისზე NMI 194083/19 – 283.6 აშშ დოლარი, სადაზღვევო პოლისზე NMI 193261/19 – 134.05 აშშ დოლარი, სადაზღვევო პოლისზე NMI 193260/19 – 273.05 აშშ დოლარი, სადაზღვევო პოლისზე NMI 192628/19 – 94.2 აშშ დოლარი, სადაზღვევო პოლისზე NMI 192624/19 – 208.4 აშშ დოლარი; სადაზღვევო პოლისზე NMI 193257/19 – 113.04 აშშ დოლარი; 2019 წლის 15 ივლისის №5229/19 ხელშეკრულების ფარ-

გლებში გაცემულ სადაზღვევო პოლისზე NMI202981/19 მოპასუხეს ერიცხება დავალიანება 68.31 აშშ დოლარი; მოპასუხის დავალიანება, დავალიანების შესახებ ცნობის თანახმად, შეადგენს 2316.86 აშშ დოლარს.

7. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებების 3.2 მუხლზე (იხ. წინამდებარე განჩინების 2.5 ქვეპუნქტი) და განმარტა, რომ კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავდროულად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს. კანონმდებელი სადაზღვევო ურთიერთობაში მზღვეველს, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების ძლიერ მხარეს, ანიჭებს აქტიურ როლს, რაც მისთვის გარკვეული უფლებების განსაზღვრაში გამოიხატება. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიამ კანონმდებლის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებები კეთილსინდისიერად უნდა გამოიყენოს და სადაზღვევო ურთიერთობის ფარგლებში არ უნდა შექმნას დამზღვევისათვის უარესი პირობები. კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს მზღვეველს მართლზომიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება და სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და არ დაელოდოს ხელშეკრულების ვადის გასვლას, რადგან დამზღვევი, როგორც ხელშეკრულების სუსტი მხარე, უარეს პირობებში არ ჩავარდეს.

8. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხეს მოსარჩელისაგან არსებული დავალიანების ორკვირიან ვადაში აღმოსაფხვრელად, წერილობით შეტყობინება არ გაგზავნია. ამდენად, სადაზღვევო კომპანიამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა – დამზღვევს წერილობით განუსაზღვროს ორკვირიანი ვადა არსებული დავალიანების აღმოსაფხვრელად, არ შეასრულა, რაც მოსარჩელეს უკარგავს სადაზღვევო პრემიის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას სახელშეკრულებით ურთიერთობის ამოწურვის შემდეგ.

9. გარდა ზემოაღნიშნულისა, პალატამ მიუთითა, რომ, ვინაიდან არ იქნა დაკმაყოფილებული მოსარჩელის მოთხოვნა დაგროვილი პრემიის დაკისრების ნაწილში, შესაბამისად, მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას პირგასამტეხლოს ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილებაზეც, მით უფრო იმ პირობებში, როცა წერილობითი შეტყობინება მოპასუხეს არ მისვლია, ხოლო ხელშეკრულების 5.2.3 პუნქტის თანახმად კი, „მზღვეველი“ ვალდებულია „დამზღვევის“ მიერ პრემიის გადახდის გრაფიკის დარღვევის შემთხვევაში წერილობით მოითხოვოს „დამზღვევისაგან“ პირგასამტეხლოს გადახდა დავალიანებული პრემიის 0.20%-ის ოდენობით თითოეული ვადაგადაცილებული დღისათვის. პირგასამტეხლოს დარიც-

ხვა/ათვლა დაიწყება წერილობით შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან. ამასთანავე, პირგასამტეხლო გადახდება დამატებით, პრემიის გადახდის ვალდებულების მიუხედავად, რომლის გადახდაც არ ათავისუფლებს „დამზღვევს“ ნაკისრი ძირითადი ფულადი ვალდებულების შესრულებისაგან.

10. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

11. კასატორმა მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

11.1. მოსარჩელემ წარადგინა მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდებოდა მოპასუხის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების არაერთგზის მიღების ფაქტი, რაზეც სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია;

11.2. თუნდაც სახზე ყოფილიყო სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე უარი ან არაჯეროვანი ანაზღაურება, აღნიშნული გავლენას ვერ მოახდენდა სასარჩელო მოთხოვნაზე, რადგან საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.03.2019 წლის განჩინებით საქმეზე №ას-281-281-2018 განიმარტა, რომ მზღვეველის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ფაქტობრივი გარემოების დადასტურების შემთხვევაშიც არ თავისუფლდება დამზღვევეი სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულებისაგან. ამ შემთხვევაში, მას შეეძლო მოეშალა ხელშეკრულება, რაც არ განუხორციელებია;

11.3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე №ას-1708-1602-2012 ასევე განმარტებულ იქნა, რომ ხელშეკრულების მოშლა თუ ხელშეკრულებიდან გასვლა თავისთავად მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული და კანონმდებელი ამომწურავად განსაზღვრავს თითოეულ ამ ინსტიტუტს. სადაზღვევო პრემიის შეტანის მარეგულირებელი ნორმები, მათ შორის, 815-ე, 817-ე და 818-ე მუხლები არ წარმოადგენს იმპერატიული ხასიათის ნორმებს და ცალსახად არ ადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობას, კანონმდებელი 817-ე და 818-ე მუხლებით ადგენს მზღვეველის უფლებას შესაბამისი ფორმით განსაზღვროს პრემიის გადახდის დამატებითი ვადა, ასევე კანონით დადგენილი ფორმის დაცვით მოშალოს ხელშეკრულება, თუმცა მზღვეველის მიერ აღნიშნული უფლების გამოუყენებლობა მისი, როგორც ხელშეკრულების მხარის, არაკეთილსინდისიერად მიჩნევის წინაპირობა არ შეიძლება გახდეს;

11.4. მზღვეველის უფლება, მიიღოს პრემია, არ არის დამოკიდებული იმაზე, დამზღვევეი მიიღებს თუ არა მომსახურებას, იმ გაგებით, რომ დაზღვეულია კონკრეტული რისკის დადგომისას მიყენებული ზიანი,

რისკი თავისი ბუნებიდან გამომდინარე კი შეიძლება არც დადგეს ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში, რაც დამზღვევს არ ათავისუფლებს პრემიის გადახდის ვალდებულებისგან;

11.5. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოპასუხეს იმ პოლისების საფუძველზე, რომლებზედაც ერიცხება დავალიანება, არაერთხელ აქვს მომსახურება მიღებული. ამასთან, მოპასუხე პოლისებზე გადახდას ახორციელებდა დაგვიანებით, კერძოდ:

11.5.1. №MI 194084/19 პოლისი, პრემია – 285.6 აშშ დოლარი, გადახდა 14.03.2019-დან 14.02.2020-მდე, გადახდილია 95.2 აშშ დოლარი, ყოველთვიური გადასახდელი თანხა – 23,80 აშშ დოლარი. გადახდილია 4 თვის თანხა ანუ 2019 წლის ივნისის ჩათვლით, მაგრამ გადახდა განხორციელდა 2019 წლის 08 ივლისს ანუ დაგვიანებით;

11.5.2. №MI 194083/19 პოლისი, პრემია – 850.85 აშშ დოლარი, გადახდა 14.03.2019-დან 14.02.2020-მდე, გადახდილია 283.6 აშშ დოლარი, ყოველთვიური გადასახდელი თანხა – 70.95 აშშ დოლარი. გადახდილია 4 თვის თანხა ანუ 2019 წლის ივნისის ჩათვლით, მაგრამ გადახდა განხორციელდა 2019 წლის 08 ივლისს ანუ დაგვიანებით;

11.5.3. №MI 192628/19 პოლისი, პრემია – 226.1 აშშ დოლარი, გადახდა 15.02.2019-დან 15.01.2020-მდე, გადახდილია 94.2 აშშ დოლარი, ყოველთვიური გადასახდელი თანხა – 18.84 აშშ დოლარი. გადახდილია 5 თვის თანხა ანუ 2019 წლის ივნისის ჩათვლით, მაგრამ გადახდა განხორციელდა 2019 წლის 08 ივლისს ანუ დაგვიანებით;

11.5.4. №MI 192624/19 პოლისი, პრემია – 500.23 აშშ დოლარი, გადახდა 15.02.2019-დან 15.01.2020-მდე, გადახდილია 208.4 აშშ დოლარი, ყოველთვიური გადასახდელი თანხა – 41.68 აშშ დოლარი. გადახდილია 5 თვის თანხა ანუ 2019 წლის ივნისის ჩათვლით, მაგრამ გადახდა განხორციელდა 2019 წლის 08 ივლისს ანუ დაგვიანებით;

11.5.5. №MI 193257/19 პოლისი, დაიზღვა მანქანა ნომრით ..., პრემია 339.15 აშშ დოლარი, გადახდა 01.03.2019-დან 01.02.2020-მდე, გადახდილია 113.04 აშშ დოლარი, ყოველთვიური გადასახდელი თანხა – 28.29 აშშ დოლარი. გადახდილია 4 თვის თანხა ანუ 2019 წლის ივნისის ჩათვლით, მაგრამ გადახდა განხორციელდა 2019 წლის 16 ივნისს ანუ მცირედი დაგვიანებით.

11.6. დაგვიანებით პრემიის გადახდა ხდებოდა და ეს იყო მხარეთა შორის არსებული პარტნიორული და სამეწარმეო ურთიერთობის ნაწილი, რის გამოც არც ერთი მხარე არ წყვეტდა ხელშეკრულებას, რაც არ შეაფასა სასამართლომ;

11.7. აღსანიშნავია, რომ პოლისი №MI 202981/19 გაფორმებულია 2019 წლის 15 ივლისს, მიუხედავად ზემოთ ხსენებულ პოლისებზე არსებული დავალიანებებისა, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს მხარეთა

განცდაზე, რომ დავალიანებების მიუხედავად, ხელშეკრულების მოქმედება გრძელდებოდა, ამაზე მიუთითებს მხარის ახსნა-განმარტებაც, რომ მან მიმართა სადაზღვევო კომპანიას შემთხვევის ანაზღაურებისათვის 2019 წლის ნოემბერში, რაც ასევე მიუთითებს, რომ მისი განცდით ხელშეკრულება მოქმედი იყო;

11.8. სასამართლომ არ გაითვალისწინა მხარეთა მიმონერის ის შინაარსი, რომელიც მოცემული იყო მოპასუხის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებში, კერძოდ, ელექტრონულ წერილებში, სადაც მითითებულია, რომ ანაზღაურებაზე უარი მხარეს არ ეთქვა, მიუხედავად იმისა, რომ მას გააჩნდა პრემიის დავალიანება. შესაბამისად, არ არსებობდა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი.

12. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 8 იანვრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

13. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2024 წლის 27 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსსკ-ის 391.5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

14. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

15. საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში [სსსკ-ის 404.1 მუხლის პირველი წინადადება]. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება) [სსსკ-ის 407-ე მუხლი]. დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოე-

ბების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

16. განსახილველ შემთხვევაში მხარეები ერთმანეთთან დაზღვევის სახელშეკრულებო ურთიერთობაში იმყოფებოდნენ. საკასაციო სამართლოს მსჯელობის საგანს წარმოადგენს მოპასუხისთვის სადაზღვევო შესატანის (პრემიის) და პირგასამტეხლოს დაკისრებაზე უარის თქმის კანონიერება.

17. დაზღვევა არის ურთიერთობა ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად გარკვეული გარემოების (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიებით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე [„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 3.1 მუხლი].

18. დაზღვევის ხელშეკრულების ცენტრალურ ნორმას წარმოადგენს სსკ-ის 799-ე მუხლი, რომლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შესასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება. დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია).

19. დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი და რეალური ხელშეკრულებაა (იხ. სუსგ საქმე №ას-663-624-2011, 17 თებერვალი, 2012 წელი). დაზღვევის ხელშეკრულების სინალაგმატური ბუნება მხარეებისთვის ურთიერთმემხვედრი უფლება-მოვალეობების დაკისრებით გამოიხატება. მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხოვოს სადაზღვევო პრემიის გადახდა და ვალდებულია, აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით გამოწვეული ზიანი. თავის მხრივ, დამზღვევი უფლებამოსილია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ვალდებულია, შეთანხმებული ჯერადობითა და ოდენობით იხადოს სადაზღვევო პრემია (იხ. ქეთევან ირემაშვილი, <https://gccc.tsu.ge/>, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 799-ე მუხლის კომენტარი, ველი 14, გვ. 4, ბოლო დამუშავება: 14 მარტი, 2016).

20. განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ მხარეთა შორის დადებულია 2 ხელშეკრულება, კერძოდ, 2019 წლის 12 თებერვალს მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება სადაზღვევო მომსახურების შესახებ №1809/19, ხოლო 2019 წლის 15 ივლისს – ხელშეკრულება სადაზღვევო მომსახურების შესახებ №5229/19:

20.1. 2019 წლის 12 თებერვლის №1809/19 ხელშეკრულების ფარ-

გლებში გაიცა შვიდი სადაზღვევო პოლისი:

20.1.1. NMI 194084/19, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 14.03.2019 წლიდან 13.03.2020 წლის ჩათვლით;

20.1.2. NMI 194083/19, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 14.03.2019 წლიდან 13.03.2020 წლის ჩათვლით;

20.1.3. NMI 193261/19, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 27.02.2019 წლიდან 26.02.2020 წლის ჩათვლით;

20.1.4. NMI 193260/19, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 27.02.2019 წლიდან 28.02.2020 წლის ჩათვლით;

20.1.5. NMI 192628/19, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 13.02.2019 წლიდან 12.02.2020 წლის ჩათვლით;

20.1.6. NMI 192624/19, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 13.02.2019 წლიდან 12.02.2020 წლის ჩათვლით;

20.1.7. NMI 193257/19 სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 27.02.2019 წლიდან 26.02.2020 წლის ჩათვლით. ამავე სადაზღვევო პოლისებით განისაზღვრა პრემიის გადახდის გრაფიკი;

20.2. 2019 წლის 15 ივლისის №5229/19 ხელშეკრულების ფარგლებში გაიცა სადაზღვევო პოლისი NMI202981/19, სადაზღვევო პერიოდი განისაზღვრა 15.07.2019 წლიდან 14.07.2020 წლის ჩათვლით. ამავე სადაზღვევო პოლისით განისაზღვრა პრემიის გადახდის გრაფიკი.

21. მოპასუხის დავალიანება შეადგენს 2316.86 აშშ დოლარს.

22. დადგენილია ასევე, რომ მოპასუხეს მოსარჩელისაგან არსებული დავალიანების ორკვირიან ვადაში აღმოსაფხვრელად, წერილობით შეტყობინება არ გაგზავნია. ამასთან, მხარეებს შორის ხელშეკრულება ვადაზე ადრე არ შეწყვეტილა (იხ. წინამდებარე განჩინების მე-8 პუნქტი და 2.9 ქვეპუნქტი).

23. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული პირობის შეუსრულებლობა მზღვეველს სადაზღვევო პრემიის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას უკარგავს სახელშეკრულებო ურთიერთობის ამოწურვის შემდეგ. სააპელაციო პალატამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკაზე დაყრდნობით (იხ. სუსგ №ას-85-81-2013, 21 თებერვალი, 2013 წელი; სუსგ №ას-1308-1246-2014, 03 აპრილი, 2015 წელი) მიიჩნია, რომ კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს მზღვეველს მართლზომიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება და სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და არ დაელოდოს ხელშეკრულების ვადის გასვლას, რადგან დამზღვევი, როგორც ხელშეკრულების სუსტი მხარე, უარეს პირობებში არ ჩავარდეს.

24. სადაზღვევო შესატანის არადროულად გადახდის გამო თავისი

მოვალეობებისაგან მზღვეველის გათავისუფლების და მის მიერ ხელშეკრულების მოშლის საკითხებს არეგულირებს სსკ-ის 817-ე [თუ სადაზღვევო შესატანი დროულად არ არის გადახდილი, მაშინ მზღვეველს შეუძლია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან, უნდა მიუთითოს იმ შედეგებზე, რომლებიც ვადის გასვლას მოჰყვება. თუ ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევო შემთხვევა და ამ დროისათვის დამზღვევის მიერ გადაცილებულია შესატანის ან პროცენტების გადახდის ვადა, მაშინ მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობებისაგან] და 818-ე მუხლები [თუ დამზღვევმა თავის დროზე არ შეიტანა სადაზღვევო შესატანი, მზღვეველს შეუძლია ერთი თვით ადრე გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ მოშალოს იგი].

25. საკასაციო პალატის განმარტებით, სახელშეკრულებო ურთიერთობის ამოსავალ პრინციპს მხარეთა მიერ გამოვლენილი ნების მიღწევა წარმოადგენს, სამოქალაქო კოდექსი ორიენტირებულია პირველადი მოთხოვნის – ვალდებულების შესრულების მიღწევაზე, რაც შეეხება ხელშეკრულების მოშლასა თუ ხელშეკრულებიდან გასვლას, აღნიშნულიც თავისთავად მხარეთა ნებაზეა დამოკიდებული და კანონმდებელი ამომწურავად განსაზღვრავს თითოეულ ამ ინსტიტუტს. სადაზღვევო პრემიის შეტანის მარეგულირებელი ნორმები, მათ შორის, 815-ე, 817-ე და 818-ე მუხლები არ წარმოადგენს იმპერატიული ხასიათის ნორმებს და ცალსახად არ ადგენს ხელშეკრულების შეწყვეტის წინაპირობას, კანონმდებელი 817-ე და 818-ე მუხლებით ადგენს მზღვეველის უფლებას შესაბამისი ფორმით განსაზღვროს პრემიის გადახდის დამატებითი ვადა, ასევე კანონით დადგენილი ფორმის დაცვით მოშალოს ხელშეკრულება. სამოქალაქო კოდექსის 817-ე მუხლის დათქმა, რომ, თუ სადაზღვევო შესატანი დროულად არ არის გადახდილი, მაშინ მზღვეველს შეუძლია წერილობით განსაზღვროს გადახდის ორკვირიანი ვადა, ამასთან, უნდა მიუთითოს იმ შედეგებზე, რომლებიც ვადის გასვლას მოჰყვება, არ შეიძლება განმარტებულ იქნას ამავე მუხლის მე-2 ნაწილისაგან განყენებულად, რადგანაც ნორმის მე-2 ნაწილით დადგენილია მზღვეველის მიერ შეტყობინების უფლების გამოუყენებლობისათვის ერთგვარი სამოქალაქოსამართლებრივი სანქცია, კერძოდ, ის, რომ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა მას წარმოუშობს სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო კომპანია წერილობით გააფრთხილებს დამზღვევს პრემიის გადახდის თაობაზე და 2-კვირიანი ვადის გასვლის შემდეგ დადგება სადაზღვევო შემთხვევა, ამ ვადის გასვლამდე მზღვეველი ვალდებულია აანაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული

ნებისმიერი შემთხვევა, მიუხედავად იმისა, დამზღვევს გადაცილებული აქვს თუ არა პრემიის შეტანის ვადა. რაც შეეხება ამავე სამოქალაქო კოდექსის 818-ე მუხლის დათქმას, პრემიის შეტანის ვადის გადაცილების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, აღნიშნულიც სწორედ უფლებადამდგენი ნორმაა და იგი არ შეიძლება აყვანილ იქნეს ვალდებულების რანგში (იხ. სუსგ საქმე №ას-1708-1602-2012, 9 ოქტომბერი, 2013 წელი).

26. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების 2.1 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა „მზღვეველის“ თანხმობა, „დამზღვევის“ მიერ პრემიის სრულად, ან პირველი შენატანის გადახდის და პოლისში შეთანხმებული გადახდის გრაფიკის დაცვის საპროცენტო გაენია „დამზღვევისთვის“ მის მიერ მიღებული სადაზღვევო წესების „დაზღვევის პირობების“, წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ქონებრივი/პასუხისმგებლობის ინტერესის დასაცავად სადაზღვევო მომსახურება, ხოლო 3.2 მუხლის თანახმად, „დამზღვევის“ მიერ პრემიის სადაზღვევო ხელშეკრულებით ან/და მის საფუძველზე გაცემული პოლისებით, დადგენილი ოდენობით და წესით გადაუხდელობისას, „მზღვეველი“ „დამზღვევს“ წერილობით განუსაზღვრავს ორკვირიან ვადას არსებული დავალიანების აღმოსაფხვრელად. იმ შემთხვევაში, თუ „დამზღვევის“ მიერ არ იქნა დავალიანება გადახდილი წერილობით განსაზღვრულ ვადაში, წერილის გაგზავნის თარიღიდან 1 თვის ვადაში ხელშეკრულება (მის საფუძველზე გაცემული პოლისები) ჩაითვლება შეწყვეტილად. ასეთ შემთხვევაში „მზღვეველი“ უფლებამოსილია მოსთხოვოს „დამზღვევს“ და თავის მხრივ, „დამზღვევი“ ვალდებულია გადაუხადოს „მზღვეველს“ დაზღვევის შეწყვეტის მომენტისათვის არსებული პრემიის დავალიანება სრულად. ასევე დამატებით გადაუხადოს „მზღვეველს“ თანხა თითოეული ვადამდე შეწყვეტილი პოლისის წლიური სადაზღვევო პრემიის 25%-ის ოდენობით (მაგრამ არა უმეტეს ჯამური პრემიის). აღნიშნული პირობა მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე გაცემული პოლის(ებ)ის „დამზღვევის“ მიერ ვადამდე შეწყვეტის შედეგად შემცირდება შეწყვეტის მომენტისათვის მოქმედი პოლისებით განსაზღვრული სადაზღვევო თანხის 25%-ზე მეტით, ან იმ შემთხვევაში, თუ გაუქმდება წინამდებარე ხელშეკრულება.

27. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სადაზღვევო შესატანის შეთანხმებულ ვადაში გადაუხდელობისას, მზღვეველს ევალება გონივრულ ვადებში შეატყობინოს დამზღვევს მოსალოდნელი შედეგები. მზღვეველის ქცევის ამგვარი სტანდარტის არსებობა განპირობებულია სწორედ კერძო სამართლის სუბიექტების კეთილსინდისიერი ქცევის ფარგლებით (სსკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწი.). მართალია, სამოქალა-

ქო კოდექსის 817-ე-818-ე მუხლები არ წარმოადგენს მავალდებულებელ ნორმებს, მაგრამ სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს მზღვეველს მართლზომიერად გამოიყენოს მისთვის მინიჭებული უფლება და სადაზღვევო პრემიის გადაუხდელობის შემთხვევაში, დროულად გააფრთხილოს დამზღვევი ხელშეკრულების მოშლის თაობაზე, არ დაელოდოს ხელშეკრულების ვადის გასვლას და სწორედ ამ პერიოდს არ დაუკავშიროს სადაზღვევო შესატანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზაცია (იხ. სუსგ საქმე №ას-1308-1246-2014, 03 აპრილი, 2015 წელი).

28. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სასამართლოს სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. იგი თანამედროვე სასამართლოს, ფილოსოფიისა და ბიზნესის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია. თანამედროვე ქართულ სამართლებრივ სივრცეში კეთილსინდისიერება მატერიალურ სამართლებრივ ნორმად გადაიქცა და სამართლიანობასა და თანასწორობაზე დამყარებულ სამართლებრივ სისტემაში გაერთიანდა, რითაც უფრო ფართო დატვირთვა შეიძინა. კეთილსინდისიერების პრინციპი თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და დოქტრინაში დიდწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება ნიშნავს გულწრფელობას, სამართლიანობას, ვალდებულებების მიმართ პატიოსან დამოკიდებულებას. კეთილსინდისიერების ინსტიტუტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამოქალაქო სამართლისათვის და იგი მთლიანად კერძო სამართლის უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კოდექსის ეს დანაწესი, რომელსაც ავსებს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი, მოიცავს მთელ კერძო სამართალს. აღნიშნული მუხლების მოქმედება ცალსახა და იმპერატიულია, ამიტომაც მხარეებს არ აქვთ უფლება ხელშეკრულებით ან შეთანხმებით გამორიცხოვონ მათი მოქმედება. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც ვალდებულების ძირითად და აუცილებელ კომპონენტს და მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებით არ შემოიფარგლება, ხოლო 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, წარმოადგენს კანონისმიერ მოთხოვნას და გულისხმობს, ზოგადად, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლო-

ბის გათავისებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ორი მუხლი მთელი სამოქალაქო ბრუნვის ქვაკუთხედი. აღნიშნული ნორმები საშუალებას იძლევა ნებისმიერი ურთიერთობა სამართლებრივი თვალსაზრისით შეფასდეს. გარდა აღნიშნულისა, კერძო სამართლებრივ ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსის არაერთი ნორმა ზოგჯერ პირდაპირ ადგენს, ხოლო ნორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაგრამ მაინც მას ეფუძნება. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების არა დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა, რაც ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა მოქმედებას პასუხისმგებლობით, და ერთმანეთის უფლებებისადმი პატივისცემით მოპყრობას. კეთილსინდისიერება როგორც ნორმატიული, ისე სუბიექტური ნების განმარტების ინსტრუმენტია. მის საფუძველზე აღმოიფხვრება როგორც კანონის, ისე ხელშეკრულების ხარვეზი. კეთილსინდისიერების პრინციპის შინაარსი, უპირველეს ყოვლისა, იმით გამოიხატება, რომ მხარეს, გარდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისა, ევალება ვალდებულების კეთილსინდისიერად შესრულებაც, ანუ კონტრაქტის პატივსაღები ინტერესების გათვალისწინება და დაცვა. ამ მოთხოვნის დარღვევა კი არა მხოლოდ სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში, არამედ სახელშეკრულებო მოლაპარაკებათა და ძირითადი ვალდებულებების შესრულების შემდგომ ეტაპზეც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი გახდეს (იხ. სუსგ საქმე №ას-1338-1376-2014, 29 ივნისი, 2015 წელი).

29. დაზღვევის ხელშეკრულების განმარტებისას უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს კეთილსინდისიერების პრინციპი. დაზღვევის ხელშეკრულებას ტრადიციულად მიაკუთვნებდნენ სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპზე დაფუძნებულ ხელშეკრულებათა რიცხვს. კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს დაზღვევის ხელშეკრულების მხარეებს, გულისხმიერებით მოეკიდონ ერთმანეთის ინტერესებს ხელშეკრულების მიმართ და არ დააბრკოლონ აღნიშნული ინტერესების რეალიზაცია (იხ. ქეთევან ირემაშვილი, <https://gccs.tsu.ge/>, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 799-ე მუხლის კომენტარი, ველი 54, გვ. 14, ბოლო დამუშავება: 14 მარტი, 2016). მზღვეველი ვალდებულია იხელმძღვანელოს კეთილსინდისიერების, გულისხმიერებისა და წინდახედულობის პრინციპებით და სადაზღვევო საქმიანობა განახორციელოს ამ პრინციპების დაცვით („დაზღვევის შესახებ“ სა-

ქართველოს კანონის მე-9 მუხლის 6¹ პუნქტი].

30. განსახილველ შემთხვევაში კასატორი უთითებს, რომ მოპასუხეს იმ პოლისების საფუძველზე, რომლებზედაც ერიცხება დავალიანება, არაერთხელ აქვს მომსახურება მიღებული. ამასთან, მოპასუხე პოლისებზე გადახდას ახორციელებდა დაგვიანებით მხარეთა შორის არსებული პარტნიორული და სამენარმეო ურთიერთობიდან გამომდინარე, რის გამოც არც ერთი მხარე არ წყვეტდა ხელშეკრულებას.

31. საკასაციო სასამართლო, საკასაციო პრეტენზიიდან გამომდინარე, ყურადღებას მიაქცევს საქმეში არსებულ მტკიცებულებებს. კერძოდ, საკასაციო პალატა მიუთითებს სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირების აქტზე, რომლის თანახმად, მზღვეველმა განახორციელა დაზღვეულის მიერ გაცხადებული პრეტენზიის საფუძველზე №0009189/19, პოლისით №MI 202981/19, სადაზღვევო შემთხვევის დარეგულირება. სადაზღვევო ანაზღაურებამ ავტოსაგზაო შემთხვევით გამოწვეულ ზარალზე შეადგინა 65,24 USD. საგადახდო დავალებებიდან ირკვევა ასევე, რომ 2019 წლის 4 მარტს მზღვეველმა მოპასუხეს გადაურიცხა 617,87 ლარი, გადახდის დანიშნულებაში მითითებულია №MI 192624/19 პოლისი, ხოლო 15 მარტს – 447,55 ლარი, გადახდის დანიშნულებაში მითითებულია №MI 193261/19 პოლისი.

32. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მზღვეველის არაკეთილსინდისიერება, რომელიც კასატორის სააპელაციო საჩივრის მთავარი საფუძველი გახდა არ შეიძლება დადგენილი იქნეს მხოლოდ ფაქტის მშრალად მითითებით (შეტყობინების არ გაგზავნა). მტკიცებულებათა შეფასებით დადგენილი უნდა იქნეს, მზღვეველის მხრიდან შეტყობინების არ გაგზავნა და ხელშეკრულების ცალმხრივად არ შეწყვეტა შედიოდა თუ არა დამზღვევის ინტერესებშიც, ხელშეკრულების ცალკეული პუნქტებიდან გამომდინარე ხელშეკრულების შეწყვეტა მთლიანად ათავისუფლებდა თუ არა დამზღვევს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პრემიის გადახდის ვალდებულებისაგან მითუმეტეს იმ პირობებში თუ დადგინდება ფაქტი, რომ დამზღვევს მიღებული აქვს სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ა.შ.

33. სააპელაციო სასამართლოს მიერ ზემოაღნიშნული მტკიცებულებები რაც საკასაციო პალატის აზრით მხარეთა კეთილსინდისიერების დადგენისთვის აუცილებელია გამოკვლეული და შეფასებული არ არის. სსსკ-ის 105.2 მუხლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება ეფუძნება შეჯიბრებითობის ფარგლებში

მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და არა – სასამართლოს სუბიექტურ მოსაზრებებს. მტკიცებულებები უნდა შეფასდეს ყველა იმ ობიექტური და სუბიექტური ფაქტორით, რაც მათ იურიდიულ ბუნებას ახლავს. თითოეული მტკიცებულების სათანადოდ გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია მტკიცების საგანში შემავალ გარემოებებზე საუბარი. სასამართლოს შინაგანი რწმენის ჩამოსაყალიბებლად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული და შეფასებული თითოეული დეტალი, რომელიც არსებობს ამ გარემოების ირგვლივ. ამდენად, შინაგანი რწმენით მტკიცებულებათა შეფასების მეთოდი მოიცავს თითოეული მტკიცებულების მნიშვნელობის განსაზღვრას დამოუკიდებლად.

34. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე შეუძლებელია იმის დადგენა, რომ, მიუხედავად დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების დარღვევისა, მზღვეველი ჯეროვნად ასრულებდა თუ არა მასზე დაკისრებულ მოვალეობას, რაზეც პრეტენზიას აცხადებს კასატორი წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში და რაზეც აპელირებდა იგი ასევე სააპელაციო საჩივარში. საკასაციო პალატა კი მოკლებულია შესაძლებლობას, თავად გამოიკვლიოს აღნიშნული მტკიცებულებები და დაადგინოს სადავო გარემოების არსებობა/არარსებობა.

35. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზღვევის ხელშეკრულების სასყიდლიანობა დამზღვევისათვის სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების დაკისრებით გამოიხატება. სადაზღვევო კომპანია, როგორც სამენარმოო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტი, მოგების მიღებაზეა ორიენტირებული. თუმცა, სადაზღვევო კომპანიის მიერ სადაზღვევო პრემიის მიღება მხოლოდ მოგების მიღების მიზნით არ შემოიფარგლება. სადაზღვევო პრემია წარმოადგენს მზღვეველის მიერ გაწეული „რისკის ტარების“ ღირებულებას. მეორე მხრივ, სადაზღვევო პრემიების აკუმულაცია სადაზღვევო კომპანიაში ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისთვის აუცილებელი წინაპირობაა (იხ. ქეთევან ირემაშვილი, <https://gccc.tsu.ge/>, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 799-ე მუხლის კომენტარი, ველი 18, გვ. 5, ბოლო დამუშავება: 14 მარტი, 2016).

36. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის ვალდებულების დარღვევის მიუხედავად, მზღვეველის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის ჯეროვანი შესრულების ფაქტი, სააპელაციო სასამართლომ ასევე უნდა შეაფასოს, რამდენად შეიძლება მიჩნეულ იქნეს აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით არაკეთილსინდისიერ ქცევად მზღვეველის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის უფ-

ლების გამოუყენებლობა.

37. სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია.

38. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევით, რაც გამოიხატა მტკიცებულებათა შეფასების წესის დარღვევაში, რის გამოც გასაჩივრებული განჩინების დასაბუთება არასრულია და სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება კი – შეუძლებელი. აღნიშნულის გამო, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს.

39. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა.

40. მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან სახეზეა მტკიცებულებათა ხელახალი გამოკვლევის აუცილებლობა, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას თავად მიიღოს გადაწყვეტილება დავაზე, ხოლო სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელახლა განხილვისას, მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად უნდა დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, მოსარჩელის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის ჯეროვანი შესრულების/შეუსრულებლობის ფაქტი, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ მზღვეველი, მიუხედავად დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის ვალდებულების დარღვევისა, ჯეროვნად ასრულებდა დამზღვევის ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, შეაფასოს რამდენად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მზღვეველის მიერ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის უფლების გამოუყენებლობა არაკეთილსინდისიერ ქცევად და აღნიშნულის შესაბამისად გადაწყვიტოს სარჩელის საფუძვლიანობა.

41. სსსკ-ის 53.4 მუხლიდან გამომდინარე [თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულება ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით], საკასაციო

პალატა მიიჩნევს, რომ, ვინაიდან მოცემული საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა ქვემდგომ სასამართლოს, პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს.კ.ჯ.პ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 5 ოქტომბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

5. თავდაპირველი

თავდაპირველი ინფორმირება გადახდის ვადის გადაცილებაზე

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-829-2023

9 თებერვალი, 2024 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით სს „თ.ბ-ის“ სარჩელი მ. ბ-ის, მ. მ-ის, შპს „ბ.“-ის და მ. გ-ის წინააღმდეგ, თანხის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების იძულებით რეალიზაციის თაობაზე, არ დაკმაყოფილდა სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 17 ივნისის განჩინებით სს „თ.ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 23 მარტის განჩინებით სს „თ.ბ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 17 ივნისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს;

4. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება. ბანკის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. მ. ბ-ს (მსესხებელს, ძირითად მოვალეს) კრედიტორის სასარგებლოდ დაეკისრა 2011 წლის

26 იანვრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 39 939.6 აშშ დოლარის გადახდა, საიდანაც ძირითადი თანხა – 20 761.61 აშშ დოლარი, პროცენტი – 17 101.99 აშშ დოლარი და პირგასამტეხლო – 2 076 აშშ დოლარი; ბანკის წინამდებარე გადაწყვეტილების პირველ პუნქტში დასახელებული თავდებებისა და იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართ არ დაკმაყოფილდა;

5. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის განწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1. მოსარჩელე ბანკსა და მ. ბ-ს შორის 2011 წლის 25 იანვარს დადებული საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულებით, განისაზღვრა სესხის თანხა – 500 000 აშშ დოლარი, ან მისი ეკვივალენტი ნებისმიერ ვალუტაში. აღნიშნული ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, იმავე დღეს ბანკსა და მოპასუხე მ. გ-ძეს შორის, დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელის (კრედიტორის) სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა, უძრავი ქონება მდებარე: თბილისი, ... (ს/კ ...). ხელშეკრულების 8.1 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულებაში ჩამოთვლილი რომელიმე ვალდებულების დროულად და ფეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში იპოთეკარი (ბანკი) უფლება მოსილი იყო, იპოთეკის საგნიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დაკმაყოფილება მიეღო.

5.2. საკრედიტო მომსახურების შესახებ 2011 წლის 25 იანვრის ხელშეკრულების ფარგლებში, 2011 წლის 26 იანვარს, მოსარჩელესა და მსესხებელს შორის დაიდო საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც განისაზღვრა კრედიტის თანხა 149 000 ლარი, წლიური 19%-ის სარგებლის დარიცხვის პირობით. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2017 წლის 2 იანვრამდე. ხელშეკრულების თანახმად, ფიქსირებული პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0.5%-ით განისაზღვრა.

5.3. საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ 2011 წლის 25 იანვრის ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით მოსარჩელე ბანკსა და თავდებებს – მ. მ-ძესა და შპს „ბ.-ს“ შორის, დაიდო თავდებობის ხელშეკრულებები. თავდებობის ხელშეკრულებების პირველი მუხლის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების საგანს, წარმოადგენდა კლიენტის (მსესხებლის) მიერ 2011 წლის 25 იანვრის საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაფორმებული ნებისმიერი დამატებითი ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობის აღება. თავდებობის ხელშეკრულებების 2.2 პუნქტის თანახმად, თავდებობის პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა განისაზღვრა 500 000 აშშ დოლა-

რით, ან მისი ეკვივალენტით – ნებისმიერ ვალუტაში.

5.4. მსესხებელმა მ. ბ-მა დაარღვია, 2011 წლის 26 იანვრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით განსაზღვრული, თანხის დადგენილი გრაფიკით გადახდის ვალდებულება. მსესხებელს აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების მიზნით ბოლო გადახდა 2012 წლის 10 სექტემბერს აქვს განხორციელებული.

5.5. მსესხებელს მოსარჩელე ბანკის მიმართ, 2018 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით, 2011 წლის 26 იანვრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ერიცხებოდა დავალიანება 102 861.42 აშშ დოლარი, საიდანაც ძირითადი თანხაა – 20 761.61 აშშ დოლარი, პროცენტი – 17 275.76 აშშ დოლარი, ხოლო ჯარიმა – 64 824.05 აშშ დოლარი.

5.6. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ფაქტობრივი გარემოება, რომ კრედიტორის სასარჩელო მოთხოვნა არ იყო ხანდაზმული. საქმის სააპელაციო სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ეტაპზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი) საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სარჩელის შეტანამდე ბოლო სამი წლის პერიოდის, კერძოდ, 2015 წლის 20 დეკემბრის შემდეგ, სესხის გრაფიკით დასაფარი ფულადი ვალდებულების მიმართ სარჩელი ხანდაზმული არ არის (იხ. სუსგ №ას-956-2021, 23.03.2022წ.).

6. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით ბანკის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები წარმოადგენდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ი) 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველს.

6.1. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩელემ (კრედიტორმა) მოითხოვა მოპასუხეებისთვის (ძირითადი მსესხებლისა და სესხის უზრუნველმყოფი პირებისათვის) სესხის, სარგებლისა და პირგასამტეხლოს დაკისრება, ასევე დავალიანების დაფარვის მიზნით მოპასუხე მ. გ-ძის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 5.1 ქვეპუნქტი) რეალიზაცია, რაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ-ი) 867-ე, 623-ე, 868.1., 891-ე, 893-ე, 895-ე, 898.1, 301.1 მუხლებიდან გამომდინარეობს.

6.2. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მოდავე მხარეებს შორის ვალდებულებითი ურთიერთობა წარმოიშვა საბანკო კრედიტის, თავდებობის და იპოთეკის ხელშეკრულებების საფუძველზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, საქმის გადაწყვეტისთვის, გამოეყო აღნიშნული ხელშეკრულებები და მოპასუხეების: ძირითადი მოვალისა და თავდებების, იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართ ბანკის მიერ აღძრულ მოთხოვნებზე ცალ-ცალკე ემსჯელა.

6.3. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 873-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, კრედიტის გამცემს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის ნაწილ-ნაწილ დაბრუნება და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა ორ ვადას. შეწყვეტა ძალაში შედის მაშინ თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც არ მოხდება გადახდა. საქმეზე დადგენილია, რომ მსესხებელმა (ძირითადად მოვალემ) ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულა, რაც ვალდებულების ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შესრულების სტანდარტს არ პასუხობდა. აღნიშნული ფაქტები არც ერთ მოპასუხეს სადავოდ არ გაუხდია და მათ თვითონვე აღიარეს 20 761.61 აშშ დოლარის სესხის ნაშთი.

6.4. მოპასუხეებმა სარჩელზე დადგენილი წესით წარადგინეს მოთხოვნის შემაფერხებელი შესაგებლები, რომლითაც ბანკის სარჩელი არ ცნეს და მიუთითეს სასარჩელო მოთხოვნის ხანდაზმულობაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, მოცემულ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2022 წლის 23 მარტის განჩინებაში დაადგინა, რომ სასარჩელო მოთხოვნები არ იყო ხანდაზმული (იხ. წინამდებარე განწყვეტილების 5.6 ქვეპუნქტი).

6.5. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ 2011 წლის 25 იანვრის საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, არსებობდა ბანკის სასარჩელო მოთხოვნის – სესხის ძირითადი თანხის – 20 761.61 აშშ დოლარის ძირითადი მოვალისთვის – მსესხებლისათვის დაკისრების საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა, რომელიც ამ სამართლებრივი ურთიერთობის ვადამდე შეწყვეტისკენ უბიძგებს კრედიტორს, მოვალისთვის განსაზღვრულ უარყოფით შედეგებთანაა დაკავშირებული, რაც შეიძლება გამოიხატოს მოვალისათვის პირგასამტეხლოს, პროცენტის ან/და მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების დაკისრებით.

6.6. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ იხელმძღვანელა მოვალესთან გაფორმებული სესხის ხელშეკრულების პირობებით და მოთხოვა, სესხის ძირითადი თანხის, ასევე სესხის ხელშეკრულების სრული ვადის სარგებლისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

6.7. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან მსესხებელმა დაარღვია საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, ის ვალდებული იყო, გადაეხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტი და პირგასამტეხლო.

6.8. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ კრედიტორი საბანკო დანესეხულებაა და პრეზუმირებულია, რომ ამ

ტიპის ორგანიზაციებისთვის სესხის გაცემა ის ძირითადი საქმიანობაა, საიდანაც შემოსავალს იღებს. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო პროცესში მოსარჩელეს ევალება სარჩელში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხეს – მოსარჩელის არგუმენტების უარყოფა ისეთი მტკიცებულებების წარდგენით, რომლებიც დასახელებულ ფაქტებს გააქარწყლებს, მტკიცებას ექვემდებარება როგორც სარჩელის, ასევე შესაგებლის საფუძვლებიც. შესაბამისად, მოვალეს (მსესხებელს) ევალებოდა, რომ ემტკიცებინა სესხის პროცენტის ამორალურობა, რაც მას არ განუხორციელებია.

6.9. განსახილველ შემთხვევაში, არსებული ხელშეკრულების თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ წლიურ საპროცენტო სარგებელზე. შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილებულიყო პროცენტის დაკისრების მოთხოვნის ნაწილშიც. დადგენილია, რომ მსესხებელს ხელშეკრულებით აკისრია სესხის პროცენტის გადახდის ვალდებულება, ხოლო საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება დარიცხული პროცენტის სრულად გადახდა.

6.10. პირგასამტეხლოსთან მიმართებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 418-ე მუხლზე და განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში პირგასამტეხლოს დაკისრებისთვის საჭირო წინაპირობები სახეზე იყო, ვინაიდან პირგასამტეხლო შეთანხმებული იყო სადავო ხელშეკრულებით და გამოსახული იყო ფულადი სახით. ამასთან, არსებობდა პირგასამტეხლოს, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების, გამოყენების წინაპირობები ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების დარღვევის სახით. განსახილველ შემთხვევაში დადგენილი იყო და სადავო არ იყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დათქმულ ვადაში შეუსრულებლობა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეთაგან (მსესხებელს) არ წარუდგენია კვალიფიციური შესაგებელი პირგასამტეხლოსთან მიმართებით, ამასთან, მოსარჩელემ (ბანკმა) თავისი ინიციატივით შეამცირა პირგასამტეხლოს ოდენობა, არსებობდა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს მოვალისთვის დაკისრების საფუძველი.

6.11. დანარჩენი მოპასუხეების (თავდებების და იპოთეკის საგნის მესაკუთრის) მიმართ არსებულ სასარჩელო მოთხოვნებთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. მ-ძისა და შპს „ბ.“-ისთვის, როგორც თავდებებისთვის, კრედიტორის სასარჩელო მოთხოვნა, თითოეულისთვის 500 000 აშშ დოლარის ზღვრული ოდენობის ფარგლებში დაკისრების თაობაზე, არ უნდა დაკმაყოფილებულიყო. სააპელაციო სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა კრედიტორის სარჩელი

იპოთეკის საგნის მესაკუთრის – მ. გ-ძის მიმართ, დავალიანების დაფარვის მიზნით, იპოთეკით დატვირთული ქონების იძულებით რეალიზაციის თაობაზე.

6.12. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ თავდებობის ხელშეკრულება წარმოადგენს დამატებით ვალდებულებას და, სსკ-ის 893-ე მუხლის პირველი წინადადების თანახმად, თავდების ვალდებულებისთვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა.

6.13. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, კრედიტორის მიერ ვალდებულების დარღვევის შესახებ, თავდების ინფორმირების მნიშვნელობა, რასაც შეუძლია გავლენა მოახდინოს თავდების პასუხისმგებლობის ფარგლებზე. ასეთ შემთხვევაში საგულისხმოა საქმის გარემოებებისა და კრედიტორის ქცევების, სამოქალაქო სამართლის ძირეული პრინციპების მართლზომიერებასთან და კეთილსინდისიერებასთან მიმართებით შეფასება.

6.14. განსახილველ შემთხვევაში, უდავო ფაქტობრივი გარემოებაა, რომ საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების შესახებ ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად კრედიტორმა მოპასუხეებთან: მ. მ-ქსთან, ასევე შპს „ბ.“-თან გააფორმა თავდებობის ხელშეკრულებები, რომელთა თანახმადაც მოპასუხეებმა, როგორც სოლიდარულად თავდებმა პირებმა, მთელი მოცულობით მსესხებელსა და ბანკს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით და მის საფუძველზე მოქმედი საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება იკისრეს. თავდებობის პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა თითოეულისთვის შეადგენდა 500 000 აშშ დოლარს ან მის ეკვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში. მიუხედავად ვალდებულების არსებობისა, თავდებმა პირებმა სადავოდ გახადეს მათთვის, კრედიტორის მიერ დაკისრებული შესასრულებელი ვალდებულების ოდენობა და პრეტენზია განაცხადეს, რომ ძირითადი მოვალის (მსესხებლის) მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი მათთვის უცნობი იყო, რადგან კრედიტორს (ბანკს) არ შეუტყობინებია თავდებებისათვის ვალდებულების დარღვევის თაობაზე.

6.15. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, თავდების მიერ სხვა პირის ვალდებულების პიროვნული უზრუნველყოფით მიღებული უარყოფითი ქონებრივი შედეგის საკომპენსაციოდ და ზედმეტი ფინანსური პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, კანონი თავდებს კრედიტორის მიმართ ანიჭებს არა მარტო მოვალის შესაგებლად სარგებლობის უფლებას, არამედ უფლებას, გამოიყენოს სსკ-ის 902-ე მუხლით დადგენილი პირადი შესაგებელი. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ თავდებობის ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე,

ის მინიმალური დახმარება, რომელიც კრედიტორმა თავდებს შეიძლება გაუწიოს, მისი ვალდებულების ნორმალურად შესასრულებლად, ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის დროული შეტყობინებაა. აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ, თავდებს ეძლევა შესაძლებლობა მის ხელთ არსებული ყველა ზომა გამოიყენოს, რათა ძირითად მოვალეს ვალდებულების შესრულება აიძულოს და ამგვარად პირადი პასუხისმგებლობის დადგომის საფრთხე აირიდოს. ამასთან, სსკ-ის 902-ე მუხლით დადგენილია, რომ კრედიტორის მიერ თავდებისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, იგი კარგავს თავის მოთხოვნებს თავდების წინააღმდეგ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გამოიწვევდა შეუსრულებლობა ზიანს.

6.16. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქმეში წარმოდგენილია კანონის წესების დაცვით დადებული თავდებობის ხელშეკრულებები, თუმცა საქმეში არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ფაქტობრივ გარემოებას, რომ კრედიტორმა თავდებებს ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე აცნობა. ასევე, როდესაც სარჩელის აღძვრამდე კრედიტორმა მოთხოვნა იძულებითი აღსრულებით გზით არ დაიკმაყოფილა, მით უფრო კი ისეთ პირობებში, როდესაც სადავო მოთხოვნა იპოთეკის უფლებითაც იყო უზრუნველყოფილი, კრედიტორის მიერ თავდებებისათვის წაყენებული მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

6.17. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 23 მარტის განჩინებაზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 5.6 ქვეპუნქტი), სადაც მითითებულია, რომ საქმის ხელახლა განხილვის დროს სააპელაციო სასამართლოს, თავდების მიმართ კრედიტორის მოთხოვნის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას, თავდების პასუხისმგებლობა ზემოაღნიშნულ მოთხოვნათა დაცვით უნდა შემოწმებინა და ინფორმირების ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის პროპორციულად შეემცირებინა თავდებთა პასუხისმგებლობის ფარგლები.

6.18. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კრედიტორის მიერ თავდებების ინფორმირების წესის დარღვევით გამოწვეული ზიანი, მოცემული საქმის ფარგლებში, ერთმნიშვნელოვნად იკვეთება. როგორც აღინიშნა, მსესხებელზე გაცემული სესხის – 149 000 ლარის უმეტესი ნაწილი მოვალეს დაფარული აქვს, სადავო არ არის, რომ ძირითადი თანხიდან დარჩენილია 20 761.61 აშშ დოლარი; ამასთან, აღსანიშნავია, რომ მოვალემ ვალდებულების შესრულების მიზნით ბოლო გადახდა განახორციელა 2012 წლის 10 სექტემბერს. სარჩელი კი კრედიტორის მიერ სასამართლოში შეტანილია 2018 წლის 20 დეკემბერს, ხელშეკრულების დარღვევიდან 6 წლის შემდეგ, თან იმ პირობებში, როდესაც ბანკს

არც ერთი თავდებისთვის არ უცნობებია მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის შესახებ და პირდაპირ სარჩელის წარდგენის გზით დააყენა ფაქტის წინაშე თავდებები, მოითხოვა ვალდებულების შესრულება და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია.

6.19. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, 6 წელი დიდი დროა საიმისოდ, რომ მხარეთა (ამ შემთხვევაში თავდები პირების) ქონებრივი მდგომარეობა არსებითად შეცვლილიყო, ისინი გამხდარიყვნენ გადახდისუუნაროები. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, ვინაიდან ბანკმა (კრედიტორმა) დაარღვია თავისი ვალდებულება, არ მიაწოდა თავდებებს ინფორმაცია და არ მოითხოვა მათგან ვალდებულების შესრულება, მას წაერთვა შესაძლებლობა, მოითხოვოს იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია.

6.20. სააპელაციო სასამართლომ განმარტებით, მტკიცების ტვირთის ობიექტური განაწილების პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელე ბანკს უნდა დაედგინებინა თავდები პირების პირადი პასუხისმგებლობის მართებულობა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის წინაპირობების არსებობა.

6.21. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ კრედიტორმა ვერ დაძლია მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი და ვერ დაადასტურა, რომ თავდებები, სსკ-ის 902-ე მუხლის შესაბამისად, ინფორმირებულნი იყვნენ, რაც მათ ძირითად მოვალესთან ერთად სოლიდარულ მოვალედ აქცევდა. შესაბამისად სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა, თავდებებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის თაობაზე არ იყო დასაბუთებული და ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

7. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

7.1. სააპელაციო სასამართლომ გადანყვეტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა მოსარჩელე ბანკმა, მოითხოვა გასაჩივრებული გადანყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება და, ახალი გადანყვეტილების მიღებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილება. კერძოდ, მ. ბ.-ისთვის, მ. მ.-ძისთვის და შპს „ბ.“-ისთვის, სს „თ.ბ.-ის“ სასარგებლოდ №1008760-1291017 საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 39 939.6 აშშ დოლარის (ძირითადი თანხა – 20 761,61 აშშ დოლარი, პროცენტი – 17 101,99 აშშ დოლარი, ჯარიმა – 2076 აშშ დოლარი) დაკისრება; მოსარჩელის მიმართ არსებული ფულადი ვალდებულების დაფარვის მიზნით, მ. გ.-ძის საკუთრებაში არსებული, იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია. ასევე მოთხოვნილია დავალიანების და მასთან დაკავშირებული სასამართლო და საალსრულებო ხარჯების დასაფარად, იპოთეკით დატვირთული ქონების რეალი-

ზაციასთან ერთად, აღსრულება მოხდეს მოპასუხეების ნებისმიერი შემოსავლისა და ქონების რეალიზაციით.

7.2. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას, რომლის მიხედვითაც, თავდებისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობა არ არის თავდების პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლების საფუძველი. სააპელაციო სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილ ფაქტობრივ გარემოებად, რომ სასარჩელო მოთხოვნა თავდებებისთვის, თითოეულისთვის 500 000 აშშ დოლარის ზღვრული ოდენობის თაობაზე, არ უნდა დაკმაყოფილოდებულიყო. კასატორმა განმარტა, რომ თავდებებისთვის ვადაგადაცილებაზე ინფორმაციის მიუწოდებლობა თავდების პასუხისმგებლობისგან არა სრულად გათავისუფლების, არამედ მისი პასუხისმგებლობის შემცირების საფუძველი შეიძლება იყოს. ამასთან, შემცირება ვრცელდება იმ ზიანზე, რომელიც კრედიტორის მიერ თავდებისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობით დგება და რომელიც არ დადგებოდა, კრედიტორს თავდების მიმართ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ჯეროვნად რომ შეესრულებინა.

7.3. კასატორი არ იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას სსკ-ის 902-ე მუხლზე, რომ კრედიტორმა შეტყობინების ვალდებულების დარღვევით, თავდებთა მიმართ მოთხოვნის უფლება დაკარგა, და შესაბამისად დაკარგა იპოთეკის საგნის რეალიზაციის უფლებაც. კასატორმა განმარტა, რომ იპოთეკის აქცესორული ბუნებიდან და სსკ-ის 153-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, იპოთეკა არ შეიძლება არსებობდეს იმ უფლების გარეშე, რომელთანაც დაკავშირებულია. შესაბამისად, რადგან არსებობს ძირითადი მოვალის (მსესხებლის) მიერ არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულება, კრედიტორის უფლება, მოითხოვოს იპოთეკის საგნის რეალიზაცია, როგორც ძირითად ვალდებულებაზე დამოკიდებული, კანონიერი და აღნიშნული არ არის დაკავშირებული თავდებობასთან. სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 902-ე მუხლის დანაწესზე მითითება, რომ კრედიტორმა შეტყობინების ვალდებულების დარღვევით თავდებთა მიმართ მოთხოვნის უფლება დაკარგა და ამიტომ იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნის უფლებაც დაკარგა, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას.

7.4. კასატორის განმარტებით, თავდებისთვის პირველივე ვადაგადაცილებაზე ინფორმაციის წარუდგენლობისთვის პასუხისმგებლობისგან სრულად გათავისუფლება და ამის საფუძველზე იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნის უფლების დაკარგვა გამოიწვევს კრედიტორის უფლებების შელახვას, საფრთხე შეექმნება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, ვინაიდან მხარეთა შეთანხმება არ შემოიფარ-

გლება მხოლოდ იპოთეკის ხელშეკრულებით. ასევე მოიცავს მხარეთა შორის ყველა ხელშეკრულებას, რომელთა ანალიზიდან ცალსახად იკვეთება, რომ მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კრედიტორის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს, როგორც იპოთეკით დატვირთული ქონების, ასევე თავდებთა ქონებით, რომლებმაც მსესხებელთან ერთად იკისრეს სოლიდარული ვალდებულება.

7.5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 29 სექტემბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი არსებითად განხილვის მიზნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვის ეტაპზე მისი დასაბუთებულობის შემოწმების, საქმის მასალების შესწავლის გზით მივიდა დასკვნამდე, რომ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს ბანკის საკასაციო განაცხადი და სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან თავდები პირებისა და იპოთეკის საგნის მესაკუთრის სრულად გათავისუფლების ნაწილში და მხოლოდ ამ ნაწილში უნდა იქნეს მიღებული ახალი გადაწყვეტილება, ხოლო ძირითადი მოვალის (მსესხებლის) ნაწილში ბანკის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, როგორც დასაბუთებული და კანონიერი, უცვლელად უნდა დარჩეს.

8. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, იმას აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს ყოველმხრივ, სრულად და საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე აქვს გამოკვლეული და დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც საკმარისია საკასაციო სასამართლოს მიერ შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად, შესაბამისად, არ არსებობს საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოს ასევე მართებულად აქვს განსაზღვრული მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა და ძირითად მოვალეს, როგორც მსესხებელს, დასაბუთებულად და კანონიერად დაეკისრა კრედიტორის წინაშე შესასრულებელი ვალდებულება იმ ფარგლებში და მოცულობით, როგორც ეს სააპელაციო სასამართლომ გადაწყვიტა.

9. საკასაციო სასამართლოს ნაწილობრივ დასაბუთებულად მიაჩნია კასატორის (კრედიტორის) პრეტენზია ძირითადი მოვალის სესხის უზუნველმყოფი თავდები პირებისა და იპოთეკის საგნის მესაკუთრის

პასუხისმგებლობისაგან სრულად გათავისუფლების უსაფუძვლოდ შესახებ და სწორედ ამ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით, მიღებულია ახალი გადაწყვეტილება ბანკის სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების თაობაზე.

10. მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ ბანკსა და ძირითად მოვალეს – მსესხებელს შორის 2011 წლის 25 იანვარს დადებული საკრედიტო პროდუქტებით მომსახურების ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად, გამოყენებულია, როგორც სანივთო, ისე – პიროვნული უზრუნველყოფის საშუალებები. 2011 წლის 25 იანვარს გამსესხებელსა (მოსარჩელე ბანკს) და მოპასუხე მ. გ-ძეს შორის დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, კრედიტორის სასარგებლოდ იპოთეკით დაიტვირთა, უძრავი ქონება (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 5.1 ქვეპუნქტი). 2011 წლის 25 იანვრის ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით მოსარჩელე ბანკსა და თავდებებს – მ. მ-ძესა და შპს „ბ.-ს“ შორის, დაიდო თავდებობის ხელშეკრულებები (იხ. 5.3 ქვეპუნქტი). ძირითადად მოვალემ – მსესხებელმა დაარღვია 2011 წლის 26 იანვრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებით (იხ. 5.2 ქვეპუნქტი) განსაზღვრული, თანხის დადგენილი გრაფიკით გადახდის ვალდებულება. დადგენილია, რომ მსესხებელმა საკრედიტო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესასრულებლად ბოლოს გადაიხადა 2012 წლის 10 სექტემბერს. ძირითად მოვალეს (მსესხებელს) კასატორი (მოსარჩელე) ბანკის მიმართ, 2018 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით, 2011 წლის 26 იანვრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ერიცხება დავალიანება 102 861.42 აშშ დოლარი, საიდანაც ძირითადი თანხაა – 20 761.61 აშშ დოლარი, პროცენტი – 17 275.76 აშშ დოლარი, ხოლო ჯარიმა – 64 824.05 აშშ დოლარი.

11. საკასაციო სასამართლო სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ გარემოებაზე მიუთითებს, რომლის თანახმად, გარდა ძირითადი მოვალისა (მსესხებლისა), ასევე, თავდებმა პირებმა და იპოთეკის საგნის მესაკუთრემ სადავოდ არ გახადეს და დაადასტურეს კრედიტორის მიმართ არსებული სესხის ნაშთის – 20 761.61 აშშ დოლარის არსებობა.

12. სამოქალაქო კოდექსი აღიარებს და ეფუძნება „pacta sunt servanda-ს“ (ხელშეკრულება უნდა შესრულდეს) პრინციპს. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, „ზოგადცივილისტური პრინციპია“ (იხ. ბესარიონ ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; წიგნი მესამე; მთავარი რედაქტორი – ლადო ჭანტურია; გვ. 451; 2001წ.), რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამ მოთხოვნათა შეუსრულებლობა ვალდებულების დარღვევაა. მოცემულ საქმეზე ძირითადი მოვალისათვის (მსესხებლისათვის) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდე-

ბულების შეუსრულებლობის გამო პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, სააპელაციო სასამართლომ სავესებით მართებულად მიუთითა, რომ განსახილველი დავის მოსარჩელე მხარე საბანკო დაწესებულებაა და პრეზუმირებულია, რომ ამ ტიპის ორგანიზაციებისთვის სესხის გაცემა ის ძირითადი საქმიანობაა, საიდანაც შემოსავალს იღებს (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 6.8 ქვეპუნქტი). საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში აღნიშნავს, რომ საბანკო დაწესებულების საქმიანობა საბანკო სფეროში სრულიად კონკრეტულ და კანონიერ კომერციულ ინტერესს უკავშირდება, რაც გამოიხატება კრედიტის გაცემასა და აქედან გამომდინარე მოგების მიღებაში, რადგან სესხის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომელიც შეიძლება იყოს სასყიდლიანი ან უსასყიდლო, საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, როგორც წესი, მხოლოდ სასყიდლიანი ფორმით არსებობს. საკასაციო სასამართლო ასევე განმარტავს, რომ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, ზიანის, როგორც მიუღებელი შემოსავლის, მტკიცების ტვირთი, მოსარჩელეს ეკისრება, თუმცა, ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებულ ზიანთან დაკავშირებით, მიდგომა განსხვავებულია, რაც განპირობებულია ფულის განსაკუთრებული თვისებებით, კერძოდ, მისი სყიდვანარიანობის მაღალი ხარისხით, რაც, ყველა შემთხვევაში, ფულს სარგებლის მოტანის უნარს ანიჭებს. ფული ყოველთვის შემოსავლის წყაროა, ვინაიდან შეუძლია, შესძინოს მესაკუთრეს არა მხოლოდ მისთვის სასურველი ქონება, არამედ – გარკვეული პერიოდული შემოსავალი საბანკო პროცენტის სახით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობა კრედიტორს ყოველთვის აყენებს ზიანს და, სხვაგვარი ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანისგან განსხვავებით, განსაკუთრებული მტკიცება არ სჭირდება არც ზიანის მიყენების ფაქტისა და არც მისი ოდენობის დადგენას (შეად. სუსგ-ებს: №ას-992-950-2013, 04.03.2014 წ.; №ას-1843-2018, 05.04.2019 წ.; №ას-1954-2018, 14.07.2020; №ას-962-2020, 23.12.2021 წ.; №ას-1588-2022, 12.06.2023 წ.);

13. საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ თავდები პირების მიმართ მოთხოვნის ნაწილში სსკ-ის 902-ე მუხლის თაობაზე განვითარებულ მსჯელობას იმის შესახებ, რომ კრედიტორმა ვერ დაძლია მასზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი და ვერ დაადასტურა, რომ დასახელებული ნორმის მიხედვით თავდებები ინფორმირებული იყვნენ მსესხებლის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე, რაც მათ ძირითად მოვალესთან ერთად სოლიდარულ მოვალედ აქცევდა, თუმცა, მიაჩნია, რომ დასაბუთებულია მოსარჩელის საკასაციო პრეტენზიის ის ნაწილი, რომ სსკ-ის 902-ე მუხლის დანაწესის იმგვარად განმარტება, რომ კრედიტორმა შეტყობინების ვალ-

დებულების დარღვევით თავდებთა მიმართ მოთხოვნის უფლება დაკარგა და ამიტომ იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნის უფლებაც დაკარგა, სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია და ეწინააღმდეგება უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილ პრაქტიკას.

14. საკასაციო სასამართლო სსკ-ის 318-ე მუხლის პირველ წინადადებას მოიხმობს, რომლის მიხედვით „ვალდებულებიდან შეიძლება გამომდინარეობდეს ამა თუ იმ ინფორმაციის მიღების უფლება“. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ეს დანაწესი კეთილსინდისიერების პრინციპის კონკრეტული გამოვლინებაა (იხ. სსკ-ის 8.3 მუხლი) და, მიუხედავად იმისა, რომ ყველა ტიპის სახელშეკრულებო ვალდებულებაზე ვრცელდება და ასეთი ბუნებრივი ვალდებულება წარმოიშობა იმ შემთხვევაშიც კი, როცა მხარეებს ის არ შეუთანხმებიათ, თუკი ეს განპირობებულია ვალდებულების ხასიათით და კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტით, თუმცა, მაინც არ ნიშნავს იმას, რომ ინფორმაციის გამცემი ყოველთვის არის ვალდებული, გასცეს ინფორმაცია საკუთარი ინიციატივით. კანონის ტექსტში საუბარია „ინფორმაციის მიღების უფლებაზე“ და ამ ინფორმაციის „გაცემის უზრუნველყოფაზე“ ... კითხვაზე არის თუ არა ინფორმაციის გამცემი ვალდებული, გასცეს ინფორმაცია საკუთარი ინიციატივით, ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს და ინფორმაციის გაცემის ვალდებულების ინტენსივობა უნდა შეფასდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე (იხ. გიორგი ვაშაყიძე, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, ჭანტურია (რედ.), 2019, მუხლი 218, ველი 1,5) – შეად. სუსგ-ას №ას-1588-2022, 12.06.2023წ.). მოცემულ შემთხვევაში თავდებობის ხელშეკრულებების შეფასებისას, საკასაციო სასამართლო სსკ-ის 902-ე მუხლს მოიხმობს, რომლის თანახმად, პირველი ნაწილის მიხედვით: „თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას, კრედიტორმა უნდა აცნობოს ამის შესახებ თავდებს. თავდების მოთხოვნით კრედიტორმა ნებისმიერ დროს უნდა მიაწოდოს მას ცნობები ძირითადი ვალის მდგომარეობის შესახებ“, ხოლო მეორე ნაწილის თანახმად, „თუ კრედიტორი არ შეასრულებს ერთ-ერთ ამ მოქმედებას, მაშინ იგი კარგავს თავის მოთხოვნებს თავდების წინააღმდეგ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც გამოიწვევდა შეუსრულებლობა ზიანს“. ეს დანაწესი, როგორც სპეციალური მონესრიგება, სწორედ თავდებ პირს იცავს ინფორმაციის მიუწოდებლობის შემთხვევაში, და ზემოხსენებული 318-ე მუხლისგან განსხვავებით, იმპერატიულად ადგენს, რომ კრედიტორმა უნდა აცნობოს თავდებს ძირითადი მოვალის მიერ გადახდის ვადის გადაცილების შესახებ. იურიდიული დოქტრინა აღნიშნავს, „როგორც კი, ძირითადი მოვალე გახდება ვადაგადაცილებული, მე-400 და მომდევნო მუხლების მიხედვით, კრედიტორი ვალდებულია აცნობოს ამის შე-

სახებ თავდებს (902.1). გარდა ამისა, დამოუკიდებლად ზემოთ ხსენებული წინაპირობებისა, კრედიტორმა თავდებს, მისი მოთხოვნის საფუძველზე, უნდა მიანოდოს ინფორმაცია ძირითადი ვალის მდგომარეობის შესახებ და ამგვარად, – რამდენადაც ეს დასაშვებია (მოვალის წინაშე ასრებული) გაუმჟღავნებლობის ვალდებულებიდან გამომდინარე – მოვალის ფინანსურ მდგომარეობასთან დაკავშირებით“ (იხ. გიორგი რუსიაშვილი – სამოქალაქო კოდექსის კომენტარი; მუხლი 902; ველი 6; < gccc.tsu.ge >).

15. საკასაციო სასამართლომ 902-ე მუხლის გამოყენებისას არაერთხელ განმარტა, რომ კრედიტორის მხრიდან მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის შესახებ თავდებისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობა თავდების პასუხისმგებლობისაგან სრულად გათავისუფლებას არ იწვევს. აღნიშნული მხოლოდ მისი პასუხისმგებლობის შემცირების საფუძველია. ამასთან, შემცირება ვრცელდება იმ ზიანზე, რომელიც კრედიტორის მიერ თავდებისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობით დგება და რომელიც არ დადგებოდა კრედიტორს თავდების მიმართ თავისი ვალდებულება ინფორმაციის მიწოდების თაობაზე ჯეროვნად რომ შეესრულებინა (იხ. სუსგ-ები: №3კ/815-01, 28.12.2001წ; №ას-910-972-2014, 4.03.2015წ; №ას-1153-1108-2016, 10.02.2017წ; №ას-956-2021, 23.03.2022წ.).

16. საკასაციო სასამართლოს სამართლებრივი შეფასებით, სსკ-ის 902-ე მუხლის მოწესრიგებიდან გამომდინარე და საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ძირითადი მოვალის (მსესხებლის) მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვნად შესრულების გამო, ამასთან, კრედიტორის მხრიდან თავდებ პირათათვის ძირითადი მოვალის მხრიდან გადახდის ვადის გადაცილების შეუტყობინებლობის გამო, მხოლოდ ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს ბანკის საკასაციო საჩივარი (შესაბამისად – სარჩელი) და მოპასუხეთაგან თავდებ პირებს, სოლიდარულად უნდა დაეკისროთ მსესხებლის (ძირითადი მოვალის) მიერ შეუსრულებელი ვალდებულებისათვის პასუხისმგებლობა ნაშთის სახით არსებული სესხის ძირითადი თანხის – 20 761.61 აშშ დოლარის გადახდის სახით, რომლის ოდენობაც მათ სადავოდ არ გაუხდიათ (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-11 პუნქტი).

17. საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს მოსარჩელის საკასაციო პრეტენზიის იმ ნაწილს, რომელიც საკრედიტო ხელშეკრულების ჯეროვნად შეუსრულებლობის გამო იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართ აღძრულ პრეტენზიას ეხება და განმარტავს, რომ ერთ-ერთ საქმეზე საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა იპოთეკის საგნის მესაკუთრის მითითება, მისი პასუხისმგებლობის გამორიცხვის მიზნით, სსკ-ის 902-ე მუხლზე (იხ. სუსგ №ას-1588-2022, 12.06.2023წ.). უზრუნველყო-

ფის სანივთო საშუალებებზე მსჯელობისას იურიდიული დოქტრინა მესაკუთრის სხვა შესაგებებლებთან და მტკიცების ტვირთთან დაკავშირებით უთითებს: „მესაკუთრეს არცთუ ცოტა შესაძლებლობა აქვს იმისთვის, რომ დაიცვას თავი და წინ აღუდგეს იპოთეკარის მოთხოვნას იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციას ან მასზე მესაკუთრების უფლების გადაცემაზე... მესაკუთრეს შეუძლია იდავოს იმაზე, რომ: – საჯარო რეესტრის ჩანაწერი არის არასწორი და იპოთეკის საგნის რეგისტრაციისას დარღვეული იყო იპოთეკის წესები ...; – იპოთეკის მოწმობის გაცემა ბათილია ...; – საჯარო რეესტრის ჩანაწერის უსწორობის შესახებ ინფორმირებული იყო ახალი კრედიტორი ...; – იპოთეკა არ არსებობს ...; – იპოთეკარი არ არის უფლებამოსილი, მოითხოვოს რეალიზაცია ...; – იპოთეკარმა დაარღვია ნივთის მოვლის მოვალეობა ...; – მოთხოვნის რეალიზაციის ვადა ჯერ არ დამდგარა ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შემოწმდეს, თუ რომელ სამართლებრივ საფუძველს ეყრდნობა მესაკუთრის შესაგებელი. გარდა იპოთეკის თავში გათვალისწინებული შესაგებებებისა, მესაკუთრის განკარგულებაშია სამოქალაქო კოდექსის ზოგად ნაწილში მოცემული შესაგებებები...“ (იხ. ლადო ჭანტურია – კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი; გვ.88-89).

18. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იპოთეკის საგნის მესაკუთრის წერილობით შესაგებებელზე, რომელშიც ბანკის (კრედიტორის) მხრიდან აღძრული სარჩელის პასუხად, მხოლოდ ისაა შედავებული, რომ კრედიტორის „მოთხოვნები ხანდაზმულია, რადგან გასულია კანონით გათვალისწინებული სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა. ამავდროულად, ამონაწერიდან ირკვევა, რომ სესხის ნაშთი 2012 წლის მდგომარეობით იყო 20 761 აშშ დოლარი. პროცენტის და პირგასამტეხლოს ნაწილშიც სარჩელი უსაფუძვლოა. საერთო ჯამში, სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს“, რაც არაკვალიფიციურ და მარტივ შესაგებებელს წარმოადგენს და თავდებ პირთა შესაგებებებისაგან იმით განსხვავდება, რომ საერთოდ არ არის შედავება კრედიტორის მხრიდან ინფორმაციის მიუწოდებლობაზე ძირითადი მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევის გამო. აქვე საკასაციო სასამართლო იმასაც აღნიშნავს, რომ, როგორც ზემოთ აღინიშნა, კანონის მიხედვით, მოვალის მიერ ვალდებულების გადაცილების თაობაზე კრედიტორს თავდები პირის შეტყობინების ვალდებულება აქვს (სსკ-ის 902.1), ხოლო იპოთეკის შემთხვევაში კანონმდებლობა იპოთეკის საგნის მესაკუთრის უფლების დასაცავად სსკ-ის 292-ე მუხლით ადგენს მესაკუთრის უფლებას კრედიტორის დაკმაყოფილებისას, კერძოდ მისი პირველი ნაწილით, რომელიც იმპერატიულია, დადგენილია: „უძრავი ნივთის მესაკუთრე უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი, როცა მოთხოვნის შესრუ-

ლების ვადა უკვე დადგა, ან, როცა პირადი მოვალე უფლებამოსილია შეასრულოს შესაბამისი მოქმედება“. მხარეებს არ შეუძლიათ, ვალდებულებითსამართლებრივი გარიგებით შეცვალონ ნორმის სანივთოსამართლებრივი შედეგები (გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი 2018, მუხლი 292, ველი 2). ამავე ნორმის მეორე ნაწილით დადგენილია: „თუ მესაკუთრე არ არის პირადი მოვალე, მოთხოვნა გადადის მასზე მაშინ, როდესაც მესაკუთრე კრედიტორს დააკმაყოფილებს“. აღნიშნული დებულება კანონისმიერი ცესიის (cessio legis) შემთხვევაა, რომელიც კრედიტორის დაკმაყოფილების სამართლებრივი შედეგია. მესაკუთრე უნდა მოქმედებდეს საკუთარი ნივთის იპოთეკისაგან გამოსხნის განზრახვით (შდრ. ლ. ჭანტურია, კრედიტის უზრუნველყოფის სამართალი, თბილისი, 2012, 91-92; გ. რუსიაშვილი, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბილისი 2018, მუხლი 292, ველი 13, 14; Lieder, in Muko BGB, 7 Aufl., 2017, §1143, Rn.8.). უძრავი ქონების მესაკუთრეს სწორედ მოვალემ უნდა აუნაზღაუროს ის ფინანსური ხარჯი, რასაც იგი პირადი მოვალის ვალდებულების შესასრულებლად გაიღებს. შესაბამისად, იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიერ კრედიტორის (გამსესხებლის) სასარგებლოდ ამ უკანასკნელის პირადი მოვალის (მსესხებლის) ვალდებულების შესრულების შემთხვევაში იპოთეკის საგნის მესაკუთრეს სწორედ ძირითადი მოვალის მიმართ წარმოუშობს თანხის დაკისრების მოთხოვნის უფლებას (შდრ. სუსგ-ებს: №ას-363-339-2017, 16.06.2017წ; №ას-1308-2019, 31.01.2020წ; №ას-83-2020, 17.06.2020წ; №ას-623-623-2018, 31.07.2020წ; №ას-546-2020, 26.10.2021წ; №ას-730-2019, 26.01.2022წ.).

19. საკასაციო სასამართლოს განსჯით უნდა დაკმაყოფილდეს ბანკის საკასაციო საჩივარი (შესაბამისად სარჩელი) იპოთეკის საგნის მესაკუთრის მიმართ და მისი უძრავი ქონება, როგორც სანივთო უზრუნველყოფის საშუალება, სარეალიზაციოდ უნდა მიექცეს კრედიტორის წინაშე ძირითადი მოვალის მიერ არაჯეროვნად შესრულებული სახელშეკრულებო ვალდებულების საფუძველზე განსაზღვრული პასუხისმგებლობის ფარგლებში.

20. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „უძრავი ნივთების გამოყენებას კრედიტის უზრუნველყოფის საშუალებად დიდი მნიშვნელობა აქვს საბაზრო ეკონომიკის პირობებში. უძრავი ნივთი ის ქონებრივი ფასეულობაა, რომელსაც კრედიტორები ყველაზე მეტად ენდობიან. ამიტომაც არ არის შემთხვევითი, რომ დიდი კრედიტები ბანკების მიერ სწორედ უძრავი ნივთების დაგირავების პირობით გაიცემა. უძრავი ნივთების დაგირავებას სამოქალაქო სამართალში იპოთეკა ეწოდება“ (იხ. ლადო ჭანტურია – საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება; რედაქტორი; ბესარიონ ზოიძე; გვ.53; გამომ-

ცემლობა „სამართალი“; 1999წ.). კანონმდებელი, თავის მხრივ, იპოთეკის საგნად გამოყენებული უძრავი ქონების მესაკუთრის დაცვის სამართლებრივ მექანიზმს ადგენს. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების შეფასება სახელშეკრულებო პირობების შემოწმებას და საკანონმდებლო მოწესრიგებას ეფუძნება, რათა დაცული იქნეს კრედიტორისა და მოვალის ინტერესთა ბალანსი.

21. მხარეთათვის დაკისრებული ბაჟის განაწილება ასახულია წინამდებარე გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-6 პუნქტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე ჯ ი ტ ა:

1. სს „თ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. ნაწილობრივ გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება, კერძოდ, სს „თ. ბ-ის სარჩელის თავდებების: მ. მ-ძის, შპს „ბ.“-ის და იპოთეკის საგნის მესაკუთრის – მ. გ-ძის წინააღმდეგ უარყოფის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. სს „თ. ბანკის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს და თავდებ პირებს – მ. მ-ძეს და შპს „ბ.“-ს, მოსარჩელის სასარგებლოდ, სოლიდარულად დაეკისროთ, 2011 წლის 26 იანვრის საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების ძირითადი თანხის – 20 761.61 (ოცი ათას შვიდას სამოცდერთი აშშ დოლარი და სამოცდაერთი ცენტი) აშშ დოლარის გადახდა;

4. სს „თ. ბ-ის მიმართ არსებული ფულადი ვალდებულების დაფარვის მიზნით იძულებით სარეალიზაციოდ მიექცეს მ. გ-ძის (პ/ნ ...) საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე: ქ. თბილისი, ..., უძრავი ქონების ს/კ ...;

5. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 6 აპრილის გადაწყვეტილება.

6. მ. მ-ძეს, მ. გ-ძეს და შპს „ბ.“-ს, სს „თ. ბ-ის“ სასარგებლოდ, დაეკისროთ საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 2686.47 ლარი.

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. ერთობლივი საქმიანობა

შემოსავლის განაწილების წესი

განმარტება საქართველოს სახელმწიფო

№ას-890-2018

6 ოქტომბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. მიქაუტაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: მესაკუთრედ ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2012 წლის 15 თებერვალს გაფორმდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი.ს.“-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ამხანაგობა) სადამფუძნებლო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, ერთობლივი საქმიანობის მონაწილეებს (დამფუძნებლებს) წარმოადგენენ: შპს „ე.პ.კ.-ა“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, მონაწილე მხარე, კასატორი ან შპს) და ც. ქ-ა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, შეგებებული მოპასუხე, აპელანტი, მესაკუთრე ან მამკვიდრებელი).

2. ამხანაგობის მიზანს თბილისში, ..., №10-ში მდებარე №1 შენობა-ნაგებობის არსებული პროექტის კორექტირება, კორექტირებული და დამტკიცებული პროექტის მიხედვით, ამ ნაგებობებზე დაშენება, აშენებულ სახლში ინდივიდუალური საკუთრების (საცხოვრებელი ბინებისა და არასაცხოვრებელი ფართების) განაწილება და მონაწილეებს შორის წილების განსაზღვრა შეადგენდა.

3. შეთანხმების 10.1. პუნქტის მიხედვით, ამხანაგობა საცხოვრებელი სახლის აშენებისა და ექსპლუატაციაში მიღების ვადით შეიქმნა. დამფუძნებელთა შეთანხმებით, სახლი საექსპლუატაციოდ 2013 წლის 15 აგვისტოს მზად უნდა ყოფილიყო.

4. მოსარჩელის მიერ შეტანილი 604 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული №1 შენობა-ნაგებობის (რომელიც იპოთეკით სამჯერ იყო დატვირთული) სანაცვლოდ, ამხანაგობამ იკისრა უძრავ ქონებაზე არსებული უფლებრივი ნაკლის გამოსწორების ვალდებულება ისე, რომ

საჯარო რეესტრში აღნიშნული ქონების მესაკუთრედ ამხანაგობის და-რეგისტრირების შემდეგ, უარს იტყოდა ყოველგვარ მოთხოვნაზე მო-სარჩელის მიმართ.

5. კასატორმა ამხანაგობაში განხორციელებული შენატანის სახით იკისრა ვალდებულება, პირადი ან მოძიებული თანხებით უზრუნველყო ამხანაგობის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის პროექტის კორექტირება, კორექტირებული პროექტის თანახმად, შენობის აღმარ-თვა (დაშენება-გადაკეთება) და მისი ექსპლუატაციაში მიღება, რაც გუ-ლისხმობდა: ა) მშენებლობის პასპორტის მიღებას; ბ) შენობის აღმარ-თვისთვის კანონმდებლობით დადგენილი ყველა ნებართვისა და დოკუ-მენტის მიღებას, შემუშავებას, შეთანხმება ან/და დამტკიცებას, თუნ-დაც ეს არ ყოფილიყო მითითებული ამ ხელშეკრულების „ა“ ქვეპუნქტში; გ) შენობის აღმართვას (სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოე-ბას) მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის, ყველა სამშენებლო ნორმი-სა და ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტის დაცვით; დ) პროექტის თა-ნახმად, განსაზღვრული შენობის აღმართვის (სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების) მთლიანი პროცესის სრულ დაფინანსებას პირადად მოზი-დული თანხებით ან სესხით; ე) შენობის აღმართვის სრულ უზრუნველ-ყოფას მასალით, მოწყობილობებითა და მუშახელით, აგრეთვე, სხვა ობი-ექტებითა და ინვენტარით ხელშეკრულების „დ“ ქვეპუნქტით გათვალის-წინებული წყაროებით; ვ) პროექტის თანახმად, გათვალისწინებული შე-ნობის ექსტერიერის (ფასადის) დასრულებას, კიბის უჯრედების დას-რულებას, წყალ-კანალიზაციის და ელ. დგარების, აგრეთვე, ბუნებრივი აირის დგარების დამონტაჟებას; ზ) პროექტის შესაბამისად აღმართული შენობის ექსპლუატაციაში მიღების უზრუნველყოფას; თ) ყველა სხვა ქმედების განხორციელებას, რაც აუცილებელი იქნებოდა პროექტის შე-საბამისად შენობის აღმართვისა (აშენების) და მისი მოქმედი კანონმდებ-ლობით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღებისათვის.

6. სადამფუძნებლო ხელშეკრულების 3.7 მუხლით, დამფუძნებელ-თა განცხადებით, მათ მიერ ამხანაგობაში შენატანის ღირებულება – 109 000 აშშ დოლარია (53 000 აშშ დოლარი მესაკუთრის ქონებრივი შე-ნატანის ღირებულება, 55 000 აშშ დოლარი – დამფინანსებლის მიერ განხორციელებული სამუშაოების დასრულების ღირებულება).

7. დამფუძნებელთა მიერ ამხანაგობაში შენატანები სრულად უზ-რუნველყოფს მათ მიერ მისაღებ ქონებას (ფართებს). მხარეთა შეთან-ხმებით, ამხანაგობის მიერ ქ. თბილისში, თ.წ. -ში აშენებულ საცხოვრე-ბელ სახლში დამფუძნებელთა წილები განაწილდება შემდეგი პროპორ-ციით: კასატორი წილის სახით მიიღებს დასრულებულ საცხოვრებელ სახლში არსებული მთელი ფართის 51%-ს, შესაბამის წილ მიწის ნაკ-ვეთთან ერთად, მოსარჩელე დასრულებულ საცხოვრებელ სახლში მიი-

ლებს არსებული მთელი ფართის 49%-ს შესაბამის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად.

8. თბილისში, ი.ც. მდებარე 604 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებული 1157 კვ.მ №1 მშენებარე შენობის საერთო ფართის (მათ შორის, საცხოვრებელი ფართი – 728,6 კვ.მ, საზაფხულო ფართი – 133,7 კვ.მ, ავტოსადგომების ფართის – 86,7 კვ.მ სარდაფის ფართი – 115,1 კვ.მ, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართი – 93,2 კვ.მ) მესაკუთრედ საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა იბა „ი.ც., №10“. მითითებული შენობა-ნაგებობები ექსპლუატაციაში არ არის მიღებული.

9. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით. ის უთითებდა, რომ ამხანაგობის მშენებარე ფართზე რეგისტრირებულია სს „ბ.ბ-ის“ იპოთეკა, 180 000 აშშ დოლარის სესხის უზრუნველსაყოფად. ამხანაგობის დარეგისტრირებამდე იპოთეკით მიღებული სესხი დამფინანსებელს ხარჯებში არ შეუყვანია.

შპს-ს მიერ მშენებლობაზე გაღებული ხარჯები არის ამ სუბიექტის, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაციის ხარჯი, რომელიც არ არის გათვალისწინებული ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებაში, რომელშიც დამფინანსებლის ვალდებულება ამ მოცულობით ხარჯების გაწევაზე არ ყოფილა გათვალისწინებული.

სესხის ერთი ნაწილით მოპასუხემ გაისტუმრა წინა იპოთეკარი და მეორე ნაწილით დაიწყო მშენებლობა. ამდენად, დამფინანსებელ სუბიექტს საკუთარი ხარჯით ძველი ფინანსური ვალდებულებანი არ გაუსტუმრებია.

ამხანაგობაში შეიტანეს მიწის ნაკვეთი საძირკვლით, სარდაფებითა და პირველი სართულის სარტყელამდე აშენებული შენობა-ნაგებობა, დამტკიცებული ორსართულიანი სახლის პროექტითა და სამშენებლო ნებართვებით. მას და ბანკს შორის დადებული იპოთეკის ხელშეკრულებით მსესხებელზე გასაცემი საკრედიტო ხაზი განისაზღვრა 200 000 აშშ დოლარით, რაც ადასტურებს შენატანი ქონების რეალურ ღირებულებას. ამ ხარჯების თაობაზე ინფორმაცია 2013 წლის 17 იანვრამდე არ უცნობებია. ასეთი ინფორმაციის დროულად მიღების შემთხვევაში, ის გამოიყენებდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებას.

მოსარჩელის მტკიცებით, მის შენატანს წარმოადგენდა მხოლოდ უძრავი ქონება და სხვა ვალდებულება არ ეკისრებოდა. შპს-ს მიერ დარღვეულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რომლის თანახმად, მას ეკისრება უფლებრივად თავისუფალი ფართების განაწილება არჩევითობის და რიგითობის დაცვით.

10. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და აღნიშნა, რომ მოსარჩელე თავადაა წინააღმდეგი, შეასრულოს ერთობლი-

ვი საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულებები, რის შემდგომაც გადასცემს კიდეც კუთვნილ წილს.

11. მოპასუხემ წარადგინა შეგებებული სარჩელი, რომლითაც შეგებული მოპასუხისთვის – 262 909 ლარისა და ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტამდე ამ საქმიანობიდან წარმოშობილი დამატებითი ხარჯის 49%-ის დაკისრება ითხოვა.

12. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით, როგორც ძირითადი – ისე შეგებებული სარჩელები უარყოფილ იქნა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 930-ე, 935-ე, 937-ე და 939-ე მუხლები გამოიყენა.

13. მოსარჩელემ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

14. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 25 ივლისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი უარყოფილ იქნა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

15. მოსარჩელემ საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

16. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 12 ოქტომბრის განჩინებით, მოსარჩელის უფლებამონაცვლედ მ. ქ-ია (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელის უფლებამონაცვლე) იქნა ცნობილი.

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 17 დეკემბრის განჩინებით, საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

18. სააპელაციო საჩივრის განხილვის ეტაპზე მოსარჩელის უფლებამონაცვლემ დააზუსტა სარჩელი და საბოლოოდ მოითხოვა:

18.1. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ო.ც.“-ის (ID ნომერი 20531...) საცხოვრებელ სახლში ს/კ-ით №... ცნობილ იქნეს მესაკუთრედ ბინების, რომელთა მონაცემებია: №3, სართული I, ოთახის რაოდენობა – 3, საერთო ფართობი – 95.4 მ²; №4, სართული II, ოთახის რაოდენობა – 1, საერთო ფართობი – 41.3 მ²; №5, სართული II, ოთახის რაოდენობა – 2, საერთო ფართობი – 77,1 მ²; №10, სართული IV, ოთახის რაოდენობა – 3, საერთო ფართობი – 123,1 მ²; №11, სართული IV, ოთახის რაოდენობა – 2, საერთო ფართობი 92.4 მ²;

18.2. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ო.ც.“-ის (ID ნომერი) საცხოვრებელ სახლში ს/კ -ით №... ცნობილ იქნეს 25.6 მ²

№3 და №4 25.7 მ² ავტოფარეხების მესაკუთრედ.

18.3. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი.ც.“-ის (ID ნომერი) საცხოვრებელ სახლში ს/კ-ით №... ცნობილ იქნეს №2 16.52 კვ.მ; №6 13.26 კვ.მ და №7 13.94 კვ.მ სარდაფების მესაკუთრედ.

18.4. შესაბამისი ცვლილებები შევიდეს საჯარო რეესტრის ჩანაწერებში.

19. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილებით, სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი.ც.“-ის საცხოვრებელ სახლში, ს/კ-ით №..., მოსარჩელის უფლებამონაცვლე (პ/ნ ...) ცნობილ იქნა შემდეგი ბინების მესაკუთრედ:

1. №3, სართული I, ოთახის რაოდ. 3, საერთო ფართით 95.4 მ²;

2. №4, სართული II, ოთახის რაოდ. 1, საერთო ფართით 41.3 მ²;

3. №5, სართული II, ოთახის რაოდ. 2, საერთო ფართით 77,1 მ²;

4. №10, სართული IV, ოთახის რაოდ. 3, საერთო ფართით 123,1 მ²;

5. №11, სართული IV ოთახის რაოდ. 2, საერთო ფართით 92.4 მ²;

შესაბამისი ცვლილებები შევიდა საჯარო რეესტრის ჩანაწერებში;

19.1. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი.ც.“-ის საცხოვრებელ სახლში ს/კ-ით №... მოსარჩელის უფლებამონაცვლე (პ/ნ) ცნობილ იქნა №3 25.6 მ² და №4 25.7 მ² ავტოფარეხების მესაკუთრედ;

შესაბამისი ცვლილებები შევიდა საჯარო რეესტრის ჩანაწერებში;

19.2. ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ი.ც.“-ის საცხოვრებელ სახლში ს/კ-ით №... მოსარჩელის უფლებამონაცვლე ცნობილ იქნა №2 16.52 კვ.მ; №6 13.26 კვ.მ და №7 13.94 კვ.მ სარდაფების მესაკუთრედ;

შესაბამისი ცვლილებები შევიდა საჯარო რეესტრის ჩანაწერებში.

19.3. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით, ამხანაგობამ პასუხისმგებლობა აიღო, საკუთარი ხარჯით გამოესწორებინა უძრავ ქონებაზე არსებული უფლებრივი ნაკლი ისე, რომ საჯარო რეესტრში ქონების მესაკუთრედ ამხანაგობის დარეგისტრირების შემდეგ იგი უარს იტყოდა ყოველგვარ მოთხოვნაზე მოსარჩელის მიმართ, შესაბამისად, ქონების საკუთრებაში მიღების შემდგომ, მისი იპოთეკისგან გათავისუფლებისათვის გადახდილი თანხების მოსარჩელის მიერ ანაზღაურების თაობაზე მოპასუხის პოზიცია ცდაუსაბუთებელი იყო.

19.4. სააპელაციო პალატის დასკვნით, ამხანაგობის ვალდებულებების (ვალების) გასტუმრებაზე სოლიდარული პასუხისმგებლობა მოსარჩელეს ვერ დაეკისრებოდა, ვინაიდან, შეგებებული მოპასუხისთვის – 262 909 ლარისა და ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტამდე ამ საქმი-

ანობიდან წარმოშობილი დამატებითი ხარჯის 49%-ის დაკისრების შესახებ შეგებებული სარჩელი უარყოფილ იქნა და გადაწყვეტილება ამ ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში.

20. მოპასუხემ საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

20.1. კასატორის მტკიცებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არასწორად მიიჩნია დადგენილად, რომ მიწის ნაკვეთის ამხანაგობის სახელზე დარეგისტრირების შემდგომ ფულადი ვალდებულების შესრულებაზე აპელანტი პასუხს არ აგებდა ერთობლივი საქმიანობის შედეგად მიღებული სიკეთის ხარჯზე; ასევე დაუსაბუთებელია წილობრივი მონაცემების შესაბამისად ფართზე სამომავლო უფლების რეგისტრაციის მოთხოვნა.

20.2. კასატორის მითითებით, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მესამე პირების წინაშე ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა სოლიდარული პასუხისმგებლობის დამადასტურებელი გარემოებები არ ვლინდებოდა.

20.3. გარდა ამისა, კასატორის მოსაზრებით, არასწორად დადგინდა მხარეების მიერ ფართების განაწილების წესზე შეთანხმებაც, რომლის მიხედვით, დამფუძნებლების მიერ ამხანაგობაში შეტანილი სიკეთე სრულად უზრუნველყოფდა მათ მიერ მისაღებ ქონებას და ამხანაგობის თავმჯდომარემ იკისრა ვალდებულება, წილის განაწილების შესახებ სანოტარო აქტი საჯარო რეესტრისთვის წარედგინა.

21. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 28 თებერვლის განჩინებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 391.5 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

22. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებ-

რივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

23. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, კერძოდ, ამხანაგობის კუთვნილ უძრავ ქონებაზე მისი წილის შესაბამის ფართებზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნა სსკ-ის 930-ე (ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს, ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად) 935.1 (თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შემოსავლები მონაწილეებს შორის ნაწილდება მათი წილის შესაბამისად) და 935.2 (თითოეულ მონაწილეს უფლება აქვს მოსთხოვოს ყოველ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება) მუხლებიდან გამომდინარეობს.

24. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ერთობლივი საქმიანობა მისი სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, კონკრეტული მიზნის მისაღწევად პირთა გაერთიანებაზე აგებული ურთიერთობაა და ის მოითხოვს მისი მონაწილეებისაგან ისეთ მოქმედებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საერთო მიზნის რეალიზაციას, აქედან გამომდინარე, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურებას წარმოადგენს მხარეთა სურვილი, საკუთარი ქონების, გამოცდილებისა თუ პროფესიული უნარ-ჩვევების გაერთიანებით ერთობლივად იმოქმედონ გარკვეული მიზნების მისაღწევად.

ამასთან, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების აუცილებელი წინაპირობაა, რომ ამხანაგობა ყალიბდება იურიდიული პირის შეუქმნელად. ნიშანდობლივია, რომ სამოქალაქო კოდექსი არ აკონკრეტებს ხელშეკრულების ამ ტიპისთვის განსაზღვრული მიზნის შინაარსს, ამდენად, გარიგების მხარეთა ინტერესს, შესაძლებელია, წარმოადგენდეს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი მიზანი, მათ შორის, გარკვეული მოგების მიღების სურვილი.

საერთო მიზნის არსებობა გარიგების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს, ამიტომ ამხანაგობის თითოეული წევრი მონაწილეობს, როგორც გარიგების დამოუკიდებელი მხარე. ამხანაგობისთვის დამახასიათებელია კოლექტიური გაერთიანების (კორპორაციული სტრუქტურის) ისეთი თვისებები, რომლებიც მოიცავს როგორც ორგანიზაციულ, ასევე – ქონებრივ ელემენტებს, რაც საბოლოოდ დასახული მიზნის მიღწევას უზრუნველყოფს.

25. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ერთობლივი საქმიანობის ხელ-

შეკრულების თავისებურება იმით ვლინდება, რომ დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მონაწილე პირთა ერთობლივი საქმიანობით (მდრ. სუსგ №ას-482-458-2013, 16.01.2014წ.).

26. საკასაციო სასამართლოს არერთი განმარტებით – „ამხანაგობის ხელშეკრულება, მსგავსად ნებისმიერი სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობისა, მხარეთა თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებაა და იგი დადებულია მიიჩნევა მას შემდეგ, რაც მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან საამისოდ გათვალისწინებული ფორმის დაცვით (სსკ-ის 327.1 მუხლი).

მართალია, სამოქალაქო კოდექსი ადგენს ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს, რომელიც სამართალსუბიექტებს არა მარტო ხელშეკრულების დადების, არამედ ამ ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის დისკრეციას ანიჭებს, თუმცა ეს პრინციპი არ არის აბსოლუტური და იგი ლეგიტიმურ ბოჭვას სწორედ სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილის დათქმაში პოვებს, კერძოდ, ხელშეკრულება კანონის ფარგლებში უნდა იყოს დადებული და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მას.

სახელშეკრულებო დავის განხილვისას სასამართლოს უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს ხელშეკრულებაში გადმოცემული მხარეთა რეალური ნების დადგენა, მისი შესაბამისობა კანონის მოთხოვნებთან და სწორედ ამ გზით უნდა დადგინდეს სასარჩელო მოთხოვნის საფუძლიანობა“ (მდრ. სუსგ. №ას-1003-964-2014, 17.12.2015წ; №ას-137-129-2017, 18.12.2017წ.).

27. ამხანაგობა, მსგავსად ნებისმიერი სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობისა, საკანონმდებლო ბოჭვის ფარგლებში (სსკ-ის 319.1 მუხლი) დასაშვებად მიიჩნევს კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელ პირობებზე მხარეთა შეთანხმების შესაძლებლობას, რომლის მიმართაც სრულად ვრცელდება შესრულების კეთილსინდისიერი მოვალეობა (სსკ-ის 361.1 მუხლი).

28. ამასთან, მართალია, საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) წევრების ინტერესები მიმართულია საერთო მიზნის მიღწევისაკენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთმანეთის მიმართ ისინი არ შეიძლება გამოდიოდნენ, როგორც კრედიტორი და მოვალე.

ეს ვითარება წარმოადგენს იმ შემთხვევას, როდესაც სასამართლომ უნდა გამოიწვოს საერთო საქმიანობის მიზნის მისაღწევად ამხანაგობის წევრების უფლებები და ნაკისრი ვალდებულებები იმ უფლება-ვალდებულებებისაგან, რომელიც შემდეგ მათ წარმოეშობათ ერთმანეთის მიმართ.

კერძოდ, ერთ შემთხვევაში, საერთო საქმიანობასთან დაკავშირებით კეთილსინდისიერად შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს თითოეულ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობის ყოველი მონაწილისაგან

(სსკ-ის 935-ე მუხლის მე-2 ნაწილი) არა უშუალოდ თავისი, არამედ მხოლოდ საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა სასარგებლოდ.

მეორე შემთხვევაში, ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს (სსკ-ის 937.1 მე-2 წინადადება). ასეთ ვითარებაში, კანონით გათვალისწინებულია დანაწესი, რომლის თანახმად, პასუხისმგებლობის საკითხი დგება ერთმანეთის მიმართ.

საერთო საქმიანობის შედეგად მიღებული ქონების განაწილება (მაგალითად, საერთო საქმიანობის შედეგად აშენებული მრავალბინიანი სახლის ბინები) წარმოადგენს საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) მონაწილეთა იმ უფლებების დაკმაყოფილებას, რომლისთვისაც იქმნება ამხანაგობა. ანალოგიურად, ერთმანეთის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ამხანაგობის მონაწილეებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლობა განისაზღვრება ერთმანეთთან მიმართებით და სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

ამდენად, საერთო საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულება წარმოადგენს საშუალებას, რომლის მეშვეობითაც ხდება ყველა მონაწილის უფლებების დაკმაყოფილება. ამ შემთხვევებში ამხანაგობის მონაწილეები ერთმანეთის მიმართ გამოდიან, როგორც კრედიტორი და მოვალე და მონაწილეობენ სასამართლოში არა ამხანაგობის, არამედ საკუთარი სახელით (იხ. სუსგ საქმე №ას-482-458-2013, 2014 წლის 16 იანვარი).

29. ერთობლივი საქმიანობა, მსგავსად ნებისმიერი სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობისა, წარმოადგენს სამოქალაქო გარიგებას, რომლის დადებულად მიჩნევისა და იურიდიული ძალმოსილების განსაზღვრისათვის სავალდებულოა, შემოწმდეს აკმაყოფილებს თუ არა ხელშეკრულება გარიგების დადებისათვის სახელშეკრულებო სამართლით განსაზღვრულ ზოგად მოთხოვნებს.

სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლით დეფინირებული ამხანაგობის მცნებიდან გამომდინარე, უდავოა, რომ იგი ორმხრივი/მრავალმხრივი გარიგებაა და, სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის დეფინიციით, დადებულად მიიჩნევა, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

30. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სამოქალაქო კოდექსის 931-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომელშიც მითითებულია, თუ რა საკითხებზე უნდა შეთანხმდნენ მხარეები ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების დადებისას, ანუ რას უნდა შეიცავდეს ამ სახის ხელშეკრულება.

კერძოდ, მასში უნდა იყოს მითითებული: ა) მონაწილეთა დასახელება და მისამართი; ბ) მონაცემები ერთობლივი საქმიანობის სახეობისა და მიზნის შესახებ; გ) მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები; დ)

მართვის ორგანოთა სტრუქტურა და ფუნქციები; ე) მონაწილეთა შორის შემოსავლებისა და ზიანის განაწილების წესი და პირობები; ვ) ხელშეკრულებიდან გასვლის წესი; ზ) საქმიანობის ხანგრძლივობა; თ) ხელშეკრულების მოშლისა და დარჩენილი ქონების განაწილების წესი.

სწორედ აღნიშნულ პირობებზე შეთანხმება წარმოადგენს ერთობლივი საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების დადების არსებით პირობებს.

31. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ყოველი კონკრეტული საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოქმნილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე, ანუ ისეთი ფაქტების საფუძველზე, რომლებსაც სამართლის ნორმა უკავშირებს გარკვეულ იურიდიულ შედეგს.

32. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი გულისხმობს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ისე განაწილებას, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია, ანუ მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა – მას, ვინც უარყოფს.

33. საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს სსკ-ის 935.1 მუხლის შინაარსზე, რომლის მიხედვით, საერთო სარგებელი, შემოსავალი, რომელიც მიიღება ამხანაგობის საქმიანობის განხორციელების შედეგად, მონაწილეებს შორის ნაწილდება მათი შენატანების პროპორციულად, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

შემოსავალი შეიძლება გამოიხატოს როგორც ფულადი სახით, ისე ნატურით, მაგალითად, ნაყოფის მიღება, საცხოვრებელი ბინით ან სხვა სახის ფართით დაკმაყოფილება და ა.შ.

იმავე მუხლის მეორე ნაწილით, ამხანაგობის საქმიანობის დროს თუ თითოეულ მონაწილეს ეკისრება რაიმე მოქმედების შესრულება, რაც პირდაპირ უკავშირდება შედეგის მიღწევას, მაშინ ამ კონკრეტული დავების კეთილსინდისიერი შესრულებაც მოეთხოვება, მართალია, მითითებული ნორმა ხელშეკრულების მონაწილეს ანიჭებს უფლებას, მოსთხოვოს ნევრს ვალდებულების არა საკუთარი, არამედ საერთო მიზნის მისაღწევად შესრულება, თუმცა, ნევრთა ურთიერთმოთხოვნის არსებობის შესაძლებლობას ერთობლივი საქმიანობის მომწესრიგებელი არცერთი ნორმა არ გამორიცხავს.

34. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში დაცული შეთანხმებით

დგინდება, რომ ამხანაგობის მიზანი – თბილისში, ..., №10-ში მდებარე №1 შენობა-ნაგებობის არსებული პროექტის კორექტირება, კორექტირებული და დამტკიცებული პროექტის მიხედვით, ამ ნაგებობებზე დაშენება, აშენებულ სახლში ინდივიდუალური საკუთრების (საცხოვრებელი ბინებისა და არასაცხოვრებელი ფართების) განაწილება და მონაწილეებს შორის საერთო კუთვნილებაში წილების განსაზღვრა შეადგენდა, ხოლო შენობის სართულები, ბინების რაოდენობა, თითოეული ბინის ფართი და სხვა მახასიათებლები კორექტირებული საამშენებლო პროექტის მიხედვით დადგინდებოდა.

35. დადგენილია, რომ, სსკ-ის 932-ე მუხლის შესაბამისად, მონაწილეებმა შეიტანეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები, რომელიც, ერთ შემთხვევაში, ქონებით, ხოლო მეორე შემთხვევაში – მომსახურების განევით განისაზღვრა.

სახელდობრ, მოსარჩელის შენატანს წარმოადგენს – 604.კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები;

მოპასუხემ კი – მომსახურების განევით, კერძოდ, პირადი ან მოძიებული თანხებით უზრუნველყო ამხანაგობის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობის პროექტის კორექტირება, კორექტირებული პროექტის თანახმად, შენობის აღმართვა (დაშენება-გადაკეთება) და მისი ექსპლუატაციაში მიღება.

36. რაც შეეხება კასატორის მითითებას, რომ ფულადი ვალდებულების შესრულებაზე მოსარჩელემაც უნდა აგოს პასუხი, ერთობლივი საქმიანობის შედეგად მიღებული სიკეთის ხარჯზე, საკასაციო სასამართლო ამ შეხედულებას არ იზიარებს და განმარტავს, რომ სსკ-ის 937.1 მუხლის მეორე წინადადებით (ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს), განსაზღვრული პასუხისმგებლობა მესამე პირთა უფლებადამცავი ნორმაა და ამავე ნორმის გამოყენების პირობები მოცემულ შემთხვევაში, არ ვლინდება.

37. დადგენილია, რომ მოპასუხისთვის ცნობილი იყო მოთხოვნის საერთო მოცულობა, რომლის უზრუნველსაყოფადაც იყო დატვირთული ამხანაგობის ქონება და უფლებრივი ნაკლის გამოსწორების ვალდებულებაც იკისრა, ამასთან, იმგვარად, რომ საჯარო რეესტრში აღნიშნული ქონების მესაკუთრედ ამხანაგობის დარეგისტრირების შემდეგ, იგი უარს ამბობდა ყოველგვარ მოთხოვნაზე მოსარჩელის მიმართ (იხ. შეთანხმების 3.1 მუხლი), შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქონების იპოთეკისგან გათავისუფლების მიზნით გადახდილი თანხების ანაზღაურების თაობაზე კასატორის პრეტენზია უსაფუძვლოა.

38. ასევე დადგენილია, რომ ხელშეკრულების 6.1 მუხლის მიხედვით, მხარეები ერთობლივი საქმიანობის შედეგად შექმნილი ფართე-

ბის განაწილების წესზეც შეთანხმდნენ, კერძოდ, კასატორი წილის სახით მიიღებდა დასრულებულ საცხოვრებელ სახლში არსებული მთელი ფართის 51%-ს, შესაბამის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად, მოსარჩელე კი, დასრულებულ საცხოვრებელ სახლში არსებული მთელი ფართის 49%-ს, შესაბამის წილ მიწის ნაკვეთთან ერთად.

საკასაციო პალატა შენიშნავს, რომ მოსარჩელისთვის მიკუთვნებული ნივთის მოცულობა სრულად შეესაბამება სახელშეკრულებო პირობით გათვალისწინებულ წილობრივ მონაცემებს და გასაჩივრებული გადაწყვეტილება ამ მიმართებითაც კანონშესაბამისია.

ასევე ხაზგასასმელია, რომ შეგებებული მოპასუხისთვის – 262 909 ლარისა და ამხანაგობის საქმიანობის შეწყვეტამდე ამ საქმიანობიდან წარმოშობილი დამატებითი ხარჯის 49%-ის დაკისრების მოთხოვნით აღძრული შეგებებული სარჩელი უარყოფილ იქნა.

გადანწყვეტილება ამ ნაწილში შესულია კანონიერ ძალაში (სსკ-ის 264.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი), შესაბამისად, დადგენილია ის გარემოება, რომ ამხანაგობის ვალდებულებების (ვალდების) გასტუმრებაზე სოლიდარული პასუხისმგებლობა მოსარჩელეს ვერ დაეკისრება და კასატორის ეს პრეტენზია ერთმნიშვნელოვნად დაუსაბუთებელია.

39. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად, შესაბამისად საკასაციო პალატა გაანალიზებს კასატორის მხოლოდ ძირითად არგუმენტებს (იხ. „ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ“, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

40. სსსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

41. კასატორს სახელმწიფო ბაჟი გადახდილი აქვს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო

საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 410-ე მუხლებით და

დ ა ა ღ გ ი ნ ა:

1. შპს „ე.პ.კ.-ას“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 26 აპრილის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ერთობლივი საჩივანობიდან გასვლა

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-339-2023

22 სექტემბერი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა

**შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
მ. ერემაძე**

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება (ძირითად სარჩელში), ზიანის ანაზღაურება (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

სასარჩელო მოთხოვნა:

1. ა. მ-იმ (შემდგომ – მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „გ.რ-ის“ (შემდგომ – მოპასუხე, შეგებებული სარჩელის ავტორი, კასატორი) მიმართ 447590,30 ლარის, 1500 აშშ დოლარის, ასევე, 2019 წლის 28 ივნისიდან დავალიანების სრულ გადახდამდე ზიანის სახით დავალიანების – 447 590.30 ლარის წლიური 11%-ის გადახდის შესახებ.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის განმარტებით, 2018 წლის ნოემბერში მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ საერთო პროექტის შესრულებაზე, რომლის საგანს წარმოადგენდა ქ.ქუთაისში, ... სასტუმროს მშენებლობა. პროექტის ფარგლებში მოსარჩელეს უნდა მოეხდინა 450 000 აშშ დოლარის ინვესტირება, რომლითაც მოპასუხის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკ-

ვეთზე (როგორც მოპასუხე აცხადებდა) აშენდებოდა სასტუმრო, ჩატარდებოდა რემონტი, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და სასტუმროს ინვენტარით აღჭურვა.

3. 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის მარტის ჩათვლით მოსარჩელემ მოპასუხის საბანკო ანგარიშზე უფლებამოსილი პირების მეშვეობით შეიტანა სულ 447 590,3 ლარი და 1500 აშშ დოლარი. თანხის შეტანის დანიშნულებაში მიეთითა „საინვესტიციო თანხა, ა. მ-ი“.

4. მოპასუხემ იკისრა ვალდებულება, ამ ინვესტიციის ხარჯზე აეშენებინა სასტუმრო მის საკუთრებაში არსებულ 603 კვ.მ ნაკვეთზე, მიედლო მშენებლობის ნებართვა, ჩატარებინა რემონტი, აღეჭურვა ინვენტარით, კეთილმოეწყო მიმდებარე ტერიტორია. ასევე, პროექტის ფარგლებში მხარეთა თანასაკუთრება გახდებოდა დამატებით ორი მიწის ნაკვეთი იმავე მისამართზე. მხარეთა შეთანხმებით, აღნიშნული ინვესტიციის სანაცვლოდ, მოსარჩელეს თანასაკუთრებაში გადაეცემოდა მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობის 35%.

5. თანხის შეტანას მოპასუხის ანგარიშზე ახდენდა მოსარჩელის მიერ უფლებამოსილი პირი – თ. ც-ძე. ორ შემთხვევაში კი მიწოდებული საინვესტიციო თანხა შეიტანა თავად კომპანიის დირექტორმა.

6. 2019 წლის ივნისში მოსარჩელემ აღმოაჩინა, რომ მიწის ნაკვეთი, რომელზეც აშენდა შენობა-ნაგებობა, არ წარმოადგენდა მოპასუხის საკუთრებას და იყო მისი წარმომადგენლის ბებიის საკუთრება. მოპასუხეს მხოლოდ აღნაგობის ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მასთან 50 წლის ვადით. პროექტში ჩართული მეორე ნაკვეთიც ირიცხებოდა ამავე პირის სახელზე, ხოლო 6599 კვ.მ მესამე ნაკვეთი საერთოდ არ აღმოჩნდა რეგისტრირებული და მასზე ირიცხებოდა საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა.

7. ზეპირი შეთანხმებით, უნდა აშენებულიყო 4 სართული ქვემოთ და 3 სართული ნიშნულს ზემოთ, თუმცა, მოსარჩელესთან შეუთანხმებლად, მოპასუხემ ერთი სართული დამატება ისე, რომ მასზე არც ხარჯთაღრიცხვა და არც მშენებლობის ნებართვა არ არსებობს. მოპასუხემ უსაფუძვლოდ მოითხოვა დამატებით ინვესტიცია 150 000 აშშ დოლარი და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული 2 მიწის ნაკვეთის შეძენა დამატებით, რაზეც მხარეები შეთანხმებული არ ყოფილან. შესაბამისად, ინვესტიციის გაზრდა არ ყოფილა შეთანხმებული მხარეებს შორის და არც მოსარჩელის 35%, თანასაკუთრების სანაცვლოდ. ინვესტიციის განხორციელების საფუძველი სწორედ მიწის საკუთრებაში არსებობა იყო, სხვა ვითარებაში კი მოსარჩელე არ განახორციელებდა ინვესტირებას.

8. 2019 წლის წერილში მოპასუხე წერდა მოსარჩელეს, რომ ის საკუთრების უფლებით ფლობდა მიწის ნაკვეთს, რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. ამასთან, არსებული მშენებლობა არაა შესაბამისობაში

ნებართვასთან და მისი მოცულობის გაზრდის გამო, შეთანხმებული 450000 აშშ დოლარის ინვესტიცია არაა საკმარისი პროექტის დასრულებისათვის, ასევე, არ არსებობს ხარჯთაღრიცხვა და უცნობია რა ხარჯებთან არის დაკავშირებული გაზრდილი მშენებლობა. არც მინის ნაკვეთი და არც შენობა-ნაგებობის 35% არ არის აღრიცხული მოსარჩელის და მოპასუხის თანასაკუთრებაში ისე, როგორც იყო შეთანხმებული. მოპასუხემ შეცდომაში შეიყვანა მოსარჩელე, თითქოს მინის ნაკვეთები იყო მისი საკუთრება.

9. მოსარჩელე თანახმა იყო, მომხდარიყო მხარეებს შორის ურთიერთობის დარეგულირება, გაფორმებულიყო საინვესტიციო ხელშეკრულება, კომპანიის წესდება და მომხდარიყო პარტნიორთა შეთანხმება, თანახმა იყო ინვესტიციის გაზრდაზე, თუ მოხდებოდა მისი წილის გაზრდაც, რაზეც მოპასუხე მხარემ უარი განაცხადა.

10. მოსარჩელემ მიიჩნია, რომ გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, შესაბამისად, ის უფლებამოსილია, მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა.

11. გარდა ამისა, მოპასუხემ უარი განუცხადა თანხის დაბრუნებაზე, რითაც მოსარჩელეს ადგება ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით. ამ პერიოდის განმავლობაში სადავო თანხის ბანკის დეპოზიტზე/ანაბარზე განთავსებით მიიღებდა გარანტირებულ შემოსავალს. მოსარჩელის მიერ თანხის დაბანდება სწორედ შემოსავლის მიღების მიზნით ხდებოდა. ასეთ შემთხვევაში ის გარანტირებულად მიიღებდა თანხის წლიურ 11%-ს, რაც წლიურად შეადგენს 49234,933 ლარს, ხოლო თვეში 4102,91 ლარს, რომლის გადახდაც ასევე უნდა დაეკისროს მოპასუხეს.

მოპასუხისა და შეგებებული სარჩელის ავტორის პოზიცია:

12. მოპასუხემ შესაგებლად სარჩელი არ ცნო, ხოლო სასამართლოს სხდომაზე კი მიუთითა, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა გამომდინარეობდა ერთობლივი საქმიანობიდან. მათ შეთანხმება არ დაურღვევიათ, არსებული მდგომარეობა იმთავითვე ცნობილი იყო მოსარჩელისათვის. ამასთან, მოპასუხემ ჩარიცხული თანხები სრულად გამოიყენა სასაქონლო მშენებლობისათვის. მოსარჩელის მიერ გაღებული თანხები იყო ინვესტიცია და არა სესხი და მისი დაბრუნების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს, რის გამოც მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სასარჩელო მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. მოპასუხემ ასევე შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს მოსარჩელის მიმართ და მოითხოვა ზეპირი საინვესტიციო შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევითა და საინვესტიციო თანხის არასტაბილური მიწოდებით შეგებებული სარჩელის ავტორისათვის მიყენებული ზიანის – 579 716 ლარის გადახდა, ასევე, მოცდენითა და სამუშაოების შეჩერებით გამოწვეული ყოველდღიური ზიანის – 2480 ლარის ანაზღაურება 2019 წლის 25 მაისიდან 28 ივნისამდე, სასამართლოში სარჩელის აღძვრის პერიოდში.

დისათვის, 33 დღეზე, სულ – 81840 ლარი.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

13. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 26 ნოემბრის გადაწყვეტილებით როგორც ძირითადი, ისე შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც ორივე მხარემ გაასაჩივრეს სააპელაციო წესით.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი და ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება:

14. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 19 ოქტომბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ გაუქმდა და ძირითადი სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 447590,30 ლარისა და 1500 აშშ დოლარის ანაზღაურება, მოპასუხის სააპელაციო საჩივარს ეთქვა უარი, ხოლო დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

15. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ 2018 წლის ოქტომბერში მხარეებს შორის ზეპირი შეთანხმების საფუძველზე მოსარჩელე გადარიცხავდა 450000 აშშ დოლარს ქ.ქუთაისში, ... ქ. №7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე 4-სართულიანი სასტუმროს მშენებლობისათვის, რომელსაც გაუძღვებოდა მოპასუხე. სანაცვლოდ, მოსარჩელეს საკუთრებაში უნდა მიეღო შენობისა და მიწის ნაკვეთის 25% (ან 35%).

16. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შეთანხმება მოიცავდა უძრავი ქონების (მიწის ნაკვეთის და შენობის) საკუთრებაში გადაცემას, ის არ იყო გაფორმებული წერილობითი ფორმით და მხარეებმა მხოლოდ ზეპირად მოილაპარაკეს.

17. საქმეში არსებული საჯარო რეგისტრის ამონაწერების თანახმად, ქ. ქუთაისში, ... ქუჩასა და რაიონული მნიშვნელობის საპროექტო პარკს შორის მდებარე ტერიტორია (ნაკვეთი 1-1-1-1), ს/კ №..., 679 კვ.მ დაზუსტებული ფართი და ნაკვეთი 2, ს/კ. №..., 613 კვ.მ დაზუსტებული ფართი რეგისტრირებულია მოპასუხის საკუთრებად, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულებებით მესამე პირების მიმართ.

18. ქ. ქუთაისში, ... ქ. №7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 603 კვ.მ, ს/კ №... რეგისტრირებულია ნ. ქ-ძის საკუთრებად. მის სახელზე ირიცხება ამავე მისამართზე მდებარე 599.30 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ №... 2018 წლის 21 აგვისტოს ფიზიკურ პირ ნ. ქ-ძესა და მოპასუხე კომპანიის დირექტორ თ. კ-ას შორის გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება 50 წლის

ვადით, ქ. ქუთაისში, ... ქ. №7-ში მდებარე 603 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ს/კ ..., შენობა-ნაგებობის (სასტუმროს) აღმართვის პირობით.

19. ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2018 წლის 17 აგვისტოს №02.02182296 ბრძანებით, ნ. ქ-ძის განცხადების საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა მიწის ნაკვეთზე საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტის (სასტუმრო) ასაშენებლად, წარდგენილი პროექტის შესაბამისად.

20. სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მოპასუხეს მოსარჩელისაგან 2018 წლის 19 ნოემბრიდან 2019 წლის ივნისამდე მიღებული აქვს 156 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. სარჩელს ერთვის „ანგარიშზე შემოსავლის დოკუმენტები“, რომლითაც დასტურდება, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს გადაურიცხა შემდეგი თანხა: 2018 წლის 22 ნოემბერს – 52 250,40 ლარი; 2018 წლის 30 ნოემბერს – 5340 ლარი; 2018 წლის 06 დეკემბერს – 21 200 ლარი; 2018 წლის 13 დეკემბერს – 15 930 ლარი; 2018 წლის 19 დეკემბერს – 10620 ლარი; 2018 წლის 26 დეკემბერს – 7980 ლარი; 2018 წლის 27 დეკემბერს – 18 068 ლარი; 2019 წლის 08 იანვარს – 26 334 ლარი; 2019 წლის 21 იანვარს – 18 447 ლარი; 2019 წლის 23 იანვარს – 6637,50 ლარი; 2019 წლის პირველ თებერვალს – 7950 ლარი; 2019 წლის 6 თებერვალს – 10 580 ლარი; 2019 წლის 12 თებერვალს – 26 278,60 ლარი; 2019 წლის 22 თებერვალს – 3978 ლარი; 2019 წლის 25 თებერვალს – 39 926 ლარი; 2019 წლის 4 მარტს – 13 282,95 ლარი; 2019 წლის 11 მარტს – 2680 ლარი; 2019 წლის 25 მარტს – 21 416 ლარი; 2019 წლის 18 მარტს – 29 774,80 ლარი; 2019 წლის 10 აპრილს – 37 632 ლარი; 2019 წლის 22 აპრილს – 8085 ლარი; 2019 წლის 24 აპრილს – 18 858 ლარი; 2019 წლის 28 მაისს – 13 915 ლარი; 2019 წლის 15 მარტს – 22 700 ლარი; 2019 წლის 15 მარტს 1500 აშშ დოლარი.

21. მითითებული თანხის ჯამი მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობას შეესაბამება.

22. საქმეში წარმოდგენილი აქტებისა და ფოტოსურათების მიხედვით, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხემ დაიწყო სამუშაოები სასტუმროს მშენებლობისათვის, 2018 წლის პირველი ნოემბრისათვის დასრულებული იყო მიწის სამუშაოები, მომდევნო ეტაპის მშენებლობის განსახორციელებლად. შესაბამისად, გაგრძელდა სამუშაოები მე-4 სართულის მზიდი კონსტრუქციების მოწყობის ჩათვლით.

23. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მოპასუხეს უარი უთხრა 2020 წლის 26 მარტს ქ. ქუთაისში, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით, განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის შეთანხმებასა და განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 3,5-მდე გაზრდაზე ამ პარამეტრის ფარგლებში წარდგე-

ნილი დასაბუთების საფუძველზე. საბჭოს სხდომის №1-11/20 ოქმის საფუძველზე განიმარტა, რომ ტერიტორიაზე შესაძლებელია წინა საბჭოს რეკომენდაციით განსაზღვრულ გეგმარებით არეალზე გდგ-ს დამუშავება განხორციელდეს საცხოვრებელი ზონა-4-ით დადგენილი პარამეტრებით და პირობებით. შესაბამისად გდგ-ს ინიცირება და დავალების გაცემაც შესაძლებელია სზ-4-ის საფუძველზე.

24. დღეის მდგომარეობით შენობა-ნაგებობა არის 6 სართული.

25. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომ – სსსკ) მე-4 მუხლის პირველი ნაწილით, 102-ე მუხლის პირველი ნაწილით და განმარტა, რომ, გამო-ნაკლისი შემთხვევების გარდა, ხელშეკრულების ნამდვილობისათვის რაიმე განსაკუთრებული ფორმის დაცვა საჭირო არ არის. ხელშეკრულება ძალაში მას შემდეგ შედის, რაც მხარეები შესაბამის პირობებზე, თუნდაც ზეპირი მოლაპარაკებების გზით, შეთანხმდებიან. ხელშეკრულების დასადებად, ცალკეულ შემთხვევაში, ზეპირი მოლაპარაკებებით შესაბამისი პირობების განსაზღვრაც არ არის აუცილებელი. შესაძლოა, მხარეთა კონკლუდენტური ქმედებებიდანაც ირკვეოდეს, რომ მათ შორის ხელშეკრულება დაიდო.

26. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებითაც მოქმედებს სახელშეკრულებო ფორმის თავისუფლების პრინციპი, თუმცა ეს პრინციპი შეუზღუდავი არ არის. ცალკეულ შემთხვევებში კანონი ადგენს ფორმას, რომლის დაცვაც კონკრეტული ტიპის ხელშეკრულებების ნამდვილობისათვის აუცილებელია. მხარეებსაც შეუძლიათ, გაითვალისწინონ ხელშეკრულების რაიმე ფორმა, როგორც მისი ძალაში შესვლის აუცილებელი წინაპირობა. კანონმდებელი გარკვეულ წესებს ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით ისეთ შემთხვევებში განსაზღვრავს, როდესაც თავად სახელშეკრულებო სამართლებრივი ურთიერთობის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად არის ამის საჭიროება და ფორმის დანესებას შესაბამისი მიზანი გააჩნია.

27. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (შემდგომში სსკ-ი) განსაზღვრავს ხელშეკრულების ტიპებს, რომელთა ნამდვილობისათვის საჭიროა, რომ ისინი დაიდოს წერილობითი ფორმით. თავის მხრივ, წერილობითი ფორმა იყოფა რთულ (სანოტარო) წერილობით და მარტივ წერილობით ფორმებად. ამასთან, როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნის მიღწევა. იმპერატიული ნორმები ასახავენ კანონმდებლის მიდგომას კონკრეტული ქცევის მიზანსა და მიზანშეწონილობაზე. მართლმსაჯულება კანონმდებლის განზრახვას ვერ გასცდება მაშინაც კი, როდესაც კანონმდებლის მიერ სამართლის ნორმის შინაარსის და კონკრეტებისა და ლეგიტიმური ცვლილებებისათვის კანონში ღია სივრცეა და-

ტოვებული. იმპერატიული ნორმების დადგენის შემთხვევაში კანონმდებელი ქცევის მხოლოდ ამ სახით განხორციელების სავალდებულობას ადგენს და მათ არსებობას, როგორც წესი, სხვა ზოგადსამართლებრივ პრინციპებთან ერთად საფუძვლად უდევს სამართლებრივი უსაფრთხოებისა და კერძო სფეროში ნდობის დაცვის პრინციპი. უძრავ ნივთზე დადებული ვალდებულებითი გარიგების ფორმასავალდებულოება ნათლად წარმოაჩენს კანონმდებლის მიზანს – უძრავი ნივთების სპეციალურ სამართლებრივ რეჟიმში მოქცევით ხელი შეუწყოს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას (იხ. სუსგ 14.07.2021, საქმე №ას-174-2021).

28. სააპელაციო პალატის განმარტებით, სსკ-ის 323-ე მუხლი, თავისი ბუნებით, იმპერატიული ნორმაა, რომლის მიზანი, როგორც ზოგადად ყველა იმპერატიული ნორმების შემთხვევაში ხდება, კერძო უფლებათა დაცვის უზრუნველყოფაა. წერილობითი ფორმის დროს სავალდებულოა წერილობით მომზადებულ დოკუმენტზე მხარეთა მიერ საკუთარი ხელმოწერები. როგორც წესი, მთელი ხელშეკრულება მოითხოვს წერილობით ფორმას, თუკი მისი ერთი დებულება მაინც წერილობით უნდა გაფორმდეს. მაგალითად, თუკი წარდგობის ხელშეკრულებით ერთ-ერთმა მონაწილემ იკისრა უძრავი ნივთის გადაცემის ვალდებულება, მაშინ მთელი ხელშეკრულება წერილობით უნდა გაფორმდეს.

29. ნამდვილი გარიგებისგან განსხვავებით, გარიგება ბათილია, თუკი მას შედეგად არ მოჰყვება გარიგების მონაწილეების მიერ დასახული მიზანი იმის გამო, რომ მოქმედი სამართალი გამოვლენილ ნებასა და განხორციელებულ ქმედებას სამართლებრივად უვარგისად მიიჩნევს. ასეთი გარიგება არ წარმოშობს დასახულ სამართლებრივ შედეგებს არც მხარეთათვის და არც მესამე პირთათვის.

30. ფორმის დაუცველად დადებული გარიგება უცილობლად ბათილი (არარა) გარიგებაა და იგი ბათილად ითვლება მისი დადების მომენტიდან. ასეთ შემთხვევაში ბათილობა კანონით არის განსაზღვრული და მისი გამოსწორების შესაძლებლობას კანონი არ ითვალისწინებს. გარიგების ბათილობის სამართლებრივი შედეგია ზიანის ანაზღაურება ან გარიგების საფუძველზე მიღებული უკან დაბრუნება.

31. როგორც ზემოთ აღინიშნა, მხარეთა შორის არსებული შეთანხმება გულისხმობდა უძრავ ნივთზე საკუთრების, ერთი მხრივ, გადაცემას, ხოლო, მეორე მხრივ, შეძენას. შეთანხმება არ ყოფილა გაფორმებული წერილობითი ფორმით.

32. სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ მხარეთა შორის 2018 წლის ოქტომბერში მიღწეული ზეპირი შეთანხმება, რომლის თანახმად მოსარჩელეს უნდა გადმოერიცხა 450 000 აშშ დოლარი, ქ. ქუთაისში, ... ქ.

№7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე 4-სართულიანი სასტუმროს მშენებლობისათვის, რომელსაც გაუძღვებოდა მოპასუხე, თანხის გადმორიცხვის სანაცვლოდ კი, მოსარჩელეს უნდა მიეღო საკუთრებაში შენობისა და მიწის ნაკვეთის 25% (ან 35%) ბათილია, როგორც აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. მითითებული გარიგების ბათილად ცნობის პირობებში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს შესრულების კონდიცია წარმოადგენს, რაც სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან გამომდინარეობს.

33. მოპასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 447 590,3 ლარისა და 1500 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნის ნაწილში, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობიდან, კერძოდ, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები. ამ სარჩელის ფარგლებში დასადგენია, ადგილი აქვს თუ არა, ერთი პირის მიერ მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შეძენას, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე, რომელიც, თავის მხრივ, ექვემდებარება უფლებამოსილი პირისათვის მის დაბრუნებას.

34. სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიზნიდან გამომდინარეობს ერთმნიშვნელოვანი დასკვნა იმის თაობაზე, რომ კონდიციური ვალდებულების წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ერთი პირის გამდიდრება მეორის ხარჯზე და ასეთი გამდიდრება მოკლებული უნდა იყოს სამართლებრივ საფუძველს, რომელიც ან თავიდანვე არ არსებობდა, ან შემდგომში მოიშალა. ამასთან, მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, თუ რის შედეგად დადგა უსაფუძვლო გამდიდრების ფაქტი – თავად დაზარალებულის მოქმედების, გამდიდრებულის მოქმედების თუ მესამე პირთა მოქმედების შედეგად ან განხორციელდა იგი მათი ნების სანინალმდეგოდ. ასევე, არ აქვს მნიშვნელობა ამ სამართალურთიერთობაში მონაწილე სუბიექტთა ბრალეულობას, კეთილსინდისიერებასა და მათ მიერ განხორციელებული მოქმედებების მართლზომიერებას თუ მართლსაწინააღმდეგობას. კონდიციური ვალდებულების არსებობის სამართლებრივი საფუძვლით სარჩელის დასაკმაყოფილებლად მნიშვნელოვანია დადგინდეს მხოლოდ ობიექტური შედეგი, რაც გულისხმობს ერთი პირის მიერ, მეორე პირის ხარჯზე რაიმე სამართლებრივი სიკეთის შეძენას (დაზოგვას) შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე.

35. ამავე კოდექსის 982.1 მუხლის თანახმად პირი, რომელიც ხელყოფს მეორე პირის სამართლებრივ სიკეთეს მისი თანხმობის გარეშე განკარგვის, დახარჯვის, სარგებლობის, შეერთების, შერევის, გადა-

მუშავეების ან სხვა საშუალებით, მოვალეა აუნაზღაუროს უფლებამოსილ პირს ამით მიყენებული ზიანი.

36. განსახილველ შემთხვევაში, ის გარიგება, რომელიც საფუძვლად ედო მოსარჩელის მიერ მოპასუხისათვის თანხის გადარიცხვას, ბათილად იქნა ცნობილი. შესაბამისად, მოპასუხემ ის უსაფუძვლოდ მიიღო და გამდიდრდა. მითითებულის გათვალისწინებით მოსარჩელის მოთხოვნა სრულად გამომდინარეობს სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 979-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან და უნდა დაკმაყოფილდეს.

37. რაც შეეხება მოპასუხის შეგებებული სარჩელის მოთხოვნას მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების სახით თანხის დაკისრების შესახებ, სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ მხარეთა შორის ზეპირი ფორმით არსებული გარიგების ბათილად ცნობის გამო, შეგებებული სარჩელის მოთხოვნას სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა. მოპასუხეს არაფერი გადაუცია მოსარჩელისათვის, შესაბამისად, დაბრუნების ვალდებულებაც ვერ დადგინდება.

38. ამდენად, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხის შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში არსებითად სწორია და უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

39. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოპასუხემ შეიტანა საკასაციო საჩივარი, მოითხოვა მისი გაუქმება, ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძვლებით:

40. კასატორმა მიიჩნია, რომ არსებობს სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი. ამავდროულად, მოცემული საკასაციო საჩივრის განხილვა მნიშვნელოვანია სამართლის განვითარებისა და ერთგვაროვანი სამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის. სააპელაციო პალატამ დაარღვია სსსკ-ის მე-5 მუხლისა და 105-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესები და არ იმსჯელა მოპასუხის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებზე.

41. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად გამოიყენა და განმარტა სსკ-ის 323-ე და 54-ე მუხლები, ხოლო არამართლზომიერად არ იხელმძღვანელა 329-ე მუხლით. წინააღმდეგ შემთხვევაში სააპელაციო პალატა დაადგენდა, რომ მოსარჩელის მიმართ წინადადება, 450 000 აშშ დოლარის გადარიცხვის შემდეგ მოპასუხეს აეშენებინა 4-სართულიანი სასტუმრო და ნ. ქ-ქსთან დაედო აღნაგობის ხელშეკრულება, წარმოადგენდა ოფერტს ერთობრივ საქმიანობასთან დაკავშირებით.

42. გასაჩივრებული განჩინებით დადგენილი ფაქტები ასევე ადასტურებდა, რომ 2018 წლის 22 ნოემბერს 52 250 ლარისა და შემდგომ პერიოდულად 2019 წლის ივნისამდე 156 000 აშშ დოლარის მოპასუხის ანგარიშზე ჩარიცხვით მოსარჩელემ განახორციელა აქცეზები. სააპელაციო სასამართლოს სათანადოდ არ შეუფასებია არც მოპასუხის მიერ 2019 წლის აპრილში ელექტრონულად გადაგზავნილი საინვესტიციო ხელშეკრულება შეცვლილი პირობებით, რომელიც წარმოადგენდა ახალ ოფერტს და მასზე თანხმობის განუცხადებლობა არ აძლევდა უფლებას მოსარჩელეს, ნოემბრის ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობის შესაბამისად, სასტუმროს მშენებლობისა და მოწყობისათვის არ ჩაერიცხა დარჩენილი 292 500 აშშ დოლარი.

43. კასატორის განმარტებით, სააპელაციო პალატას უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 938-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება, რადგან მოცემულ შემთხვევაში აშკარაა ზიანის მიყენების ფაქტი, 10 თვეში 2019 წლის სექტემბრამდე ასაშენებელი და ექსპლუატაციაში მისაღები სასტუმრო ჯერაც დაუსრულებელია. შესაბამისად, მოპასუხეს ზიანი მიადგა არა მხოლოდ სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში, არამედ შემდგომი პერიოდისათვისაც მიუღებელი შემოსავლის სახით. გასაჩივრებული განჩინებით სასამართლომ არ გამოიყენა არც 992-ე მუხლი და უგულებელყო 391-ე მუხლის, 394-ე მუხლის პირველისა და 57-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესები.

44. კასატორის მითითებით, სააპელაციო პალატამ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება, რომ მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით, თანხის გადარიცხვის სანაცვლოდ, მოსარჩელეს საკუთრებაში უნდა მიეღო შენობისა და მიწის ნაკვეთის 25% (35%). საქმეში წარმოდგენილ არცერთ საინვესტიციო ხელშეკრულებაში სასტუმროს ქვეშ არსებული მიწის მოპასუხის საკუთრებაში გადაცემა ნახსენები არ არის, პირიქით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნ. ქ-ძის კუთვნილი მიწის ნაკვეთი აღნაგობის უფლებით დაიტვირთებოდა. მიწის საკუთრებაში გადაცემის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა დაფიქსირებულია მხოლოდ მოპასუხის მიერ მისთვის გადაგზავნილი 2019 წლის 10 მაისის წერილის საპასუხოდ, სატელეფონო შეტყობინებით მოსარჩელემ დაადასტურა მზაობა 2019 წლის აპრილში საინვესტიციო ხელშეკრულების შესრულებაზე გარკვეული კორექტირებით, თუმცა მოგვიანებით მოსარჩელემ შეცვალა საკუთარი პოზიცია და სარჩელი აღძრა სასამართლოში.

45. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 27 მარტის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სსკ-ის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2023 წლის 22 ივნისის განჩინებით ცნობილ იქნა დასაშვებად სსკ-ის 391-ე მუხლის „ა“

ქვეპუნქტის სამართლებრივი საფუძვლით (საქმე მოიცავს სამართლებრივ პრობლემას, რომლის გადაწყვეტაც ხელს შეუწყობს სამართლის განვითარებას და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას).

46. წინამდებარე საქმეზე უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2023 წლის 27 ივნისის განჩინებით მხარეთა შორის მორიგების მიღწევის მიზნით დაინიშნა საკასაციო საჩივრის ზეპირი განხილვა სასამართლოს სხდომაზე იმავე წლის 12 ივლისს და მხარეებს მიეცათ გონივრული დრო მორიგების მიაღწევად, თუმცა, მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა.

სამოტივაციო ნაწილი:

47. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

48. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

49. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ 2018 წლის ოქტომბერში მხარეებს შორის არსებული ზეპირი შეთანხმების საფუძველზე მოსარჩელე 450000 აშშ დოლარს გადარიცხავდა ქ.ქუთაისში, ...ქ.№7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე 4-სართულიანი სასტუმროს მშენებლობისათვის, რომელსაც გაუძღვებოდა მოპასუხე.

50. მოპასუხეს მოსარჩელისაგან 2018 წლის 19 ნოემბრიდან 2019 წლის ივნისამდე მიღებული აქვს 156 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი. სარჩელს ერთვის „ანგარიშზე შემოსავლის დოკუმენტები“, რომლითაც დასტურდება, რომ მოსარჩელემ მოპასუხეს გადაურიცხა შემდეგი თანხა: 2018 წლის 22 ნოემბერს – 52 250,40 ლარი; 2018 წლის 30 ნოემბერს – 5340 ლარი; 2018 წლის 06 დეკემბერს – 21 200 ლარი; 2018 წლის 13 დეკემბერს – 15 930 ლარი; 2018 წლის 19 დეკემბერს – 10620 ლარი; 2018 წლის 26 დეკემბერს – 7980 ლარი; 2018 წლის 27 დეკემბერს – 18 068 ლარი; 2019 წლის 08 იანვარს – 26 334 ლარი; 2019 წლის 21 იანვარს – 18 447 ლარი; 2019 წლის 23 იანვარს – 6637,50 ლარი; 2019 წლის პირველ თებერვალს – 7950 ლარი; 2019 წლის 6 თებერვალს – 10 580 ლარი; 2019 წლის 12 თებერვალს – 26 278,60 ლარი; 2019 წლის 22 თებერვალს – 3978 ლარი; 2019 წლის 25 თებერვალს – 39 926 ლარი; 2019 წლის 4 მარტს – 13 282,95 ლარი; 2019 წლის 11 მარტს – 2680 ლარი; 2019 წლის 25 მარტს – 21 416 ლარი; 2019 წლის 18 მარტს – 29 774,80 ლარი; 2019 წლის 10 აპრილს – 37 632 ლარი; 2019 წლის 22 აპრილს –

8085 ლარი; 2019 წლის 24 აპრილს – 18 858 ლარი; 2019 წლის 28 მაისს – 13 915 ლარი; 2019 წლის 15 მარტს – 22 700 ლარი; 2019 წლის 15 მარტს 1500 აშშ დოლარი. მითითებული თანხის ჯამი მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობას შეესაბამება.

51. ქ.ქუთაისში, ... ქუჩასა და რაიონული მნიშვნელობის საპროექტო პარკს შორის მდებარე ტერიტორია (ნაკვეთი 1-1-1-1), ს/კ: №..., 679 კვ.მ დაზუსტებული ფართი და ნაკვეთი 2, ს/კ: №..., 613 კვ.მ დაზუსტებული ფართი რეგისტრირებულია მოპასუხის საკუთრებად, უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ვალდებულებებით მესამე პირების მიმართ.

52. ქ.ქუთაისში, ... ქ.№7-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 603 კვ.მ, ს/კ №... რეგისტრირებულია ნ. ქ-ძის საკუთრებად. მის სახელზე ირიცხება ამავე მისამართზე მდებარე 599.30 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ს/კ: №....

53. 2018 წლის 21 აგვისტოს ფიზიკურ პირ ნ. ქ-ძესა და მოპასუხე კომპანიის დირექტორ თ. კ-ას შორის გაფორმდა აღნაგობის ხელშეკრულება 50 წლის ვადით. ქ. ქუთაისში, ... ქ. №7-ში მდებარე 603 კვ.მ მიწის ნაკვეთზე, ს/კ ..., შენობა-ნაგებობის (სასტუმროს) აღმართვის პირობით.

54. ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის 2018 წლის 17 აგვისტოს №ბ02.02182296 ბრძანებით, ნ. ქ-ძის განცხადების საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა მიწის ნაკვეთზე საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტის (სასტუმრო) ასაშენებლად, წარდგენილი პროექტის შესაბამისად.

55. მოპასუხემ დაიწყო სამუშაოები სასტუმროს მშენებლობისათვის, 2018 წლის პირველი ნოემბრისათვის დასრულებული იყო მიწის სამუშაოები, მომდევნო ეტაპის მშენებლობის განსახორციელებლად. შესაბამისად, გაგრძელდა სამუშაოები მე-4 სართულის მზიდი კონსტრუქციების მოწყობის ჩათვლით.

56. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ მოპასუხეს უარი უთხრა 2020 წლის 26 მარტს ქ. ქუთაისში, საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის მიზნით, განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის შეთანხმებასა და განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 3,5-მდე გაზრდაზე ამ პარამეტრის ფარგლებში წარდგენილი დასაბუთების საფუძველზე. საბჭოს სხდომის №1-11/20 ოქმის საფუძველზე განიმარტა, რომ ტერიტორიაზე შესაძლებელია წინა საბჭოს რეკომენდაციით განსაზღვრულ გეგმარებით არეალზე გდგ-ს დამუშავება განხორციელდეს საცხოვრებელი ზონა-4-ით დადგენილი პარამეტრებით და პირობებით. შესაბამისად გდგ-ს ინიცირება და დავა-

ლების გაცემაც შესაძლებელია სზ-4-ის საფუძველზე.

57. შენობა-ნაგებობა არის 6 სართული.

58. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონახვაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა, გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას.

59. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება შედის სასამართლოს კომპეტენციაში, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

60. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავ-

ვის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). საქმის გარემოებათა ანალიზის საფუძველზე მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის დადგენა და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის მოძიება კი, სასამართლოს ვალდებულებაა. სადავო ურთიერთობის შეფასებისას, ზემდგომი ინსტანციის სასამართლო არაა შებოჭილი ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს სამართლებრივი შეფასებებით, შესაბამისად, თუ ზემდგომი ინსტანციის სასამართლო გამოარკვევს, რომ ქვემდგომი სასამართლოს სამართლებრივი შეფასება არ გამომდინარეობს საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან, იგი ვალდებულია, ეს გარემოებები თავად შეაფასოს სამართლებრივად სწორად და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

61. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში უთითებს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა პასუხობდეს მხარის მიერ სამართლებრივ და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით წარმოდგენილი არგუმენტების ძირითად ასპექტებს (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Ruiz Torija v. Spain, §§ 29-30). შესაბამისად, უფლება მოსმენაზე მოიცავს არა მხოლოდ სასამართლოს წინაშე არგუმენტების წარდგენის შესაძლებლობას, არამედ სასამართლოს ვალდებულებას, გადაწყვეტილების დასაბუთებაში მიუთითოს მიზეზები, რომელთა საფუძველზეც გაიზიარა ან უარყო შესაბამისი არგუმენტები. სასამართლომ შეიძლება აუცილებლად არ მიიჩნიოს იმგვარ არგუმენტებზე პასუხის გაცემა, რომლებიც ამკარად არარელევანტური, დაუსაბუთებელი ან სხვაგვარად დაუშვებელია მსგავსი არგუმენტების მიმართ არსებული სამართლებრივი დებულებების ან მყარად დადგენილი სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე, თუმცა, ყველა გადაწყვეტილება უნდა იყოს ნათელი და საქმეში მონაწილე მხარეებს შესაძლებლობას უნდა აძლევდეს გაიგონ, თუ რატომ გაითვალისწინა სასამართლომ მხოლოდ კონკრეტული გარემოებები და მტკიცებულებები (იხ., გადაწყვეტილება საქმეზე Seryavin and Others v. Ukraine §§ 55-62). სასამართლოს აქვს ვალდებულება, სათანადოდ იმსჯელოს მხარეთა მიერ წარდგენილ დოკუმენტებზე, არგუმენტებსა და მტკიცებულებებზე (იხ. Kraska v. Switzerland, § 30; Van de Hurk v. the Netherlands, § 59; Perez v. France, § 80.).

62. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებელი გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს, იმ საკითხის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძვლიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, საქმის განხილველმა სასამართლომ პირველყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი [მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა].

მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოძიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შემოანმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამონმებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წანამძღვარს. ამის შემდეგ მოწმდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წანამძღვრებს (პროცესუალური და მატერიალური თვალსაზრისით).

63. წინამდებარე საქმეში თავდაპირველი სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა მოპასუხისათვის 447590,30 ლარის, 1500 აშშ დოლარის, ასევე, 2019 წლის 28 ივნისიდან დავალიანების სრულ გადახდამდე ზიანის სახით დავალიანების – 447 590.30 ლარის წლიური 11%-ის გადახდის დაკისრება, რასაც მოპასუხემ დაუპირისპირა შეგებებული სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც შეგებებული სარჩელის ავტორის განმარტებით განპირობებული ზეპირი საინვესტიციო შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევითა და საინვესტიციო თანხის არასტაბილური მიწოდებით.

64. მოცემულ საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლომ უარყო თავდაპირველი და შეგებებული სარჩელები, რაც ნაწილობრივ შეცვალა სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 19 ოქტომბრის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 447590,30 ლარის და 1500 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება, ხოლო შეგებებული სარჩელის უარყოფის ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

65. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოტივაცია, რაც მითითებულია ამავე განჩინების პპ: 16, 32-36-შია მითითებული, იმაში მდგომარეობს, რომ მხარეთა შორის არსებული შეთანხმება გულისხმობდა უძრავ ნივთზე საკუთრების, ერთი მხრივ, გადაცემას, ხოლო, მეორე მხრივ, შეძენას. შეთანხმება არ ყოფილა გაფორმებული წერილობითი ფორმით, რაც სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია, როგორც აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. გარიგების ბათილად ცნობის პირობებში, თავდაპირველი სარჩელით მოთხოვნილი 447590,30 ლარისა და 1500 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრების სამართლებრივ საფუძვლად მითითებული იქნა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტზე.

66. რაც შეეხება შეგებებული სარჩელის უარყოფის ნაწილში წარდგენილ მოპასუხის სააპელაციო პრეტენზიას (იხ., ამ განჩინების პ.38), სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ზეპირი ფორმით არსებული გარიგების ბათილად ცნობის გამო, შეგებებული სარჩელის მოთხოვნას მოსარჩელისათვის ზიანის ანაზღაურების სახით თანხის დაკისრების შესახებ, სამართლებრივი საფუძველი გამოეცალა. მოპასუხეს არაფერი გადაუცია მოსარჩელისათვის, შესაბამისად, დაბრუნების ვალდებულებაც ვერ დადგინდება.

67. საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველი საკასაციო პრეტენზია წარმოდგენილი იქნა, საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეუფასებლობის საპროცესო სამართლებრივი საფუძველით [სსსკ-ის 105-ე, 407.1, 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 396-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი].

68. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატას უნდა გამოეყენებინა სსკ-ის 938-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება, რადგან მოცემულ შემთხვევაში, ამკარაა ზიანის მიყენების ფაქტი, 10 თვეში 2019 წლის სექტემბრამდე ასაშენებელი და ექსპლუატაციაში მისაღები სასტუმრო ჯერაც დაუსრულებელია. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, არასწორადაა დადგენილი, რომ მხარეთა შორის არსებული შეთანხმებით, თანხის გადარიცხვის სანაცვლოდ, მოსარჩელეს საკუთრებაში უნდა მიეღო შენობისა და მიწის ნაკვეთის 25% (35%). საქმეში წარმოდგენილ არცერთ საინვესტიციო ხელშეკრულებაში სასტუმროს ქვეშ არსებული მიწის მოპასუხის საკუთრებაში გადაცემა ნახსენები არ არის, პირიქით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნ. ქ-ძის კუთვნილი მიწის ნაკვეთი აღნაგობის უფლებით დაიტვირთებოდა. მიწის საკუთრებაში გადაცემის შესახებ მოსარჩელის მოთხოვნა დაფიქსირებულია მხოლოდ მოპასუხის მიერ მისთვის გადაგზავნილი 2019 წლის 10 მაისის წერილის საპასუხოდ, სატელეფონო შეტყობინებით მოსარჩელემ დაადასტურა მზაობა 2019 წლის აპრილში საინვესტიციო ხელშეკრულების შესრულებაზე გარკვეული კორექტირებით (იხ., ამ განჩინების პ: 43, 45).

69. საკასაციო სასამართლო ეთანხმება პრინციპს, რომ მოთხოვნის საფუძვლის განსაზღვრა სასამართლოს პრეროგატივაა. ამგვარი მიდგომა გამომდინარეობს სამართალში დამკვიდრებული პრინციპიდან: „*jura novit curia*“ (სასამართლომ იცის კანონი).

70. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 319-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ, კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. საკასაციო პალატა განამარტავს, რომ სამოქალაქო სამართლით განმტკიცებული მხარეთა ავტო-

ნომიურობის პრინციპი ყველაზე ნათლად ხელშეკრულების თავისუფლებაში გამოიხატება.

71. ხელშეკრულების თავისუფლება ეფუძნება მხარეთა სურვილს, დაამყარონ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა. ხელშეკრულების თავისუფლება ორი ნაწილისაგან შედგება: ა) ხელშეკრულების დადების თავისუფლება; ბ) ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება (მდრ: ირმა გელაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III მუხლი 319, ველი 8, თბილისი, 2019; სერგი ჯორბენაძე, ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2017, გვ. 103.; ეკატერინე ბალიშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III მუხლი 327, ველი 3, თბილისი, 2019).

72. მხარეთა ავტონომიურობის პრინციპს აშკარად ასახავს ზემოხსენებული ნორმით აღიარებული კერძო სამართლის სუბიექტთა უფლება – დადონ ისეთი ხელშეკრულება, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი სამართლით გათვალისწინებულ ხელშეკრულებათა სახეები ამომწურავი არ არის და მხარეებს, ამავე კოდექსის განხილული ნორმის შესაბამისად, ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლებში, შეუძლიათ, დადონ მათთვის სასურველი შინაარსის და კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ხელშეკრულება.

73. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კერძო სამართლის სუბიექტთა შორის წარმოშობილი ურთიერთობის სწორი სამართლებრივი შეფასებისათვის გადამწყვეტია ამ სუბიექტთა ნამდვილი ნების გამოვლენა, რომლის საფუძველზე დადგენილი ფაქტების სამართლებრივი კვალიფიკაცია სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს.

74. განსახილველ საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია ფაქტობრივი გარემოებები მასზედ, რომ მხარეებს შორის ზეპირი ფორმით დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც ისინი შეთანხმდნენ: ა. მ-ი განახორციელებდა 450000 აშშ დოლარის გადმოორიკხვას შპს „გ. რ-ისთვის“, მიწის ნაკვეთის შეძენისა და 4 სართულიანი (3 სართული ზემოთ და 1 სართული ქვემოთ) სასტუმროს ასაშენებლად, ხოლო კომპანია (მოპასუხე) აწარმოებდა მშენებლობას ამ მიწის ნაკვეთზე 10 თვის განმავლობაში, დაასრულებდა მას.

75. ასევე დადგენილი ფაქტობრივი გარემოება, რომ მოსარჩელემ კომპანიას გადმოურიცხა 447590.0 ლარი (156 000 აშშ დოლარი) და 1500 აშშ დოლარი, და არა შეთანხმებული 450000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

76. შენობის აშენება 10 თვეში ვერ დასრულდა. ამჟამად შენობა ექვსსართულიანია (5 სართული ზემოთ და 1 სართული ქვემოთ). შესაბამისად გაზრდილია მისი ღირებულებაც, რაც შეადგენს 600000 აშშ დო-

ლარს.

77. მხარეთა შორის სადავოა მათ შორის არსებული შეთანხმებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა, შეუსრულებლობის განმარტებული მიზეზები და დამდგარი შედეგი.

78. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ხელშეკრულებათა განმარტების სფეროში გასაპირობებელია ურთიერთობათა ორმხრივი (მრავალმხრივი) ხასიათით, დისპოზიციური ნორმების გამოყენებით, სავაჭრო და საქმიანი ჩვეულებებითა და ტრადიციებით, მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობაში ჩამოყალიბებული პრაქტიკით, იმპერატიული ნორმების მოთხოვნათა გათვალისწინების აუცილებლობით და ა.შ. ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსენსუსის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, იწვევს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე. ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც იწვევს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს.

79. სსკ-ის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მართოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონივრული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემეცნების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

80. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობა სსკ-ის 930-ე მუხლის მიხედვით, უნდა შეფასდეს როგორც ერთობლივი საქმიანობა. მითითებული ნორმის შესაბამისად, ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს, ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. ხოლო ამავე კოდექსის 932-ე მუხლის მიხედვით – მონაწილეებმა უნდა შეიტანონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესატანები. თუ ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული შესატანის ოდენობა, თითოეული მონაწილე მოვალეა შეიტანოს იგი თანაბრად. შესატანი შეიძლება შეტანილ იქნეს როგორც ქონებით, ასევე მომსახურების გაწევით. თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შესატანები წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას.

81. ნიშანდობლივია, რომ სამოქალაქო კოდექსი არ აკონკრეტებს ხელშეკრულების ამ ტიპისათვის განსაზღვრული მიზნის შინაარსს. ამდენად, გარიგების მხარეთა ინტერესს, შესაძლებელია, წარმოადგენდეს კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი მიზანი, მათ შორის, გარკვეული მოგების მიღების სურვილი. საერთო მიზნის არსებობა გარიგების მთავარ წინაპირობას წარმოადგენს. ამხანაგობის წევრთა უფლება-ვალდებულებები ემსგავსება ნარდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ურთიერთობებს, მაგრამ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ისეთ უფლება-ვალდებულებებს, რაც დამახასიათებელია კოლექტიური გაერთიანებისათვის, რომელსაც ახასიათებს კორპორაციული სტრუქტურის ისეთი თვისებები, რომელიც მოიცავს, როგორც ორგანიზაციულ, ასევე, ქონებრივ ელემენტებს. ზუსტად ასეთი ტიპის გაერთიანება წარმოადგენს გარკვეულწილად იმ საშუალებათა ერთობას, რითაც საბოლოოდ უზრუნველყოფილია ამ გაერთიანების მონაწილეთა მიერ დასახული მიზნის მიღწევა. ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების თავისებურება იმაში ვლინდება, რომ დასახული მიზნის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მონაწილე პირთა ერთობლივი საქმიანობით“ (იხ. სუსგ №ას-866-808-2017, 17 ოქტომბერი, 2017 წელი).

82. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის მიღწეული ზეპირი შეთანხმებით დგინდება ურთიერთობის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებად შეფასების არსებითი ნიშნები, კერძოდ: სუბიექტები ისახავენ ერთიან (საერთო) მიზანს; ასრულებენ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელ მოქმედებებს; შენატანების საფუძველზე საერთო წილობრივი საკუთრების ქონებას ქმნიან; საქმიანობიდან წარმოშობილი ზიანისა და ხარჯების განაწილებას ერთობლივად კისრულობენ და ინაწილებენ მიღებულ შედეგებს. ირკვევა, რომ ზეპირი ხელშეკრულება მოიცავს მოსარჩელის ფინანსების საფუძველზე, მოპასუხის მიერ მომსახურების განევას, მიწის ნაკვეთზე მშენებლობის განხორციელებას და მისი დასრულების შემდეგ მასზე წილის შეძენის პირობებს. თავდაპირველი მოსარჩელის განმარტებებიდან დგინდება, რომ მიერ ზეპირი ფორმით დადებული ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, იგი დათანხმდა ამხანაგობის ხელშეკრულების პირობებს და სხვა წევრებთან ერთად გაერთიანდა იმავე მიზნის მისაღწევად, ამასთანავე, იკისრა შესატანის შეტანის ვალდებულება, რაც საერთო მიზნის მიღწევის საშუალებაა (სსკ-ის 932-ე მუხლი).

83. ამასთან, კასატორი აპელირებს სსკ-ის 938-ე მუხლზე, რომლის მიხედვით თუ ხელშეკრულება პირდაპირ არ განსაზღვრავს ერთობლივი საქმიანობის ვადას, ყოველ მონაწილეს ნებისმიერ დროს შეუძლია უარი თქვას ერთობლივ საქმიანობაში მონაწილეობაზე. ხელშეკრულებით

ბიდან გასვლა დაუშვებელია ისეთ დროს ან ისეთ გარემოებაში, რომელიც საზიანო იქნება ერთობლივი საქმიანობისათვის. თუ მონაწილეთა შეთანხმებით განსაზღვრულია ერთობლივი საქმიანობის ვადა, ხელშეკრულებიდან გასვლა დაიშვება მხოლოდ პატივსაღები მიზეზების არსებობისას. სამოქალაქო კოდექსის 937-ე მუხლის პირველი ნაწილი კი ადგენს, რომ ხელშეკრულების მონაწილეები ერთობლივი საქმიანობიდან წარმოშობილი ვალებისათვის პასუხს აგებენ სოლიდარულად. ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

84. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. (სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლები). სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

85. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ საქმეში მოსარჩელის მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს გადახდილი თანხისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მოსარჩელე აცხადებს, რომ ხელშეკრულება დადებულია მოტყუებით, ამიტომაც ცალმხრივად გადის ხელშეკრულებიდან და მოითხოვს პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას.

86. საკასაციო პალატას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონტექსტში მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში შეფასებას საჭიროებს თავდაპირველი სარჩელით მოსარჩელის პოზიცია, კერძოდ, იგი გარიგების ბათილად ცნობას მოითხოვს მოტყუების საფუძველზე თუ ითხოვს ხელშეკრულებიდან გასვლას. სსკ-ის 81-ე მუხლიდან გამომდინარე, მოსარჩელეს ეკისრება შეცილების ადრესატის მიერ სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის დადასტურება, ხომ არ ამტკიცებს მოსარჩელე გარიგების მოტყუებით დადების ფაქტს და ამ საფუძველით ხომ არ ეცილება ხელშეკრულებას, ასევე, უნდა შემოწმდეს გარიგების კონკრეტული საფუძველით შეცილების ნამდვილობა, რამეთუ საცილო გარიგების მიმართ არანამდვილო შეცილების განხორციელება ამ გარიგებას იურიდიული ძალმოსილებით აღჭურავს (მდრ: სუსგ №ას-1170-1125-2016, 13 ივნისი, 2017).

87. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გარიგების ბათილობის ლეგალურ დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს და მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ განსაზღვრული პირობების დარღვევით დადებულ გარიგებებს ბათილად აღიარებს. ამიტომ ბათილობის ცნება და შინაარსი კანონის ნორმებისა და ლიტერატურაში არსებული მოსაზრებების ანალიზის საფუძველზე უნდა განისაზღვროს. (მდრ. ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, მუხლი 54, ველი 5, თბილისი, 2017). ბათილია გარიგება, თუ ის არ იწვევს გარიგების მონაწილეების მიერ დასახულ სამართლებრივი შედეგის დადგომას. გარიგების ბათილობა კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგია, ამიტომ გარიგების ბათილობის მიზეზები, მოსალოდნელი შედეგები, გარიგების ნაკლის გამოსწორების ჩათვლით, კანონით განისაზღვრება. ამის შესაბამისად ერთმანეთისაგან განსხვავდება ბათილი გარიგების სახეები.

88. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბათილი გარიგების ერთ-ერთ სახეს წარმოადგენს საცილო გარიგება. საცილო გარიგება დადების მომენტში ნამდვილია, მაგრამ შეცვლების შედეგად კარგავს იურიდიულ ძალას, ე.ი ხდება ბათილი. საცილო გარიგება შეცვლების გამო ბათილად ჩაითვლება არა შეცვლების მომენტიდან, არამედ მისი დადების მომენტიდან. საცილო გარიგების გავრცელებული შემთხვევებია შეცდომით, მოტყუებით ან იძულებით დადებული გარიგებები (მდრ. ლადო ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი I, მუხლი 54, ველი 12, თბილისი, 2017).

89. საკასაციო პალატა მიუთითებს, როგორც შეცდომით, ისე მოტყუებით დადებული გარიგებისას ნების ნაკლს მხარის არასწორი წარმოდგენა განაპირობებს დასადები გარიგების არსთან თუ შინაარსთან დაკავშირებით, ასევე, იმ გარემოებების არასწორი აღქმა, რაც გარიგების დადებას საფუძველად დაედო, მაგრამ მათ შორის, არსებობს არსებითი განსხვავება, კერძოდ, მართალია, მოტყუებით დადებული გარიგებებისას, მხარე შეცდომის საფუძველზე შედის სამართალურთიერთობაში, მაგრამ ეს შეცდომა გამოწვეულია მეორე მხარის ქმედებით, ანუ, შეცდომით დადებული გარიგებისას, ხელშეკრულების კონტრაქტის კეთილსინდისიერია ნების ნაკლთან მიმართებით და მოდავე მხარის მცდარი წარმოდგენა მის მიერ გარკვეული მონაცემების დამალვით ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებით არ არის განპირობებული. შეცდომა მოცემულია მაშინ, როდესაც პირის რეალური და გამოხატული ნება ერთმანეთს არ ემთხვევა. სხვანაირად რომ ვთქვათ, შეცდომა არის მხარის მცდარი წარმოდგენა შემთხვევის შემადგენლობაზე.

90. შეცვლების სამართლებრივი შედეგი არის გარიგების სრული ან ნაწილობრივი ბათილობა. იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეებს განხორ-

ციელებული აქვთ შესრულებები, მათი უკან დაბრუნება ხდება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით.

91. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში სარჩელსა და შესაგებელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, შესაფასებელია, მხარეთა შორის ურთიერთობა მიჩნეულ უნდა იქნეს თუ არა მოტყუებით დადებულ ხელშეკრულებად.

92. საკასაციო სასამართლოს განმარტავს, რომ მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობის საკითხს არეგულირებს სამოქალაქო კოდექსის 81-ე-82-ე მუხლები, რომელთა თანახმად, თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, იგი უფლებამოსილია მოითხოვოს ამ გარიგების ბათილობა. ეს ხდება მაშინ, როცა აშკარაა, რომ მოტყუების გარეშე გარიგება არ დაიდებოდა. თუ ერთი მხარე დუმს იმ გარემოებათა გამო, რომელთა გამჟღავნების დროსაც მეორე მხარე არ გამოავლენდა თავის ნებას, მაშინ მოტყუებულს შეუძლია მოითხოვოს გარიგების ბათილობა. გამჟღავნების ვალდებულება არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა მხარე ამას ელოდებოდა კეთილსინდისიერად. მოტყუებით დადებული გარიგების ბათილად ცნობისათვის მნიშვნელობა არა აქვს, არასწორი ცნობების შეტყობინებით მხარე მიზნად ისახავდა რაიმე სარგებლის მიღებას, თუ – მეორე მხარისათვის ზიანის მიყენებას. კანონის მითითებული დანაწესის შესაბამისად, მოტყუების საფუძველით გარიგების ბათილობისათვის აუცილებელია, რომ მოტყუებას ნების გამომვლენაში ისეთი შეცდომის გამოწვევა შეეძლოს, რომელიც ნების გამოვლენის საფუძველი ხდება. მოტყუების დროს პირს შექმნილი უნდა ჰქონდეს ისეთი ობიექტური ვითარება, რომელიც ხელს შეუშლის ნების გამომვლენას ნამდვილი, ანუ მისთვის სასურველი ნების გამოვლენაში და აღნიშნული გარემოება, ყველა ნორმალურ მოაზროვნე ადამიანში არა-ნამდვილი ნების გამოვლენას უნდა იწვევდეს, ანუ ადამიანს ობიექტური განსჯის შედეგად არ უნდა ჰქონდეს თავისი ნამდვილი ნების გამოვლენის შესაძლებლობა, შესაბამისად, მოტყუების ფაქტი იმდენად თვალსაჩინო და აშკარა უნდა იყოს, რომ ნებისმიერი საშუალო განვითარებისა და აზროვნების ადამიანის მოტყუება უნდა იყოს შესაძლებელი (იხ. სუსგ-ები: №ას-182-171-2014, 16 ივნისი, 2014 წ.; 20.01.2016 წ.; №ას-1117-1051-2015, 20 იანვარი, 2016 წ.; №1126-2021, 29 მაისი, 2023 წ.). ის, ვინც იყენებს შეცდომების უფლებას, უნდა დაამტკიცოს მოტყუების ფაქტის არსებობა, მისი არსებობა და მიზეზობრივი კავშირი მოტყუებასა და ნების გამოვლენას შორის.

93. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სსკ-ის 938-ე მუხლი ითვალისწინებს ამხანაგობიდან გასვლის სპეციალურ წესს (იხ. სუსგ №ას-180-2020, 08 აპრილი, 2021 წ. პ.31). თუმცა, მისი წინაპირობები სააპე-

ლაციო ინსტანციის სასამართლოს არ გამოუკვლევია. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ერთობლივი საქმიანობის წევრების ინტერესები მიმართულია საერთო მიზნის მიღწევისაკენ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ერთმანეთის მიმართ ისინი არ შეიძლება გამოდიოდნენ როგორც კრედიტორი და მოვალე. ზუსტად ეს წარმოადგენს იმ შემთხვევას, როდესაც უნდა გავმიჯნოთ საერთო საქმიანობის მიზნის მისაღწევად ამხანაგობის წევრების უფლებები და ნაკისრი ვალდებულებები იმ უფლება-ვალდებულებებისაგან, რომელიც შემდეგ მათ წარმოეშობათ ერთმანეთის მიმართ, კერძოდ, ერთ შემთხვევაში, საერთო საქმიანობასთან დაკავშირებით, კეთილსინდისიერად შესრულების მოთხოვნის უფლება აქვს თითოეულ მონაწილეს ერთობლივი საქმიანობის ყოველი მონაწილისაგან (სსკ-ის 935-ე მუხლის მე-2 ნაწილი), მეორე შემთხვევაში, ერთმანეთთან ურთიერთობაში პასუხისმგებლობის ოდენობა განისაზღვრება მონაწილეთა წილის შესაბამისად, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს (სსკ-ის 937-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება). ამ უკანასკნელ შემთხვევაში კანონით გათვალისწინებულია დანაწესი, რომლის თანახმად, პასუხისმგებლობის საკითხი დგება ერთმანეთის მიმართ.

94. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა არ იწვევს ხელშეკრულების ბათილობას, უსაფუძვლო გამდიდრების დროს კი პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას იწვევს ვალდებულებითი ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლის ბათილობა. ამ ორ სამართლებრივ ინსტიტუტს შორის განსხვავება უფრო მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობის განსაზღვრის ნაწილში. ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში მოვალეს შეიძლება დაეკისროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. უსაფუძვლო გამდიდრების შემთხვევაში კი, ურთიერთობა, როგორც წესი, შემოიფარგლება მხარეთათვის მიღებული უკან დაბრუნებით (იხ. ლია შატბერაშვილი, უსაფუძვლო გამდიდრება; სამართლიანი სამართალი? ჟურნალი „სამართალი“ №6-7, 2000 წ, გვ.41.

95. საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ კასატორის მიერ წარმოდგენილია ნაწილობრივ დასაშვები (დასაბუთებული) საკასაციო პრეტენზია (შედავება).

96. იქიდან გამომდინარე, რომ მხარეთა შორის წარმოშობილ ურთიერთობა საკასაციო სასამართლოს მიერ მიჩნეული იქნა ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობა) ხელშეკრულებად, თავდაპირველი სარჩელი და მისგან გამომდინარე შეგებებული სარჩელის წინაპირობები სწორედ ამ სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებშია შესაფასებელი (კერძოდ, ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობების თუ მოტყუებით დადებული ხელშეკრულების ბათილობის წინაპირობების არსებობა (თავდაპირველი სარჩელის მოთ-

ხოვნის ფარგლებში), ხოლო ზიანის ანაზღაურების საფუძვლების არსებობა შეგებებული სარჩელის ფარგლებში).

97. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და განაწილოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

98. საკასაციო სასამართლოს მიერ არაერთ გადანყევტილებაშია აღნიშნული, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას სასამართლო იკვლევს, რამდენად დგინდება სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, რომლებიც სასარჩელო მოთხოვნის, ან მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის წარმატებას განაპირობებს. სასამართლო ვალდებულია, განსაზღვროს მოთხოვნის ფარგლები (ისე რომ არ გასცდეს მას), მოძებნოს დავის მომწესრიგებელი შესატყვისი სამართლის ნორმა (სპეციალური ან ზოგადი წესი) დაადგინოს იმ გარემოებათა არსებობა/არარსებობა (ფაქტობრივი გარემოებები), რომლებიც ამ ნორმის გამოყენებისთვის აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენენ.

99. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადანყევტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების საფუძველია, თუ გადანყევტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადანყევტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყევტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

100. სააპელაციო ინსტანციის სასამართლომ მხარეთა შორის ზეპირი შეთანხმება ფორმის დაუცველობის საფუძველით ბათილ გარიგებად ჩათვალა და გარიგების ბათილად ცნობის პირობებში, თავდაპირველი სარჩელით მოთხოვნილი 447590,30 ლარისა და 1500 აშშ დოლარის მოპასუხისათვის დაკისრების სამართლებრივ საფუძვლად გამოიყენა სსკ-ის 976-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი, ხოლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით წარმოდგენილი შეგებებული სარჩელის გამომ-

რიცხველ გარემოებად მხარეთა შორის ზეპირი ფორმით არსებული გარიგების ბათილად ცნობა მიიჩნია (იხ., ამ განჩინების პ.38).

101. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას თავად მიიღოს გადანყვეტილება დავაზე, შესაბამისად, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადანყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებაში მოცემული მსჯელობების შესაბამისად, უნდა შეამოწმოს მხარეთა მოთხოვნის წინაპირობები და საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი კვლევის შედეგად, განსაზღვროს უფლების საკითხი.

102. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულებულა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ (სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულის ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით), ხარჯების საკითხი უნდა გადანყდეს შემაჯამებელი გადანყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „გ. რ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 19 ოქტომბრის გადანყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge